

114 |
1975 | 3



საქართველოს
რეპუბლიკის ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეოგრაფია

114/3

1

100

1975



მუსიკის

საქართველოს
სახელმწიფო
მუსიკის ჟურნალი

ქვეყნის მუსიკის ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 50-ე

№ 1

იანვარი, 1975 წ.

საქართველოს სახელმწიფო მუსიკის კავშირის ორგანო

შინაარსი

თურნალ „მუსიკის“ რედაქციას	3
დოქტორი გიორგი ნახევარსაუბროვიანი გზა	4
„მუსიკის“ თანამშრომელთა დაჯილდოება	4
აპეტია იხაბიანი — რეჟისორი, ლექსი, თარგმანი რეჟისორი აბაშიძე	5
ბაკლო კალაძე — კომპოზირებული	6
სერგო კლდიაშვილი — დაკავშირებული ლენინი, მთხრობა	13
გიორგი აბაშიძე — ცოტა ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება, რე- მანი, დასასრული	24
იზა გოციაძე — ლექსები	78
რეზა იოსელიანი — შავი და ცისფერი მდინარე, რეჟისორი	80
ალექსანდრა მთათიანი — ლექსები	102
სება ბაბუა — ლექსები	103
ჯანო ჯანელიძე — ლექსები	106
გურამ დონაშვილი — სამოსელი ვიკინგი რეჟისორი, ვერტელები	107
გიორგი ლომთათიანი — ეპოქური საქართველოს ისტორიიდან	148

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

სოსო სიგუა — სამეცნიერო-ტექნიკური მუსიკის დაცემა და მათი ლიტერატურა	156
ანთაძილი ნიკოლოზი — რუსი მუსიკის მუსიკის	167
ნინო იხაბიანი — ტანო მარტიანი	175

ქიზნების მიმოხილვა

სერგი წულაძე — თარგმანის ხელშეწყობა	181
ბ. მალაქაძე, შ. მამუკაშვილი — სოციალისტური დაცვის სურსათით	185

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საკრებულო კოლეგია:

0. აბაშიძე, რ. ანაწუკელი (პ/მზ მდიანი), დ. ბანაშვილი, დ. ბანაშვილი, მ. ბანაშვილი, მ. ლიბანიძე, ი. მადრაძე, ზ. შალვაძე, ა. ხუბაძე, ა. ქათამთაძე, ს. ზანდიაშვილი, დ. უფიშვილი, ვ. წულუკიძე, ი. შილაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტიპრედაქტორი რ. ჩაპუჩავაძე

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11.
პ/მზ მდიანის — 98-55-18, ვანუფილტებ-
ების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

ვალუა ასაწეობად 28/XI-74 წ., ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 10/II-75 წ., ანაწეობის ზომა
 $7\frac{1}{4} \times 12$, ქალაქის ფორმატი $70 \times 108\frac{1}{16}$,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ-საგამომცემლო
თაბაში 12.

უფ 00011. ტირაჟი 14.080. შეჯვ. № 4306.
საქ ებ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



მუხრანლ „მნათობის“ რედაქციას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გულთადად მიესალმებიან და ულოცავენ ეურნალ „მნათობის“ რედაქციას, მის თანამშრომლებს, ავტორთა კოლექტივსა და მკითხველებს ეურნალის პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავს და მთავრობის მაღალი ჭილდოთი — „საბატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებას.

ეურნალ „მნათობის“ იუბილე მთელი ქართული საბჭოთა კულტურის, ქართველ მწერალთა, რესპუბლიკის ყველა მშრომელის დღესასწაულია.

ეურნალის დაარსების შემდეგ გახველილი 50 წელი იყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის, კომუნისტური მშენებლობის წარმატებებისათვის პარტიისა და ხალხის გამართული ბრძოლისა და თავდადებული შრომის წლები, ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში ძირეული გარდაქმნებისა და ისტორიული მიღწევების წლები. ამ წლების მანძილზე ეურნალ „მნათობს“, რომელიც პარტიის აქტიური თანამშემეა მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, დიდი წვლილი შექმნა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების, სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრების საქმეში, აქტიურად იბრძოდა ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობისათვის, ხელს უწყობდა მოძმე რესპუბლიკების ეროვნულ ლიტერატურებთან, პირველ რიგში რუსულ ლიტერატურასთან, ურთიერთკავშირის გაძლიერებასა და გაფართოებას.

ქართველი საბჭოთა მწერლების მებრძოლი ორგანო, ჩვენი ხალხის შრომითი გმირობის მიუყვამებელი მემკვიდრე, ეურნალი „მნათობი“ თანმიმდევრულად აშუქებდა და წარმართავდა ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის განვითარების პროცესს, მართალი მხატვრული სიტყვით უნერგავდა მკითხველებს მშვენიერების გრძნობას და აღაფრთოვანებდა მათ გმირობისათვის კომუნისტების იდეების გასამარჯვებლად.

დღეს, როცა რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, თავდადებით შრომობენ სკკ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, როცა რესპუბლიკაში შექმნილია ნამდვილად შემოქმედებითი ატმოსფერო, ღრმადდება საზოგადოებრივი კლიმატის გაჯანსაღების პროცესი, ეურნალ „მნათობის“ რედაქცია, მისი ავტორთა კოლექტივი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის მხარდამხარ დგანან კომუნისტური მშენებლობის მოწინავე მიახენზე, მაღალიდუური, მაღალმხატვრული ნაწარმოებებით რაზმავენ რესპუბლიკის მშრომელებს, მთელ ქართველ ხალხს მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის.

ეუსურავებთ ეურნალ „მნათობის“ რედაქციის ყველა თანამშრომელსა და ავტორთა კოლექტივს ახალ შემოქმედებითს წარმატებებს ხალხის, ჩვენი დიადი მრავალერთვანი სამშობლოს საყვითლდღეოდ, ხათელი კომუნისტური მომავლის საყვითლდღეოდ.

საქართველოს
კომპარტიის
ცენტრალური
კომიტეტი

საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ
მინისტრთა
საბჭო

დიდახითი მოსილი ნახეპარსაუპუნოვანი გზა



შეკრულდა 50 წელი, რაც გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანოს — ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „მნათობის“ პირველი ნომერი.

„მნათობისადმი“ მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციოლისტური შრომის ემირსა გ. ამაშიძემ.

საიუბილეო საღამოზე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძიწენიძე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მან გულთბილად მიულოცა ჟურნალის რედაქციის კოლექტივს, შეათხველებს სახელოვანი თემილუ. ამა. გ. ძიწენიძემ წააიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება ჟურნალ „მნათობის“ რედაქციისადმი, და გამოაკურნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ჟურნალ „მნათობის“ „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოვების შესახებ. ეს ჯილდო ჟურნალს მიეზიება სამართა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის. მეტრბილთა ტაშის გრაფიში გ. ძიწენიძემ რედაქციის დროშის შიამნია წითარობის დაღღა.

ჟურნალის ხანგრძლივად მოღვაწეობის, რედაქციის კოლექტივის დაუწყადელი ამოცანების შესახებ მისიტება გააუთა ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა, მწერალმა გ. ნატროშვილმა. საქართველოს მწეწიერთა სახელით რედაქციის თანამშრომლებს მიულოცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებს აკადემიკოს-მდივანმა შ. ძიძიფურმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლექტივის სახელით თემილარს მიეკლამა პროფესორი, პროფესორი ს. კორჩენაძე. მან წაიკითხა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება ჟურნალის მთავარი რედაქტორის, მწერალ გ. ნატროშვილის ი. ვაჟბანიძელის სახელობის მდიდით დაჯილდოვების შესახებ. მწერალ გ. ნატროშვილს ეს ჯილდო მიეზიება უნივერსიტეტისა და ჟურნალ „მნათობის“ კოლექტივების ტრადიციული შეუბრძობის განმტკიცებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

რედაქციის შემთათა კლბის სახელით თემილარს მისალმება ვადასყა თბილისის კიროვის სახელობის ხარისხმწიფი ქარხნის მუშამ გ. მამაშიძემ.

ჟურნალის რედაქციის კოლექტივს სახელოვანი თემილე მიულოცეს ურანის მწერალთა კავშირის სახელით მწერალმა ი. შიამშიძემ, სომეხების მწერალთა კავშირის სახელით — მწერალმა გ. კარენცმა, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის სახელით — დრამატურგმა გ. ვიანჯალიმ, აფხაზეთის მწერალთა კავშირის სახელით — პოეტმა ა. ჯინუბამ.

საღამოზე მოვიგებმა წაიკითხა ჟურნალის რედაქციის ერთ-ერთმა პირველმა თანამშრომელმა, მწერალმა-აკადემიკოსმა დ. შენგელიამ.

საიუბილეო საღამოზე მისალმებელი სიტყვები წარმოიტყვეს კრიტიკოსმა გ. ასათიანმა, პოეტმა ა. კალანდარემ, მწერლებმა რ. ჯაფარიძემ და გ. დოხანაშვილმა.

სადღესწაფელი კონცერტები მონაწილეობა მიიღეს ქარაული ზელოვნების ოსტატებმა. საიუბილეო საღამოს დასწრწეწ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჟ. პატიავილი, საქართველოს აღკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. შარტავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე. (საქმიფორში).

„მნათობის“ თანამშრომელთა დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 29 ნოემბრის ბრძანებულებით, პრესის ორგანიზების ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემაობისათვის, ჟურნალ „მნათობის“ ორმოცდაათი წლისათვის დაკავშირებით, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება მიენიჭათ „მნათობის“ რედაქციის შემდეგ თანამშრომლებს:

- პეიპევილი მარია ილიას ასულს — ჟურნალ „მნათობის“ უფროსი ლიტმუშაკი.
- ანდელშვილი თამარ დიკას ასულს — ჟურნალ „მნათობის“ განყოფილების გამგე.
- მუხამბეზოვი ლალი დავითის ასულს — ჟურნალ „მნათობის“ კორექტორს.
- მასხარაძის ქეთი იონის ასულს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის მუშას.

რწმამის ნოდარ დიმიტრის ძეს — ჟურნალ „მნათობის“ განყოფილების გამგე.

პეიპევილი მარია ილიას ასულს — ჟურნალ „მნათობის“ ტექნიკურ რედაქტორს.

მხარბიშვილი ივანე ზეტრეს ასულს — ჟურნალ „მნათობის“ კორექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 29 ნოემბრის ბრძანებულებით, პრესის ორგანიზების ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემაობისათვის, ჟურნალ „მნათობის“ ორმოცდაათი წლისათვის დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ ჟურნალ „მნათობის“ რედაქციის შემდეგი თანამშრომლები:

- პეიპევილი მარია ილიას ძე — ჟურნალ „მნათობის“ განყოფილების გამგე.
- დათუნაშვილი ლალი სოლომონის ასული — ჟურნალ „მნათობის“ რედაქციის გამგე.
- მასხარაძე ნანი დიმიტრის ასული — ჟურნალ „მნათობის“ ლიტმუშაკი.
- მასხარაშვილი შიკა გიორგის ასული — ჟურნალ „მნათობის“ ლიტმუშაკი.
- წაღაშვილი ივანე ვლადიმერის ძე — ჟურნალ „მნათობის“ განყოფილების გამგე.

კვებითი ისტორია

რ ა ვ ე ნ ა შ ი

არარატის მთას, მის ბებერ მწვერვალს
წამივით ფრთა ჰკრა ათასმა წელმა
და ჩაიარა.

მის ტინის კედლებს უთვლელმა ელვამ
ამსხვრია ხმალი ბასრმა და მწველმა
და ჩაიარა.

სიკვდილის შიშით და ზაფრით მთვრალმა
უმზირა ათას თაობის თვალმა
და ჩაიარა.

შეხედე ახლა შენია ჯერი,
დატკბი იმ შუბლის წამიერ ცქერით
და ჩაიარე.

რავენა, 1926

თარგმანი ირაკლი აბაშიძის



ქოლხუნი ნოველა

... ერთსა და იმავე დღეს მოხდა ეს, ჩემს თვალწინ: ლაშქრობა გამოცხადდა ტყეების დასაქავეად, ეანის განათბრებში ბრინჯაოს ქალღმერთი აღმოაჩინეს და ჰეენმა ახალგაზრდა ხუროთმოძღვრებმაკ ქალაქის ახალი პროექტები გამოჰქინეს განსახილველად. რიონისა და ენგურის ნაპირებზე ძველებურად მომრავლდა ჯიხვი, ხობობი და ირემი...

• • •

ამ გასაოცარ თავგადასავალს,
ლხინსა და ბიფათს მრავალს და მრავალს,
ფერწობდი, რომ აგრე განფერძობდი ადრე თუ გვიან...

ვარ ტვე-ტვე ხვამლის მთებთან მისული,
ისე, ვით ზუქა, ბადრის ძმისწული,
დროს კი მეოცე საუკუნის შუადღე ჰქვიანი!

კვლავ ნიჩბის მოსმით მივაპობ რიონს,
ფცდილობ იმედმა გზა გამიკვლიოს,
შევყურებ ცას და გული უკვე მაქვს საგულემი

უკვირდეს ყველა მხდალსა და მკვდარსულს,
ნანგრევთა ქვეშ თუ არ ვტოვებ წარსულს —
საუკუნიდან გადასული საუკუნეში!

წარსული იგი თუ სამკვიდროა —
ჩემი სიცოცხლით ცოცხლობდეს, დროა,
და ამიტომაც უღიმღამოდ არ გაგვეყარა.

რიონი რაა, რიონი ბარად! —
სწრაფვას ჩავუთვლი ენგურსაც — არად,
ცეცხლით კვლავ თუ არ გამინათა ცა და ქვეყანა!

უნდა სცოდნოდა ახლად აგებულს —
ჩემს დიდ საწუთროს გაქალაქებულს,
ჩემს ღია სარკმელს, საოცნებოდ აქ რომ აშენდა, —



უნდა სცოდნოდა სასწაულმოქმედს
წელს, ათას ცხრაას სამოცდაათოთხმეტს,
რომ ჩემში წარმართს ალაღბედად აღმოაჩენდა!

სადღაა ახლა ჩემი ჭიშკარი,
ჩემი მინდორი, ჩემი ჭის წყალი,
სადღაა ღმერთი, სიყვარული რომ მიწყალობა!

ცად ხელაპყრობილ რკინის ამწყებს,
ვარსკვლავმოჭედილ ამ ჭურს, ამ მუცებს
ვით შეფასმინო ხარი ცისკრის, ცისკრის გალობა!

• • •

შენ, ნადირობის ქალღმერთო, დალი,
სხვამ, აბა, ვინღა აღმოგაჩინოს, —
ვიცი მე შენი მიწა და წყალი,
წერაქვეთ გავთხრი ვანს და საჩინოს!

შენ, ნადირობის ქალღმერთო, ელვის
კრთომა ძუძუთა ქიმს რომ გიმშვენებს —
საიღალღოდ, მითხარი, მერმისს
შველსა და ირემს ვინ მომიშენებს!

გვევთის მზრიდან რას უხმობ ბუკით,
აჯამეთიდან რას ერეკები —
შენ, ნადირობის ქალღმერთო, თუ კი
გააჩანაგე ტყის ნარეკლები!

თუ სანავარდოდ ცხენს არ შეგვაზმავ,
ველს რად შევარქვი კვლავ სანავარდო,
მე, თუნდაც შენმა ერთმა მზე-კაცმა
უშენოდ ცაში მზე რად ავანთო!

დრონი იცვალნენ, დრონი იცვალნენ, —
თავს დაგვნათიან რიონქესები...
და მაინც მზიბლავს რტოთა სიმწვანე,
ოცნებით მაინც გელერსები!

არ ვარ მორწმუნე. და იმავ წამსვე
წავშლი არჩევანს, მე თუ არ მენდო.
არც გახსენებდი, ბუნების დამცველ
სიმბოლოდ რომ არ გსახავდე, ღმერთო!

ჯიქთაუბანს, კვლავაც სამყოფელს ჩემსას
დარაჯობს ათასწლოვანი ძუღკვა,
საირმე ქქვიან წყალგადმა მთებსაც,
ისევე როგორც საირმე ერქვა!

მაგრამ, აჰ, ჩემთვის რად გაზაფხულდეს,
ბნელ ღრუბლებს ელვამ რად გააჰკრას ბწყალი, —

ეს გაზაფხული შენ უნდა გსურდეს,
შენ, ნადირობის ქალღმერთო, დალი!



• • •

მე ავეუშენე ქალაქი ამ მთებს,
შუქს აქ შვიდ-შვიდი კამხალი ანთებს,
აქ დგანან ურჩად, ამ კვარცხლბეკზე ყველა ღმერთები!

დღეცაა ჩემი ბუნების მსგავსი
არ მოედება ობი და ხავსი —
და თუ ამღერდა სართულ-სართულ, მეც ავმღერდები!

აღმაშენებელს სამი რამ სწამდა —
მიიღეთ როგორც ფიც-ვერცხლი სამთა:
— დიდება მზეს და დედამიწას, დიდება მერმისს!

მე ვერძალავ ბებურ ხის ამოძირკვას,
გზად, მუშა-ხელი როცა თხრის კირქვას,
გზას, მიმოქროლვა წარუშლელად აინია მერნიც!

როცა საჭრეთელს ვანდეთ ქვის ლოდი —
ცაში, სილადით ქუდს მეც ვისროდი,
თვალს უკეთესი რაღა უნდა წარმოედგინა, —

მინათდებოდა იმედით სახე,
და შინც ვიგრძენ, და შინც ვნახე
ცუდი ნაჭდევი ჩამონათალ ქვას რომ ეტკინა.

მაშინ გავხედე ქალაქის ქუჩას,
მაშინ ვთქვი: — დარგულ ამ ათას ჯუჯას
ერთი ბერმუსა ფიქრად შინც შემორჩენოდა!


მინდა მესმოდეს სულისთქმაც მისი,
მინდა მიეართვა ოქროს საწმისი,
მეც ზომ ჯადოქრის მჯერა ისევ, როგორც მჯეროდა.

რაა სილადე დღე-ბედნიერი.
თუ აღარ შერჩა ქვეყნის იერი,
რა ქარი დაძრწის, ქუჩა-ქუჩა რა ჩოჩქოლია!

სიცოცხლე მე რომ სიცოცხლედ ვთვლიდი
რკინის თითებში ისე, ვით ჩიტი
მყოლია თითქოს ერთი წუთით, და არც მყოლია!

• • •

დალი, ჩემს მედგარ ხელს მინდა აპყვე,
ხეცს მინდა აღარ ებუროს ნისლი,
ერთი ნაბიჯი, დალი, და აქვე
დგას ამირანი და ძმანი მისნი!



ცაში აქ ჩემი კერის კვამლია,
მიწაა ჩემი კერის ნაცარი.
ჩემი პირველი მღვიმე ზვამლია,
ვანი, პირველი ჩემი ტაძარი...

ცეცხლი ვარსკვლავთა მე გაგადვივე,
მე ვარ პირველი მსხვერპლი ავ რისხვის:
როცა ღმერთებმა დატოვეს მღვიმე —
დაიწყო ჩემი დღე წელთაღრიცხვის!

მინდა ვით შავბედს თავდაღწეული
ბნელ წიაღიდან წამოდგე, დალი,
დასთმე ეგ შენი ათასწლეული,
აღმართე ცაში ბრინჯაოს ტანი!

ასწია მიწა, რომ ამოსძახო
ჩემს ნათელ დღეებს დედამიწიდან, —
აკი სამკვიდრო და სამოსახლო
აღსაშენებლად მეც აქ მიცდიდა!

სიახლე მეც აქ მაიარაღებს
დაშვენდა ქეიტკირს რკინა ნეკნებად,
მაგრამ დანგრევა ელით ქალაქებს,
ტყუთა სიმწვანე თუ არ ეწნებათ!

მწამს ძალა შენი, ისე ვით მწამდა,
და ბედისწერამ კვლავ რომ არ მძლიოს —
აჰა, მოყვებო ცხენისწყალს მთა-მთა,
მოყვებო ვანის ტაძრამდე რამნს!

ისეთი გულის კაცს კი, მე რომ ვარ,
არც ატომგულის გმინვა აღონებს, —
ძმადაც ვეგულეო მრავალფეროვან
სიახლით უკვე შემკულ მთაგორებს!

• • •

საუკუნეებს გარს შემოვიკრებ
და ერთი ნატვრა ამისდეს, იქნებ,
იქნებ ერთბაშად აფერადდეს ჩემი ქალაქი.

დაშვენდეს მინდორს დილა მზიანი,
პროპელერების ბზრიალ-ბზრიალი
და ღია ცისქვეშ აბიბინდეს მწვანე ბალახი!

აქ, ერთი ღამე რომ გავათიოთ —
არ შეიძლება არ ვაპატიოთ
ჩემს ძილგატეხილ მისწრაფებას სიტყვა ასეთი, —

მე არც ჯავრი მღრღნის, არც სიძულვილი,
მალაპარაკებს მხოლოდ სურვილი
და აჰა, თუნდაც ამ სურვილის შეათასედი:



აჰა, არაკი ასწლოვან გმირთა —
სწორედ იმგვარი როგორიც მინდა,
როგორიც ჩემგან ამოღებულ ნიშანში არი...

წიფლის პატარა ხეა თუ მუხა
ერთად ხარობენ და ერთად სწუხან —
ერთხმად გაისმის გაზაფხულის შრიალ-შრიალი!

სიცოცხლის ფესვი თუ მიწაშია
ტოტები მისი ღია ცაშია —
და დროა ჩვენმა სიყვარულმა ის გაახაროს...

არა, წიაღში არ ჩაკარგულა
კეთილი ხელით რაც აქ დარგულა —
ახალ ცხრამუხას გაუმარჯოს, ახალ ცხრაწყაროს!

„დრონი მეფობენ, არა მეფენი!“
და მეც ვარ ამის მადიდებელი
საუკუნიდან გადასული საუკუნეში.

კვლავ ნიჩბის მოსნით მივაპობ რიონს,
ვცდილობ იმედმა გზა გამიკვლიოს,
შეგვურებ ცას და გული უკვე მაქვს საგულეში.

• • •

ტბორებს აქა-იქ ბრკე მოსდებია,
ნარიონალში ჩამწვარა ისლი.
ცეცხლის ჟინჯლილით გველოდებიან
კვლავ ამირანი და ძმანი მისნი.

მაგრამ ლოდინი რა იმედია,
შეოცნებეთა დრონიც იცვალნენ.
დედამიწაზე ცეცხლი მეტია —
ვინემ ჩერო და ვინემ სიმწვანე!

შენ, ნადირობის ქალღმერთო, ხედავ:
მდინარის ფსკერზე კენჭები ჩანან —
წამოაშველე ჩრდილები ხეთა,
ქრელი ხოხბებით ადავსე ჭალა!

დიდება იმ დღეს, დიდება იმ დღეს,
იყოს ნიშანი მსხვერპლთშეწირვისა, —
თვალწინ ირფი თუ წამოგვიბტებს
და ელვას ჰგავდეს რქები ირმისა.

გულს ელვის უმაღ დავეუფლები
ოღონდ არ ასცდე გულს ნაპერწკალო,
ოღონდ გაზაფხულს გრგვინვით, ღრუბლებით
წინ შენ უძლოდე, ჩემი ღმერთქალო!



არა, ეს მხოლოდ ნატვრა არაა,
და არც მთისა და ტყის იდილია! —
ეს ხომ ქალაქის ის ფანჯარაა
სადაც მიწის და ცის კიდილია!

ან რა უცხოა, რა უღიმილო,
რა უცნაური მოვლენა დიდი,
ცერზე თუ ისევ მიჯის მიმინო —
სერზე კი — რკინის ბზრიალა-ჩიტი!

ცას თვითმფრინავით ვჭრი და იმავედროს
ხელაპყრობილი ვოცნებობ, დალი,
ბედმა შენს ტყეში დამაბინადროს
ჩემს მერმისს ისე შევავლო თვალი!

• • •

სად ეს ასთვალა სახლი და სად — მე?
აქ, მეც ხომ უნდა ვიქცხოვრო სადმე,
რაა ეს თეთრი საოცრება, თეთრი ყაზარმა!

მე კი ჩემს დარბაზს, როგორც მინდოდა
ვეცადე სიმწვანით გზა დაბინდოდა...
ხელთ აიტაცა მზე ბერმუხამ უზარმაზარმა!

მაშ, ტოტებგაშლით აქ დახედეს რიონს
და ცით მონაბერ დროს მოერიოს
ჩემი ბერმუხა, ჩემი სულის მძლავრი სხეული!

დე, შერჩეს ქვათა სარკმელიც სივრცეს,
დე, ბჭკარი ლექსის ჩუქურთმად იქცეს
და ვაზის ლერწიც, კედელ-კედელ ცას მიღწეული!

განა ვარ უნდო და უსინათლო
რაცა მწამს სწორედ ის არ ვინატრო —
არა! სიმძაფრის მოყვარული კაცი მეცა ვარ!

ვინ მართლმორწმუნე და ვინ — წარმართი,
მე ამ ქალაქის მაქვს მისამართი
და თუ ხელახლა ვერ ავაგებ — ვერსად ვერ წავალ!

როგორც ვლამდები — ისე ვთენდები,
ჩემთან არიან ჩემი ღმერთები
დღემდე რომ მხრებზე ნახანძრალი მიწა ეყარათ...

ჩემთან არიან ტვერები ტყეთა
თანამდევრები ხვალინდელ დღეთა —
რომ არ დამერგო — ამ აივნებს რით გაეხარათ!?

ყოველ ხარაჩოს და ყოველ სამანს,
ჩემს ყოველ ახალ თავადასავალს
რუქაზე უკვე აღუნიშნე დროშით დრო ჩემი.



ნგრევა-შენების ალს როდი ვიქრობ —
როცა ვწერ, როცა ხმამაღლა ვფიქრობ,
როცა გულდაგულ მიიწევენ მაღლა დროშები!

• • •
მამ, დასთმე მიწის წიაღი, დალი,
მიმიხვდი, ხვეწნით გულს რად გიღონებ.
აღმართე ცაში ბრინჯაოს ტანი...
არა და, კვლავაც გამოგიგონებ!

კვლავ შევიძრავ კლდეებს, კვლავ მოვახერხებ
შმაგი ენგური ჩემს ნებას დაჰყვეს,
და ვით ვარსკვლავთა ნამსხვრევეებს, ხევ-ხევ,
ცეცხლი ცვიოდეს მდინარის ტალ-კვესს!

დროც დადგა მეხი მესს შევარიგოთ,
ღრუბლებს შუკივით ვასხუროთ წყალი,
მთადაშთა სადაც ვიყოთ, არ ვიყოთ —
ვანიშნოთ ბეთქილს ხარ-ჯიხვის კვალი!

დაე, ვარსკვლავებს ვარსკვლავოსნებმა
ჰკითხოთ ლაქვარდში რაა ახალი,
მზუსაც რომ მისწვდნენ, მაინც ოცნება
თითო ვარსკვლავით არის მაღალი!

დაე, შესტრფოდნენ კოშკები კოშკებს
ცაში, აღმასის ქვევით ნაგები,
ქვევით, აჰ, სადაც სიცოცხლე მოსჩქეფს —
ზერები გვენახოს და ვენახები!

ღმერთო, ფერს ვინლა გაგვიფერმუქებს,
ღმერთო, ჩემს მიერ გამოძერწილო,
ქვიტიკირში ფესვებგადგმულ ბერძნუებს,
ბრძანე, რომ ოქროს ვერძი შევწირო.

იქნებ აშენდეს, იქნებ აშენდეს,
მართლაც, მზისა და მთვარის ქალაქი!
ჩემს დარბაზს რტოთა ჩრდილი დაშვრდეს,
ჩემს გავლას ქრელი მზე და ქალაქი!

შენ, ნადირობის ქალღმერთო, მაშინ,
მაშინ ისურვებ შეჯერებულ სილადეს ჩემსას,
და ყურძნის მტევნებს ჩაიწნი თმაში,
რომ შენი ეშვი ეტყობოდეს ჩემს ნაბიჯებსაც!..

დაკარგული ლანდი

მითხრობს

... „აკრიფა მოლზე აღბეჭდილი ჩემი
ლანდი, დაგრაგნა და ვიბეში ჩაიღო“.
ადალბერტ შამისო.

... „ღაიხაბა, ძებნა, მაგრამ ლანდი
ვერსად იპოვა. ის აღარ ჩანდა“.
მანს ანდერსენი.

I.

ჩვეულებრივად დაწყებული დღე
შვის გადახრისას უჩვეულო შემთხვე-
ვით დასრულდა. ახალგაზრდა ინჟინე-
რი ვაჟა ხელაშვილი ის-იყო ქუჩის მე-
ორე მხარეზე გადავიდა, როცა, მის-
თვის მოულოდნელად, უცნაური რამ
მოხდა: საკუთარი ლანდი, დაბადების
წუთიდან რომ მუდამ თან ახლდა, უეც-
რად მოცილდა და სხვა მიმართულე-
ბით წავიდა. მოედანზე გადაიქროლა
და გაქრა.

ასე და ამგვარად, კაცი ულანოდ
დარჩა.

შეუძლებელია სიზმარი ან ზმანება
ყოფილიყო. ვინ არ იცის, სიზმარს
მხოლოდ ძილში ხედავს ადამიანი. ხში-
რად ამაზე ახირებული და შეუსაბამოც
დასიზმრებია ვაჟას და, რა თქმა უნდა,
არ გაკვირვებია, მაგრამ ის, რისი მოწ-
მეც შეიქმნა ამ წუთში, როცა ფხიზე-
ლი იყო და თავისი გულის ფეთქვასაც

გრძნობდა, მართლაც რომ მხოლოდ
სიზმარში შეიძლება მომხდარიყო.

— ეს და მაკლდა! — ამოიხორა
განცვიფრებულმა.

გონს რომ მოვიდა, დაედევნა
ლანდს, შემოიარა მოედანი, შეათვალი-
ერა სავაჭროებში, დაზვერა ეზოები
და, როცა ვერსად მიიკვლია, შინ წას-
ვლა ამჯობინა.

შეშფოთებული მიიჩქარდა. გზა-
ში ისეთი არავინ შეხვედრია, ვისაც სა-
კუთარი ლანდი არ მისდევდა. თითის-
ტოლა ბავშვებსაც მორჩილად მიჰყე-
ბოდნენ და ერთი წამითაც არ სცილ-
დებოდნენ. ტროტუარის გასწვრივ და-
რგული ხეები და ბუჩქებიც ჩრდილს
აფენდნენ. არ ყოფილა სულიერი და
უსულო, რომელსაც ლანდი არ ჰქონდა
და, როგორც კიდევ ერთხელ დარწმუ-
ნდა, ყველა თავისი პატრონის ზუსტი
განმეორება იყო.

ერთ ადგილას ეჩვენა, თითქოს ვიღაც მოქალაქემ იპენიულად გააყოლა თვალი.

„ალბათ შემამჩნია, ღა ღეთისწყრომა ჩემს თავზე!“ — გაიფიქრა და მშინვე ქუჩის ჩრდილოვან მხარეზე გადავიდა.

მხოლოდ მაშინ, როცა დაბრუნდა ოთახში და სული მოითქვა, შეეცადა გარკვეულიყო ამ თავსატეხ ვითარებაში. აქამდე მან ასე იცოდა, რომ ყველაფერს, რასაც წინათ ღეთაებრივ ძალას მიაწერდნენ და სასწაულად ან ბოროტი სულის ნამოქმედარად მიიჩნდათ, ჩვენი ღროის მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ ჩამოხსნა მისტიკური საბურველი და ემპირიულად დაამტკიცა, რომ ისინი არაფერს ზებუნებრივს არ შეიცავდნენ. მაგრამ ლანდის გაქცევის ამბავი?! ის, რაც ჩაიღინა ლანდმა, ვისაც დღემდე ერთხელაც არ გამოუმჯღავებია დამოუკიდებელი სიცოცხლის უნარი, ახლა იმაზე ანიშნება, რომ ჩვენი წინაპრები არ ცდებოდნენ და, თურმე მართლაც არსებულა ადამიანის გონებისათვის ჯერ კიდევ მიუწვდომელი, საიდუმლოებით მოცული რაღაც მიღმა სამყარო, რომელიც არავითარ ანალიზს არ ექვემდებარება და სამარადისოდ აუხსნელი რჩება.

რა თქმა უნდა, ლანდი უშიზეზოდ არ მოატოვებდა, ოღონდ რა იყო მიზეზი? რაც თავისი თავი ახსოვს, მისთვის არაფერი უწყენინებია, ვერ წარმოედგინა, რომ საერთოდ, შესაძლებელი იყო მისი წყენინება. გაახსენა განვლილი წლები, გადაქექა მეხსიერებაში თავისი ცხოვრების მრავალი დღე, მაგრამ დაახლოებითაც არა მოავიწყდა რა ისეთი, რაც მათ შორის უთანხმოებაზე ეტყოდა რაიმეს. პირიქით, თითქოს შეხმატბილებულადაც იყვნენ. მაგალითად, როცა თვითონ ეცვა, ლანდიც იმგვარადვე ჩაცმული იყო; როცა იწვა, ლანდსაც მასთან ერთად თავი ბალიშზე ელო. ვერც ის გაიხსენა, რომ ოდესმე ვინმესთან რაიმე სამღერავი ეთქვა გა-

ნუყელ მხლებელზე... ვერა, თავის პატრონს ის ვერაფერს უსაყვედურებდა!

ამ მხრივ ხელაშვილი დამშვიდებული იყო. აფიქრებდა ოღონდ სხვა გარემოება: თუ კი ლანდმა ასეთი რამ ჩაიღინა, მოსალოდნელი იყო, რომ უფრო დიდი ბოროტების წინაშეც არ დაიხვედა. ვინც პატრონის გარეგნობისა და სხეულის ყველა ნაწილის — ხელების, ფეხების, თავისქალას — ზუსტ განმეორებას წარმოადგენდა, მან თავისი პატრონის საიდუმლოებანიც იცოდა და, თუ მოისურვებდა, ყველაფერს საიშვარაოზე გამოიტანდა. თუ კი შეეძლო მოცილებოდა და დამოუკიდებელი ცხოვრება დაეწყო, სულაც არ იყო საკვირველი, რომ აზროვნებისა და ლაბარაკის უნარიც ჰქონდა...

ათასგვარი ფიქრი უტრიალებდა თავში, აბურღული და ერთმანეთში არეული. საგონებელში ჩავარდნილი, დაბნეულად იხედებოდა გარშემო და ყოველივე, რასაც თვალს მოჰკრავდა, უკვე გადასხვაფერებული და საეჭვო ეჩვენებოდა. გადიდებული ფოტოსურათებიდან, ჩარჩოებში ჩასმულნი რომ ოთახში კედელზე ჰქონდა ჩამოკიდებული, წინაპრებიც ახლა რაღაც ნაღვლიანად და თანაგრძნობით გადმოსცქეროდნენ.

ტელეფონით დარეკა ვილაკამ, მაგრამ ზარს ყურადღება არ მიაქცია. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ახმიანდა აპარატი. დიდხანს რეკავდა, მაინც არ აიღო მილაკი. ეს ხმა გარეკვეყანასთან დაკავშირებას მოითხოვდა, ამჟამად კი სწორედ ამას გაურბოდა ვაჟა ხელაშვილი.

ბორგავდა, ვერ იქნა და ვერ მოიშორა მოჭარბული უსიამო ფიქრები. მოიშორა კი არა, ერთმანეთს უსწრებდნენ და ეტმასნებოდნენ... იქნებ ლანდი ადამიანის მართლაც ცოცხალი ორეულია? ან იქნებ თვითონ გახდა გამჭვირვალი და ამის გამო გაქრა ისიც? მაგრამ იქნებ სულაც არაფერი მომხდარა და, უბრალოდ, გონება აემღერა?

ულანდოდ დარჩენილმა, მეორე დღეც ბინაში მარტო გაატარა. ფანჯრის დარაბა მიხურა და შუქიც არ ჩართო, რომ იქნებ დაიწიყნოდა და აღარ დაენახა მიანიც თავს დამტყდარი უბედურება. სწორედ უბედურება, რადგან ასეთად მიაჩნდა თავისი მდგომარეობა.

ეჩვენებოდა, რომ ქალაქში უკვე ყური მოეკრათ და ქორაობდნენ ამ უცნაურ შემთხვევაზე. ხშირად რეკავდა ტელეფონი, მაგრამ ვერ გაბედა შეხმიანებოდა და ეკითხნა, ვინ ეძებდა დაინებით... სენსაციებზე მონადირე რეპორტიორები რომ გამოდგნენ?! ისინი, როგორც ჩვევიათ, თავქუდმოგლეჯილი დაძრწიან და ცდილობენ ხელთ იგდონ მსხვერპლი... ვინ იცის, იქნებ ლანდმა უკვე გათქვა მისი ზოგიერთი საიდუმლოება, რის შემდეგ ხალხში გამოსაჩენი პირი აღარ აქვს... საზოგადოებაც, რომელიც მუდამ ეძებს საკბილოს, რა თქმა უნდა, არ დაინდობს და გრძელ კუდს გამოაბამს ამ ამბავს... საქმე რომ არ გახმაურდეს და არ გართულდეს, აუცილებელია ახლავე ლაგამი ამოსდოს თავხედს. საგარეუდოა, რომ ამ გზაზე არა ერთი და ორი დაბრკოლება გადაეღობება, მაგრამ თუ წინდახედულად იმოქმედებს, კეთილად დასრულდება ყოველივე--

ჭერ იფიქრა, სასწრაფოდ ენახა ვინმე და თავისი გასაჭირი ეამბნა, მაგრამ მეორე უარი თქვა ამ განზრახვაზე. გადათქვა იმ იმედით, რომ, შესაძლოა, ლანდს მალე მოსწყყნოდა ხეტიალი და მონანიებული დაბრუნებოდა. ცხადია, მონანიებული, რომ ააფორიაქა თავისი პატრონი. სხვა თუ არაფერი, ოცდათხუთმეტი წელიწადია განუყრელად ერთად იყვნენ და ამ ხნის კავშირი ორივეს ავალღებულებდა ერთმანეთისათვის ანგარიში გაეწიათ და პატივი ეცათ...

რაც დრო ვადიოდა, უფრო მწვავე და აუტანელი ხდებოდა მარტოობის

გრძნობა. ჯანდაბამიც წასულა, ღირს ვანა ვილაც გარეწარი ამდენ მღელვარებაზე? როგორ წარმოიდგენდა, რომ სწორედ ის, ვისაც შხის სხივის უბრალო თამამად თვლიდა, ასეთ ჯოჯოხეთს დაუტრიალებდა! გაუმწარა სიცოცხლე, მაგრამ რატომაც, რომ მაინც ენატრება და ისე განიცდის, თითქოს უძვირფასესი მეგობარი დაჰკარგოდეს?! მეგობარი კი არა, უფრო მეტი, — თითქოს სულისგან დაიცალა, თითქოს ყოველგვარი კავშირი გაწყდა ქვეყანასთან და სიცარიელეში დარჩაო...

II.

როცა არც მესამე დღეს გამოჩნდა ლანდი და მისი დაბრუნების იმედიც გაქრა, ხელაშვილმა გადაწყვიტა ნაცნობთაგან ენახა ვინმე და მოთათბირებოდა. გულდასმით იფიქრა ვისთან მისულიყო, საითათოდ ასწონ-დასწონა მათი ღირსება და ნაკლი, გაითვალისწინა თვითმულის საზოგადოებრივი მდგომარეობა, გამოცდილება, ხასიათი, ხან ერთზე შეაჩერა არჩევანი, ხან მეორეზე და, ბოლოს, ისევ როსტომ ცერაძე ამჯობინა ყველას.

ასეთი არჩევანი, მისი აზრით, ყოველმხრივად გამართლებული იყო. სანოტარიო კანტორის გამგე ცერაძე დინჯი, დაკვირვებულ კაცი იყო და თავისი უბრალო ცხოვრებით საერთო პარტიისცემა ჰქონდა დამსახურებული. გარდა ამისა, წინათ ის საკანონმდებლო ორგანოში მსახურობდა და როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის კანონებში ღრმად გარკვეული იყო. ასეთ ავტორიტეტულ პიროვნებას კი, ცხადია, სასარგებლო რჩევადარიგების მიცემა შეეძლო.

იზბლად ის დღე ღრუბლიანი დადგა. ლანდის უქონლობას ვერავინ შეამჩნევდა და თამამად გამოვიდა ქალაქში.

სამი დღე-ღამე კარჩაქეტილში ყოფნის შემდეგ საამოვნებით მიაბიჯებდა ქუჩაში. სექტემბერი იყო, შემოდგომა კი ყველაზე საუკეთესო დროა თბი-

ლისში. აღარ იგრძნობა დიდი ქალაქისათვის ჩვეულო მსუთვარება და ვაგრილებული ასფალტიც ვეღარ აორთქლებს თავის შხამს. რუსთაველის პროსპექტზე ტოტებგაშლილი ქადრების ფოთლები სიმწიფეში შესულა, სიყვითლე შეჰპარვიათ და სიღარბისლე შემატებიათ. გარშემო ყველაფერს კეთილშობილების იერი დასდებია.

პროსპექტი ვაჟა ხელაშვილის საყვარელი ადგილია. აქ რომ გაივლის, მუდამ ასეთი განცდა აქვს, თითქოს ჭაბუკობა დაუბრუნდა და სულიერადაც გაჯანსაღდა. პროსპექტი ქალაქის ცოცხალი გულია და, ვისაც სმენა არ დახშობია, მის ხმაურში სიცოცხლის საგლობელს გაიგონებს. თვალი გააყოფოთ ქართველ კაცს, როცა აქ მოაბიჯებს: მან მთელი დღე შრომაში გაატარა, მერე ერთ-ორი საათით შინ შეისვენა და, გახალდა თუ არა გარეთ ლამპიონები, ახალი ჩაიცვა, გამოეწყო და გავიდა ქუჩაში. აქ ის უმაღვე გარდაიქმნება, დააგდებს წლების სიმძიმეს, გულლიად შეხედება ნაცნობს და სასიხარულო რამდენიმე სიტყვას მაინც მიაგებებს... გამოდით საღამოს, როცა კოჭრისა და ოქროყანის მინდვრებიდან დაბრუნებული ბელურები გუნდ-გუნდად შეესვენებენ ხეებს! რა ალიაქოთს ასტეხენ, როგორი ძრიაძული აქვთ, სანამ დიბუღებდნენ! ამ დროს პროსპექტი ახალგაზრდა ქალ-ვაჟებით არის ახმაურებული. წარმტაცი ოცნებებით შეპყრობილნი, საცხენი ხალისით, ერთმანეთის ნახვას შეხარბან. გულს ნაცვლად ქვა უნდა ედოს ადამიანს, რომ მათი ცქერით არ გამხხვედეს და არ ირწმუნოს, რომ გორგასალის ამ ბაღნარში მარად გაიგონება ეს ბედნიერი შეძახილები!

ოპერის თეატრთან ხელაშვილი ტროლეიბუსის ვაგონში შევიდა და ვაჟის უბნისკენ გაჰყვა.

• • •

როსტომ ცერაძემ უმაღვე იგრძნო, რომ მისი სტუმარი უგუნებოდ იყო.

ვაჟამ ჯერ უმნიშვნელო საჯანზე ჩამოავლო სიტყვა და, ბოლოსკენ გულს ახლილად გაუზიარა თავისი განსჯის შედეგები.

— და, აი, — დაასრულა მან უცნაური თავგადასავლის ამბავი, — მოვედი რჩევა ვთხოვო... რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

მასპინძლის სახეზე გაკვირვება შენიშნა და სევდანარევი ღიმილით დაუმატა:

— არ იფიქრო, მერყეულიაო. უჩვეულო შემთხვევაა, დაუჭარებელი, მაგრამ... — ადგა და მიმოიარა განათებულ საღარბაზოში. — ახლავ დაგარწმუნებ, რომ სიმართლეს გუუბნები...

ცერაძემ თვალი გააყოლა და, აგერ როდის, ამოიდგა ენა:

— ეშმაკმა დალახეროს, ეგ შეუძლებელია! ეგ ბუნების კანონს ეწინააღმდეგება — ჩილაბარაკა გაოცებულმა და მონუსხსულივით მიაშტერდა.

— შენ მუდამ ჩემი კეთილისმყოფელი იყავი, — ჩამოვარდნილი სიჩუმე დაარღვია ვაჟამ, — როგორ გგონია, რა თვლით შეხედავ ამ ამბავს საზოგადოება? ნუ დამიშალავ, პირდაპირ მითხარი!

ტანჩიორა, ბურთულა როსტომი ისე დაკვროდა საეპრძელს, საცაა მისი სიღრმეში ჩიმილუბოდა. მელიტის დასათავაზად ცალმხრიდან ნასესხები და ინით შეფერაილი თმა მარცხენა ყურზე გადმოფენოდა, თითქოს იმისათვის, რომ არაფერი გაეგონა.

— რა თქმა უნდა, არაბუნებრივი მოვლენაა, ეგრძნობ, რაღაც დიდი განსაცდელის წინაშე ვდგავარ. შენთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ვერ მომიხსენია და არ შემიძლია გულზელდაკრფილი ველოდო, თუ რა დასასრული ექნება ყოველივე ამას. მაგრამ...

ხელაშვილმა თავს ძალა დაატანა და განაგრძო:

— მაგრამ იქნებ უსაფუძვლოა ჩემი მღელვარება და გულდამშვიდებულად უნდა ვიყო? გულმშვიდად-მეტქი, იმიტომ ვამბობ, რომ დამნაშავედ არ

მიმჩინია ჩემი თავი. ყოველმხრივი ანალიზის შემდეგ შევეცადე დაახლოებით მაინც ჩაეწვდომოდი ამ საიდუმლოს, მიხდოდა გამეგო, რა მიზეზი იყო, რომ ლანდი მომშორდა, მაგრამ ვერაფერი ვაფარკვე და ვერც რაიმე გამართლება გამოუძებნე მის მოქმედებას. ისიც არ ვიცი, შეიძლება თუ არა პასუხისგებაში მიეცე უსულო საგანი და მოვითხოვო დასაჯონ. რამდენადაც გამეგება, არც სამოქალაქო და არც სისხლის სამართლის კანონთა კრებულში არსადაა გათვალისწინებული ამგვარი ხასიათის დანაშაული...

როსტომ ცერაძეს, რა თქმა უნდა, შეეძლო დასაბუთებული განმარტება მოეცა, მაგრამ ისევ დუმდა და, ეტუბოდა, არც აპირებდა რაიმე ეთქვა.

— იქნებ სჯობდეს უკუარაღებოდ დავტოვო ეს ამბავი? — გაუბედავად იკითხა ვაჟამ. — ბოლოსდაბოლოს, რისი მაქნისია ლანდი? აი, მაგალითად, შენ, ჩემო კეთილო, ერთხელ მაინც გაფიქრია, რა საქირთა ის ჩვენთვის?

— აღამიანს ლანდი უნდა ახლდეს, მამ როგორ... — ყრუდ. თქვა ცერაძემ.

— ჰო, მაგრამ ვანა აუცილებელია? — რა სავალდებულოა ვითრით?

— რახან ყველას და ყველაფერს აქვს, მამასადაძე, სავალდებულო ყოფილა, — ახლაც გულცივად უპასუხა როსტომმა. — ბუნებაში, საერთოდ, არაფერი არ არსებობს უაზროდ. შენ რაო, გინდა გამოხაელისს წარმოადგენდე?

როსტომ ცერაძემ არ იცოდა, რომ ყველაზე უფრო ამის შიში ჰქონდა ხელაშვილს და გულუბრყვილოდ დაუმატა:

— რად ვინდა ქვეყანა ააყაყანო და თითოთ საჩვენებელი გახდე?

ეს სიტყვები გულზე მოხვდა ვაჟას, ვაიარა ოთახში და მერე მოშორებით დაჯდა.

— აი, სწორედ ეგ მამფოთებს! — წუთიერი დუმილის შემდეგ წაიღუღლულა ხმაჩაწყვეტილად. — ესეც რომ

არ იყოს, ვინ დამიჯერებს, რომ თვითონ მომშორდა? ზომ შეეძლებოდა ზეჯერონ, აქ რალაც კრიმინალთან... გუჯეს საქმე და ვკვი აიღონ, რომ მტკვარში გადავისროლე ან მანქანას ვავასრესინე? მოდი და დაამტკიცე, რომ უდანაშაულო ვარ!

— ეგ არაფერია, — ნაძალადევი დიმილით თქვა როსტომმა, — ამ მხრივ შეგიძლია სავსებით დამწვიდებული იყო...

— ეგეც კარგია, — ამოიოხრა ვაჟამ, — მაგრამ ლანდს რა ეუყო? როგორ დავიბრუნო, ან როგორ მოვიქცე, რომ ჩემთვის უვნებელი გავხადო?

— აბა, რა მოგახსენო, — მხრები აჩეჩა როსტომმა. — ეგ, ალბათ, არც ისე ადვილი საქმეა.

უკვე მოზებრდა მისი მოსმენა და ახლა მხოლოდ იმას ნატრობდა, როგორმე მალე მოეცილებინა თავიდან. მივიდა, მხარზე ხელი მოუთათუნა და წამოაყენა:

— ვასაგებია შენი შეშფოთება, მართლაც დამაფიქრებელი ამბავია, მაგრამ სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი, იქნებ მოინახოს გამოსავალი... ახლაკი წადი, მაგრად გამოიძინე. ამ ერთ კვირაში ტელეფონით დამირეკე, მანამდე მოვისაზრებ რაიმეს. რითაც შეეძლებ, დაგეხმარები, ოღონდ მარტო ჩემი იმედით ნუ დაჩრუნო, შენც ეცადე იპოვო და დაიბრუნო, ჯერჯერობით კი ერთი სამსახური შემიძლია ვაკვირო, არსად გავამხელ შენ საიდუმლოს...

• • •

შინ მიმავალმა ხელაშვილმა ყრუ ქუჩები ამჯობინა, მიიმე ლოდი დასწოლოდა გულზე, სექტემბრის ეს თბილი ღამე და ჩაჩუმებული ქალაქიც მის ბედზე დასევდიანებული ერგენებოდა.

გამხნეების ნაცვლად როსტომ ცერაძემ უფრო დიდ საგონებელში ჩაავლო და ავრძობინა, რომ ულანდოდ ყოფნა-საბედისწერთა მისთვის, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ არავინ აპატი-

ებდა უჩვეულო ორიგინალობას, ყველა ეჭვის თვალთ შებედავდა და რომ დასასრული ყოველმხრივ უნუგეშო იყო: საზოგადოებისაგან მოკვეთა და სამუდამო მარტობა... რა უბედურებას გადაჰქიდა, რა უფსკრულში გადაჩეხა იმ ტიალმა ლანდმა!

ერთ პატარა შესახვევში ვილაც მთვრალი შემოეფეტა. მიმართულება დაპყრობდა, ვერ იკვლევდა გზას და, თითქოს ბნელ მორევში ჩავარდო, უმწეოდ აქნევდა ხელებს.

ვაემ დააპირა არიდებოდა, მაგრამ ადამიანის დანახვით გამხნეებული მთვრალი აეტორღილა და ბანდალით გააკეცა.

— ამიხსენი სად ვარ, რა ადგილას? — ლულულებდა და ცდილობდა ფეხდაფეხ მიჰყოლოდა.

ერთხანს მისდევდა, მეტე დაიღალა და ჩამორჩა.

— დაიცა, ნუ მიიჩქარი! — შიდახა ბრახმორეულად. — შენ გეუბნები, გესმის შენ, ჰეი!

უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, დაეწია და მკლავში წვდა.

— რომ გამირბი, ვითომ რაო? არ უნდა დამეხმარო ვასაქორში ჩავარდნილს? მეც კაცი ვარ, თუ არა? მეც ღვთის განჩენილი ვარ, თუ არა? გამიყვანე სამშვიდობოზე!

ვაეა იძულებული გახდა ხელი ჩაეკიდნა, ატარა, მაგრამ როგორც კი გაჩაღებულ დიდ ქუჩას მიუახლოვდა, მიატევა და ჩქარი ნაბიჯით გასწია.

მთვრალმა ისევ უმწეოდ იგრძნო თავი და ყვირილი მორთო:

— ჰეი, არაკაცო, სულწაფემდილო! ადამიანი მეგონე, მის ლანდადაც არ ღორებულხარ! ვინ თხერი გირწევდა აკვანს, რომელმა ქაქმა გაწოვა ძქუქ!

რამდენიმე წუთს კიდევ ისმოდა მისი ბღაღილი. სხვა დროს ის კაცი, ალბათ, შეეცოდებოდა, მაგრამ ახლა ერთმა ღმერთმა იცის, მათ შორის ვინ უფრო საბრალო იყო... იმ თავგზაბნეულს ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდა: საკუთარი ლანდი თან დაჰყვებოდა.

აღკომოლით გაბრუნებულ, რა თქმა უნდა, ვერც წარმოიდგენდა, რამ შევლას თხოვდა უარეს განსაცდელში მყოფს. ის წყალწადებული ლოთიც ბევრად სრულფასოვანი და ბედნიერი იყო მასთან შედარებით...

III.

ის ღამე ვაემ მოუსვენრად გაატარა. საძინებელ ოთახში შესვლისას შუქი არ ჩართო, ხელების ცეცებით გაიარა, რომ ავეჯს არ დასჯახებოდა, მოიფათურა საწოლი და ისე ფრთხილად დაეშვა ლოგინზე, თითქოს იქ კიდევ ვილაც იწვა და მის გაღვიძებას მოერიდო.

დაღლილი იყო ჩათვლიმა, მაგრამ წუთით, ვერ იქნა და ვერ დაიძინა, სიჩუმეში წუთებს მარცვლავდა კედლის საათი. მონოტონური წიკწიკი აბეზარი იყო და მოსვენების საშუალებას არ აძლევდა. სახლის წინ ქუჩაში ხრიგინით ჩაიარა მანქანამ. ხმაურმა დააყრუა საათი, მაგრამ მიყუჩნდა თუ არა გარეთ, ისევ გაისმა წუთების ნერვებამშლელი წიკწიკი და ბნელში ვაეამგონების თვალთ ისიც დაინახა, ღონემიხდილ ხოქოსავით როგორ მილოლავდა ისარი.

ჰო, ყოველგვარი იმედი გადაუწყვიტა ნოტარიუსმა. ადვილი სათქმელია, დაიბრუნეო! თუ კი დაფრთხა თვით როსტომი, ეს განსახიერება კანონიერების და ნორმალურობისა, ცხადია, რომ კატასტროფის წინაშე იდგა...

ტელეფონის ზარი გაისმა, რეკავდა დიდხანს და დაეინებულად, ისე ენიშნა, ნათელა იქნებოდა. ამიტომ იყო, რომ არ აიღო მილაკი... სამი დღეა არ უნახავს. არ უნახავს და, რა თქმა უნდა, გაკვირვებულია... თუ შეეხმინა, ის მაშინვე შეატყობს უკუნებობას და არ მოეშვება, სანამ ნამდვილ მიზეზს არ ათქმევინებს... მაგრამ როგორ უთხრას, რა ჰქირს შეეყარა? ვაუშხილოს როგორ დამახინჯდა და თავი შეაზიზღოს? სამუდამოდ დაპყრობის საყვარელი არსება?

როგორც კი დადგა ტელეფონი, ჩართო შუქი. სინათლემ გააქრო მორევი, გარშემო ყველაფერი ისევ ძველებურად თავის რიგზე გამოჩნდა. საათიც მიჩუმდა.

„როგორც ჩანს, ყოველივეს, თვით ადამიანს, ორმაგი სიკაცხლე აქვს, — გაიფიქრა ვეამ, — ერთი, რომელსაც სინათლეზე ხედავს თვალი და მეორე, ბნელში რომ იღვიძებს... ასე ყოფილა, მაგრამ რომელია უფრო ნამდვილი და მყარი?“

ახლა ეს ფიქრი აეკვირბა. მისგან თავი რომ დაეღწია, გაზეთი გაშალა და უცხოეთის დებუშების სათაურები გადაიკითხა. ჭერ ისე ეგონა, რომ ძველი ნომერი მოხვდა ხელში. თარიღი შეამოწმა და დარწმუნდა, დღევანდელი იყო: 18 მარტი, 1969 წელი... ჰო, მაგრამ თითქმის ყველაფერი რომ ნაცნობი იყო? იგივე, რაც გუშინ, ერთი თვის წინათ, ათი წლის წინათ... ცეცხლში გახვეული კონტინენტები, ახალი ატომური იარაღის გამოცდა, მოწამლული ოკეანეები, შიში და შეშფოთება მსოფლიო ომის მოლოდინში... ჰო, ყველაფერი, რაც ერთი-ორი თვის წინათ, რაც ათი და ოცი წლის წინათ... რაღაც დაუსრულებელი კომპარი, თავგზაბნეული, გაგიყვამდე მისული სამყარო, რომელიც თავის მოსაბოხს იჩქარის!..

გულგრილად გადარბოდა თვალი შეჩვეულ სათაურებზე და ფიქრით სულ სხვაგან იყო. აგონდებოდა განვლილი წლები, როცა მრავალი წარმტაცი ოცნება უტრიალებდა თავში. მერედა, სად გაჭრენ ისინი? შეუმჩნეველად შემოეცალნენ და, ბოლოს, მოიყვანეს იმ დღემდე, როცა მხოლოდ ერთი-და-დარჩა სანატრლად: დასტოვოს ქალაქი და მარტივი ცხოვრება დაიწყოს... ვინ იცის, იქნებ ამავე ოცნებით დასწრეულებელი იყო ლანდიც და ახლა კიდევაც შეისრულა ის: გადაიარა უდაბნოები, გაპყვა მირაჟებს და სადმე გაუყვალა ტყეების პირველყოფილებაში დაივნა... მისთვის, ხომ, არავითარ და-

ბრკოლება არ არსებობს, ადვილად გადალახავს უმაღლეს მწვერვლებს და ოკეანეთა სივრცეებს.

გვიან ნაშუაღამევს ისევ გაისმა ტელეფონის ხარი... რა თქმა უნდა, ნათელა რეკავდა. ამ დროს, აბა, სხვა ვინ გაიხსენებდა... არაუშავს, რამდენიმე დღე მოითმინოს. ამისობაში იქნებ გამოჩნდეს ლანდი, თუ არა და, საბოლოოდ ეცოდინება, რომ მისი დაბრუნების იმედი ამაოა... თუ ასე მოხდა, მაშინ, ცხადია, აზრი აღარ ექნება დაფაროს თავისი გასაჭირი. სულერთია, ზვალ-ზეგ ყველას ეცოდინება... ჰო, მაგრამ მორჩილად შეურიგდეს და აპატიოს? არავითარ შემთხვევაში! ეგ კი არა, ყოველნაირად შეეცდება ხელთ იგდოს და სამაგიერო უზღოს! მერე რა დაუნდობლად იძიებს შურს, რა სანაებლად გაუხდის, რომ ბოროტად მოექცა!

ბოლოს მაინც ჩასძინებოდა. ვეამ ეს უფრო იმით გაიგო, რომ დაჩაბის ქუჭრუტანაში დღის სინათლე დაინახა. მიხვდა იმითაც, რომ სიზმრები მოაგონდა. ახლა ძალიან გაუჭირდებოდა დალაგებულად ეამბნა მათზე. მხოლოდ ორი თუ სამი დამახსოვრებოდა, ესენიც აბურღულად... ჭერ ნახა თავისი ლანდი, რომელიც ოკეანეზე გადადიოდა. ოკეანე შეკდარი იყო, ობი გადაკვროდა და შმორის სუნი ასდიოდა. მერე გამოჩნდა ეკლიანი ბუჩქებით დაფარული კუნძული და პირველყოფილი ადამიანის მსგავსი ბანჯკვლიანი მამაკაცი. ის გამოქვაბულთან იჯდა, ხელში კაეის ნაჭახი ეკავა და თლიდა პირველ ბორბალს, რომელიც ახლაბან გამოეგონებია. შიგნით გამოქვაბულში კი რაღაც ძველმანებს შორის ეყარა ბიბლიის დაკრეცილი ფურცლები, სახარება და აინშტაინის ტომეულები...

გაახსენდა და ხელი ჩააქნია.

— ეშმაკმა დალაზეროს, რამდენ უთავებლო რაიმეს ნახავ ხოლმე სიზმარში! — გაიფიქრა უქმაყოფილომ.

გათენებიდან ცას სქელი ღრუბელი აფარა. ამინდი ხელსაყრელი იყო და ვაჟა ხელაშვილმა სამუშაოს მიაშურა. დაწესებულებაში ყველაზე ადრე მივიდა და თამამად შეაღო თავისი განყოფილების კარი. ნაცრისფერი დღე იხედებოდა ფანჯრებიდან. მეშვიდე სართულის სიმაღლიდან სიზმარეულად მოჩანდა დანისლული ნაძალადევი და მახათას გორაკი.

თანდათან შეიკრიბნენ თანამშრომლები და მალე ყველაფერი ისე დაიწყო, როგორც ყოველთვის.

ღილიდან თავაუღებლად ზახავდა და წერდა. როცა რაიმეს შეეკითხებოდნენ, პასუხობდა მოკრილად და უნდომლად. არც ახედავდა, ვინ იყო. ჩვეული თავაზიანობიდან ნატამალიც არ შერჩენოდა. თანამშრომლებმა ყურადღება მიაქციეს ამ ამბავს, ერთმა საყვედურიც გამოთქვა ხმამაღლა, მაგრამ ვაჟას თავი ისე ეკირა, თითქოს არ გაუგონია.

ნახევარი საათი აკლდა მუშაობის დამთავრებას, მოსწრაფებულად ადგა, ქაღალდები მაგიდის უკრაში ჩაყარა და დატოვა იქნურბა.

არც თუ იშვიათად, სამუშაო დღის დასასრულს ნათელა გამოუვლიდა ხოლმე სამსახურში და მერე ერთად გადიოდნენ ქალაქში. სამი დღის განმავლობაში ტელეფონითაც არ დალაპარაკებინ ერთმანეთს და მოსალოდნელი იყო, რომ ამით შეფიქრებულნი იქნებოდნენ. ახლა სწორედ ამას გაურბოდა ვაჟა და ამიტომ იყო, ნაადრევად შინ წასვლა დააპირა.

ჩაათვა კიბე და ის იყო. ქუჩაში უნდა გასულიყო, რომ ნათელა შეეფეთა. შეხვედრა უცარი იყო და შეცბაველარც ის დამალა, რომ არ ესიაშოვნა. მაინც სცადა გაღივება, მაგრამ ამის ნაცვლად, თითქოს ტკივილისავანო, სახე დაედრია.

ქუჩაში ისე გავიდნენ, ერთმანეთს

არ შეხმინებინან. გზაშიც ვერ აეწყო საუბარი. ხანდახან თუ დაილაპარაკებდნენ, მაგრამ იმგვარად, რომ, ეტყობოდათ, თავს ძალას ატანდნენ და ერიდებოდნენ სიტყვა ჩამოეგდოთ იმაზე, რაზედაც ამ წუთში ფიქრობდნენ.

ნათელას შემჩნეული ჰქონდა, რომ ბოლო დროს ვაჟა ხშირად უგუნებოდ იყო და გულჩათხრობილიც. მომხდარა ისიც, რომ ამ წუთში ხალისიანი, სრულად მოულოდნელად და უმიზეზოდ მოიწყენდა და რაღაც შეუსაბამობასაც იტყობდა ხოლმე... საკვირველი იყო, რატომ გულთან ასე ახლო იღებდა ბევრ რამეს, რასაც გარშემო ხედავდა! აი, მაგალითად, თუნდაც იმ ამბავს, რომ მისი კოლეგები გულგრილობას იჩენდნენ ერთმანეთისადმი... აბა, რა ეკითხებოდა სხვის საქმეში ჩარევა! „დღესაც, ალბათ, გააჯავრეს დაწესებულებაში!“ — ასე ახსნა ქალიშვილმა ვაჟას დადგრემილობა.

როგორც კი მიაცილა ნათელა, თავის ბინას მიაშურა ვაჟამ. მივიდა თუ არა შინ, საჩქაროდ წაიხეშა და გიჟშოტა...

იწვა და ავონდებოდა განვლილი დღე... არაფერი იყო ისეთი, რომ კეთილად გახსენებოდა, თავის თავს უსაყვედურებდა, რომ უბრად მიჰყვებოდა ნათელას და ერთხელაც თბილი სიტყვა ვერ უთხრა... რა თქმა უნდა, ის გულნატყენი იქნება და, ვინ იცის, რას არ იფიქრებს... მაგრამ რას იზამ, იძულებულია ჯერჯერობით დაუმალოს უგუნებობის მიზეზი... მერე კი, როცა ლანდს დაიბრუნებს, სულ ადვილად შეირიგებს და ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგება... რა თქმა უნდა, ყველაფერი კეთილად მოგვარდება. მაგრამ სანამდე უცადოს ლანდს? თუ ხელი არ ვაანძრია და რაიმე არ იღონა, შეიძლება მან დიდი ხნით დაიგვიანოს... არა, არ ივარგებს და ძალიან საზიანოც იქნება იმ იმედით ყოფნა, რომ ის მოინამუსებს და ეახლება...

ამ ფიქრმა აიტაცა ვაჟა და გადა-

წყვიტა საჩქაროდ შედგომოდა საქმეს. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო გამოჩვენება, ქალაქში იმყოფებოდა ლტოლვილი ორეული, თუ მართლაც გაეცალა აქაურობას და სადმე შორს ვარდიხვეწა? ამის გაგება, ცხადია, ადვილი როდია, მაგრამ თუ ბეჯითად იმოქმედა, შეუძლებელია კვალს არ მიაგნოს...

იმავე ღამეს შეადგინა მარშრუტი, საიდან დაეწყო ძებნა და ცალკე ჩაინიშნა უბნები, სადაც, მისი აზრით, ლანდს შეეძლო დამალულიყო. საფიქრელად გაუხდა მხოლოდ ერთი რამ: რაც უფრო აზუსტებდა მარშრუტს, მით აშკარა ზღებოდა, რომ ნაეარაუდევზე ბევრად მეტი დრო დასჭირდებოდა იმ ადგილების დასაზვერავად... გასახარელი კი არა, ამ შემთხვევაში პირდაპირ საეალალო იყო ის ამბავი, რომ ასე საოცრად გაზრდილიყო ქალაქი — გასცილებია ავჭალას, აცოცებულა გლდანის ზეგანზე, აქეთ კიდევ აგერაც ეახიანამდე გაჭიმულა ქუჩები... მოდი და გულდასმით შეათვალიერე კი არა, უბრალოდ მიმოიარე ამოდენა სივრცე!

მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო და მეორე დღიდან უწყოყმანოდ ამოქმედდა. მოათავებდა თუ არა მუშაობას სამმართველოში, მაშინვე გასწევდა ქალაქში, დაღამებამდე დადიოდა ქუჩებში, ზვერავდა ყველა ჩიხს და სკვერს და აყურადებდა მოქალაქეებს, ზომ არაფერს ამბობდნენო ისეთს, რისი ვაგება ახლა ძალიან საჭირო იყო მისთვის.

ამ ხეტიალში გადიოდა დღეები და ბინაში ყოველთვის ბრუნდებოდა დაღლილობისაგან გამოღუნჩებული და გახევებული, ცოტა ხნით წათვლემდა და შერე ისევ ადგენდა მარშრუტებს სახეალოდ.

• • •

ეს იყო შაბათს, დაღამებისას. დღიდან ხეტიალის შემდეგ ძალიან დაღლილი დაბრუნდა შინ. ძლივს მიადწია საწოლამდე, ტანსაცმლის განდევ

დაეხარა და მხოლოდ დიღები შეეხსნა გულსპირზე.

ერთი წაძინება მთელს დღის განმავლობაში ღირდა, მაგრამ ამაზე ოცნებაც ამოიყო ახლა. ისევ ტკიოდა თავი, აგერაც გული აერეოდა, თითქოს ჩაქუჩს ურტყამდა კეფაზე ვიღაც. სიზნელე სულს უხუთავდა და აწვალებდა. ველარ გაუძლო, წამოაჯდა და სასთუმალთან დადგმულ ლამპაში შუქი ჩართო... არა, ასეთი წამება აქამდე არასოდეს უგრძენია!..

განათდა და უეცრად დაინახა, რომ მარტო არ იყო. იქვე, საწოლთან, სკამზე იჯდა მისი ლანდი საოცრად მკრთალი, განაცრისფერებული სახით და თითქმის შიშით მიჩერებოდა თავისი ჩაღამებული თვალებით.

— მოხვედი? მაშ მოხვედი? — მღელვარებისაგან ხმა უთრთოდა ვეჯას.

ლანდს, თითქოს განზრახ, ზუსტად ისე ეცვა, როგორც თვითონ... ნუთუ აგრე დიღებშეხსნილი პერანგის ამბრა, თმაწიწილი და ფეხშიშველა დადიოდა ის ქალაქში და, ვინ იცის, იქნებ შორეულ ქვეყნებშიც, საიდანაც, შესაძლოა, ამ წუთში ინები ჩამოსვლა?!

ვაჟა ერთხანს მდუმარედ შეჰყურებდა, დაწმუნებული, რომ ახლა ის მონანიებით მიმართავდა და პატივებს თხოვდა. მაგრამ ლანდი არაფერს ამბობდა.

— შენი წყალობით მე ძალიან დავისაჯე, — იძულებული გახდა ვაჟა დაერღვია დუმილი, — ვერ გამიგია, რატომ მომექეცი ასე ბოროტად?

ლანდმა ახლაც არაფერი თქვა.

— შენ ყველაფერი იცი, რაც მე მეხება. ამიტომ მხოლოდ თავისმოტყუება იქნება გულახდილად არ ვითხრა, რა განსაცდელში ვარ ჩავარდნილი, მინდა ვიფიქრო, რომ შენც ასევე გულახდილი იქნები.

ეჩვენა, რომ თანხმობის ნიშნად ლანდმა თავი დააქნია და, ამით გამხნეებულმა უფრო გაბედულად გააგრძო:

— არ ვიცოდი, თურმე, საჭირო ყოფილხარ ჩემთვის... იქნებ არც ისე ვიდარდებდი შენს წასვლას, მაგრამ შენ თან გაგყავა ყველაფერი, რაც მებადა, რაც ძვირფასი იყო ჩემთვის, ის რამდენიმე ბედნიერი წუთიც კი, რომელიც ოდესღაც მქონია წარსულში. წახვედი და შენთან ერთად ისე ვაჭრა წარსული, თითქოს არც მქონია და მუდამ სიცარიელეში ვიმყოფებოდი. რა ვარ ახლა მე? რაღაც ფიტული, სხვა არაფერი...

აკვირდებოდა ლანდის სახეს და ცდილობდა ამოეცნო, რა გავლენას ახდენდა მისი სიტყვა. მაგრამ ისეთი რამ, თანაგრძობას რომ ჰგვანებოდა, ვერაფერი დაინახა.

— შეიძლება მითხრა, ყოველთვის გახასიათებდა სენტრუმენტალობა და ასეთად დარჩენილხარო, — ნაღვლიანად გაეღიმა ვაჟას, — მაგრამ ვანი სენტრუმენტალობა იყო, რომ ნამდვილად შევხაროდი ცხოვრებას და ბედნიერებადაც მიმაჩნდა, რომ ათასებს შორის ვტრიალებდი? მე ხომ მიყვარდნენ ისინი და ფიქრადაც არასოდეს მომსვლია სხვისი გაწირვით ხელი მომეხებო. ასეთებს კი ახლა ერთსა და ორს როდი შეხვდები! შენ იცი, თავი წამოჰყვეს ეგოცენტრულობით დაავადებულზე და ყველა ეს ნაძირალა გალაღებულად გრძნობს თავს. შენ ის გიტყვარის მხოლოდ როგორც ზვარაკს მისი განდიდებისათვის. ჩვენს შევეჩვიეთ ამ ამბავს და თავს ვუტყნეთ, როცა ის მორჩილებას მოითხოვს ჩვენგან. ეშმაკსაც წაუღია მათი თავი, აბა სხვას რა უნდა მოელოდო მისგან, მაგრამ მთელი საშინელება ის არის, რომ ასეთებს არა თუ მხოლოდ ჰგულობენ, ანგარიშს უწევენ და პატივისცემითაც ეპყრობიან! რამდენჯერ მომდომებია ყველას* გასაგონათ მეკითხა: რა ვქნათ, როგორ-ღა მოვიქცეთ ჩვენ, ვისაც ადამიანის რწმენა არ დაგვიკარგავს და ჯერ კიდევ შეგვრჩენია გულის სითბო? მაგრამ ყოველთვის ამ დროს ვიღაც უხილავის ხელი მაშინვე პირს შემოკრა-

ვდა და ჩამძახებდა: „შენ ობროდი ხარ, ამ ქვეყნიურის არაფერი გაგეგებებოდა იშორე ეგ ფიქრები და პკითხე...“ შენს თავს, რით გიპასუხეს სიყვარულზე? მხოლოდ იმით, რომ მრავლისათვის სასაცილო გახდი...

ხელი ჩააქნია და მერე ხმაიანყვეტილად თქვა:

— ეხ, ტყუილად ვცებდობ, სხვა არაფერი... ახლა მე მარტო ერთი საზრუნავი დამრჩა: არ მინდა ვინმემ შენიშნოს, რომ ვარსებობ. ამას კი მაშინ მივალწევ, როცა შენ დამიბრუნდები. შენ უნდა დარჩე ჩემთან, აუცილებელია გვერდით მყავდე. შენც ხომ ამისათვის მოხვედნი?

ლანდი, თითქოს მობეზრდაო, გულგრილად უსმენდა.

— მაგრამ თუ საბოლოოდ ამაღე ხელი, — უკვე ნერვიულობა ემჩნეოდა ვაჟას, — ერთი სამასხური მაინც გამიჩიე: მიშოვე სხვა ლანდი. როგორც და ვისიც უნდა იყოს, სულ ერთია, ოღონდ კი მახლდეს. შენ, ალბათ, კავშირი გაქვს მათთან და იქნებ გამოიძებნოს ისეთი, ვინც ადამიანთან ყოფნაზე დათანხმდება. ან იქნებ სადმე მკვდრის ლანდი გამოიჩინახოს, ამაზედაც უარს არ ვიტყვი...

აღგა, მაგიდისკენ ნაბიჯი გადადგა სიგარეტის ასაღებად და, რომ შემოტრიალდა, ლანდი ველარ დაინახა. გაკვირვებით მიმოიხედა, ძებნა მეორე ოთახში, დერეფანში, ყველა კუთხე და ნიში შეათვალიერა, მაგრამ ის არსად აღმოჩნდა.

— გაიპარა, დამიძვრა ხელიდან! — გაუტელვა თავში.

დაყოვნების დრო აღარ ჰქონდა, მაშინვე წაუყარა ფეხები წაღებში. ჩაირბინა კიბე, გარედ გაიჭრა და დაედგინა. მოიბრინა რამდენიმე ქუჩა, ეძახდა, თხოვდა გამოჩენილიყო, ხან პატიებას პირდებოდა, ხან ემუქრებოდა, რომ დაუნდობლად იძიებდა შურს.

ლამპითნებით განათებულ პროსპექტზე, სადაც შეშინებული გამკვლელები თავს არიდებდნენ გამშაგებულს,

ვილაც მამაკაცმა გზა გადაუღობა და ლონიერად ჩასკიდა ხელები.

— ნუ მაჩერებ! — ყვიროდა ვაჟა და ცდილობდა განთავისუფლებულიყო. — გაიგეთ, ის ჩემი ლანდია, მე უფლება მაქვს დავიბრუნო ის არამზადა!

თეთრად შედებული პატარა ოთახი დაინახა ვაჟამ, გონს რომ მოვიდა. ვერ გაეგო, სად იყო და რატომ იწვა ვილაც სხვის ლოგინზე. აწუხებდა თავზე დადებული პარკი, ძალიან ცივი და ტენიანი. უნდოდა როგორმე მოეშორებინა, მაგრამ ხელები ტომარასავით უხემ და გრძელ პერანგში ჰჭონდა ჩაკრული და ვერ ამოძრავებდა. ოთახში წამლის მძაფრი სუნი იდგა და ესეც აწუხებდა. შორიხლოს უცნობი თეთრხალათიანი ჭადარა კაცი ელაპარაკებოდა ქალს, რომელიც ძალიან გავდა ნათელას.

ვაჟამ რომ გამოიხედა, ეს უცბადვე შენიშნა, იმ ქალიშვილმა თითქოს კიდევაც გაუღიმა ავადმყოფს, მივიდა მასთან და საწოლზე ჩამოჯდა...

უყურებდა ვაჟა და უკვირდა, რა საოცრად გავდა ნათელას... ვერც კი გამოარჩევდი, ისეთი მსგავსება იყო... სულ ისეთივე ბუდეშური თვალები, ოღონდ ამღვრეული და ძალიან ნაღვლიანი.

თეთრხალათიანი ქალარაც მივიდა და უდარდელად, მხიარულად ჩასძახა:

— ნულარ იდარდებ ლანდზე, ახლა მას არაფერ ატარებს, ყველამ მოიშორა! — თქვა და წავიდა.

ავადმყოფმა დააპარა რალაც ეთქვა, მაგრამ ძალა არ ეყო და თვალებიც მის უნებურად დაეხუჭა... ოღონდ როგორ იყო, რომ მაინც ხედავდა ნათელას? აი, მიაბიჯებს ის ქუჩაში და, როგორც ჩვევია, გაბარებული უცქერის გარემოს. უფრო გასახარელი ის იყო, რომ ლანდი არ ახლდა... იქნებ იმიტომ, რომ თეთრი კაბა ეცვა? მაგრამ ვინა მარტო ნათელას, იმათაც, ვისაც შავები ეცვა, არ დაჰყვებოდა ლანდი... ამაზე უფრო საკვირველი კი ის იყო, რომ ძველი ჭადრების ნაცვლად ყველგან დაერგოთ მწვანე თუნუქის ფოთლებით შემოსილი თუჯის ხეები, ხოლო გაზონებზე ხარობდა ფერად-ფერადი შუშის ყვავილებით აჭრელებული ბუჩქები და არსად ასფალტზე, არსად გაზონებზე ხე და ბუჩქი ჩრდილს არ აფენდა... ღმერთო, რა წარმტაცი სანახავი იყო! მამ ამიერიდან რალად იდარდოს, რომ ლანდი დაჰკარგა?! იხეტიალოს ახლა იმ თვითონ უბედურმა, სადაც უნდა, რამდენიც უნდა!

შეება ივრანო, ღრმად ამოისუნთქა და ბურანში წასულმა ჩათვლიმა.





გრიგოლ აბაშიძე

ცოტნა ანუ ქართულთა დაცემა და ამაღლება

რომანი

...
პანკელმა და მისმა მეუღლემ მეფე-
დედოფლისათვის ძვირფასი ძღვენი
გაამზადეს და მესამე ღღეს ალავერ-
დისაქნ დაიძრნენ.

თორღვა და მისი სახლობა ალა-
ვერდის მთავარმოწამის სამოსლის
ფესვს გამოებნენ, ხორნაბუჯელმა ფი-
ცი თქვა და სიძე-მამიდაშვილი ფესვი-
საგან გამოხსნა.

ამის შემდეგ ცოლ-ქმარი გულდაარ-
ხინებულნი გაუდგნენ გზას.

შალვამ თორღვა და ციცნა დაარწ-
მუნა, მეფე ჯერ მხოლოდ ერისთავს
იბარებსო.

ციცნას მაინც გულში ჰქონდა მონ-
გოლი დედოფლის შიში და იოლად და-
ჰყვა ბიძაშვილის შეგონებას. თორღვა-
საც თავის თავზე მეტად ცოლისა ეფიქ-
რებოდა.

ციცნა ხორნაბუჯს დასტოვეს და
მეფის შუამავალი და მისი მიმცხოვნე-
ბული სიძე მარტონი გაემართნენ სა-
ტახტოსაკენ.

მესტუმრე ჯიქურს ასი თვალი და
ყური ჰქონდა, ხორნაბუჯელისა და პან-
კელის ყოველი ნაბიჯი იცოდა.

მეფე თბილისში არ იყო და ჯიქურ-
მა ხორნაბუჯელი ნაჭარმაფეს გაგზავ-
ნა ხელმწიფის მოსანახულებლად.

ხორნაბუჯელის წასვლა და პანკე-
ლის შეპყრობა ერთი იყო.

მონგოლი დედოფალი ტაბახმელის
განისვენებდა და ჯიქურმა იქ მიჰგვარა
შეპყრობილი ერისთავი.

დედოფალს თორღვასკენ არც გაუ-
ხედია.

— ერისთავის უკუთო ცოლი არ
მოუყვანიათ — იკითხა დედოფალმა.

— უკვე შეიპყრეს და, სადაცაა გა-
ახლებენ, — მოახსენა ჯიქურმა.

— ჰოდა, რაკი ქალის ჭკუაზე და-
დის ეგ ვაებატონი, თავის ცოლს მია-
ყოლეთ უკან — ბრძანა განრისხებულ-
მა დედოფალმა.

დაბნეულმა თორღვამ გონს მოსვლა
ვერ მოასწრო, შებოსნებმა უპატიოდ
გათორიეს დარბაზიდან.

იმ დამსჯე კლდე-ქარს წაიყვანეს
პანკელსა და მის მეუღლეს.

ციცნა რომ იქ დაუხვდა, ყველაფერს მიხვდა.

მუხლი მოიყარა და ფიცის გამტეხ ხორნაბუჯელს წყველა შეუთვალა:

— რა იგი ჰყო ჩემზედა, წმინდამან გიორგიმ ვიყოს შენ, რამე თუ მარტო ვარ და სიკვდილითა ჩემითა უმკვიდრო იქნების მამული ჩემი, აგრეთვე უმკვიდრო ჰყოს წმინდამან მთავარმოწამემან სახლი შენი!

ციცნა პირველი გადააგდეს მაღალი კლდიდან.

თორღვას დედოფლის განაჩენის აღმსრულებელთა გარჯა აღარ დასჭირდა, ფვითონ გაიჭრა იმ კლდის თავისკენ და უფსკრულში გაფრენილ საყვარელ ცოლს მიჰყვა უკან.

აფხაზ მოლაშქრეთა გარდა ათითას მეომარს მოუძლოდა ცოტნე დადიანი. გზად რაჟა-ლეჩხუმის ხალხი მოერთო რაჟის ერისთავის კახაბერის ძის მეთაურობით და, გაიხარა ოდიშის მთავარმა, მოეწონა ერისთავის ჰაბუკი მეგვიდრე.

— დავაჟაკებულხარ და დამშვენებულხარ, ნამდვილად ვასწევ მამის მაგიერობას. — გადაეხვია ცოტნე.

— ჩემი დიდებული მამის მაგიერობას, აღმათ ვერასოდეს ვერ შევძლებ, მთავარო, მაგრამ ერისთავის ავადმყოფობამ მაიძულა მის მაგიერად წამოვძღოლოდი ჯარს.

— მართლა, როგორ არი რაჟის ერისთავი? ფრიად შემაწუხა მისი ამბის ვაგებამ.

— კობტისთავიდან მობრუნებულს, როინის ხეობაში ცხენი წაქცევია და ფეხი უღრძვია. ვაუმიზუნდა ნარძობი, რუმბივითა აქვს ფეხი ვასივებული, ძალიან მოინდომა, მაგრამ ფეხზე ვერ დადგა და სხვა რა ღონე იყო, მე გამომატანა ლაშქარი.

— საწყენია უმისობა ამისთანა საძნელო საქმეში, მაგრამ არა მგონია, შეიღმა მამა არ ასახელოს, მით უფრო, რომ სამშობლოს თავისუფლებისათვის კეთილშობილ ბრძოლაში უხდებამა-

მის შეცვლა. — შეაქო და გაამხნევა ცოტნემ ერისთავის ჰაბუკი მეგვიდრე. მერე შემოერთებულ ლაშქარს ჩამოუარა, ჯარის ჩაკეულობა და აღკაბუელობა გასინჯა, მოეწონა.

— რამდენი კაცია?

— ხუთიათასი რჩეული ვაჟაკია რაჟა-ლეჩხუმიდან და არგვეთიდან.

— ცხენოსანი რამდენია?

— ათასხუთასი... ესეც გაჰირვებით შეგროვდა, მთავარმა უკეთ იცის, ცხენს აღარ გვიტოვებენ წყეული მონგოლები.

— ვიცი, თავადო არც ცხენს გვიტოვებენ და აღარც კაცს. დიდიხანია, მოთმინების ფიალა აივსო და მადლობა უფალს, დადგა სამაგიეროს ვადახდის დრო, — ცოტნემ ქუდი მოიხადა და ხელი ცისკენ აღაპყრო, — ღმერთო, მოგვხედე, წმინდა გიორგი, ძალდიდებულო, შენ მიეც ძლევა ჭართველ მხედრობას, დაუბრუნე ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას თავისუფალი ცხოვრება და აღრინდელი დიდება.

ლაშქარი გაფრთხილებული იყო, რაც გაეწყობოდათ ჩუმად უნდა ეცლოთ.

— უღელტეხილამდე საშიში აღარაფერია, მონგოლებს ლიხს აქეთ ხელი არ მოუწვდებათ, არა, მთავარო? — იკითხა რაჟის ერისთავის ძემ.

— ეგრე ნუ იტყვი! მონგოლებს გაუჭირდათ ლიხს აქეთ გადმოსვლა და იმიტომ დაგვეკერდნენ ზარკის ძლევისას. პირობის თანახმად, ლიხს აქეთ მონგოლი არ უნდა გაჰაზნებულიყო, მაგრამ ეგენი ხელმეგრულებასა და პირობას დიდად არ დაეციდევნენ, დრო და დრო ლიხს აქეთაც გამოჩნდებიან ხოლმე, მცირე რაზმებით მოითარეშებენ აქაურობას და უკანვე ისე ბრუნდებიან, ვითომც არაფერი. აქედან მაგათ მიერ დაპყრობილ საქართველომდე კარგა მანძილია, მაგრამ სულ იმას ვშიშობ, მონგოლთა მოთარეშე რაზმს არსად გადაეყაროთ. წინ ცხენოსანი მხვერავეები მყავს ვაგზავნილი, თუ სადმე მონგოლს წააწყდებიან, იქვე უნდა-

მოსპონ, რომ ჩვენი გალაშქრების ამბავი თბილისსა და ანისს არ ჩაიტანონ.

— ჩვენ სად მოგვიწევს ბრძოლა, მთავარო?

— ჩვენ გაველთან, ციხის ჯვარელებთან და თორელებთან ერთად ანისს უნდა დავეცეთ, იქ მყოფი მონგოლთა ჯარი უნდა გავწყვიტოთ და მთავარი ნოინი ცოცხალი ან მკვდარი უნდა ვიგდოთ ხელთ.

— ანისში დიდი ჯარი ეყოლებათ წყეულებს.

— კი, ბევრნი არიან, მაგრამ იქიდან რომ ვარამ გაველი შემოგვიერთდება, ჩვენც არ ვიქნებით ცოტანი.

— მხარგრძელები? თავიანთი მამულის გამოსახსნელად მაინც არ იბრძოლებენ?

— მხარგრძელებს ვაგონებაც არ უნდათ მონგოლებთან ომის, ალბათ გეცოდინება მამაშენისგან, თავქარიანებს და ქვეყნის დამლუბველებს გვეძახიან, ყველას, ვინც მონგოლთა წინააღმდეგ აჯანყებასა და საქართველოდან მათ გარეყვას ფიქრობს.

— მთელი ქვეყანა რომ აღსდგება, არც მაშინ გამოიღებენ ხელს?

— თუ წარმატება გვექნა და გავიმარჯვებ, მაშინ სხვა რაღა გზა რჩებათ, ეგენიც მხარში ამოგვიდგებიან.

— მზა-მზარეულ სუფრაზე დაბრძანდებიან, არა?

— ალბათ. მაგრამ ენახათ. ღმერთმა ჰქნას, ყველაფერი კარგად დამთავრდეს.

— ღმერთმა ჰქნას! — ამოთხვრიტ თქვა ჰაბუქმა და ცოტახნის ღუმულის შემდეგ დაუმატა, — ნეტავი თბილისის გამოსხნისათვის ბრძოლა ვერგებოდა წილად!

— თბილისს ქართლ-კახელები და არავეის ხეობისანი აიღებენ. სატახტოსთან ისინი უფრო ახლოს არიან.

ღამე ხეობაში დაიბანავეს და დილა ბინდ-ბუნდზე შეუდგნენ აღმართს. აღმართის ნახევარიც არ ექნებოდათ ავლილი, რომ თავქვე მომავალი ორი

მგზავრი გამოჩნდა. მგზავრებს სამი ცხენოსანი მოჰყვებოდა ცოტნეს მზვერავთა რაზმიდან.

ქვეითნი და ცხენოსნები მოახლოვდნენ და ოდიშის მთავარმა იცნო აბიათარისა და ასპასიას შემფრთხილებული სახეები.

— მადლობა უფალს, რომ დროზე მოვისწართ, მთავარო, — ქუდმოხდილი მიესალმა შორიდანვე აბიათარი.

ცხენოსნებმა დაიქვეითეს.

— მადლი უფალს, რომ არ აგცდით, — ჩურჩულებდა ასპასია და პირჯვარს იწერდა.

— რა ამბავია, აბიათარ? — შემფრთხილებული მივარდა ცოტნე.

— დავიღუბეთ, მთავარო, ჩვენი პატრონი შეიპყრეს.

— რას ამბობ, აბიათარ?! — გაფითრდა ცოტნე.

— თქვენ რომ აქეთ წამობრძანება ინებეთ, იმ ღამესვე სუფრაზე მსხდომნი შეიპყრეს ყველანი.

— შეიპყრეს? ყველანი?

— ყველანი, თქვენსა და რაჭის ერისთავს გარდა, კოტის თავს მყოფი ყველა შეთქმული შეიპყრეს.

— მოულოდნელად? მტრის მოსვლა ვერ გაიტგეს?

— მოულოდნელად... ვინ იფიქრებდა შუალამისას მონგოლთა თავდასხმას. კიდევ კარგი, თქვენ მაინც გადარჩით!

ცოტნეს გველნაკბენივით დაედმიჰკა სახე და წარბი შეიკრა.

— ლალატიაო, მთავარო, დიდი და პატარა ვაიძახის შეთქმულება ვასცესო.

— იუდა ვინ არისო? მოლალატეს არ ასახელებენ? — ჩაერია ბრაზით წამონთებული კახაბერი.

— ვერ ამბობენ, ოდიშის მთავრისა და რაჭის ერისთავს გარდა ყველა შეპყრობილია და მოლალატე ვინღა რჩება?

— მამაჩემი ფეხნაღრძობი წევს ლოგინში, თორემ ახლა ისიც აქ იქნებოდა, — გამოესარჩლა საკუთარ მამას

მის უბრალოებაში გულწრფელად და-
რწმუნებული შეილი.

— მაშ, აჯანყება ჩაშლილი ყოფი-
ლა და ბრძოლა დაუწყებლად წაგებუ-
ლია, — თქვა დამარტყბულმა ცოტნემ.

— ჩაშლილია, მთავარო! შეთქმულ-
თა მამულებში მონგოლთა ჯარები დგა-
ნან, გზები შეკრეს და ყველგან დამ-
პყრობთა რაზმები დაშლივინობენ.

— ჩვენს შორის ერთი, ალბათ,
იუდა იყო, — ზიზლით გამოსცრა ცოტ-
ნემ. მაგრამ ვაი მას „რომლისა მიერ
ძეკაცისა მიეცეს, მისთვის უმჯობეს
იყო, არა შობილიყო“.

— თუ ესოდენ კეთილშობილ მთა-
ვართა შორისაც შეიძლება იუდა იყოს,
მაშინ საქართველო ღირსი არ ყოფილა
თავისუფალი ცხოვრებისა და, სულაც
რომ აღუვებრან მონგოლებმა, ჩვენს
მოდგმაზე ახი იქნება!

— ქრისტეს მოწაფეებზე კეთილშო-
ბილი და წმინდა ქვეყნად არავინ ყო-
ფილა, კახაბერ და, ბქაც, მათ შორი-
საც კი გამოჩნდა ერთი გამყიდველი.
აქი უთხრა ქრისტემ თავის მოწაფეებს:
„თქვენც წმინდა ხართ, მაგრამ არა ყო-
ველნიო“. ჩანს, ჩვენს შორისაც ყოფი-
ლა ერთი არაწმინდა და ვაი მას, „რამე-
თუ სანატრელ ექნეს შიშთვილ“!

— შუალამისას შეიპყრეს მთავრე-
ბი. გონს რომ მოვედით, მაშინდა გა-
გვახსენდა ჩვენი პატრონის დავალება,
მომხდარი უბედურება შენთვის შეგვე-
ტყობინებინა. კიდევ კარგ დროს მო-
ვისწარიო, თორემ უღელტეხილი რომ
გადაგველო, მერე გვიან იქნებოდა.
მონგოლთა ჯარი დაგხვედებოდათ და
ერთიანად გაველტედათ.

— გმადლობთ, აბიათარო! დროზე
რომ არ მოგესწრო, იქნებ მართლა
მტერს გადავყროდით და ეს ხალხი
უბრალოდ დამღუპვოდა.

— ახლა, რაკი აჯანყება ჩაშლი-
ლია, გზის გაგრძელებას აზრი აღარა
აქვს, მთავარო.

— რა თქმა უნდა. გზის გაგრძელ-
ებას აზრი აღარა აქვს.

— დაყოვნებასაც ის ჯობს, რაც მა-

ლე გაბრუნდება უკან ლაშქარი.

— კი, ლაშქრის დროზე გაბრუნება
სჯობს. ცოტა შეისვენონ და კახაბერ
გაეაბრუნებ.

— შენც უნდა დაბრუნდე, მთავა-
რო. უღელტეხილზე ვადასული რომ
გნახონ, მაშინვე შეგვიპყრობენ, ან იქვე
მოკლავენ, ან დანარჩენი შეთქმულე-
ბის გზას გაგიყენებენ.

— ერთიც სჯობს უკან ლაშქრულად
გაბრუნებას და მეორეც, — გადაწყვე-
ტილად თქვა ცოტნემ.

— უი, რას ბრძანებ, მთავარო, ეგ
ღმერთმა ნუ გაფიქრებინოს, — იტყი-
ცა გაფითრებულმა ასპასიამ.

ცოტნეს მწარედ გაელიმა, ასპასიას
მხარზე ხელი დაადო.

— მადლობელი ვარ შენი და აბია-
თარის, ჩემი გულისთვის თავი სასიკე-
დილო საფრთხეში ჩაიგდეთ. ეს ხალხი
რომ გადამირჩინეთ, მარტო მაგისტვის
გეჟუთენით ჩვენგან დიდი ჯილდო.

— მთავარო, გემუდარები უკან გა-
ბრუნდე, — ასპასია მუხლებზე დაეცა
და ფეხებზე მოეხვია, — რაც შენი ვა-
ლი მადეგს, უფალს სულ იმას ვევედ-
რებოდი, რითიმე სამაგიერო ვადამეხა-
და, რამეში ჩემი თავი დაგპირებოდა
და გამოგდგომოდი. ძლივს მომეცა შე-
მთხვევა, თავი გადავდე და სამი დღე-
ლამე ტყე-ტყე უფხო გზებით ვიარე,
რომ მომხდარი უბედურება მეცნობე-
ბინა და სიკვდილისაგან ვადამერჩინე.
როგორც იქნა ვანზრახვა ავისრულე და
ვევედრები, ნუ ჩამიყრი წყალში ამდენ
შრომას, ნუ მომისპობ ამდენი ხნის ნა-
ტერის ასრულების ამ ერთადერთ შე-
საძლებლობას.

— კარგი... კარგი, ასპასია, ადექი...
არსადაც არ წავალ, — ცოტნემ მკლა-
ვებში ხელი მოჰკიდა და თვალცრემ-
ლიანი ქალი ფეხზე წამოაყენა, — არა
გრცხვენია, რომ სტირი? აბა, სატი-
რალი რა გაქვს... თქვენ ახლა უკანვე
წადით, შენ და აბიათარი, მაგრამ ჯერ
ცოტა დანაყრდით, მშვივრები იქნებით.
ცოტნემ ჯარის მეთაურები იხმო.

უბრძანა, ლაშქარმა პური სკამოს და ცოტა შეისვენოსო.

მერე მინდორზე სუფრა მოაღებინა. რაჟის ერისთავის ძე, ასპასია და აბიათარი დასვა და თავადაც ფეხმორთხმით დაჯდა.

დამშვეული ცოლქმარი მაშინვე მიეტანა საჭმელს. ცოტნემ ხელი არაფერს ახლო. ღვინით სავეს სასმისი ასწია და მასავით პირგაუხსნელი კახაბერის სასმისს უსიტყვოდ მიუჯახუნა. უხმოდ დალიეს.

ცოტა ხანს ისევე პირპკრულნი იხსდნენ, არც ლუქმა აუღიათ, არც სიტყვა დაუძრავთ.

ცოტნემ კიდევ ასწია სასმისი და ისევე უსიტყვოდ დაცალეს.

აბიათარმა მუცელს რომ ბოძი შეუყენა, ცოტა სული მოითქვა, თავი აიღო და მთავარს საქციელწამხდარი შეაჩერდა.

— თქვენ სულ არაფერი მიირთვით, მთავარო, არა? ჩვენ კი დამშვეულები მივესიეთ საჭმელს. პირუტყვია აღამიანი, მა რა არი, ამისთანა ვაწსადღელის დროს ჭამისთავი უნდა ჰქონდეს კაცს?!

ცოლქმარმა კალთები დაიფერთხა. მთავარს მადლობა გადაუხადეს და წამოდგნენ.

— ცოტა რამ სავგზლადაც წაიღეთ და წადით. აბიათარ, ასპასია, თქვენისთანა კეთილი და ერთგული ხალხი ღმერთმა ნუ გამოუღლიოს ნურც თქვენს პატრონს და ნურც ჩვენს ქვეყანას, — ცრემლმომიალებული თვალებით ჩააცქერდა ცოტნე ერთდროს მაცდუნებლად მოეუფუნე ასპასიას ლურჯი თვალების გაუფერულებულ ანრდილს, მერე სათითაოდ ვადაეხვია ცოლსა და ქმარს.

დაღონებული ვაჰყურებდა აღმართზე მიმავალთ ოდიშის მთავარი, ცოლქმარი ხმადაბლა რალაცას, დავობდა. მერე უცებ აბიათარი შემობრუნდა:

— ბეჭას დედას, დიდ ქალბატონს რა ეუთხრა, მთავარო, შენი ვადაჩენა რომ შემომავედრა. ფიცით რომ ვარწ-

მუნო, უკან გაბრუნდა-თქო, ხომ მართალი ვიქნები ღეთისა და თქვენს წინაშე.

— მართალი იქნები, აბიათარო, უთხარი ბედს დამორჩილდა და შეთქმულების ჩაშლას შეურიგდა-თქო, — მწარე ღმილით დაუმოწმა ცოტნემ.

აბიათარმა ჭული მოიხადა, ერთხელ კიდევ დაუკრა თავი ოდიშის მთავარს და გზას გაუდგა.

ასპასიასა და აბიათარს რომ დაემშვიდობა, დადიანს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, არამც და არამც უკან არ გაბრუნებულყო და ლაშქრის გასტუმრებისთანავე, თვითონაც უღელტეხილის აღმართს შესდგომოდა.

ცოტნემ ვერც გაიგო, როდის და როგორ მიიღო ეს გადაწყვეტილება, მაგრამ გადაწყვეტილი რომ მტკიცედ ჰქონდა გზის ვაგრძელება და შეთქმულთა კვალზე დადგომა, ეს უკვე მისთვის სადავო აღარ იყო.

ხშირად ხდება ასე: ნაბიჯს, რომელსაც შემდგომ უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა, ისე ვადადგამენ ხოლმე დიდი აღამიანები, არც ფიქრობენ მომავლისათვის მის მნიშვნელობაზე.

იმ წუთებში, როცა ოდიშის მთავრის გულსა და გონებაში ეს გადაწყვეტილება ისახებოდა და ყალიბდებოდა, ცოტნეს სულაც არ უფიქრია თუ, რა მნიშვნელობა მიეცემოდა მას ქართველი ხალხის შემდგომ ცხოვრებაში.

თუმცა ამ ნაბიჯის ვადადგმა სულ რამდენიმე წამში უკარნახა ოდიშის მთავარს შინაგანმა ხმამ, იგი ცოტნეს მთელი განვლილი ცხოვრების აზრითა და გამოცდილებით იყო ჩავგონებული და შემზადებული.

ამიტომ დაემორჩილა თავის ამ შინაგან ხმას ასე უყოყმანოდ ცოტნე, დაემორჩილა და უშალვე სულიერად დამშვიდდა.

ასპასია და აბიათარი აღმართზე მიდიოდნენ.

— ცოტნე ქვაზე დაჯდა და გზას გახედდა. ის გზა უცბად ორად გაიყო: ერთი

სიკვდილისკენ მიდიოდა და სიკვდილის იმ გზას სიმართლისა და დიდსულოვნობის შუქი ანათებდა. მეორე გზა არა-რაობისაკენ მიემართებოდა. და ეს იყო ერთფეროვანი, მოსაწყენი ცხოვრებისაკენ. დღეგრძელი, ნაყოფიანი არსებობისაკენ მიმავალი გზა. ეს გზა სიმზდალისა და სულმოკლეობის მღვრიე ნისლით იყო დანისლული.

ცოტნეს უკვე არჩეული ჰქონდა სიკვდილისაკენ მიმავალი გზა.

— ოდიშის მთავარმა რაჭის ერისთავის ძე მოიხმო.

— ლაშქარი უკან უნდა გაბრუნდეს და შენ წარუძღვევი კახაბერ!

— შენა, მთავარო?

— მე მათთან უნდა წავიდე, — ხელი უღელტეხილისკენ ვიშვირა ცოტნემ.

— თუ წასვლაა, მეც შენთან წამოვალ, მთავარო.

— არა, მე მარტო უნდა წავიდე, რაჭის ერისთავს შენს მეტი არავინ ჰყავს და შენს ცოდვაში ვერ ჩავდგები.

— რა პირით მივიდე მამაჩემთან, გულში ხომ მაინც იტყვის უღირსი შვილი მყოლიათ.

— არ იტყვის, შენ ვალდებული არა ხარ, ფიცი არ შიგიცია შეთქმულებისათვის.

— მამაჩემმა ხომ შეჰფიცა!

— მამაშენი წევს, სნეულია.

— მერე ვინ ირწმუნებს მამაჩემის ავადმყოფობას, სასჯელს გადარჩენილი ერთადერთი შეთქმულთაგანი რაჭის ერისთავი იქნება და ხალხი მას მონათლავს იუდას სახელით.

— შენ ეგ ნუ გადარდებს. სიმართლე არასოდეს დაკარგულა და, ხალხი რაჭის ერისთავის უღანაშაულობასაც მალე გაიგებს.

— მაშინ, თუ ეგ არ არი სადარდებელი, ნურც შენ წახვალ, მთავარო, ნურც შენ ჩაუვარდები ხელთ იმ სისხლის მსმელებს.

— მე არ შემიძლია წაუსვლელობა,

კახაბერ... მე ვალდებული ვარ მათთან ერთად ვიყო, რადგან მე შეთქმულების პირველი წამოწყებელი და თაოსანი. ბევრი მათგანი მე დავაყენე ამ სასიფათო გზაზე. თუ შეპყრობილ შეთქმულებს სიკვდილი უწყობიათ, არ მინდა თვალი ისე დახურონ, მე შორს, სამშვიდობოს ვეგულეზოდე. წადი, კახაბერ, გეხვეწები და გიბრძანებ: ჯარს უკანვე გაუძევი და მშვიდობით დააბინავე. მე თუ ცოცხალი დავებრუნდი, სიკეთეს როგორმე გადაგიხდი... — ცოტნემ მკლავები გაშალა.

კახაბერი მოეხვია და მთავრის მკერდზე ასლუქუნდა.

— გამხნევი, ვაჟაკი ხარ და ცრემლი არ შეგშვენიის... ჩემი სახლობაც გაამხნევე, იმედი მიეცი და განსაცდელი გაუიოლე... აბა, შენ რცი, მშვიდობით იარე... რაჭის ერისთავი ძმურად დამიოცნე, — კახაბერმა ნამტირალევი თვალები მოიწმინდა, ხელები უღონოდ გაასავსავა და ჯარისკენ წავიდა.

ცოტა ხანში ლაშქარი დაეწყო და უკან მიიქცა.

ჯარი რომ თავის წინ გაატარა, კახაბერი ცოტნესკენ მობრუნდა:

— მსახურთაგან ან თანზრდილთაგან ვის იახლებ, მთავარო?

— გუგუტა გამომყვება, სხვა არავინ მინდა... გუგუტა, სადა ხარ?

— აქ ვახლავარ, ზატონო! ცხენები მზად მყავს.

— მშვიდობით, კახაბერ!

— მშვიდობა და გამარჯვება ნუ მოგიშალოს უფალმა! — ქუდი მოიხადა კახაბერმა, ცას ვედრებით ახედა და ცხენი ადვილს მოსწყვიტა.

ადამიანი მუდამ ესაუბრება ვისმე. თუ თანამოსაუბრე არა ჰყავს, თავის თავს ებაასება, ჩუმად ედავება და ეკამათება, ან კვერს უკრავს და რაღაცას უწონებს, უღასტურებს. კაცი რომ განმარტოვდება და ფიქრობს, თავის თავს ისეთ რამეზე ესაუბრება, სხვას რომ ადვილად ვერ გაანდობს.

მაგრამ სავალდებულო როდია, ასეთ დროს ადამიანი მინცადამინც სხვისთვის გაუმხელელ საიდუმლოზე ელაპარაკებოდეს თავისთავს.

კაცს ყოველ ფეხის გადადგმაზე სჭირდება მრჩეველი, იმ ნაბიჯის გადადგმის დაშლელი ან წამახალისებელი. თუ კაცს მრჩეველი არა ჰყავს, თავის თავს ეეითხება ხოლმე რჩევას, საკუთარ თავთან დავაში ჩხრეკს თავისივე ან სხვისი მოქმედების აუკარგს და ჩვენ ამას ფიჭრს ვეძახით.

მიდის ცოტნე აღმართზე და ფიქრობს:

— ეს გზაც გაილევა, გათავდება და ოდიშის მთავრის სიცოცხლეც დასრულდება. სიცოცხლის როგორ ბოლოზე ოცნებობდა ცოტნე და ბედმა როგორი არგუნა! ბავშვობიდანვე სულ იმას ნატრობდა, რაიმე გამირობა ჩაედინა, თავი საქვეყნო საქმისათვის გაეწირა და სახელიანი სიკვდილის ღირსი გამხდარიყო. სად არ იქნია ხმალი ცოტნემ, რამდენჯერ გადადო თავი სასიკვდილოდ, მაგრამ სიკვდილმა გვერდი აუარა და, რომ არც აეულო, დიდ სახელს მაინც ვერ დატოვებდა — მოკვდებოდა სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში, როგორც ჩვეულებრივი მამულიშვილები კვდებიან, მოკვდებოდა ისე, როგორც ყველა კვდება. ცოტნეს კი სიცოცხლეც არაჩვეულებრივი უნდოდა და სიკვდილიც. შეეძლო კიდევაც ცხოვრებაც სხვათა მისაბაძი ჰქონოდა და სიკვდილიც სხვებისთვის მაგალითად დაეტოვებინა. შეეძლო, მაგრამ კაცი ბჭობს და ღმერთი იცინის! ბევრი რამ თვითონ ადამიანზეც არ არის დამოკიდებული, რაგინდ კეთილშობილი და დიდბუნებოვანიც არ უნდა იყო კაცი, ცხოვრების ჩარხი თუ უკულმა დაბრუნდა, წაღმა ველარ შეატრიალებ.

სიჩოობითვე წმინდა ცხოვრებისთვის ემზადებოდა ოდიშის მთავრის შემევიდრე. ბერად შედგომა არ დაანებეს, მაგრამ თავისი დღე ისე სპეტაკად გალია, მის სულს ბიწი არ მიჰკარებია,

პატიოსნება არსად შელახვია და ქრისტეს რჯულისადმი რწმენა არ შერყევია; არც სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში დაუხვეია უკან და არც საქართველოს მტერს შერიგებია არასოდეს. ვიდრე საქართველოს სამეფო სვებედნიერად ცხოვრობდა და თავისი დიდების მწვერვალზე იყო, ცოტნე იმისთვის ზრუნავდა, საეკარელი სამშობლო კიდევ უფრო გაძლიერებულიყო და განდიდებულიყო.

როცა საქართველოს ძლევა მოსილება დაეშხო, მის აღსადგენად პირველი ნაპერწკალი მან დაქვეყნა და შეთქმულები ცეცხლიც მან დაანთო.

მაგრამ თურმე ყველაფერს ბედი უნდა! ბედი კი ბრმა არის და ღირსეულსა და უღირსს ვერ არჩევს; ყოვლის ნიჭითა და სიკეთით შემყულს, სულითა და გონებით აღმატებულს ხშირად ფსევრზე მოიგდებს და ცოცხლად დამარხავს. მაშინ, როცა ყოველგვარ სამამაცო ზნესმოკლებულსა და ბიწიერებით საესე ბოროტმოქმედს ლაფიდან ამოატივტივებს, ხელში ქვეყნის საქებს მისცემს და სხვათა ცხოვრების გამრიგვედ გახდის.

ამიტომ ჰყავდათ წარმოდგენილი ძველ ბერძნებს ორთავთავალით ბრმად ბედნიერება.

— ჰო, მაგრამ შენ ხომ ამ მხრივ ბედს ვერ დაემდურები, ცოტნე! ცხოვრების ფსევრზე არასოდეს გდებულხარ, ყოველგვარი ნიჭითა და ქონებით საესე იყავი და ქვეყნის საქესთანაც ახლოს იდექი!

— მართალია, მაგრამ მართო ბედიც არ კმარა თურმე. დრომაც უნდა შევიწყოს ხელი და ბედნიერი ის ყოფილა, ვისაც კარგ დროში უცხოვრია! მამაჩემი შერგილი, უბედური რომ მეგონა, ბედნიერი ყოფილა, — ძლიერს საქართველოს ხელმწიფეს ერთგულად ემსახურა და ისე წავიდა სამშეოდან, პირადი უღიბლობის მეტი საწუხარი არა ჰქონია რა. საკუთარი უღიბლობა კი, სამშობლოსა და მთელი ერის უბედურებასთან რა მოსატანია! ამ მხრივ

ბიძაჩემი ვარდან ვაზირყოფილიც ჩემზე ბედნიერი აღმოჩნდა: უფლისა და ტახტის წინაშე თავისი დანაშაული მოიხანია და სამშობლოს სევსვიანობის ცქერით დამტკბარი წავიდა ამ ქვეყნიდან. მე კი პირადი ბედნიერებით ვანებიერებულმა, ისე უნდა გავლიო ჩემი დღე და წუთისოფელი, სამშობლოს უბედურებით მოკლული გული ვერ უნდა გავიხარო. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ცუდ დროში მომიხდა ცხოვრება.

— ცუდი და კარგი დრო არ არსებობს. დრო ისეთი დგება, როგორის ღირსიც ცხოვრების სარბიელზე გამოსული ადამიანები არიან. კარგი მამულიშვილები სამშობლოს კარგ დღეს უთენებენ, ცუდი თუ უხეირო მოღვაწეები — შავ დღეს!

— რას იზამ, როცა კაცს ცდა და შრომა არ გაუმართლებს, უხეიროდაც ჩათვლიან და ბედოვლათადაც. მთელი სიცოცხლე ტახტისა და სარწმუნოების ერთგული დამცველი ვიყავი, შინ და გარეთ მტერსა და მოყვარეს ღირსეულ პასუხს ეცემდი, ბრძოლის ველზე შიში არ ვიკოდი და სამშობლოს სადიდებლად სიკვდილი რომ მღირსებოდა — ღიხნად ჩაუთვლიდი.

— ეგრე იყო, მაგრამ ბოლომდე, მთელი ძალ-ღონით, მთელი შესაძლებლობით, ალბათ, ვერც ქვეყნის შიგნით დაიხარჯე და ვერც გარეთ, ვერც მოყვარეს შეუშუსუბუქე ტვირთი უკეთესი მომავლის გზაზე, ვერც მტერთან ბრძოლაში გასწირე თავი სხვათა სამავალითოდ. და ასე მარტო შენ კი არ ცხოვრობდი, შენს ირგვლივ ყველა დუნდა და თავგამოუღებლად ირგებოდა სამშობლოს ბედნიერებისათვის. ვანა ძლიერ საქართველოს ხერაზმელთა მოგერიება და უკუშტევა არ შეეძლო?! ვანა მონგოლებისათვის აგრე სამარცხვინოდ, უომრად უნდა დავეთმოს თქვენი მიწა-წყალი? ახლა იტყვი, ხერაზმელებთან ომში მონაწილეობა არ მიიძლიაო, გარნისთან დალატმა გასტევა ქართველთა ძლიერებაო. კარგი,

გარნისის ომში, ეთქვათ, შენგან დამოუცილებელ გარემოებათა გამო ვერ იბრძოლე. მერე მაინც თუ კამოვლიხე იმისთვის, რომ გარნისის მარცხის მიზეზები გაერკვიოთ და შინაგამცემები სამავალითოდ დაესაჯათ?!

— წამბდარ საქმეს რაღას ვუშველიდით, მაგრამ დამარცხებამ არ გავტეხა, ხმალი ქარქაშში არ ჩავაგეთ და სულტან ჯალალედინს მორჩილება არ გამოუფუცხადეთ. ის კი არა, რამდენჯერმე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შევებით და ბოლოს, ჰერეთხვებთან, ისე სამარცხვინოდ გვაქციეთ, რომ თავისი ხმლისა და სამეფო გვირგვინის წაღებაც ვერ მოასწრო.

— რაც იყო, იყო. წასულ საქმეს აღარაფერი ეშველება. მაგრამ ეს შეთქმულება ისე როგორ მოაწყვეთ, რომ აჯანყების წინა დღეს გამეღავნდა და დარტყმა მტერმა დაგასწროთ?

— მონგოლებს კარი ვაუღეთო, მე არ შეთქმის ეგ საყვედური. როგორ არ ვეცადე, იმ მტერს საერთო ძალით დავხვედროდი, მაგრამ ვინ მომცა მხარი?! საქართველოს მთავრები შეშინებულნი თავთავის ციხეებში ჩაიკეტენ და იმ ციხეების მიუდგომლობის იმეღზე დამყარებულებმა ერთი დროშის ქვეშ გამოსვლა არ ინებეს. სხვა რომ ვერა გაეაწყვე არა, ციხისჯვარელს მივეშველე ჩემი ხალხით და ერთ ხანს მასთან ერთად ვებრძოდი რაცხვით აღმატებულ მტერს. მერე, როცა მესხეთის წინააღმდეგობა გასტეხეს, მონგოლებთან, დიდის ცდით, ღიხნითმერეთში ვადმოუსვლელობის პირობა შევკარი და ნახევარი საქართველო ხარკით მოვარჩინე დაპყრობასა და აოხრებას. თუმცა ღიხნითმერეთი შედარებით მოსვენებულად ცხოვრობდა, მტრისგან დაპყრობილი დანარჩენი საქართველოსათვის ზრუნვა არასოდეს დამიგდია. როგორც კი ხელსაყრელი პირობები შეიქნა, აჯანყების ცეცხლის გაღვივებას შევუდექი. შეთქმულების სულის ჩამდგმელები მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოსათვის თავდადებული მამული-

შვილები, მონგოლთა უღლისაგან გამწარებული და სიცოცხლემოძულებული ერისმთავრები ვიყავით. ფიცი გვექონდა დადებული ერთმანეთს არ ვუღალატებდით და ცოცხალი თავით შეთქმულებას არ გავცემდით. საიდუმლოს მტკიცედ ვიცავდით და აჯანყების საქმე ბოლომდე მივიყვანეთ. მაგრამ წელნაც ვოქვი, წმინდა მოციქულთა შორისაც კი აღმოჩნდა ერთი გამცემი და ჩვენისთანა მოკვდავთა შორის რომ სულმდაბალი მოღალატე გამოჩენილიყო, რა გასაკვირი იქნებოდა!

— ეგ, ცოტნე... ცოტნე! ერთხელ თუ მაინც ჩაუფიქრდი იმას, თუ მონგოლებთან რისთვის მიდიხარ: ხომ იცი, სიკვდილი არ ატყდება. სხვა შენს ადგილზე მონგოლებს რომ ხელთ ჩაეპარდნოდა, ქრთამითა და სასყიდლით შეეცდებოდა თავის გადარჩენას. შენ მონგოლთათვის ხელმოუწვდომელი საქართველოს უპირველესი მთავარი ხარ, დუშნის თავადაც იწოდები. დაეცადნა ცოტა, შორიდან გეყურებინა, შეპყრობილ შეთქმულებს რა განაჩენს გამოუტანდნენ და, იმის კვალობაზე გემოქმედნა.

— რა გულმა უნდა გამიძლოს, როგორ შემიძლია წმინდა ფიცით ჩემთან შეკრულ შეთქმულთა წამებისა და დაღუპვის შორიდან ყურება. რა სინდისით უნდა ვიცხოვრო, შეთქმულებაში ჩემს მიერვე ჩაბმული ჩემი მეგობრები თუ სიკვდილით დაისჯებიან. სადაც ვაივლო, თითო საჩვენებელი უნდა ვიყო, კაცს ვერ უნდა შევიჩიოლო და დემურის ცხოვრება მაშინაც სჭირს, როცა შენი უმწიკვლო პატრონების იმედით თავაწეული დადიხარ. ისეთ სიცოცხლეს რაღა თავში ვიხლი, როცა ყველგან და ყველას წინაშე თავის მართლება დაგპირდება, იუდა და ქვეყნის მოღალატე არა ვარო.

— მაინც დაფიქრდი, მთავარო, იქნებ შენი სიცოცხლე იმისთვისაც იყოს საჭირო, რომ შეთქმულების გამცემის ვინაობა შეიტყო. ეგებ ისა სჯობდეს შორიდან უთვალთვლო, ჩუმად გამოი-

ძიო, ვინ გაპყიდა საიდუმლო, დრო შეუჩიო და ერის მოღალატეს ვეცდეს. მაგივრად შენ გაუსწორდე, როგორც შენ დაღუპული მოქმედების შურს იძიებ, თუნდაც იმ დღესვე ჩაბარდი მონგოლებს. მაგგვარ სიკვდილს შნოც ექნება და გამართლებაც. რატომ ჩქარობ, უაზროდ თავს რად იღუპავ? ფული ბევრი გაქვს და ქონება. მტრისათვის ლიხთიმურეთში მაინც მიუწვდომელი ხარ. მონგოლი ნოინების სიხარბე რომ იცი, არც ისე ძვირი დაგიჯდება მათი მოქრთამეა და შეთქმულებაში შენი მონაწილეობის კვალის წაშლა.

— ქრთამით ქვეყნის გარყვნას რომ ვუყურებ, სირცხვილით ვიწვი. ეგ და აკლია საქართველოს, ჩვენც, მისი საუკეთესო შვილები გარყვნილების ამ გზას დავადგეთ, ხალხს ქრთამით კანონისა და სამართლის სყიდვის მაგალითი მივცეთ. ეს ერის ერთიანი გათახსირების დაჩქარება იქნება და ამ სამარცხინო ნაბიჯის გადადგმას სიკვდილი მიჩვენია. სიცოცხლის შენარჩუნება გაცილებით იოლი საქმეა, ვიდრე ზნეობრივი დაცემის თავიდან აშორება. რატომ ჩქარობო, რომ შევითბები, ნუთუ ამ აჩქარების მიზეზი არ იყო? შეთქმულებს როგორმე ცოცხლებს უნდა მივუტწრო, ან მათთან ერთად უნდა ვიმართლო თავი, ან მათთან ერთად უნდა დავიღუპო. დათქმული გვექონდა, თუ ჩვენი შეკრების ამბავს გაიგებდნენ, ან პირდაპირ ბუკობის ადგილას შეგვიპყრობდნენ, თავი იმით უნდა გვემართლებინა, რომ ხარკის შესაკრებად ვიყავით თავშეყრილი. მონგოლებმა იციან, მე თუ შეთქმული ვარ, მათ სსიკვდილოდ ჩემი ნებით ხელთ არ ჩაეუფარდები, ფეხს ლიხთიმურეთში მოვიდგამ და სასჯელს გადავრჩები. მაგრამ თუ ჩემი ფეხით ურდოს მივადგები და მეც დანარჩენ შეთქმულთა ჩვენებას გავიმეორებ, ვფიქრობ ნოინები დაასკვნიან, მართალი რომ არ იყოს, აქ მოსვლას როგორ გავბედავდეთ. მონგოლები გულუბრყვილონი არ არიან, მაგრამ ქვეყნად შეუ-

ძლებელი არაფერია და ხომ შეიძლება ამ უმცირესმა იმედმა გამიმართლოს! ჩემს დროზე მისვლას კიდევ ერთი აზრი აქვს, თუ შეთქმულებს დალუპვა უწერიან, ნახავენ, რომ მეც მათთან ერთად ვარ შეპყრობილი და სასიკვდილოდ განწირული. თვალს ჩემი წყევლითა და აუგად ხსენებით არ დახუჭვენ და იმ ქვეყნად თან ჩემი გამცემობის ეჭვი არ წაპყვებათ. როცა შეთქმულების ყველა მონაწილე ჩემსა და რაჰის ერისთავს გარდა შეპყრობილია, ჩვენს იქით გამცემის ძებნა უაზრობაა. რაჰის ერისთავის უბრალოებას ისეც დავიჯერებდი, მაგრამ ერთადერთი მემკვიდრე ვაჟის ქართი გამოგზავნამ კიდევ უფრო დამარწმუნა მის ალაღმართლობაში — შეთქმულება რომ მას გაეცა, ჯარს რატომღა შეპყრიდა და შვილს დასაღუპავად როგორ გამოიმეტებდა. ასეა თუ ისე, ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა და, თუმცა ახლა მის სისწორესა და აუცილებლობაზე ვმსჯელობ, ეს მხოლოდ უკვე მომხდარი ამბის, გადადგმული ნაბიჯის საბუთებით გამტკიცების ცდა უფროა, ვიდრე ამ ნაბიჯის სისწორეში ეჭვის შეტანა.

წელან, როცა ურდოში გამგზავრების გადაწყვეტილება თითქმის დაუფიქრებლად მივიღე, მაშინვე ვიცოდი, სიკვდილის მეტი ამ გადაწყვეტილებაზე ხელს ვერაფერი ამაღებინებდა.

დანდობილად მიმავალი, სადავე მიშვებულნი ცხენი უცებ დაფრთხა და შეხტა. ცოტნე ფიქრისაგან გამოირკვა, უნაგირის ტახტაზე ხელის წაჭანება მოასწრო და გადმოვარდნისაგან თავი ძლიერ შეიმაგრა.

ბუჩქებიდან ასპასია და აბიათარი გამოძვრნენ.

— ხომ გეუბნებოდით, აბიათარო, ოდიშის მთავარი იქნებათქო. ვიცოდი უკან არ გაბრუნდებოდა.

— აქ რას აკეთებთ? — გაოცდა ცოტნე.

— შენ გელოდებოდით, მთავარო.

— აქედან გიყურებდით, ჯარი რომ

უკან გააბრუნე, ასპასიამ დაიღინა, იმისთანა გუმანი მაქვს, ოდიშის მთავარს ერთხელ ნათქვამს არ გადათქვამს და შეთქმულთა გზას დაადგებაო, დაიჩემა, სანამ არ დავრწმუნდები, რომ გაბრუნდა, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო. მე, მთავარო, შენი ფიცისა მჯეროდა და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ოდიშის გზას დაადგებოდი. მაგრამ მართალი ეს ქალი გამოდგა. ჯარის გაბრუნების შემდეგ აღმართს რომ ორი ცხენოსანი ამოჰყვა, დაიღინა, ერთი ოდიშის მთავარიო და, აგრე ყოველი სიკეთე აგზდენოდეს, მგავს ეგ აუხდა!

— სულ დარწმუნებული მაინც არ ვიყავი და ბუჩქებს იმიტომ ვეფარებოდი, უცხოს არავის გადაეყროდით.

— მაინც არ დაიშალე, მთავარო, არა?!

— ვერა, აბიათარ, ვერ დავიშლი.

— მაშინ ჩვენც თან გამოგყვებით, გზა კარგად ვიცით, ისე გატარებთ, ანისამდე მტერს არსად გადაეყრებით.

— ან ჩვენც წაგვიყვანე და გვიმსახურე, ან ორივე აქვე დავგვხოცე, მთავარო, — ცოტნეს ცხენის აღვირს დაეკიდა ასპასია და ატირდა.

— ჰო, ჩემო ბატონო! ან წაგვიყვანე და, ან აქვე დავგვხოცე, — გაიმეორა ცოლის ნათქვამი აბიათარმა, ქუდი ძოხანდა და მიწას დაახეთქა.

ოდიშის მთავარი მიხვდა, ცოლქმარს გადაწყვეტილებაზე ხელს ვერ ააღებინებდა.

სადავე აკრიფა, ცხენი დასძრა და გულაჩუყებულმა ხმის კანკალით თქვა:

— წამოდით, რაკი არ იშლით!..

გულზე ოქროს პაიცა დაიკიდა ოდიშის მთავარმა.

ღუმნისთავის ოქროს ამ პაიცით ყველგან პატივით ატარებდნენ ხოლმე და ახლაც ამის იმედად იყო ცოტნე.

მთავარ გზას ერიდებოდნენ, ტყე-ტყე და ხევხევ სიარულით მანძილს იმოკლებდნენ.

ერთი-ორჯერ მონგოლ ყარაულებს გადაეყარნენ.

ოჭროს პაიცის ძალამ გასჭრა, ანისს მიმავალი მთავარი შეუყოვნებლად გაატარეს.

დაღლილებმა ტყის პირას შეისვენეს. შეზინდებისას ცხენებს უნაგირები მოხადეს, საგზალი გადმოიღეს და წყლის პირას გაშალეს სუფრა.

— ღამე ბარემ აქ გვათიოთ და დილას ადრე გავუდგეთ გზას, — ბრძანა ოდიშის მთავარმა.

ხელპირი დაიბანეს და სუფრას მიუსხდნენ.

გრძელი, ძნელი გზით დაქანცულებს მაღიანად ჭამის თავიე ჰღარ ჰქონდათ. უგემურად ლოლნიდნენ და ხმას არ იღებდნენ, თითქოს სულერთი ყოფილიყოს, სჭამდნენ თუ არა და, საერთოდ, გააგრძელებდნენ თუ არა ცხოვრებას.

მხოლოდ ასპასია იყო წინანდებურად აფორიაქებული და შფოთლადუცხრალი, შიშამდგარი თვლებით მთავარს ამტერდებოდა და ყოველ წამს ფერფური მისდიოდა.

ძალღუმადურად დანაყრებულებმა ნაბდები გაშალეს და თავი უნაგირებზე მისდეს.

მთის მდინარე მთვარის შუქზე ხმალივით ელავდა და საამო, დამამშვიდებელი ჩხრიალით მიედინებოდა. ცოტნეს მშობლიური ნაინასავით ჩაესმოდა მდინარის ჩხრიალი. წამით აქვანში გაღვიძებულივით აიხედა მადლა და ვარსკვლავებით მოჭვიდილ უნაპირო ცას რომ შეხედა, უცებ ბავშვივით იმ ვარსკვლავების ხელის წატანება მოუწნდა.

საღლაც ბაყაყმა დაიყიყინა. მაშინვე მეორე აპყვა და მთელმა გუნდმა რომ ნაცნობი სიმღერა გააბა, ცოტნეს უცებ ერემლი მოადგა თვალს: წამით ხობის ნაპირი წარმოიდგინა, გულადმა გაწოლილს თავი გადიას კალთაში რომ ედო ხოლმე და გამდელის ნათქვამ ლექსს ხმამაღლა ასძახოდა ურიცხვი მნათობებით მოჭვიკვიებულ ცას:

ბუა დია ჩქიმი,

თუთა მუმა ჩქიმი,

ხეჩია-ხეჩია მურიცხეფი

და დო ჯიმა ჩქიმი.

მაშინ თვითონაც ხეჩია-მურიცხეს ჰგავდა ბატარა ცოტნე. სჯეროდა, რომ იმ ვარსკვლავებს მარტო ხმას კი არა, ხელსაც მოაწვდენდა და სოფლის ზრუნვისაგან შორს მღგარი, სამყაროს მთლიანობაში გათქვეფილი ყრმა უღარდელად იძინებდა უღუგადიას თბილ კალთაში.

მაინც კარგია ეს სიციცხლე, თუნდაც იმიტომ, რომ ყრმობის იმ განცდის გახსენება და ოცნებით ბავშვობაში გადასვლა შეუძლია ადამიანს!

ნეტავ სულ იმ ოცნებით ცხოვრება შეიძლებოდას ამ ქვეყნად, იმ წმინდა გულით იყოს დაკავშირებული ვარესამყაროსთან ადამიანი, უმანყო გულით, რომელმაც არც სიკვდილის არსებობა იცის, არც დალატი და არც ასაკში შესულთა ურთიერთობის სხვა რამ ჰქუჭყი.

რას იფიქრებდა ხობის პირას მეოცნებე ბატარა ცოტნე, რომ ოდიშის მზისა და მთვარის შეილს, მოციმციმე ვარსკვლავების უმცროს ძმას, ოდესღაც ამქვეყნიური ჰუჭყი ზღვასავით მოადგებოდა და თავისი ფეხით სასაკლაოზე წასვლას აიძულებდა. შეებრაულა თავისი თავი, უდანაშაულოდ გაწირული ცოლშვილი და იმ დიდ ჰუჭყში დამხობილი საშობლო, რომელიც თვითონ ცოტნეც იყო. ის ვარსკვლავებიანი ღამეც და ამ ქვეყნად განცდილი ყველა სიამეც. წამით, მთელ სხეულში რაღაც მომთენთავე სითბო და სიღბო იგრძნო ვაჟაკმა და ყელში ბურთი მოაწვა.

— არა გძინავს, მთავარო? — გაკრძალულად, ხმადაბლა იკითხა აბითარმა.

— არა, არ ძძინავს, — გაეპასუხა ფიქრიდან უცებ გამოაკვეთული ცოტნე.

— ზღაპარს ან იგავს რასმე ვიამბობს ჩემი მეუღლე თუ ინებებთ. წედან მოვითათბირეთ და განვიზრახეთ რიგრიგობით მოგითხროთ ხოლმე დარდის უჯუსყურელად ან ფიქრთ ვასარ-

თველად არაკი და იგავი; არა გუნების დასამძიმებლად, არამედ ნაღვლის გასაქარებლად გეტყოდეთ არაკთა, რამეთუ სიბრძნეცა სიცრუისა სარგებელი იყოს გულის ხმა ყოფად კაცთა.

— იყოს ნება თქვენი, — დაეთანხმა ცოტენ და ნაბაღზე წამომჯდარმა ასპასიამ დაიწყო:

— ისმინე, მთავრო და ცხონდი უფუნითი უქუნისამდე! აღმათ გახსოვს ჩემი პატრონი ფაკირი, მთავარო, გრძნეული იყო ინდოელი ფაკირი, ფეხშიშველა გავარჯრებულ ნაკვერცხლებზე დადიოდა და მუსიკობით გველი ხერელიდან გამოჰყავდა. ცარიელი ძვალი და ტყავი იყო და თითქოს კუნთიც არ ჰქონდა, მაგრამ რომ დაიძაბებოდა, მთელი სხეული ერთ რკინის ძარღვად გადაექცეოდა ხოლმე. მაშინ გულზე საპალნით დატვირთული ურმის გადავლას უძლებდა და მნახველებს ეს ჩვეულებრივი იოგი სასწაულთმოქმედ ჯადოქრად ეჩვენებოდათ. აღრეც მითქვამს, პაწაწინა ვოგო ვიყავი, ფაკირმა რომ მიყიდა. ჩემი ახალი პატრონისა ყველაფერი მათეცებდა, მაგრამ ყველაზე დიდ საკვირველებად ის ზღაპრები და არაკები მეჩვენებოდა, რომელთაც იშვიათი შთაგონებით მიამბობდა ხოლმე ძილის წინ დედის აღერსს მონატრებულ ბავშვს. იმ იგავთაგან ჩემს მეხსიერებას ბევრი შემორჩა და მინდა ერთი გიამბო.

თქვა ასპასიამ არაკი:
მტრის მინდობისა და თავის
გაუფრთხილენლობისათვის.

თქმულა: პატრონისა ერთსა ცხვრისაფარა ჰყავდა მრავალრიცხოვანი. ცხვრის ფარის წინამძღოლი ვაცი იყო, ელქაჯი, ახოვანი, რქამაღალი, ბეწვგრძელი და უნიშნოდ თეთრი, ვითარცა სპეტაკი თოვლი.

ელქაჯი იგი ძლიერი იყო და უხორცოსავით უშიშარი, არა თუ ვაცი არსად იპოვებოდა მისი მომრევი, მგლებიც კი მასთან პირისპირ შებმას

უფრთხოდნენ და მისი წვეტიანი რქების შიშით ფარებს ახლო არ ეჭიკრებოდნენ.

გონებალმატებული ვაცი დღედაღამ ფარის უკლებლობისათვის ზრუნავდა, გზებზე წინ ფრთხილად უძღოდა და ბალახითა და მწვანით ნაყოფიერ საძოვარს ურჩევდა, ცხვარს ერთ წუთსაც თვალს არ აცილებდა, მწვემსთა და ნაგავთაგან შორს არ უშვებდა, ღამით ძილფხიზლად ეძინა და მცირე ჩქამიც კი არსაიდან გამოეპარებოდა.

რა არ იღონეს მგლებმა, მაგრამ ვერც ძალითა და ვერც ეშმაკობით ხერხიან ვაცთან ვერა გააწყეს რა.

ღამშმა და შეწუხდა მგლის ზროვა. შეკირვებულნი თავიანთ ხელმწიფესთან შემოკრბნენ და შველა თხოვეს:

— ხელმწიფე ჩვენო, მაღალო და განგებანიო, უფალო ტოტია! ხორცის უჭმელად მგლის დარჩენა დღემდე არ თქმულა. რაც ეგ ელქაჯი ცხვრის ფარის წინამძღოლია, ბატონის გემო გვენატრება. საკუთარ სიფხიზლესა და მწვემსების ძალას მინდობილი, ცხვარს თვალს არ აშორებს და ცოცხიავს არ აკარებს. შენი მაღალი გონებითა და ძალით მაგ ვაცი მოგვაშორე და, ჩვენ ძველებურად ერთგულ სამსახურს არ მოგაკლებთ, არც შენ გამოგიღვეთ თიკნის ჩვილ ხორცს და ჩვენც მამღარნი ვიქნებით!..

ტოტია თავდაც საგონებელში იყო ჩავარდნილი, იმ ვაცს წყევლიდა და დღედაღამ იმის ხერხისა და ღონის ძიებაში იყო, თუ ის უძღვევლი ვაცი თავიდან როგორ მოეცილებინა.

ტოტიამ თავის ქვეშევრდომთ მეფურად აღუთქვა დახმარება და თვითონ შინ ჩაიკეტა, ბუნავში.

ორ დღეს არც ვარეთ, სამზოვზე გამოსულა, არც ბუნავში შეუშვია ვინმე.

მესამე დღეს გამობრძანდა, თან არავინ იახლა, ცხვრის გეში აიღო და ფარას უკან ადღევნა.

ძაღვები რომ თეოზე წამოწვენენ და მწვემსები პურისქამად დასხდნენ,

ტოტია ფარას მიუახლოვდა, ბუჩქებს ამოეფარა და ვაცს დამტკბარი ხმით დაუწყო ხეყნა:

— გონებითა და ძალით ყოველთა სულდგმულთა აღმატებულთ, ბეწინავ! დიდი ხანია შენს ქვეყასა და ცხოვრების რიგს ვაკვირდებით და ვერც შენს მოქმედებას, ვერც სიტყვა-პასუხს და თავის დაჭერას ზადი ან ნაკლი ვერ მოუფიქრებ. აწ მგელთა მოდგმა დიდს განსაცდელს ჩაეარდა და შენს მტის ჩვენი შველა არაგის ძალუძს. გვედრებში, დაივიწყე ჩვენი ძველი მტრობა, ვითარცა კეთილად განმბრძობმა და დიდბუნებოვანმა, დახმარების ხელი გამოგვიწოდე და სრულ მოსპობას გადაგვარჩინე. ალბათ დააკვირდებოდნი, რა ხანია, შენი ფარიდან ჩემს ქვეშევრდომთ ერთი ბატკანიც არ მოუტაცინიათ. არ იკითხავ, რატომო?

— რატომო? — დამციხავად დაიკიკინა ბეწინამ და თვალი ამაყად მოავლო მწვანე გორაკზე შეფენილ ურიცხვ ფარას.

— რატომ და სიზმარი ვნახე ექვსი თვის წინათ. უფალი გამომეცხადა და მიბრძანა: არც შენ, არც სხვამ შენმა ხელქვეითმა ხორცის გემო აღარ ვასინჯოს, რადგან მე ასე გადავწყვიტე, ცოცხალი თოხფეხის კვლა და მათი ხორცის ჭამა დიდი ცოდვა არის და ვინც ამიერიდან სულდგმულის ხორცს საჭმელად ვაეყარება, ჩემგან დაწყებული იქნება ორსავე სოფლის — სააქათ და საიჭით ცხოვრებაშიო. შეშინებულმა უფალს ამის კითხვა გავუბედე: ჩვენი ჯიში დასაბამიდან ხორციით იკვებებოდა და აწ თუ ამას გვიკრძალავ, თავი რით ვირჩინოთ-მეთქი. მათ, ვინც უკვე ხორცის გემო იცის და აქამომდე ამით უცხოვრიათ, არ მოვაშინებ, უკმელად შევინახავ ისე, რომ მათ დღის დასასრულამდე მაძლარი იყვნენო, ხოლო თქვენს ლეკვებს ფოთლისა და ბალახის ჭამას ვუწესებ კანონად ამიერიდანო. ეს იცოდე და სხვებსაც სავალდებულოდ გაუხადე, მგლის ლეკვი რომ გაჩნდება; ბალახისა და ნე-

კერის ჭამას შეაჩვიეთ და ხორცს ახლო არ გააქართო. უფლისკეს ბრძანება სამგელეთს კანონად დაუდგინე და მას აქეთ, შენც ხედავ, მგელი ცხვარს აღარ იტაცებს, მაგრამ ღვთის წყალობით, არც მშვიერია და აღარც ხორცის ჭამის სურვილი აქვს. მგლებს კი ეშველათ, მაგრამ ახლად დაბადებულ ლეკვებს ვერაფერი მოუხებრებთ, ბალახის ძოვა და ნეკერის კიკნა ვერ ვასწავლეთ. ღვთის ამ ბრძანების შეუსრულებლობამ შემაშინა და ძილში უფალი რომ ხელახლა გამომეცხადა, ჩემი ვაჭირებმა მოვახსენე. ღმერთმა ასე მითხრა: მგელი თავის ლეკვს ნეკერის ჭამას როგორ ასწავლიდაო. ერთი ვაცი არი დიდი ფარის ელქაჯი, რომლის ქება ჩვენამდისაც დიდი ხნის მიღწეულიაო, გონებით აღმატებულ ვაცს ბეწინა ჰქვია და შენი შვილების აღმზრდელად ის მოიწვიე, მისებრ, სხვა, მგლის ლეკვს ნეკერის ჭამას ვერაფერს ასწავლის და მისი გაკვეთილი სხვებისთვისაც სამაგალითო იქნებაო.

— ეგ საცენკი შენს მგლებს დაუყარე! — გასძახა ბეწინამ და ერთი ვაზმით დაიკიკინა:

— ბეწინავ, ღვთის ბრძანების შეუსრულებლობას ნუ იკადრებ, უფალი მოწმეა, მის სიტყვას სრულად და სწორად მოვახსენებ, ჩვენი ვედრება ისმინე, ჩვენს ბალებს ფოთლითა და ბალახით თავის გატანა ასწავლე, ისინიც გადავირჩინე და შენც ღვთის რისხვა აიცილე თავიდან.

— როგორც წყალი და ცეცხლი ვერ თვისობს ერთიმეორეს, აგრეთვე თხა და მგელი ერთად ვერ მოძოვს. ტყუილად ირჩები, ტოტიავე, ბრძევი ნუ გგონივარ, დამეხსენი, თორემ მწყემსებსა და ნავაზებს მოვისმობ და აქედან ცოცხალი ველარ გაასწრებ, — მოუჭრა ბეწინამ.

სხვა რა გზა ჰქონდა და, ტოტია მეორე დღესაც მივიდა. ბუჩქს ამოფარებულმა გუშინდელი თხოვნა გაჟმეორა და ესეც დასძინა:

— ვიცო, ბეწინავ, ფრთხილი ხარ

უკლამ სიძნობისა და სულდგმულთა სიძნობისა

და მგლის სიტყვას არ ენდობი. ჩვენი მუხტლობის შიში რომ არ გჭონდეს, თან ცხვრის ყარაული ნაგაზები წამოიყვანე, ვიდრე ჩვენს შვილებს მწევანის ძოვას ასწავლი, ის ძალები იქ გყავდეს და თვალს ნუ მოგაშორებენ. თუ ამასაც არ დაჯერდები, ჩემს მემკვიდრე ლევს მოგიყვან მძველად, ამ ბუჩქთან დავტოვებ და თქვენებს დაუბარე, შენ თუ ჩვენგან მცირე წყენა რამე მოვადგება, ის ლეკვი ასო-ასო დაგლიჯონ და ჩემი ტახტი უმემკვიდროდ დასტოვონ.

ბეწინამ წამით ნეკერის კიკნა შეწყვიტა და ცალი თვალთ უნდოდ გახედა ტოტიას.

— ჰოი, გონებითა და სიბრძნით ამაღლებულო! მოაპყარ სასმენელი ჩემს ვედრებას, ირწმუნე ჩემი უხაკველი მეგობრობა. იყოს მშვიდობა და სიყვარული ჩვენს შორის, დაეხმარე ჩვენს შვილებს ღვთის ბრძანების ასრულებაში, ასწავლე მათ ბალახის ძოვა და გადაარჩინე ჩვენი მოდგმა შიმშილით ამოწყვეტას.

ბეწინამ წარბი შეიკრა, უარის ნიშნად თავი გააქნია, წვერი გულმოსულმა ააცანცარა და ფარა უფრო ახლო მისწია მწყემსნებისკენ.

მესამე დღესაც აპირებდა ტოტია თხოვნითა და ვედრებით ბეწინასთან მისვლას.

მაგრამ, სწორედ იმ დღეს, ელქაჯს მარცხი შეემთხვა, დაგორებულმა ქვამ ფეხი ატკინა და ვაცი ფარას ჩამორჩა. ვიდრე ბეწინას მკურნალობდნენ, მგლებმა დრო იშოვეს, უმეთაუროდ დარჩენილი ფარა დაიმარტოხელეს, თავს დაეხსნენ და ცხვარი თითო-თითოდ დაიტაცეს.

ბეწინა რომ შორჩა და ფეხზე დადგა, მომხდარი უბედურება შეიტყო. წვერი დაიგლიჯა და ცხარე ცრემლი ჰყარა. მერე ბაკში ჩაიკეტა და იმის საგონებელს მიეცა, თუ გატაცებული ცხვრისათვის როგორ ეშველა. დიდმა ჯავრმა და განსაცდელმა, ეტყობა, გონება დაუბნელა და სიბრძნის ნათელი

დაუშრიტა. ბევრი ფიქრის შემდეგ, ტოტიას ნათქვამი გაიხსენა და წყალწალღებულოვით ამ ხავსს მოეჭირდა.

— ჩემი ბრალია, მგელთა ხელშეწყობის ხეწინას ყური არ ვათხოვე. მგლის ლეკვების აღზრდაზე უარი რომ არ მეტქვა და მათთვის ფოთლისა და ბალახის ჭამა შესწავლებინა, ამ დღეში არ ჩავვარდებოდი! — გულში მჭიდის ცემით მოსთქვამდა ბეწინა.

— ეგ რა თქვა, ბრძენო და განგებინაო, თხა და ცხვარი მგლის აღზრდელი როდის ყოფილაო, — მოახსენეს ბეწინას ნათქვამით გაოცებულმა თხებმა.

— თქვენ არ იცით, ეს ერთი ხანია, მგლებს ღმერთმა ხორცის ჭამა აღუკვეთა და კანონად დაუწესა, ამიერიდან თავიანთი ლეკვები ბალახითა და ფოთლით ჰკვებონ, — აუხსნა ბეწინამ და თხებს ტოტიას ნათქვამი წვლილად უამბო.

თხებმა ერთმანეთს გადახედეს და კრძალვით შეჰხედეს:

— მგლის ფიცი თხებისთვის სარწმუნო როდის ყოფილა, ბეწინა აღბათ ხუმრობს, რომ ჯავრი შეგვიმსუბუქოსო.

— რა მეხუმრება, გულღვიძლში ცეცხლი მიკიდიო! — გაწყრა ბეწინა, — როგორ ვერ შეიგნეთ, მგლები ღვთის ბრძანებას ვერ გადავიდოდნენ, ხორცს ვერ შესჭამდნენ და თუ შვილებს ბალახის ძოვას არ ასწავლიდნენ, ლეკვები როგორ უნდა ერჩინათ?

დავიღუბეთ, ჯავრისაგან შემშლილა ჩვენი წინამძღოლიო, გაიფიქრეს თხებმა და ხან ხუმრობით, ხან გონიერული რჩევით, ცდილობდნენ ბეწინასათვის ტოტიასთან წასვლის უაზრობა ჩაეგონებინათ.

— თქვენი ჩლუნგი გონება ჩემი გადაწყვეტილების სიბრძნეს ვერ ჩაწვდება. ერთ კვირაში მოვრჩები ტოტიას ლეკვების წვრთნასა და ფარასაც უკლებლივ დავიბრუნებ. თქვენი რჩევა და შეგონება მე არ მჭირდება და ამის

მეტი ამ საქმეზე აღარა მითხრათ რაო, — მოსკრა ბეწინამ.

— რაკი ჩვენი არ ვჯერა და მგლებთან წასვლას არ იშლი, წადი, მაგრამ შენს თავს დააბრალებ, შენც რომ ჭიანჭველების მამასახლისივით დაგემართოსო, — უთხრეს თხებმა.

— ეგ როგორ ყოფილაო, — იკითხა ბეწინამ.

— მაგ არაკს მე მოგახსენებ, — ჩამოართვა ცოლს სიტყვა აბიათარმა.

— კარგი, დანარჩენი შენ თქვიო, — დაუთმო ქმარს ასპასიამ.

თქვა აბიათარმა არაკი:

— უთქვამთ, ქვეყანასა შირვანისასა, ერთ ტყეში ულვაშიანი ჭიანჭველები ცხოვრობდნენ. მათ მამასახლისს სხვაზე გრძელი ულვაში ჰქონდა და ამიტომ ულვაშას ეძახდნენ.

ულვაშა ბრძენი და გონიერი, მტერთაგან უმღეველი და მოურევნელი ვაჟაკი ყოფილა. დღედაღამ თურმე იმას ზრუნავდა, თავისი სამფლობელო გაეძლიერებინა და თავისი ქვეშევრდომნი გაემრავლებინა. მისი შიშით მტაცებელი ახლო ვერსად ჰქანებდა და ჭიანჭველებს სიმშვიდეს ვერაფერ ურღვევდა.

ერთხელ ულვაშა, რამდენიმე ჭიანჭველის თანხლებით აღზევანს წავიდა მარილის მოსატანად. ქვეშევრდომნი დაარიგა, მის დაბრუნებამდე შორს არსად წასულიყვნენ, ქალაქის გალავანი გაემაგრებინათ და კარი არავისთვის გაეღოთ.

ჭიანჭველები მტკიცედ იცავდნენ მამასახლისისათვის მიცემულ სიტყვას, ვალენიდან ვარეთ არ გადიოდნენ და შიგ უცხოთაგან არავის უშვებდნენ.

ურთ დღეს ტყეში ხანძარი გაჩნდა. ცეცხლის ალი ირგვლივ შემოურტყა ჭიანჭველების ქალაქს, აღარც არსად გასაქცევი იყო, აღარც დასამალავი. ცეცხლმა შიწის ზედაპირიც კი ნახშირად აქცია. სიმხურვალემ ღრმად ჩააღწია ჭიანჭველების ბუდეში და ყვე-

ლა, ვინც ქალაქიდან შორს არ იყო, ერთიანად დაიღუპა.

აღზევნიდან მობრუნებულ ულვაშასა და მის მხლებლებს აღარც ტყე დახვდათ და აღარც თავიანთი საყვარელი ქალაქი. ფერფლისა და ნაცრის სქელი ფენა გადაფარებოდა მათ კერასა და ნაშრომ-ნაღვაწს.

აღზევნიდან ვაივგალახით ჩამოტანილ მარილს რაღა თავში იხლიდნენ. დასხდნენ დანაცრებულ ნაქალაქარზე და ცხარე ცრემლით იტირეს.

ულვაშამ, მოთქმითა და გოდებით გული რომ იჯერა, დაიფინა, ცეცხლის მეუფესთან უნდა წავიდე, ხანძარს სიასტიკე უნდა ვიჩიელო, ქალაქის აღდგენა და ჭიანჭველების ვაცოცხლება უნდა შევევედროო.

— ცეცხლისაგან დანახშირებულის აღდგენა და ფერფლად ქვეულის ვაცოცხლება სად გინახავსო, — შეჰბედეს ხელქვეითებმა.

— თქვენ რა იკით, ცხრა მთას იქით ცეცხლთაყვანისმცემელთა სალოცავია, მიწიდან ალი ამოდის და ის არის ცეცხლთა უფალი. ბევრჯერ მინახავს, იმ ალთან მიორწმუნე ადამიანები მიდიან, ლოცულობენ და რასაც შესთხოვენ, ცეცხლის უფალი მყისვე უსრულებსო, — დამაჯერებლად თქვა სიმართლეში დარწმუნებულმა ულვაშამ.

— ვაი, თუ ვერც დაღუპულებს უშველო და, შენი თავიც წააგო, — უთხრეს ჭიანჭველებმა, მაგრამ მამასახლისმა ნათქვამი აღარ გადათქვა და ცხრამთას იქით წასვლა არ დაიწყო.

საგზალი დაუშხადეს და ორი ერთგული ჭიანჭველის თანხლებით ულვაშა შორეულ გზას გაუდგა.

როდის-როდის, ცხრამთა გადაიარეს და ცეცხლის უფალთან მივიდნენ.

მიწიდან გუგუნით ამოდიოდა ალის მაღალი სვეტი. ირგვლივ მსხვერპლად შეწირული ხედავის ხორცი ეყარა და თავყანსაცემად დამხობილი მლოცველები ვედრებას ადავლენდნენ.

ულვაშამ თავი შორიდან დაუქრა

დაუქრა თავი შორიდან დაუქრა

და ცეცხლის უფალს საჩივარ-სათხოვარი მოახსენა.

— ახლო მოიწი და ხმამალა მითხარი, ამ გუგუნიში არ მესმისო, — უთხრა ცეცხლის უფალმა.

კინკველა აღისკენ წავიდა და თუმცა მოახლოებული ცეცხლის სიმბურვალისაგან საფეთქლები ასკდებოდა, სათხოვარ-საჩივარი ხმამალა გაიმეორა.

— ცოტა კიდევ მოიწი, რომ უკეთ გავიგონო, — უბრძანა ცეცხლის უფალმა.

ულვაშა აღისკენ დაიძრა, სიცხისაგან ვაოგნებული თვლით ველარაფერს ხედავდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და ბარბაცით შაინც რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა.

უცებ, თითქო ჭარმა დაუბერაო, აღის სვეტი წამოიხარა, ულვაშა აიტაცა და შთანთქა.

მტრის მიმნდობსა და თავის გაუფრთხილებელს, მუდამ ევრე მოსვლია, ბეწინავ. როგორც იმ კინკველამ ვერ უშველა თავის დამწვარ სამწყსოს და თვითონაც დაიღუპა, შენც ეგ ბედი მოგელის, თუ მგლებთან წასვლას არ დაიშლიო, — უთხრეს თხებმა ბეწინას და თავი დაუკრეს.

ბეწინამ თხების შეგონება არაფრად ჩააგდო, საგზალი გაიმზადა და გზას გაუდგა.

მგლების ბუნავს სადღესასწაულოდ გამოწყობილი, ისე მიადგა, თან არც მწყვემსები წაიყვანა, არც ნაგაზები იახლა.

ტოტიას ბუნავის წინ შეჩერდა, ერთი გრძლად დაიკვირნა და წვერი დააცანცარა.

თხის კიკინზე შიშშილით მისუსტებულ ტოტიას გაედვიძა და ბნელი ბუნავიდან ცეცხლოვანი თვალებით გამოანათა.

— უძლეველო ხელმწიფე! — თავი მდაბლად დაუკრა ბეწინამ, — ეწუხვარ, რომ აქამდე არ ვიღე ყურად თქვენნი ბრძნული რჩევა. შეცდომა მოვინანიე და მოვედი მეფის ძეთა აღსა-

ზრდელად. სიტყვას გაძღვევ, მსგეფსზე შენს მემკვიდრეებს უკვე ეტოდინებათ ნეკერისა და ბალახის ჭამა და ვინმელო აქ გამორეკილი ჩემი ფარა უკლებლად დამიბრუნო.

მსუქანი ვაცის დანახვით მდაბლძრულ ტოტიას პირს ნერწყვი მოსდგომოდა.

— ახლო მოიწი, ბეწინავ, ლეკვები აქ არიან და შენ თვითონ წაასხი სასწავლებლად, — გამოსძახა ტოტიამ ბუნავიდან.

ვაცი უშიშრად წავიდა ბუნავისაკენ. ის იყო, ბნელში თავი შეჰყო და... ტოტია ეცა. დაყვირებაც ვერ მოასწრო უბედურმა, ისე დააგდო ყელგამოლადრული მგელთა მეუფემ.

მგლის ბუნავში მისულმა ბეწინამ ველარც თავისი ფარა იხსნა, და თავიდაც მგლის კერძი შეიქნა.

მთავარო, ამ არაკის სიბრძნე ის არის, ჭკვიანი კაცი თავს გაუფრთხილდეს, მტერს არ მიენდოს და დაუფიქრებლად თავი სასიკვდილოდ არ გასწიროს.

— მივხვდი, აბიათარ, მაგ იგავის აზრს, ბევრ სხვასაც მიხვედრილი ვარ, მაგრამ ჩემი უკან გაბრუნება არ შეიძლება, ერთხელ მიღებული გადაწყვეტილება უნდა აღვასრულო და კობტის-თავის შეთქმულებთან ერთად უნდა ვაგო პასუხი ნოინების წინაშე. — მშრალად მოსჭრა ცოტნემ და ხმამალა დაამთქნარა.

— იყოს ნება შენი, — წაიღუდუნა აბიათარმა.

— ძილი ნებისა, მთავარო!

— ძილი ნებისა!

გულის ძილში წასულმა ცოტნემ ზმანება ნახა.

სიშრად სადღაც ძნელი და გრძელი გზით მიდიოდა. გზაჯვარედინს მიადგა და შეჩერდა.

გზის გასაყართან უზარმაზარი ლოდი იდო. ლოდზე დიდი ასოებით ეწერა:

მარცხნივ წახვალ — იხანებ...

მარჯვნივ წახვალ — ინანებ...

ჭერ მარცხნივ გახედა, მერე მარჯვნივ: არც ერთ მხარეს გრძელი, უსასრულო გზის მეტი არაფერი ჩანდა.

აქთაც დააპირა წასვლა, იქითაც, მაგრამ ყოყმანი ვერ დაძლია და ორთაგან ვერც ერთ გზაზე დადგმა ვერ გახედა, რაკი სიკეთეს არც ერთი არ პირდებოდა.

საგონებელში ჩავარდნილი ლოდზე ჩამოჯდა.

ზის და ფიქრობს ცოტნე, საით წავიდეს, რომელი გზა სჯობს.

ფიქრში წასულს თავს ვარდან ყოფილი — კირიონ წინამძღვარი დაადგა. ნავაზირალი ბრწყინვალედ იყო შემოსილი, სწორედ ისე, დასაფლავებისას კუბოში მწოლარე რომ ნახა.

ცოტნემ ბიძას ახედა და გაუკვირდა, აქ რა უნდა, ან საიდან გაჩნდა ვარდან დადიანით.

საზეიმოდ გამოწყობილ ვაზირ ყოფილს ალბათ ისევ მეფის ძალა-უფლებასა და სულის უკვდავებაზე სურს საუბარი ძმისწულთან, მაგრამ ახლა ცოტნეს ამისთვის სადა სცალია, გზა-ჯვარედინზე დიდხანს არ გააჩერებენ და ორთაგან ერთი გზა დროზე უნდა აირჩიოს. ცოტნემ ისევ თავი ჩაჰკიდა და თავისისავე საგონებელს დაუბრუნდა:

მარცხნივ წახვალ — ინანებ!

მარჯვნივ წახვალ — ინანებ!

მესამე გზა არ არის და ორი საფრთხისაგან რომელი აირჩიოს ცოტნემ?

უიმედო, დაუსრულებელი ყოყმანითა და ბჭობით გაბეზრებულ ცოტნეს ვარდან-კირიონის ხმა ჩაესმა და სმენად იქცა. ზარიანი ხმით მეტყველებდა წინამძღვარი და ცოტნეს ზეციდან მთავარანგელოსის ძახილად ეჩვენა მისი ნათქვამი:

— ცხოვრებაში დგება ხოლმე გადაწყვეტი, საბედისწერო წამი. იმ წამს მიღებულ გადაწყვეტილებაზე ხშირად, არა მარტო ერთი კაცის ბედია დამოკიდებული, არამედ მთელი ერის ღირსება-მომავალიც. პიროვნებისა და მთელი ერისათვის ამგვარი საბედის-

წერო წამი მხოლოდ რჩეულთა ცხოვრებაში დგება. ყველაფრით გეტყობა, ღვთისაგან რჩეული ხარ. ამიტომ კარგად დაიხსოვ: იმ წამისათვის ერთადერთი სწორი პასუხის გაცემა მეტწილად მსხვერპლს, თავგანწირვას მოითხოვს. მსხვერპლის გაუღებლად საშვილიშვილო საქმე არასოდეს გაკეთებულა და უკვდავის სახელი არავის დაუმეციდრებია. ღმერთმა ჰქნას, ერის ცხოვრების ამ საბედისწერო წამს სწორი გადაწყვეტილება მიგელოს და შენს მიერ გადადგმული ნაბიჯი ღვთისა და ხალხისათვის მოსაწონი და საქებური ყოფილიყოს!

— ეგ ყოველივე უკვე მითხარი ერთხელ, წინამძღვარო. შენ ახლა ის მირჩიე, ორთაგან რომელ გზას დავადგე და საით წავიდე.

— მე ვერ გირჩევ, ცოტნე, ვერც სხვა ვინმე მოკვდავთაგანი მიგანიშნებს არჩევანს. მიჰყევი შენი გულისა და სინდისის კარნახს — შენს შინაგან ხმასა და ზეგარდმო შთაგონებას. ის მიგაღებინებს ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას და შენი ეს ნაბიჯი შემდგომ თაობებს საამაყოფ და თავმოსაწონებლად ექნება.

ცოტნემ დამცინავად გაიღიმა. უნდოდა ბიძისათვის საყვედური ეთქვა, ჩემი ბედისა და მომავლის გამორჩევაში წილს არ იღებ, პილატესავით იბან ხელს და პირდაპირ პასუხს თავს არიდებო.

თავი ასწია და გაოცდა: ვარდან დადიანი აღარხად იყო.

გონს მოსვლა ვერ მოასწრო, რომ მალე ღრუბლებში რაღაც მძიმედ დაირხა, მერე დაბლა დაეშვა და ფრთავაშლილი არწივი ცაში ცოტნეს სწორა გაჩერდა.

ცოტნეს უმაღლე დაავიწყდა ბიძაცა და მისი შეგონებაც.

— არწივი! — აღტაცებით აღმოხდა ოდიშის მთავარს.

— ამირანის არწივი! — აღმოხდა იქვე ვიღაცას და ცოტნეს ხმა ეუცნაურა.

არწივმა ირაო შეჰკრა, ფრთა ღონიერად მოიქნია და ფრენით იმ მხარეს გასცურა, საითაც მარცხნივ მიმართული სამხრეთის გზა მიდიოდა.

— ამირანის არწივია! მიჯაჭვეული გმირის გულ-ღვიძლის საკორტნად მიფრინავს! — ჩაესმა ისევ და ცოტნემ ივლიანე-მოდღერის ზმა იცნო.

აღშზრდელის სიახლოვით გაბარებულმა ცოტნემ თვალი მოავლო იქაურობას, მაგრამ ამოად; ივლიანე მოძღვარი არსად ჩანდა.

არწივი ნელნელა, დინჯად მიფრინავდა მარცხნივ, სამხრეთისაკენ მიმავალი გზის სწორა, ზოგჯერ შეჩერდებოდა, თითქოს ვინმეს უცდიდა, მერე ისევ გაჰკრავდა მხარს და მძლავრი ფრთების ქნევით თითქოს ვიღაცას ეძებდა თავისკენ.

ცოტნე მიხვდა, არწივი მას უხმობდა.

თითქოს მიწას მოსწყდოა, ფრთაშესხმულივით დაიძრა არწივის მიერ ნაჩვენები გზით სამხრეთისკენ და...

ეშველა საგონებელში ჩავარდნილ მთავარს — სული ამალდა და სხეულში შეება ივრძნო, გული ვახალისდა და გონება განათდა.

მერე ყველაფერი აირია: სიცხე იყო და ცოტნე ფეხშიშველა მიაბიჯებდა უღელტეხილის აღმართზე. უზარმაზარ ხის ჯვარს დიდი ვიწვავლახით მიათრევდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და წყურვილით პირი უშრებოდა.

ვიღაც ჰაბუჯი და ღედაკაცი შორი-ახლო მოსდევდა.

ქალს ჩამოხეულ კაბიდან მაცდუნებლად მალალი მკერდი მოუჩანდა, ოხრავდა და ჩუმად მოსტიროდა.

ქალი ასპასიას ჰგავდა და არღილივით აღევნებული ჰაბუჯიც იცნო ცოტნემ — ის ჰაბუჯი გუგუტა იყო.

დაფეთებული მოსდევდა. მძიმე ჯვრის ზიდვაში უნდოდა შეშველებოდა, მაგრამ ოდიშის მთავარს შუბოსნები ერთყნენ გარს და, მათი შიშით ახლოს ვერ მიდიოდა.

როგორც იყო აღმართი მოთავდა.

შუბოსნებმა ჯვარი მიწაზე დააგდებინეს, ზედ ცოტნე დააწვინეს და ატოკით მაგრად დააკრეს.

დაუზოგავად მაგრად, მკიდროდ უჰქარდნენ თოკს.

ეტკინა ცოტნეს. ჯვარზე გამეკრულ შუბოსნებს ახედა, თავგადააპარსული, ვიწრო ყვრიმალეებიანი ველურები იყვნენ, მიწურვილი, გაზიდული თვალებიდან გამჟვალავად იხედებოდნენ და ხარხარებდნენ.

ჯვარი მალლა აღმართეს და ცოტნემ ახლა გარკვევით დაინახა: იმ ჯვარზე მაცხოვარი იყო გაკრული, თავს ეკლის გვირგვინი ედგა და სამსკვალეებით მიკრული ხელებიდან წმინდა სისხლი მოსწყვეთავდა.

ნამდვილად ქრისტეა ჯვარზე, მაგრამ წელან რამ მოალანდა თავისი თავი მაცხოვრის ადგილას? ან რკინის-ჯვრის უღელტეხილის აღმართს რა უნდოდა გოლგოთასთან და ან გუგუტასა და ასპასიას სახეებად რამ მოაჩვენა იოანესა და მაგდალინელის სახეები.

მადლი უფალს, ეს მკრებელური მოლანდება მალე გაჰკრა და ცოტნე გარკვევით ხედავს ჯვარცმულ ქრისტეს. მაგრად შემოჰქრილ, სხეულში ჩაჭდულ თოკებისაგან დახეთქილი კანიდან სისხლი სდის ქრისტეს, მაგრამ ვასაოცარი ეგ არის, რომ ის თოკი ცოტნეს სხეულს უჰკრს, უჰკრს და უწყალოდ სტიკია.

წელან რომ სიცხისაგან პირი უშრებოდა, ახლა მთლად გაუხმა სასა ცოტნეს, გავარვარებული მზე უღმობლად აჰკრს, სხეულს უჰკრეტს და ცეცხლი ძვლებამდე ატანს.

იწვის კაცი. ჯოჯოხეთური ტყვილისა და სიცხისაგან ლამის თვლები წამოსცივდეს და თავის ქალა გაუსკდეს.

პირისგასასველებელი წყალი და სულისმოსათქმელი ჩრდილი ერთ სიცოცხლედ უღირს, მაგრამ წყალი და ჩრდილი სახსენებლადაც გამწყდარა და არსად არის, თითქოს საწყარო უწყალოდ და უჩრდილოდ გაჩენილიყოს.

უცებ მაცხოვარს ჩრდილი დაეცა და ქრისტემ მალა აიხვდა: ჯვარცმულის სწორა, ცაში, ფრთავაშლილი არწივი ტრიალებდა. მერე ყველაფერს უცებ ნისლი მიეფარა და მხოლოდ არწივიღა ჩანდა მზით განათებულ ღრუბლებში.

ფრთოსანმა მხარი მძლავრად მოიქნია და ფრთების მედიდური რბევით სამხრეთისაკენ გასცურა...

ცხენის ფეხის ხმაზე ვაღვიძი ცოტნეს. თავი წამოსწია: ვიღაც მიწაზე გაკრულ თეთრ ბეღაურს სამხრეთისაკენ მიაჭენებდა.

კარგ ნიშნად ეჩვენა. პირჯვარი ვადიწვარი და იესო სიხმართამხდენს ზმანების კეთილად ახდენას შეევედრა.

სუფრა გააწყეს.

მთავარი კარგ გუნებაზე იყო, სასმისი ასწია და უძილობისაგან თვალდაწითლებულ ასპასიას გაეხუმრა:

— ძილი გაგიტყდებოდა, ასპასია, ის საშინელი არაკი თუ ჩაგყვა გულში.

— მთელი ღამე თეთრად ვაეთენე, მთავარო, ჯავრით თვალზე ძილი არ მომეკარა.

— შე კი დაბანგულივით მეძინა და წელან, ვაღვიძების წინ, ისეთი სიხმარი ენაზე. შენი იჯავის შეგონება სულ დამაიწყდა.

— ღმერთმა კეთილად ავიხდინოს სიხმარი. — ხელაპყრობით თქვა ასპასიამ.

მთავარმა ცოტა ღვინოც მიირთვა, ჯავრისაგან დამძარბებულ აბიათარსა და გუგუტასაც გადააკვრეენა. სუფრა აშალეს და გზა განაგრძეს.

ბინდდებოდა, ანისს რომ მიადწიეს. დაბინავდნენ თუ არა, ცოტნე დიდვაჭარ მარტიროსის ქარავლისკენ გაეშურა.

სომეხი ვაჭარი შინ არ დაუხვდა.

ღვინს წაეიდა და, ორ ღღეში დაბრუნდებოთ, მოახსენეს.

ცოტნე შეწუხდა. შეთქმულთა ამბის გაგებასა და გზაზე დაყენებას სომეხი ვაჭრისაგან ელოდა და, ახლა ის

რომ წასული დახვდა, აღარ იცოდა, ვისთვის მიემართა.

შინ დაღონებული დაბრუნდა. — შენ ნუ განხვალ გარეთ მარტიროსის გამოჩენამდე, არ გიცნონ, — შეპბედა გუგუტამ, — ქალაქს ჩვენ დავივლით, შეთქმულთა ამბავს გამოვიკითხავთ, აქაური ქართველებისა და სომეხებისგან მათ სამყოფელს შეეიტყობთ და მერე, როგორც გვიბრძანებთ, ისე მოვიქცევით.

ცოტნეს სხვა გზა არც ჰქონდა, თავად შინ ჩაიკეტა და შეთქმულთა ამბის გასაგებად ერთგული მხლებლები გაუშვა.

დადიანთა სასახლეში ცუდი ამბის მაცნე შუალამისას გაჩნდა. ქალბატონი ვაღვიძეს. კრავის შეთქმულთა შეპყრობა და ურდოსკენ ცოტნეს წასვლა მოხსენდა; მთავრის მეუღლეს ელდისაგან გული შეუღონდა და სასახლეში ერთი წივილ-კივილი ატყდა.

როგორც, იქნა, კრავი გონს მოვიდა.

— ახლაც ცხენები შეპაკაზმეთ, მთავარს უკან უნდა გავუდგე, ან დავაბრუნებ და, ან მეც მასთან ერთად დავილუბები! — გადაჭრით თქვა კრავიმ და ვერ იქნა, ამ გადაწყვეტილებაზე ხელი ვერ ააღებინეს.

— ვერც ქმარს უშველი და თავსაც ტყუილად დაიღუპავ!

— შენი თავი თუ არ გებრალემა, შეილები მაინც შეიცოდენ...

ევედრებოდნენ და აშინებდნენ, მაგრამ კრავიმ ერთხელ ნათქვამი აღარ გადათქვა. ბოლოს იმაზე დაიყოლიეს, გზას ბნელ ღამეში არ დადგომოდა და, გათენებამდე დაეცაღნა.

სავზალი გაუმზადეს, ბარგი შეპკრეს და ქალბატონი დილაადრიან გამოეთხოვა შეილებსა და ნათესავ-ახლობლებს.

ცრემლითა და მოთქმით გამოემშვიდობნენ ქმრისათვის სულის დამღებს, სიკვდილის გზაზე დამდგარ კრავის.

სანამ ცხენზე შეჭდებოდა, თავს

კიდევ იმაგრებდა, მაგრამ, როგორც კი ცხენი დასძრა და იქაურობას თვალი მოავლო, ამდენხანს შეგავებული ცრემლი უცებ წასკდა და ქალბატონი გულმოკლული აქვითინდა.

ურდოსკენ მიმავალ კრავაის თავში ათასგვარი საშინელება უტრიალებდა.

ამ ერთი თვის წინათ გზად გამოვლილი რუსი ვაჭრების ნაამბობი გაახსენდა ის, რაც მამინ დაუჭერებლად ეჩვენა, ახლა ცოცხლად წარმოიდგინა და, იმის ფიქრით, რომ მონგოლთა სისასტიკე საკუთარ თავზე უნდა გამოეცადა, შეძრწუნდა.

— კაცის კვლავ თურმე თვალსაც არ დაახამხამებენ, თავს, ლოდზე დადებინებენ და ქვით უკეპყავენ; ხერხემლის გადატეხა და წიხლით გულღვიძლის ჩაქცევა, ან ქვის ხერხით კისრის გადახერხვა კაცის კვლის ჩვეულებრივ ხერხად მიაჩნიათ თურმე. მაგრამ ამაზე უარესი ის ყოფილა, რომ ქალი თუ ჩაუვარდათ ხელთ, ვნით უთქმელ ბოროტების ჩადენას აიძულებენ თურმე. რუსეთის რომელიღაც მთავარი შეუსმენიათ ბათოსთანო, — მოჰყვენენ რუსი ვაჭრები, — მთავარი ყაენს სიკვდილით ადაუსჯია. მოკლულის ძმა და ქვრივი ბათოს ხლებია და შევედრებიან, მამულს ნუ წაგვართმევო. ბათოს მთხოვნელისთვის უბრძანებია, ჩვენი წესით შენი ძმის ქვრივი უნდა შეირთოო. ქვრივს უპასუხნია, მიჩრევენია ახლავე მომკლათ, ვიდრე ქრისტიანული წესი დავარღვიო და მაზღს შევუღლდეო. ბათოს ბრძანებით, მაზლი და რძალი ძალით დაუწვენიათ ერთად და იძულებული გაუხდიათ ერთმანეთს შეერთებოდნენ.

კრავაის ტანში ვააზრიალა და თვალთაგან ცრემლი დაბალბობით წამოუყვია.

სად მიდის და რად იღუპავს თავს?!

ვინ იცის, ცოტნეს ეგებ ცოცხალსაც ვერ ჩაუსწროს და, თავი სულ ტყუილად ჩაუგდოს ხელთ იმ პირტუცვ მონგოლებს!

მაგრამ ხომ შეიძლება, ქმარი ის-

ნას და თვითონაც უვნებელი გადარჩეს?!

ღვთისმობელი დედა იქნება! კრავაის შემწედ, ის გადააფარებს თავის კალთას და, როგორც ამდენ ხანს დიაცვა ოდიშის მთავრის ოჯახი ყოველგვარი ბოროტებისაგან, ახლაც ის დაიხსნის თავისი სიწმინდის ძალით მის მავედრებლებსა და მის საარწმუნოებას მინდობილთ!...

კრავაიმ ირწმუნა, რომ ამიერიდან ქმრისა და მისი ბედი მისსავე ნებისყოფის სიმტკიცესა და საზრიანობაზე იყო დამოკიდებული. უკან დასახევი გზა აღარ იყო და, გულში მტკიცედ გადაწყვიტა, ყველა ხერხი და ღონე ეხმარა მონგოლთა გულის მონადირების და ურდოდან ქმართან ერთად უვნებლად დაბრუნებისათვის.

დიღვაპარს ოდიშის მთავრის მისვლა რომ მოხსენდა, ფერი დაკარგა და კინალამ გული შეუღონდა.

სულ რამდენიმე დღის წინ კობტის თავის შეთქმულთა შეპყრობისა და სასიკვდილოდ ანისს ჩამოყვანის ამბის შეტყობაზე ელდა ეცა, მაგრამ მალე დაშვიდდა — შეპყრობილთა შორის მისი მთავარი მოვლენ ცოტნე დადიანი არ იყო. ვალის დაბრუნების იმედი მოეცა და გული დაიარხენია.

ახლა, ოდიშის მთავრის უეცარი მოსვლა რომ აცნობეს, კინალამ დამბლა დაეცა: შეპყრობას გადარჩენილი დადიანი თავისი ფეხით მოდიოდა სასიკვდილოდ და, თავს თვითონვე ჰყოფდა ყულღში, რომელიც გულში მისგან ასე შორს იყო.

ცოტნემ კიბე აიარა და მეორე სართულზე ავიდა. კარი გაუღეს და ვრცელ დარბაზში შეიყვანეს.

— პარონი ახლავე გეახლებათ, დაბრძანდით, — უთხრა მსახურმა და სავარძელი მიუჩინა.

ცოტნე რბილ სავარძელში ჩაესვენა. თვალი მშვიდად მოავლო იქაურობას: ოთახი ოქროცურვილი ვერცხლით მოკედლილი ავეჯით იყო გაწყობი-

ლი ირანული ნოხები, ფარჩა და აბრე-
შუმი, ჩინ-მაჩინისა და მაშრიყ-მალრი-
ბის უცხო-უცხო საქონელი გორებად
ეწყო იატაკზე და მაგიდებზე, ახლილ
სკივრებსა და ყუთებში.

ცოტნემ იცოდა: სომეხი დიდვაჭ-
რის ქარავნები ქვეყნიერების ოთხივე
მხარეს სერავდნენ და დედამიწის ერთი
კუთხიდან მეორეში ათასგვარი საქონე-
ლი დაქონდათ.

ისიც სმენოდა: გორელი სომეხისა
და დიდვაჭრისათვის ყველა მეფის კა-
რი ღია რომ იყო. მარტო ოდიშის მთა-
ვარს კი არ ემართა მარტიროსის ვალი,
მრავალი გვირგვინოსანი თუ უგვირ-
გვინო მეფე მისი ხელის შემყურე იყო
და, ხელმწიფეებს ზოგჯერ თავის ნება-
სურვილს კარნახობდა.

ცოტნეს ხელგამოღლი ცხოვრება
არასოდეს იზიდავდა. თავად მცირესაც
სჯერდებოდა და ფუფუნებისათვის
ვალს არასოდეს აიღებდა. სომეხი ვაჭ-
რის ვალში ოდიშის მთავარი საქვეყნო
საქმემ ჩაავლო და ფული სამშობლო-
სათვის ზრუნვამ ასესხებინა.

ერთხელ აღებულ ვალს მეორე და-
ემატა, თავნის სარგებელი მრპყვა და
ოდიშის მთავარი სომეხი დიდვაჭრის
კლანჭებში აღმოჩნდა. იმ კლანჭებს
ნელნელა უჭერდა მარტიროსი და ვა-
ლის გადახდას არც ისე აჩქარებდა.
ცოტნე ვერცხლს ვერცხლზე აღებდა,
ვალისაგან თავის დახსნას ცდილობდა,
მაგრამ მონგოლთა ხარკსა და გადასა-
ხადს რა უნდა მორჩენოდა, სარგებე-
ლი სარგებელს ემატებოდა და ვალი
ყოველდღე იზრდებოდა.

დარბაზში მარტიროსი შემოვიდა.

სომეხ დიდვაჭარს მკედრის ფერი
ედო. ძვირფასი სპარსული ხალათი ში-
ლიფად ეცვა და ოქრომკედლით მოჭარ-
გულ ფოსტლებს ნათხოვარივით მოა-
ფრატუნებდა.

— აქ რამ მოგიყვანა მთავარო? —
კარის ზღურბლიდანვე იკითხა გაფით-
რებულმა ვაჭარმა.

— მოვალეობამ და სინდისმა, —

აუღელვებლად მიუგო დადიანმა და
ფეხზე წამოდგა.

ერთიმეორეს ხელი გაუწოდეს.

ცოტნე სავარძელში ჩაქდა. მარტი-
როსი საბუთებით, ანგარიშებითა და
ათასგვარი ქალღლებით სავსე მაგი-
დისკენ წავიდა და სელზე მოცელილი-
ვით დაეშვა.

— რა დროს სინდის-ნამუსზე ლა-
პარაკია, — ენის ბორძივით ამომარც-
ვლა დიდვაჭარმა, — შენი აქ გამოჩენა
და სიკვდილი ერთია! — ნათქვამი ცო-
ტა არ იყოს, ხმამაღლა მოუვიდა დიდ-
ვაჭარს, შეეშინდა ხომ არავენი გაიგო-
ნაო და, თვალი ერთხელ კიდევ მოავ-
ლო იქაურობას.

— ვიცი, მარტიროს! — არხეინად
თქვა დადიანმა.

— მე რე თავს რად იღუპავ, ან ცოლ-
შვილს რას ემართლები?! — უკვე
ჩურჩულით ამოიკვნესა დიდვაჭარმა.
ან მე რას მიპირებო, ეს მთავარი სათ-
ქმელიც კინალამ თქვა მარტიროსმა,
მაგრამ ენას კბილი დაჭირა და ხელები
უღონოდ გაასავსავა.

— ყური დამიგდე, მარტიროს!
ჭკვიანი კაცი ხარ და გამიგებ. შენ
მონგოლ ნოინებთან შინაურად ხარ,
მათთან აღვილად მიგვესვლება.

— არსადაც არ მიმესვლება, —
აფეთქდა მარტიროსი, — მე ნოინებ-
თან იშვიათად ვარ და, მაშინაც, მხო-
ლოდ მათი წვევითა და მოწოდებით.
თან ძღვენი და ძვირფასი საჩუქრები
მიმაქვს და, მარტო აღებ-მიცემისა და
ვაჭრობის საქმეებზე ველაბარაკები.
თუ პატიების სათხოვნელად ჩემს ვაგ-
ზავნას ფიქრობ, იცოდე, შეუძლებე-
ლია. ეგ კი არა, შენი აქ მოსვლა რომ
შეიტყონ...

— ნუ ცხარობ და, ნუ გეშინია,
მარტიროს! მე შენთან იმისთვის მოვე-
დი, რომ შენ მიმცე ნოინების ხელი!

— მე რა გამცემი მნახე, ან შენს
საქმესთან რა საერთო მაქვს, — კი-
დევ უფრო გაცხარდა მარტიროსი.

— შენ უნდა მიმცე ნოინების

ხელთ, — დინჯადვე გაიმეორა ცოტ-
ნემ.

— რას ამბობ, მთავარო?! მე რას
მახვევ თავს შენსა და შენი ცოლ-შვი-
ლის ცოდვას?!

— ჩემი და დანარჩენი შეპყრობი-
ლების ბედი შენს ხელთ არის ახლა,
მარტიროს.

— მე შეთქმულებთან საქმე არა
მაქვს! ნუ მხვევთ თქვენს დანაშაულ-
ში, — უკვე აღმოფხვრებით იყვირა ვა-
ჭარმა.

— დაწყნარდი, მარტიროს! დანა-
შაულში შენ არავინ გხვევს, არც შეთ-
ქმულებასთან გაქვს საქმე. შენ მხო-
ლოდ შენს სარგებელზე ზრუნვა გმარ-
თებს...

ცოტნემ თვალი თვალში გაუყარა
შეშინებულ დიდვაჭარს, — ჩემს გარ-
და მგონი სხვა შეთქმულებასაც ბლო-
მდა აქვთ შენი ვალი.

— ჯანდაბას ვალიცა და სარგებე-
ლიც. ჩემი თავი ყველაფერზე მეტად
მიღირს და მაგ ცეცხლში არაფრის გუ-
ლისთვის არ გავეხვევი.

— იქნებ არც ცეცხლში გაეხვიო
და, ჩვენც გადაგვარჩინო.

— ეგ შეუძლებელია! შეთქმულებს
სიკვდილი არ აცდებათ და მონგოლებ-
თან მათ დასაცავად კრინტსაც ვერა-
ვინ დაძრავს.

— მე და ტყვედ შეპყრობილ ქა-
რთველ მთავრებს არც ისე ცოტა ვალი
გვმართებს შენი, რომ იმ ვალის დაბ-
რუნების შესაძლებლობა ავრე იოლად
გაუშვა ხელიდან. კარგად აწონდაწონე,
მარტიროს, ჰკვირანი, ანგარიშიანი კაცი
ხარ.

— სულ ტყუილად ირჯები მთავა-
რო. მე მაგ საქმეს ახლოს არ ვავეყარე-
ბი, — ცივად მოსჭრა დიდვაჭარმა.

— მისმინე! მე შენი საფრთხეში
ჩაგდება როდი მინდა. ხეალ დილით
ნოინები ნახე და ჩემი ფეხით აქ მოსე-
ლა აცნობე.

გაოგნებული დიდვაჭარი პირდაღე-
ბული უსმენდა სიკვდილთან მოთამა-
შე, თავზე ხელაღებულ მთავარს.

— უთხარი, რომ ლიხთიმერეთიდან
ჩემი ნებით მოვედი და შეპყრობილ
არავის მოვუყვანივარ.

— მერე?..

— მათ იციან, რომ ჩემს მამულში
სამშვიდობოს ვიყავი, იქ მონგოლებს
ჩემი შეპყრობა არ შეეძლოთ და შე-
თქმულებაში ჩემი მონაწილეობისთვის
პასუხს არავინ მომთხოვდა.

— მეც ეგ არ მიკვირს? რა გრჯი-
და, აქ რომ მოდიოდი, — ჩურჩულით
თქვა მარტიროსმა.

სიმაართლემ მომიყვანა, მე რომ
აღალ-მართალი და უდანაშაულო არ
ვეყოფილიყავი, აქ როგორ გამოეჩნდე-
ბოდი?!

— თქვენს უდანაშაულობას ვერა-
ვინ დაამტკიცებს.

— მე ვამტკიცებ, მარტიროს! ჩემი
ეს ნაბიჯი ამტკიცებს. მონგოლებს უნ-
და შეაგნებინო: მე რომ შეთქმული
ვეყოფილიყავი, აქ ჩემი ფეხით არ მო-
ვიდოდი და თავს სასიკვდილოდ არ
დავდედბოდი. დაარწმუნე ნოინები, რომ
კობტისთავს ხარკის გასარიგებლად ვი-
ყავით შეკრებილნი და, მათ წინააღ-
მდეგ შეთქმა აზრად არ მოგვსვლია.

— მაგას ყოველდღე თუთიყუშები-
ვით იმეორებენ შეპყრობილი შეთქმუ-
ლებიც, მაგრამ მონგოლები გულუბრ-
ყვილო ბალები როდი არიან, ეგ
ზღაპრები დაიჭერონ.

— დაიჭერებენ, მარტიროს! ჩემი მა-
გალითით დაიჭერებენ, შენ თუ კარგად
აუხსნი და განუმარტავ ლიხთიმერეთი-
დან ჩემი მოსვლის აზრს. ხეალ დილას
ჩემი აქ ყოფნა მოახსენე და ეცადე
რაცა ვთქვი კარგად განუმარტო და
შეაგნებინო. თუ დაგიჭერებენ, ხომ
კარგი, თუ არა და, შენ რას კარგავ,
მტრის ხელთ მიმცემ და მადლობასაც
გეტყვიან.

მარტიროსი კარგახანს თავაღუნუ-
ლი ფიქრობდა. ბოლოს თავისივე თავ-
თან შინაგანი ბრძოლა დაასრულა,
ცოტნეს თვალი თვალში გაუყარა და
გატეხილმა თქვა:

— ამ ცეცხლში არ ჩაგვედვი, კარგი

იყო, მაგრამ რა ვქნა! შენი აქ მოსვლა ცკმარა, რომ მონგოლებმა ჩემზე ექვი აღონ და თავს რისხვა დამატებონ. სხვა გზა მაინც აღარა მაქვს, ვეცდები შენი თხოვნა შევასრულო.

ნოინთა მთავარს ვეახლები და ვნახოთ, ცდა ბედის მონახევრებას..

ბინაში დაბრუნებულ ცოტნეს შინ არავინ დახვდა. დაქანცული ტახტზე გაუხდელად წამოიწია და მაშინვე ძილი მოერია.

კარის კრიალზე გაღვიძდა.

— მანდ რომელი ხარ? — ვასძახა და წამოიწია.

— ჩვენ ვახლავართ, მთავარო, — თავი შემოაკვეცეს აბიათარმა და გუგუტამ.

— შემოდით! — ანიშნა ცოტნემ, ფეხები დაბლა ჩამოუშვა და თვალის ფშვინებით ტახტზე დაჯდა.

— ხომ არაფერი შეგიტყვიათ? — იკითხა ცოტნემ.

— მთელი ქალაქი ლაპარაკობს, ხელ მზე რომ საშუადღეობზე იქნება, ქართველ შეთქმულებს ქალაქის მოედანზე მოიყვანენ საწამებლადო, — მოახსენა გუგუტამ.

— რას ამბობ? — სარწმუნოთაგან შეიტყე? — შეშფოთდა ცოტნე.

— სარწმუნოთაგან, თვითონ მონგოლთაგან.

— ის მოედანი ნახე? საბრჩობელა, თავსაკვეთი ან კოცონის ასაგზნები გამზადებულა?

— მოედანი მე ვნახე, მთავარო, მაგრამ იქ არავითარი სამზადისი არ ჩანს. მერე ოქროსმკვლელების უბანში გავიარე და რაც იქ შევიტყე, უფრო სარწმუნოსა ჰგავს: მთავარი ნოინის სასახლის ეზოში უნდა აწამონ თურმე ქართველი შეთქმულები. ამას რას შევესწარი, მთავარო! — გულში მჯილის ცემით თქვა აბიათარმა.

— ეგ უფრო დასაჯერებელია, აბიათარო! თუ გამოსატეხად აწამებენ, ქალაქის მოედანზე არ გამოიყვანენ. — ცოტნე წამით დაფიქრდა, მერე ისევ

აბიათარს შიშობდა თვალი და ხმადაბლა იკითხა, — იმ სასახლეს, ეზო-კარის ასავალ-დასავლის მცოდნეს, — ცერაქის იპოვით?

— ნაბოვნი მყავს, სასახლის გუშავთა ასისთავია. ჩვენში ჩალატა-ნოინს ახლდა და კარგად ვიცნობ. აქ მყოფმა ქართველებმა მითხრეს, იმ სასახლეში შესვლა და გამოსვლა მის ხელთ არისო, — უბასუხა აბიათარმა.

— ამაღამვე უნდა ნახო უსიკვდილოდ ის ასისთავი, — ცოტნემ ქისა ამოიღო და აბიათარს გაუწოდა, — როგორმე იმ ეზოში შემაპაროს და საღმე დამშალოს. უთხარი, ვინცა ვარ და დაარწმუნე, რომ ჩემი იქ შეტყუებით და შეთქმულებთან შეპყრობით ნოინებისაგან ჯილდოს დაიმსახურებს. ფული არ დაიშვრო და ესეც უთხარი, უიარაღოდ შევა, რომ ფიქრი არაფრისა გქონდეს თქო.

აბიათარმა ქისა ჩამოართვა.

— წადი, აბიათარ. მთელ იმედს შენს ჰეუასა და მოხერხებაზე ვამყარებ და, შენ იცი როგორ გამიმართლებ, — მხარზე ხელი დაკრა ცოტნემ და კარამდის მიჰყვა.

აბიათარმა ქისა ჩამოართვა და ასპასიას შეხვდა.

— ნუთუ იქ მისვლას აპირებ, მთავარო? იქიდან ცოცხალი როგორღა გამოხვალ.

— რაღა დროის მაგაზე ლაპარაკია. — ხელი ჩაიქნია ცოტნემ, — წადი, აბიათარ, წადი!

— როგორ მინდოდა შენთვის სიკეთის გადახდა, მთავარო და არ ინებე, არ იქნა და ჩემთვის ეგ ბედნიერება არ გამოიმეტე. რას გაჩუმებულხართ და არაფერს ეტყვი, — შეუძახა გუგუტასა და აბიათარს, — გაისარჩეთ და უშველეთ, მთავარი აქედან განარიწეთ, სანამ მისი აქ მოსვლა არავინ იცის.

— უკვე იციან, ასპასია და, მე აქედან უკან ველარავინ გამაბრუნებს. წადი, აბიათარ, წადი და შენ იცი, როგორ მარჯვედ ამისრულებ სანთოვარს,

— შეგხევეწა ცოტნე, კარი გააღო და თითქმის ძალით გაისტუმრა თავგზაბნეული აბიათარი.

— ღმერთმა ჰქნას გუგუტა, ცოცხლები დაბრუნდეთ შენ და აბიათარი. მაგრამ თუ მთავარი დაიღუპა, მეც თავს არ ვიცოცხლებ და ჩემი ცოდვა შენი და აბიათარის კისრად იქნება, რადგან მთავარს სასიკვდილოდ წასვლა არ დაუშალოთ.

— ჩვენ რა შეგვეძლო, ასპასია? — ხმის კანკალით თქვა გულჩამკვდარმა გუგუტამ.

— შეგეძლოთ და ვერ შესძელით. თუ მთავარი დაიღუპა, ცოცხალი არც მე დაგხვდებით და რაკი ჩემი შეგვონება არ ისმინეთ ჩემი სიკვდილი იმ მწირსავეთ სანანურად გექნებათ, ერთგული კვერნა რომ მოკლა.

— ეგ როგორღა იყო, მიაშზე შენს ქალობას, ძილს შინც არ ვამირებ და ვინძლო დრო მოვკლათ, — დაუყვავა ცოტნემ.

თქვა ასპასიამ არაკი საქმის გაშვებისა და ბოლოს ზიანი მისი.

ერთი მწირი ყოფილა. ცოლის შერთვა დაგვიანებია. ბოლოს სხვათა რჩევითა და გულის ნდომით ცოლად ერთი დიდებულის ასული მოუყვანია. ცოლქმარი ტყბილად ცხოვრობდა, მაგრამ ხანი რომ გამოხდა და შვილი არ ეყოლათ, საზრუნავი გაუჩნდათ. დღედაღამ ღმერთის შვილის მოცემას ევედრებოდნენ და ათასგვარ აღთქმას სდებდნენ. ბოლოს უფალმა ისმინა მათი ვედრება და ვაჟი შეეძინათ. გახარებულ მწირს სხვა აღარა ახსოვდარა, ერთთავად აკვანს უჭდა და, ყრმის ცქერითა და აღერსით ტყებოდა.

ერთ დღეს ცოლი აბანოს წავიდა და შვილი შამის იმედად დასტოვა. მწირსაც მეტი რა უნდოდა, აკვანს მიუჭდა, არწევდა და დამღეროდა. ცოტა ხანს უკან, მწირს ხელმწიფის კაცი მოუვიდა, მეფე სასწრაფო საქმეზე იბარებდა სასახლემში. ხელმწიფის კაცმა ბევრი არ

აღროვა და მწირი იძულებული იყო თან გაჰყოლოდა. ცოლ-ქმარს სახლში ერთი კვერნა ჰყავდა, მძრომთა და მკვეწარმაველთ ეზო-ყურეში არ აქაჰანებდა. მწირმა აკვანში ჩაკრული ჩვილი იმ კვერნის იმედად დასტოვა, კარი გაიხურა და ხელმწიფის მოწოდებით წავიდა. უცებ, სახლში გველი შეძვრა და აკვნისკენ გასრიალდა. კვერნამ ჩვილის საცებნად შემართული გველი რომ დაინახა, ისკუბა, ყია შეუბყრა და მოჰკლა. ყრმა სიკვდილს გადაარჩინა და გველის სისხლით მოთხვრილი ვარეთ გამოვიდა.

ამასობაში მწირი მობრუნდა. კვერნას პატრონისთვის ერთგული ნამსახურობა უნდოდა დაენახებინა და წინ სისხლით მოსვრილი შეეგება.

შამის ეგონა, კვერნამ შვილი მომიკლა და მისი სისხლით არის შესვრილიო. გულს ცეცხლი მოედო. გონება დაუბნელდა და ბევრი აღარ გამოიძია. კვერნას ატავანი სცა და მოჰკლა. შინ რომ შევიდა, ყრმა სალ-სალამათი დახვდა. აკვანთან მოკლული გველი ეგლო. მწირი მიხვდა, რაც მომხდარიყო. ვანუსჯელობითა და აჩქარებით ჩადენილი უღვანი საქციელი ინანა, მაგრამ ცრემლთა და სინანულით კვერნას რაღა ვააცოცხლებდა!

— ეგ არაკი ტყუილად გამახსენე, ასპასია! ასე დინჯად და აუჩქარებლად, როგორც აქ მოსვლა გადავწყვიტე, ჩემს დღეში არაფერი გამამიწყვეტია: სიკვდილს შერიგებული ვარ და თუ სიციოცხლეს პატიოსნად დავასრულებ, სანანურცი არაფერი მექნება. რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ არ შემძლია ჩემთან ფიცით შეკრულ შეთქმულებთან არ ვიყო. ეს ჩემი ვალდებულება კი არ არის მხოლოდ, ჩემი შინაგანი მოთბოენილებაა და მე უღონო ვარ ეს არ აღვასრულო!

— შენს ხანში აქვს გემო სიციოცხლეს, მთავარო, წინ ჯერ კიდევ დიდი გზა გიდევს და ბევრი სიამე და სიხარული მოგვლის შენს ბედნიერ ცოლ-შვილში.

— მე თუ მოლაღატის სახელი დამერქმევა, ჩემი შვილები ბედნიერები ვეღარ იქნებიან, ხალხში სირცხვილით ვეღარ გამოჩნდებიან და ჩემი დანაშაულით დასმულ დაღს სიკვდილამდე ვერ მოიშორებენ.

— მე ერთი უკეთუ ქალი ვარ, მთავარო და, მეც კი ვხედავ და ვხვდები, რომ ქვეყანას შენისთანა ერთგული ხალხი ცოტა ჰყავს და, საქართველოს სხვისაზე მეტად შენი სამსახური სჭირია.

— შენ სამშობლო არ გაქვს, ასპასია და ჩემს გულის ტკივილსაც ვერ გაიგებ. სულ იმის ნატვრით ვცოცხლობდი, სამშობლოსათვის თავი დამეღო და ჩემი შრომითა და ბრძოლით საქართველოს დიდება ამემალეებინა. ჩვენი სამეფოს ძლიერების დროს რომ არ გამიმართლა, დაცემული საქართველოს აღდგენისთვის გადავდე თავი და, სიცოცხლის ერთადერთ აზრად სამშობლოს განთავისუფლება დავისახე. ახლა ეს იმედიც რომ გაქარწყლდა, სიცოცხლემ ჩემთვის უკანასკნელი აზრიც დაკარგა. რაკი სამშობლოსა და ჩემი მომავალი ბნელით მოცულია, ძაღლუმიადური ცხოვრების გაგრძელებას, პატიოსანი სიკვდილი ათასჯერ მივობს.

— მე ასე გამიგონია, ჩემი აღმზრდელი ინდოელი დერვიშისაგან, მთავარო, სიცოცხლე ღმერთმა იმისთვის მოგვცა, დავიცვათ და შევინარჩუნოთ მანამდის, სანამ უფალი არ მოგვიწოდებს. სულს უფალი უდგამს ადამიანს და, სულის ამოხდის უფლებაც მხოლოდ ღმერთსა აქვს. უფლის განაჩენის საწინააღმდეგოდ საკუთარი სიკვდილის დაჩქარება ისეთივე ცოდვია, როგორც უდანაშაულოდ სხვისი მოკვლა.

— უფლის მოწოდებას ვხედავ ჩემს ამ ნაბიჯში, ასპასია, ღვთის ჩაგონებით ვდებ თავს მოყვასთათვის და მჯერა, სათნოდ მიითვლის ჩემს პატიოსან სიკვდილს ქვეყნის გამრიგე იესო ქრისტე, რომელმაც თვით გვიჩვენა კაცთა მოდ-

გმის ცოდვათა გამოსასყიდად თავგანწირვის უმაღლესი მაგალითი.

— თუ არ დაიშლია ეს იცოტადე, მთავარო, — ცრემლმორეულმა დაიწყო ასპასიამ, — როგორც შენ აქედან გახვალ, თავს მოვიკლავ...

— გაგიყდი, ქალო? — შეუწყრა ცოტნე.

— გიყი მაშინ ვიყავი, როცა ცოდვაში ვდგამდი ფეხს. ღმერთმა იცის, შენი დაღუპვა არ მიწლოდა. შენს გადასარჩენად ყველაფერი ვიღონე, მაგრამ ჩემს მახეში თვითონ გავები და ახლა შენ რომ აქედან გახვალ, მეც თავს მოვიკლავ!..

ცოტნე ასპასიას ნათქვამს ვერ ჩასწვდა. მისმა ესოდენმა ერთგულებამ გული აუჩუყა, თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერა და დაუყვავა:

— სისულელეს ნუ ამბობ, ასპასია, დამშვიდდი, დაწყნარდი და ილოცე ჩემი სულისთვის.

ასპასიამ ერთხელ კიდევ მოიკრიფა ღონე. გონებაში რაღაც კიდევ გაუნათდა, დაფაკურდა. უბეში ხელი ჩაიყო, სავსე ჭისა ამოიღო და ცოტნეს წინ ოქროს გროვა დაჰყარა.

— ჩემი დღე და წუთისოფელი ვაგროვებდი ამ ოქროს და, შენს გადასარჩენად თუ მომხმარ, ბედნიერი ვიქნები. გავიღეთ აქედან, ცოტა კიდევ დაფიქრდი, მთავარო, იქნებ უფალმა ხვალ სხვა უფრო გონიერი ნაბიჯი ჩაგაგონოს!..

ცოტნემ დამკინავად გამოხედა ოქროს.

— ისეთ ადგილას სად უნდა წავიდეთ, სადაც სიკვდილი არ იქნება?! ან სიცოცხლის, რომელი სიკეთით გინდა მიცდუნო, როცა ცხოვრებაზე ხელი უკვე აღებული მაქვს?

— ზიარება მაინც არ გინდა, ადამიანო, ქრისტიანი არა ხარ? — ქალური ეშმაკობით ნაკარანხევე უკანასკნელ იმედს ჩაებღაუჭა ასპასია.

ცოტნე შეტოვდა, დაიბნა და სასოწარკვეთით ხელები გაასავსავა.

— მერე ვინ მახიარებს... ამ შეუ-
ღამეში მღვდელს სად ეიპოვი...

კარი დაუქაქუნებლად გაიღო. აბი-
თათარი და გუგუტა შემოვიდნენ.

— მთავარო, გელოდება. — ამოი-
სლუტუნა აბიათარმა და მუშტებით
ცრემლით სავსე თვალები მოისრისა.

— ვინ ელოდება? ზიარებაც აღარ
გინდათ აცალოთ?! — შეუტია ასპა-
სიამ.

— ზიარებას, თუ ღმერთი ინებებს,
კიდევ გამომიგზავნის, ახლა კი წავალ,
არ დამიცდის, — ზმეს ცახცახით თქვა
ცოტნემ და კარისკენ გაიწია.

— ნუ წახვალ, მთავარო, გონს
მოდი! — შეჰკვივლა ასპასიამ და ცოტ-
ნეს ფერხთ ჩაუფარდა.

გუგუტა და აბიათარიც დაემხნენ,
მუხლებზე მოეხვივნენ და გულისშემა-
ღონებლად აზმუელდნენ.

ცოტნეს სახე ჯერ მწარე ღიმილმა
მოუქცია, მერე ცრემლი მოეძალა.
მუხლებში სისუსტე იგრძნო. ე, მანდ,
არ წახვდეს, მეც არ ავტირდეს, გაი-
ფიქრა, სამივეს მოეხვია და დაეკოცნა.
მერე მათი მკლავებიდან თავი ძალით
დაიხსნა, პირჯვარი გადაიწერა და კარ-
ში გაეფარდა.

გვიან დაბრუნებული გუგუტა და
აბიათარი კარის ზღურბლზე გაქვე-
დნენ.

თავხეს გამობმულ თოკზე ჩამომ-
ხრჩვალნი ასპასია ეკიდა.

იმ დღეს ნოინების კარი მთხოვნე-
ლებისა და მომჩივნებისათვის იყო ღია.
მარტიროსი, რომ დილიდან მათთან
მისასვლელად ემზადებოდა, ფეხები
უკან რჩებოდა.

მთელთ ღამე იმის საგონებელში
იყო, ისე როგორ გაემხილა მონგოლე-
ბისათვის შეთქმულების სულის ჩამდ-
კმელის, ოდიშის მთავრის ანისს მოსე-
ლა, რომ თავს მათი რისხვა არ დასტყ-
ლომოდა და მბრძანებლები დადიანის
სიმართლემშიც დაერწმუნებინა.

გეგმა დაწყობილი ჰქონდა და სათ-

ქმელი მოფიქრებული, მაგრამ მონგო-
ლთა ზნესა და ხასიათს რომ ეცნობდა,
მინც ეშინოდა, თავი არ წავაგო და
თავნი და სარგებელი ერთად არ დაე-
კარგო.

გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ ნოინე-
ბი კარგ გუნებაზე არ დახვდებოდნენ
და, ძღვენითა და საჩუქრებით გულს
ვერ მოუღებოდა, ქართველი შეთქმუ-
ლები სულაც არ ეხსენებინა. ქართვე-
ლი მოვალეების დაღუპვასთან ერთად,
მათზე გაგაღებული დიდძალი ოქროც
ეკარგებოდა მარტიროსს, მაგრამ ოქ-
რო სხვაც ბევრი ჰქონდა და, ისიც ოხ-
რად დარჩებოდა თუ მონგოლთა რის-
ხვის მსხვერპლი გახდებოდა.

ამ ფიქრითა და გადაწყვეტილებით
მიადგა ნოინთა ხარვას.

ფარდაგზე დამხობილმა მბრძანე-
ბელთა სადიდებელი და საღამი თქვა
და მსვლელებს ძღვენი მიალეზინა.

ძღვენის სიმრავლემ და სიმდიდრემ
ნოინები კარგ გუნებაზე დააყენა.

მთავარმა ნოინმა დიდგაჭარს დაუ-
ყვავა:

— მადლობა ღმერთს რომ კარგადა
ხარ, მარტიროს. ამდენ ხანს რატომ არ
მოგვიხახულე?

— ქარავნად ვიყავ წასული, მბრძა-
ნებლო, ჩრდილო ქვეყნებში. რუსეთი
და ყირიმი მოვიარე და შემავგიანდა.

— ჰოო! მაშ იქაური ამბები გეცო-
დინება, — უფროსმა ნოინმა დანარჩე-
ნებს რაღაც გადაულაპარაკა, — მათ
გაიცინეს და თავი დაუკრეს, — ცოტა
დაიცადე, — მიმართა ისევ მარტი-
როსს, — მთხოვნელ-მომჩივნებს გავი-
სტუმრებთ, მერე პურისჭამად დაე-
სხდეთ და ჩრდილოეთის ქვეყნების ამ-
ბავი მოგვითხრე.

მარტიროსმა მდაბლად თავი დაუ-
კრა. მისი მორთმეული ძღვენი ნუქე-
რებმა წაიღეს და დიდგაჭარი მოშორე-
ბით, სტუმრებს შორის დააყენეს.

ნოინები კარგ გუნებაზე იყვნენ.
მარტიროსს შეთქმულებზე გაცემული
ვალის გადაარჩენის იმედი დაუბრუნდა
და ცოტა დამშვიდდა.

რიგრიგობით შემოდიან მონგოლთაგან დაპყრობილი ქვეყნების მეფეები და მელიქები, მთავრები და ამირები. ნოინების ფერხთქვეშ ეცემიან, ძვირფას ძღვენს ძღვენობენ და თავიანთ სათხოვარს თუ სანივარს ემუდარებიან.

ყველას ცნობს მარტიროსი, ბევრ მათგანს მისი ბლომადაც მართებს და, ახლა იმის მიხედვით წონის მათ გადამხდელუნარიანობას, თუ როგორ ხვდებიან მათ მონგოლი ნოინები — აგდებულად და ქედმაღლად თუ პატივითა და თავაზით.

აგერ შირვანშა შემობრძანდა. ნოინების წინაშე ძვირფასი ძღვენი დახვავდა და კეთილშობილი აღსართანების შთამომავალი მუხლმოდრეკილი რალაცას ევედრება ნოინებს.

უფროსმა ნოინმა ძღვენს თვალი მოავლო, მერე შირვანშას მხარზე ხელი პატარა ბიჭსავით დაარტყა, რალაცას შეჰპირდა და ფეხზე წამოაყენა.

მოდინ მელიქები და სულთნები, მთავრები და ამირები; მოაქვთ ხარკი და ძღვენი. ნოინები ზოგს უყვავებენ და უტინიან, ზოგს უწყრებიან და ურისხდებიან.

სანახაობა ერთფეროვანი ხდება და მარტიროსსაც მოსწყინდა ცქერა; თანაც ფეხზე დგომით დაიღალა და ნატრობს, რომ დროზე გათავდეს. დიდუკარს დაამტქნარა და, უცებ გაოცებოსაგან კინიამ იყვირა.

კარავში კრავი შემოვიდა. დედოფლურად გამოწყობილი ოდიშის მთავრის მეუღლე ტანის ოდნავი რხევით წამოვიდა, მარჯვნივ და მარცხნივ ღიმილი დააფრქვია და იქაურობა საოცარი შექქით გააბრწყინა.

ამაყად თავაწეული, დედოფლური დიდებით მომავალი კრავი ლალად, აუღელვებლად მოაბიჯებდა, დიდრონი, შექჩამდგარი თვალებით სიმშვიდესა და აღერსს მოათოვდა.

მარტიროსი ხელგად იქცა და კისერმოქეული ფეხის წვერებზე შედგა. არნახული მშვენიერებით დაბრმავებული ნოინები პირდაღებულნი შეჰ-

ყურებდნენ ლიხთიმერელი დემნისთავის მეუღლეს.

კრავი ნოინებს მიუახლოვდა. თავი დაბლად დაუკრა და მუხლზე დაეკემა რომ დააბირა, უფროსი ნოინი ზეწამოიჭრა, მკლავში ხელი მოჰკიდა და ჩაჩოქება არ დაანება.

ეს ამოდენა ბუმბერაზი, პირუტყვივით ტლანქი და მოუხეშავი ვაჟაკი ერთიანად მოღბა, თითქო დაიშალა და გაღბვა, ღიმილად იქცა და, არ იცოდა, რით გამოეხატა თავისი უჩვეულო აღტაცება.

ნოინი ტახტისევენ წაუძღვა კრავაის. ოდიშის მთავრის თანამეცხედრე ნოინის გვერდით მორთმეულ ტახტზე დაბრძანდა და იქაურობას, რომ მბრძანებლის თვალით გადმოხედა, მარტიროსი მიხვდა: მის ვალს დაკარგვა არ ეწერა.

შუადღე იყო.

გალავანშემორტყმულ ეზოში ხელგაბაწრული შეთქმულები შემოიყვანეს. თმაწვერმოშვებულნი, ფერდაკარგული პატიმრები თავჩაღუნულნი მოაბიჯებდნენ.

ბორკილგაყრილები შუა ეზოში შეაჩერეს.

— დასხედით! — ბრძანა ათისთავმა და დილეგში გდებისაგან დახუთულმა ტუსალებმა მიწაზე ჩაიკეცეს. ხელისგულივით ტიტველ ეზოში ბალახის ნასახიც არსად ჩანდა და მზისგან გახურებული მიწა კეცივით ცხელი იყო.

ასისთავმა ნუქერებს ანიშნა. ისინი შებყრობილებს მისცვიდნენ და ტანსაცმლის გამბრობა დაუწყეს. პატიმრები ჯერ გაოცებულნი მიაჩერდნენ ტანისამოსის გამხდლებს, მერე, რაკი წინააღმდეგობის გაწევა მიიხედა არ შეეძლოთ, ქედი მიუპყრეს და მათ ნებას დაჰყვნენ.

წელსზემოთ გააშინველეს.

თაფლით სავსე ქვაბი მოიტანეს და შუაში დადგეს. თაფლი სათითაოდ წაუსვეს ყველას შიშველ ტანსა და თავ-

პირზე. ამ საქმეს მორჩინენ და საცოდავად დაყრილებს ზურგი აქციეს.

— მზეზე შესაწვავად და კრაზანების საკბენად გტოვებთ, ვიდრე არ გატყდებით. თუ რომელიმე თქვენგანი ქუვას იხმარს და სიმართლის თქმას დააპირებს, ჩვენ, აქვე, ჩარდახში ვიქნებით. გვიხმეთ და წამებას შეგიწყვეტთ. — გამოუცხადა ასისთავმა და ჩარდახისკენ წავიდა. პატიმრები მართონი დარჩნენ.

ბუხით, ფუტკრითა და კრაზანით ერთ წამს აივსო იქაურობა; პაერში ირეოდნენ და გაშიშვლებულ შეთქმულებს თავლწასმულ ტანსა და თავპირზე ასხდებოდნენ.

სარდაფიდან ცოტენ ამოვიდა, შეპყრობილებს მიუახლოვდა, წელს ზევით ტანთ გაიძრო და თავლის წასმას შეუდგა. შეთქმულები გაოცებულნი მიაშტერდნენ.

— ცოტენ ხარ თუ მეჩვენება? — იკითხა ციხისკვარელმა.

— ცოტენ ვარ, ყვარყვარე, ბატონო! დილამშვიდობისა.

— დილამშვიდობის, მთავარო! — გაისმა კანტიკუნტალ.

— შენც შეგიპყრეს, ლიხთიმერეთშიაც მოგწედნენ?

— არა, მე თვითონ მოვედი, ჩემი ფეხით.

— გაგიყდი, ცოტენ? — შეიცხადა თორღვა პანკელმა.

— სასიკვდილოდ როგორ მოდიოდი, ღვთივ ვადარჩენილი... ან თავს რად წირავდი, ან ცოლშვილს რატომ ღუპავ?! — ამოიოხრა ციხისკვარელმა.

— თქვენთან ფიცით ვიყავი შეკრული და სასჯელი რომ თქვენთან ერთად არ გამეზიარებინა, ან თქვენ რას იტყოდით, ან ხალხი და ქვეყანა! — აღღლევებლად თქვა ცოტენმ, თავლის წასმას მორჩა და ხელ-ფეხის შეეკრას შეუდგა.

— საქართველოში რა ამბავია, ხალხი ხომ არ აუწიოკებიათ? — კითხულობს ეგარსლანი.

— არ ვნტი, როგორც თქვენი შე-

პყრობის ამბავი შევიტყე, მაშინვე ლაშქარი უკან გავაბრუნე და იქეთ გაემოვეშურე.

ჩარდახში მსხდომი მონგოლები შეჩოჩოლდნენ.

— ვიღაც ზედმეტი მოემატათ. — იყვირა ათისთავმა.

— ზედმეტი ვინ მოემატებოდათ, მიწიდან ხომ არაეინ ამოძვრებოდა საწამებლად, — დასცინა ასისთავმა.

— ნამდვილად ზედმეტია, ვერ ხედავთ? თავლს თვითონ ისვამს!

— სიცხეა და გეჩვენება! — ხელი ჩაიქნია ასისთავმა.

— ჩემი თვალით უნდა ვნახო, — გადასწყვიტა ათისთავმა და ეზოსკენ დაეშვა.

ცოტენს ფეხები უკვე გაებაწრა და ახლა ხელების შეეკრაზე წვლობდა. ათისთავი თავს დაადგა.

— შენ ვინა ხარ?

— ღუმნის თავი ცოტენ დადიანი, — ღინჯად მიუჯო ოდიშის მთავარმა და გულზე დაკიდებულ ოქროს პაიკაზე ანიშნა.

ათისთავი პაიკას დააკვირდა.

— შენ აქ არ იყავი და, როგორ გაჩნდი?

— მეც მათთან ერთადა ვარ.

ათისთავმა პატიმრების თვლა დაიწყო, ცალი ხელის საჩვენებელ თითს რომ თითოეულისკენ გაიშვერდა, მეორე ხელის თითს მოკეცავდა, როგორც იყო, დათვალა.

ზედმეტი ხარ, შენ აქ არ იყავი! — თავდაჭერებულად თქვა ათისთავმა.

— ნოინებს მოახსენე, რომ ჩემი ნებით მოვედი უდანაშაულოდ შეპყრობილ ქართველ მთავრებთან ერთად თავის სამართლებლად.

— შენი ნებით საწამებლად მოხვედი? — გაიკვირვა მონგოლმა.

— ჩემი ნებით, რამეთუ მეც მათსავით მართალი ვარ და უდანაშაულო. მოახსენე ნოინებს, რომ ხარკის შესაკრებად შეყრილ ქართველ მთავრებთან ერთად, მეც ვიყავი კოხტისთავს. ჩვენ

მონგოლთა წინააღდგომის განზრახვა არ გვექონია და, თუ ტყუილებრალოდ სჯიან ქართველ მთავრებს, დე, მეც მათთან ერთად დავისაყო.

ათისთავმა ერთხელ კიდევ ახელდახედა უცნობ ქართველს, მერე ისევ ოქროს პაიცას დაამტერდა და შეკოჭმანებულმა იკითხა:

— ნამდვილად დუმნის თავი ხარ?

— ნამდვილად. მოახსენე ნოინებს— დუმნისთავი, ქართველთა მეფის ვაზირი ცოტნე დადიანიათქო.

გაოცებისგან თვალბდაჭყეტრილმა ათისთავმა ერთი კიდევ შეხედა მთავარს, მერე ადგილს მოსწყდა და ჩარდახისკენ გაიქცა.

ხელგაბარული ცოტნე განაპირას დაქდა ფეხმორთხმით. წამებულთა ცქერით არ შეედრკეო, თავი ჩაღუნა და თვალი დახუჭა.

— ოჰო, ჰო, ჰო! — გრძლად ამოიხსრა რომელიღაცამ და ცოტნემ თვალი ოდნავ გაახილა: უთვალავი ნესტრის ჩხელეტისა და გამათგნებელი სიციხისაგან გახელებული, სიგოეჟმდე მისული ეგარსლან ბაეურციხელი წაქცეულიყო და გახურებულ მიწაზე ზურგით ქვლტრდა შიშველ სხეულზე დახვეულ ფუტკარს.

შემჩრუნებულმა ცოტნემ პირი იბრუნა და თვალი მარცხნივ გააპარა: შორიახლო ჩაჩოქებულ სარგის თმოგველის ტანი და კისერი ერთიანად ფუტკარს და ბუხს დაეფარა, მხრებზე გრძლად მოშვებული თაფლისფერი თმა დაჰფენოდა და ერთი შეხედვით შავ-ყვითლად შემოსილ უცნაურ ბუჩქს ჰგავდა.

იმ ბუჩქიდან ორი ჩასისხლიანებული თვალი უცქერდა ცოტნეს.

გრძელი თმა და შუაზე გაყოფილი ნიკაპი რომ არა, ალბათ ვერც იცნობდა მეგობარ ფილოსოფოსსა და რიტორს.

ცოტნემ სარგისთან გამოსალაპარაკებლად პირის გარბედაც ვერ მოასწრო, რომ ისარივით პირდაპირ, ზუზუნით წამოვიდა ფუტკარის გუნდი.

თვალი უმაღლევ დახუჭა, რომ შიგ არ სცემოდნენ და, საშინელტრბის მოლოდინში სუნთქვა შეეკრა. მწერები არც იმდენნი ყოფილან ცოტნეს ზურგსა, გულმკერდსა და მკლავებზე გაიბნენ და დასხდომისთანავე ურიცხვი ნესტრის ჩხელეტას რომ ელოდა, არც უფიქრიათ!

ვითომც ცოცხალი კაცისა არც იყოს ეს შიშველი სხეული, დალოდავენ არხეინად და არც დაგიდევენ აწუხებს ვისმე, თუ არა, მათი ეს უზრუნველი სეირნობა.

მაგრამ მწერთა ეს უწყინარი ღოღილი ყოფილა, რაც ყოფილა!

ელიტინება და ეფხანება ცოტნეს. აუტანელი ქავილი და ღიტინი ძვლებამდე ატანს და ტვინამდე სწვდება. შიშველ გულმკერდსა და ზურგზე ფუტკარის ეს არხეინი სეირნობა ნესტრის ჩაჩრბაზე უფრო შემაწუხებელი და ამაფორიაქებელი ყოფილა.

აქავებულ ადგილზე ხელის ერთი მოსმა, ერთი მოფხანა მთელ სიციხულედ უღირს ახლა ცოტნეს, მაგრამ რა ჰქნას, რომ ხელები მაგარადა აქვს გაერთული!

ტანს გრებს და მხრებს არხევს, რომ უწყალოდ დახვეული ბუზი და ფუტკარი დააფრთხოს და მოიშოროს.

მწერთაგან უფრო ფრთხილნი ზუზუნით წამოფრინდნენ, მაგრამ უმაღლევ ზედ დააცხრნენ და ახლა უკვე თმენის წამრთმევ ღიტინთან ერთად ზედიზედ რამდენიმე ჩხელეტა იგრძნო ცოტნემ, იგრძნო და ემწარა.

სახე დაეღმიჭა და შუბლზე სიმწრის ოფლი დაასხა.

ეს რა სატანჯველი მრუგონიათ წყეულ მონგოლებს! შანთით დაწვა და ასონა მოკვეთა, ან წამებამთან შედარებით ალბათ, ნაკლებ გამამწარებელი იქნება, ასოს ერთ წამში მოკვეთენ და გათავდება, შანთითაც ერთ ადგილს ამოგწვამენ და მორჩებიან.

ეს კი, ფუტკარის ეს აუტანელი ღიტინი და ნესტრის ჩხელეტა, არა თუ თავდება, უფრო გამახელებლად მა-

ტულობს და გამაგიჟებელი ხდება.

ყოველი კუთხიდან მოფრინავენ და ასხდებიან. ახლა უკვე ცოტენს შიშველი სხეულიც მთლად მწერებითაა დაფარული.

ამდენ ჭირსა და განსაცდელს ზედ კიდევ ერთი ახალი ჭირი დაერთო, ხელელებზე და მკლავებზე მაგრად დახვეუთილი თოკი სიციხისაგან ანთებულ, გასიებულ ზორცს უწყალოდ ჩასჭედია. ბაწარშემოჭერელ ძარღვებს სისხლი აწვევა და საფეთქლებში თითქოს გახუტებულ უროს სცემენ.

ოშში თუ სხვა განსაცდელში უხორცოსავით უშიშარ ვეჯაცს თვლებში სიმწრის ცრემლი მოაწვა და დაბალუბით გადმოსცივდა. ცრემლის ორიოდ წვეთი სიციხისაგან გამხმარ ტუჩებსაც მისწვდა. გამშრალი ენით ტუჩი მოილოკა და თუმცა ემლაშა, მაინც ესალბუნა.

თავის ფეხით მოვიდა ცოტნე შეთქმულთა ხვედრის გასაზიარებლად, ტანი თვითონ გაიშვივლა, თავლი თავად წაისვა და ხელებიც თვითონ გაიბაწრა. აქეთ რომ მოდიოდა, ეგონა სიკვდილს თვალში პირდაპირ შეხედავდა და მონგოლთა არავითარ სასჯელს არ შეუშინდებოდა. ყოველგვარ სატანჯველს ელოდა და სჭეროდა, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ გასტეხდა, ყოველგვარი წამებისათვის მზად იყო, მაგრამ, აბა, ამას როგორ წარმოიდგენდა, რომ უღონო მწერთა გუნდი მოერეოდა, დიაცივით ცრემლს აღერევიანებდა და სიკვდილს მონატრებდა!

არა, მართლაც ჯოჯოხეთური, არაადამიანური სატანჯველი ყოფილა თაფლწასმულ სხეულზე ფუტკრის დახვევა, თორემ ცოტნეზე ნაკლები ეჯიკაცები როდი არიან ვერამ ვაგელი და ეგარსიან ბაქურციხელი, შოთა კუბრი და თორღვა პანკელი, ყვარყვარე ციხისჭვარელი და სარგის თმოგველი და სხვები და სხვები, ახლა რომ მის გვერდით ხელგაბაწრულნი დაყრილან და დასაკლავი ხარებივით ზმუიან!

არა, უნდა ვაფიქროს ცოტნემ ტყე-

ვილსა და არნახულ განსაცდელს, უნდა გაიხსენოს გასამხნეველად ჟიფისი და სხვების მაგალითი, სანამ გონებას კბადვე მუშაობს და გული არ შეპლონდება.

გულის შელონების გაფიქრებამ ოტია მეჭინბის წამება და ბავშვობაში თავისი პირველი გულის წასვლა გაახსენა. დამწვარი ზორცის სუნი იმ სიშორიდან მისწვდა და თვალწინ დაუდგა შეუბოვარი გლეხის კერპი სახე, თვალებიდან რომ სიმწრის ნაპერწყმები სცივოდა და საკუთარი ზორცის დაწვას უგრძობელივით უძლებდა.

რა ძალა ჰქონია სიყვარულსა და რაინდულ თავმოყვარეობას! როგორ აიტანა ის სატანჯველი ოტია, რომ ერთიც არ დაიკენესა და შებრალება არ ითხოვია!

არა, ოტიას მართო სული კი არ დგამია უმტკიცესი და გაუტეხელი, ზორციც, სხეულიც უგრძობელი ჰქონია, თორემ მაშინ ვინდა აიძულა, მთაში რომ მეფუტკრესთან პაპანაქება სიციხეში მინდორზე იწვა და ცალმხარგაშიშვლებულს, ზეიბარ ხელმკლავზე თაფლწასმულს ურისხვი ფუტკარი ეხვია. ის ფუტკრები ხომ ოტიასაც ასევე უწყალოდ კბენდნენ და უღიტინებდნენ, ჩხუტდნენ და გონების წამრთმეველ ახელებდნენ. როგორც ახლა ტანჯავენ კობტისთავის უღბლო შეთქმულებს.

იწვა და უძლებდა ოტია, არ გმინავდა და თვალზე ცრემლს არ უშვებდა.

უბირ გლეხაცს — ოტიას არც რაიმე მაღალი მიზანი, არც ვისმე წინაშე მოვალეობა ჩააგონებდა მაშინ იმ ჯოჯოხეთური წამების გაძლებასა და ატანას. კობტისთავის შეთქმულების მიზანი კი ოტიასათვის მიუწვდომლად მაღალია და წმინდა, მოვალეობაც დიდი და კეთილშობილი, მოვალეობა ერისა და სამშობლოს წინაშე!

— ვაი, დედა! — მწარედ ამოიკენესა ვილაყამ და დედის ხსენებამ ცოტნეს ხალხში გატრეკლებული ბრძნული

ნათქვამი მოაგონა: ხელის გულზე რომ ერბო-კვერცხი მოიწვა, დედის ამაგს მაინც, ვერ გადახდით. ალბათ, ვილას მართლა მოუწვავს ხელის გულზე ერბო-კვერცხი, რომ ხალხში ეს შემთხვევა ანდაზად გადასულა.

იქნებ არც არავინ იყა ამის ჩამდენი და ხალხმა უმალღესი, შეუძლებელი სატანჯველი დაუსახა შეილებს დედის ამავის გადასახდელად, დაუსახა და თან ეს დასძინა: ასეთი წამებაც არ კმარა, რომ დედის ვალი გადაიხადო.

და თუ დედის ვალი ასე დიდი და გადაუხდელია, სამშობლოს წინაშე მოვალეობა ხომ კიდევ უფრო მაღალი და წმინდაა, სამშობლო ხომ ჩვენი დედის დედაც არის და მისი ვალის მოხდა კიდევ სხვა მრავალ ვალთან ერთად დედის ვალის გადახდასაც გულისხმობს.

ტკივილისაგან ლამის ტუჩები დაიჭამოს ცოტნემ. დაკბენილ ბაგეზე სისხლი სდის და იმის თავიც აღარა აქვს, რომ პირში ჩასული სისხლი გადააფურთხოს.

— მუციუს სევეოლა! მუციუს სევეოლა! — გაახსენდა უცებ ივლიანე მოძღვრის შეძახილი და თვალწინ დაუდგა ცეცხლზე დასაწვავად ხელგაწვდილი, სამშობლოსათვის თავდადებული რომაელი ჭაბუკი.

— იმას ცეცხლისთვის გაუძლია და მე ბუხს როგორ ვერ უნდა გაუძლო! — ფიქრობს ცოტნე და ტკივილისაგან იკლავება. — ავი ქვეყნისა და მშობელი ხალხის სიყვარულით ყოველგვარ წამებასა და ტკივილს გაუძლებს კაციო! და განა ცოტნეზე მეტად ვინმეს ეყვარება თავისი ხალხი და ქვეყანა?!

რა არ გადახდომია ცოტნეს თავს, რამდენჯერ ომშიც დაჭრილა, მაგრამ ასეთი სიმწარე და გამაწამებელი ტკივილი არსად და არასოდეს განუცდია...

თუმცა განვლილი ტკივილი და მოუშუშებული ტრიალობა ვის გახსენებია!

თითი რომ თითია, იმის მოჭრაც იმ წუთებში ისეთივე მტკივნეულია, როგორც შკერდში ან თავში დაჭრა და, ტკივილის ზომას ის როდი განსახდევ

რავს, რისგან გტყვი, ან სხეულის რა ნაწილი გტყვი!

რამდენჯერ უნაზავს ცოტნეს სხეულზე ატკივებული ვაყვაცები თავში რომ განწირულებივით იცემენ მუშტს და, დიაცებივით ღვრიან ცრემლს ეტყობა ტკივილსაც რაღაც უმალღესი ზღვარი ჰქონია, რომლის იქით, მერე სულერთია, განცდა ერთნაირია და ადამიანი უგრძობელი ხდება ტყენის მეტნაკლებობის წინაშე.

თავი უსკდება ცოტნეს და ფიქრის თავიც აღარა აქვს, ცალკე ტენამდე მისული ტკივილისა და ცალკე პაპანაქება სიცხისაგან.

შუადღის მზე პირდაპირ კისერში ჩაჯდომია და თავი თითქო სივდება, ბრუვდება და შიმდება.

ისეთი სიცხეა, კვერცხი რომ დადო მზეზე, წუთში შეიწვება.

გავარვარებული მზე უთვალავი ცეცხლოვანი ისრით ჩხელეტს ტანშიშველს და ცოტნემ აღარ იცის, მზე უფრო მწარედ იკბინება თუ ფუტკარი.

მთელი სხეული გახურდა და წამოენთო. სახეზე და შიშველ ტანზე, ყველგან ცეცხლი უკიდია და ცოტნე გრძობს, რომ ალაგ-ალაგ კანი სკდება. თვალები გადმოცვენაზე აქვს და თავი გახეთქებაზე.

ალბათ ბედმა ეს განსაცდელი არ აკმარა და ამდენ ტკივილს ყველა ტკივილზე შემაწუხებლად წყურვილიც დაურთო.

პირი გაუშრა და სასა უხმებდა. ნერწყვი გაუქრა და ცრემლიც გაუწყდა, რომ ერთხელ კიდევ მაინც გახურებული ტუჩები ოდნავ გაუგრძლოს.

მთელი სხეული იწვის და ცოტნე ველარ არჩევს ერთიმეორესაგან დაუსრულებელ ტკივილსა და დაუამებელ, მოუკლავი წყურვილის უღმობლობას.

ცოტა კიდევ და ან თავის ქალა აეხდება ტკივილისა და სიმხურვალისაგან, ან ხორცს ავარდება ალი და დაიწვება კაცი ასე ცოცხლად.

მაგრამ მანამდე ალბათ გულიც ვერ

გაუძლებს. ბურანში წასული ცოტნე გრძნობს, როგორ მიიპარება სადღაც ფეხის ფრჩხილებში უკანასკნელი ძალღონე.

თვალს ახელს, მაგრამ უკვე გარკვევით ვედარაფერს ხედავს, ყველაფერი მღვრიე ნისლშია გახვეული და ჩადირული. ყურშიაც აღარაფერი ესმის გარედან, აღარც წამებულ შეთქმულთა ზმუილი და კენესა, აღარც ფუტკრის ზუზუნი. ალბათ უკვე დაიხოცნენ და იმიტომ აღარ სწვდება ცოტნეს ყურს შეთქმულთა ვმინვა, თორემ სმენა ჭერ კიდევ არ უნდა ჰქონდეს დაკარგული, აქი კარგად ესმის შიგნიდან მომდინარე გუგუნნი და გახურებული საფეთქლების ფეთქვის ხმა!

ნუთუ ყველანი დაიხოცნენ? ან რა გასაკვირია! ისინი ხომ ცოტნეზე ადრე, ალბათ კარგახნით ადრე იტანდნენ საშინელ წამებას და როდემდე შეუძლია ადამიანს უკიდურესი ტანჯვის ატანა?!

ქრისტე რომ ქრისტე იყო, იმანაც ვერ გაუძლო საშინელ წამებას — წყურვილსა და პაპანაქებას, ლურსმნების ჩხვლეტასა და ლერწმით ცემას.

ქრისტემ წინასწარმეტყველურად იცოდა, რომ ჭვარცმული მოკვდებოდა და სულს საშინელ ტანჯვაში დაღვედა. ისიც მტკიცედ სწამდა, რომ თავისი ტანჯვით მთელ კაცობრიობას იხსნიდა და ამ რწმენის კაცმა, კაცმა კი არა, ღმერთმა, ვერ გაუძლო წამებას და ბოლოს მაინც დასცდა უფლის მიმართ საყვედური: ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მეო.

ნუთუ ცოტნეს აღმოაჩნდება იმდენი ძალა, რომ ბოლომდე გაუძლებს წამებას და შევლას არ ითხოვს? მაგრამ რა შევლის ითხოვნა უნდა ოდიშის მთავარს, ის აქ შეპყრობილი არავის მოუყვანია, ადგეს და წავიდეს, როგორც მოსულა...

სახე მწარედ დაეღრიჭა.

ეს, ალბათ, უკანასკნელი გამოხატვა იყო ზიზღისა თუ დაცინვისა საკუთარი თავის მიმართ, დიდიხნის დათრგუნვილ და მივიწყებულ, მაგრამ გო-

ნების რომელიღაც კუნჭულში ჩარჩენილი ადამიანური სულმოკლევობის მიმართ.

და აი, უკანასკნელი ძალა შეუმჩნეველად სადღაც მიდის, წვეთ-წვეთად მიიპარება.

წყურვილისა და ტკივილის შეგრძნება ქრება და წამით მთელი სხეული უამდება ცოტნეს, რაღაც თბილი და საამთ ჩაელვარა ძეაღსა და ლბილში და ერთბაშად შეება, მოსვენება იგრძნო.

ყურებში შუილი ჩაესმა, სმენად იქცა, გაიტრუნა.

ფიქრისა და წარმოდგენის მცირე უნარი თუ ღონე კიდევ შერჩენია და ხვდება: ეს შუილი არწივის ფრთების შრიალია.

აჰა, მოღის მისკენ, ფრთების ტყლაშენით მოფრინავს ამირანის გულღვიძლის მკორტნელი არწივი.

რამდენჯერ მოფრენილა ბავშვობაში ცოტნესთან სიზმრად ამირანის არწივი გულღვიძლის საკმეღლად და სისხლის სასმეღლად!

მაშინ ცოტნემ არ იცოდა, რა ტანჯვის ფასად მოფრინდებოდა ის არწივი ცხადში, რა დიდი ტკივილის შემდეგ დაეუფლებოდა ის სიამე, რომელიც ახლა ასე უხვეად ეღვრება სულსა და ხორცში.

საოცარი იყო. ასაკში შესულ ცოტნეს ერთხელაც აღარ გაჰკარებია ბავშვობის ეს ზმანება. რა გვირობა არ ჩაუღენია, რამდენჯერ გდებულა დაჭრილი ბრძოლის ველზე, მაგრამ გმირი და ბრძოლაში დაჭრილი სხვაც ბევრი იყო და ამირანის არწივს მათ საკორტნად სად ეცალა?!

დაივიწყა, აღარ ახსოვდა არწივის ცოტნე.

რამდენი წელი გასულა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად მოინახულა ყრმობის სიზმარში ამირანის არწივმა! რამდენი უოცნებია დავაჟაკებულ ცოტნეს, რამდენჯერ უნატრია დიდი საქვეყნო საქმისათვის თავგანწირვის ღილდოდ ამირანის არწივის მოფრენა და ყრმობის ზმანებაში დაბრუნება.

„მაგრამ ამაოდ! ბავშვობის ტკბილი სიზმარი არ ახლდებოდა!

ნუთუ ახლა ვახადა ბედმა თუ განგებამ იმ ზმანების დაბრუნების ღირსი, ახლა, როცა სული და ხორცი ერთიმეორის გასაყრელად არიან მზად და ცოტნეს ამ ქვეყნისა თითქმის აღარაფერი ესმის?!

ნუთუ ამ ერთმა რაინდულმა ნაბიჯმა — მრისხანე მტერთან თავისი ნებით გამოცხადებამ და მოძმე შეთქმულებთან ერთად სასიკვდილოდ თავგანწირვამ აღძვალა ცოტნე მის მიერ ჩადენილ ყველა გამირობაზე მეტად, ნუთუ პატიოსნების ამ გამოვლენებამ, საშობლოსა და მოყვასთათვის ამ თავდაცვამ ვახადა ცოტნე იმის ღირსი, რომ ცოტნებად ქცეული ამირანის არწივი მოფრინდეს მასთან, გულ-ღვიძლი დაუკოტნოს და უვრძნობლამდე მისული ღონის დაკარგვით დაუამოს ტკივილი!

ცოტნე ველარ ვრკვევა, ძინავს თუ ღვიძავს, სიზმარშია თუ ცხადში.

ხელებზე და მკლავებზე მკიდროდ მოხვეული თოკი, ცოტა ხნის წინ, რომ უჭერდა და ხორცს სჭრიდა, თითქოს მოეშვა, მოღბა და მისივე სხეულის ნაწილად იქცა: ამირანის სხეულზე შეხორცებული ჯავის მსგავსად, ცოტნეს თოკიც ძარღვივით გამოთბარა და გაცოცხლებულა; ხელებშეკრულ ვაჟკაცს ეჩვენება, რომ იმ თოკშიაც მისი გახურებული სისხლი მოძრაობს, საამოდ მომთენთავად და გამაბრუებლად, თავის დამაეწეებლად და დამათრობლად.

დიდხნის ნანატრ სიზმარს ცოტნე მთელი არსებით ეძლევა და არწივის ფრთების მოახლოებული შრიალი კიდევ უფრო მატულობს.

ზეცამ გრიალი მობლო, არწივი მოფრინდა და ცოტნეს მკერდზე დაეცა.

სიხარულით ფრთაშესხმული ცოტნე მხოლოდ ერთხელ შეკრთა, არწივის ნისკარტის პირველ მოხვედრაზე.

მერე, გაუმაძღარმა ფრთოსანმა, რომ სისხლის სმა დაიწყო, იმ სისხლ-

თან ერთად ცოტნეს სხეულიდან ერთბაშად დაიძრა და წაიღვარა ყველა ტკბილი და საწუხარო.

ცოტნეს სიამის მომგვრელი სინუსტე ერევა ნელნელა და, თანდათან ეკარგება ალქმის უნარი. ტკივილის განცდა ქრება და ყველაფრის დამაეწეებელი თრობა თუ გაბრუება ეუფლება.

სული და სხეული აავსო საამრ სითომ და ნეტარმა სიმშვიდემ.

თბილი, ტკბილი ქრეოლა დამთენთავად მოედო და ბურანმა იმ არწივის ფრთებივით დააარწია და თვალმოუწვდომელი სიმადლისკენ დასძრა ცხელ მიწასა და საკუთარ სხეულს მოცილებული, ზმანებაში წასული, თუ უკვე გონდაკარგული ვაჟკაცი.

დასასრული

P. S.

მემატიანე ასე ამთავრებს ცოტნეს თავგადასავალს:

„... ვითარ იბილეს თათართა, განკვირდეს და მსწრაფლ აუწყეს ნოინთა, ვითარმედ: „ცოტნე დადიანი მოვიდა ორითა კაცითა, და განიძარცვა სამოსელი თვისი, და შეკრული დაქდა ქართველთა თანა რამეთუ კეთილად მეცნიერნი იყვნეს ცოტნესი, რომლისათვის განკვირდეს თათარნი, და წინაშე მათსა მოუწოდეს, და ჰკითხვიდეს მიზეზსა მუნ მისვლისა მისისა.

ხოლო იგი ეტყოდა, ვითარმედ: „ჩვენ ყოველნი ამად შევიკრბინეთ, რათა განვაგოთ ხარაჯი თქვენი და ბრძანება თქვენი აღვასრულოთ, — ესე იყო შეკრება ჩვენი. აწ თქვენ ძვირის-მოქმედთა თანა შეგვრაცხენით და მე ამის ძალით მოვედ წინაშე თქვენსა, რათა გამოიკითხოთ, და უკეთუ ღირსი რამე სიკვდილისა უქმნიეს, მეცა მათ თანა მოკვად; რამეთუ თვინიერ ჩემსა არარა უქმნიეს; უკეთუ ცხოვდნენ, მათ თანა ვიყო. და ვითარ ესმა ესე ცოტნესაგან ნოინთა, განკვირდეს სათნოებისათვის მისისა და თქვეს: „ვინათ-გან ნათესავნი ქართველთანი ესოდენ

კეთილ არიან და არა განცრუვდებიან, რომელ აფხაზეთით მოვიდა კაცი, რათა დადევას სული თვისი მოყვარეთათვის, და არა განცრუვდეს, ესრეთ განწირა თავი თვისი სიკვდილ, — არა არს სიკრუე მათ შინა, და ამის ძლით უბრალოდ ვპოვებთ. ამისათვის განუტეოთ ყოველნი“.

ჟამთააღმწერელი ამის შემდეგ არა ერთხელ მოგვითხრობს კობცისთავის შეთქმულების სხვა მონაწილეებზე, მაგრამ აღარსად, ერთხელაც აღარ ახსენებს ცოტნე დადიანს, თუმცა იერუსალიმის ქართველთა მონასტრის აღაპების მოწმობით ჩვენ ვიცით, რომ შეთქმულების ამ მთავარ გმირს კიდევ დიდხანს უცოცხლია.

მემატანემ ცოტნეს თავგადასავლის თხრობა იქ შესწავიტა, როცა იგი თავისი ცხოვრების ყველაზე ლამაზ და ღირსსახსოვარ საფეხურზე შედგა, როცა თავისი კეთილშობილებითა და გმირობით ამაღლებულმა დაცემული ქართველობაც აამაღლა და უკვდავებას აზიარა.

ჟამთააღმწერელმა ცოტნეს ცხოვ-

რების ყველაზე ლამაზ წუთს დასვა წერტილი და სწორადაც მოიტყუა, რადგან ყოველი გმირის ნატურა ეს აზრის მოიგონონ იგი, არა სიციცხლის თავდაღამართზე დაქანებული, არამედ იმ ულამაზესი წუთებით, როცა მან თავისი ცხოვრებისა და მოწოდების აზრის განხორციელებისათვის სწრაფვაში უმაღლესსა და უმშვენიერესს მწვერვალს მიაღწია.

ჟამთააღმწერლის ამ გადაწყვეტილებამ ჩვენც მოგვხიბლა, მაგრამ მემატანის მეორე გადაწყვეტილებაც არა ნაკლებ საფუძვლიანი გვეჩვენა: იგი გმირობისა და მაღალი ზნეობის მაგალითით შემოიფარგლა. დანაშაულს აღარ ჩაეძია, და შეთქმულების გამცემი მოლაღატის რკვევას არ შეუდგა. ჟამთააღმწერელმა მოლაღატეს სასჯელად მის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება აქმარა და შთამომავლობისათვის მისი სახელის შემოსანახავად არ იზრუნა.

მემატანის ამ გადაწყვეტილების ღრმა აზრი ჩვენც გავიზიარეთ და აქ დავსვით ჩვენი თხრობის დამამთავრებელი წერტილი.

გო ლ ო ს ი ბ ხ ვ ა

მწერლობაში ფეხის შედგმიდან საქართველოს ისტორიაც იყო ჩემი შთაგონების წყარო.

ისტორია ჩემთვის მოთხოვნილებაზე მეტს ნიშნავდა, იგი ჩემში ცხოვრობდა და მე მაშინაც ვწერდი ლექსებსა და ჭოგებებს ისტორიულ თემაზე, როცა საქართველოს წარსული ჩვენში არც ისე დიდი პატივით სარგებლობდა.

პირველი პროზაული ნაწარმოები „ლაშარელა“ საქართველოს ისტორიამ შთაგონა. „ლაშარელას“ მოჰყვა „დიდი ღამე“ და აი, წარსულში ჩემი მოგზაურობა ჯერჯერობით მთავრდება მეცამეტე საუკუნის ქართული ქრონიკის უკანასკნელი, მესამე წიგნით, რომელ-

საც „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“ ვუწოდებ.

თითქმის ოცი წელიწადი ვცხოვრობდი მეცამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრებით. ჩემს სამუშაო მაგიდას ამ ხნის განმავლობაში არ მოშორებია რაშიდ ადინისა და იბნ ალასირის, ნესევისა და ჯუჯეინის, ვასაფისა და კირაკოსის და სხვათა და სხვათა მატანეები, მაგრამ უმთავრესი მაინც ჩემთვის „ქართლის ცხოვრება იყო“.

ისევ და ისევ დაუქმავოფილებელი წყურვილით ვუბრუნდებოდი მის ცალკე მოთხრობებს, სულ ახლისა და ახლის აღმოჩენას მოველოდი მის ყოველ ახალ გადაფურცელზე. ვცდილობდი სტრიქონთა შორის ნაგულისხმევი, და-

ფართული აზრი ამომეკითხა და უცხო-
თა მოწმობასთან შეჯერებით, ჩემთვის
საინტერესო ეპოქის სფეროში სინათ-
ლე შემეტანა.

უცხო წყაროთა შესწავლამ და მრავალი გამოკვლევის გაცნობამ კიდევ უფრო განმისტკიცა ნდობა „ქართლის ცხოვრების“ ღირსებებისადმი.

ახლა, როცა ჩემი „ქრონიკის“ უკანასკნელი წიგნიც დასრულდა და მკითხველთან გასაუბრება მომინდა იმის გამო, თუ როგორ და რა ხელმძღვანელი პრინციპებით ვმუშაობდი ისტორიულ მასალაზე, ჩემდაუნებურად, ისევ „ქართლის ცხოვრების“ ტყვეობაში აღმოვჩნდი და ეს ბოლოსიტყვაც, უმთავრესად, ჩვენი ერთგული კულტურის ამ უდიდესი ძეგლის (უკეთ, მისი ერთ-ერთი ნაწილის — „ჟამთააღწერის“) ქებათაქებას მიეძღვნა.

• • •

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის წიგნი ათასერთი ლამის ზღაპარსა ჰგავს.

როგორც შეპერეზადან ძირითადი სიუჟეტი ვითარდება უამრავი ახალ-ახალი განტოტებით — დამოუცილებელი სიუჟეტების მქონე იგავებით, ისე „ქართლის ცხოვრებაც“ საესეა ცალკე ადამიანების ამბებითა და თავგადასავლებით, რომელთაც თავისთავადი დამოუცილებელი ღირებულებაც აქვთ და, ამავე დროს, ერთი დიდი მთელის განუყოფელ ნაწილებსაც შეადგენენ.

საქართველოს ისტორიის ხეს უთვალავი ტოტი აქვს და ყოველი მათგანი ნაყოფითაა დახუნძლული. ამ ნაყოფთაგან ბევრი ტყბილია და სურნელოვანი, მაგრამ უფრო მეტი მწარე და ცრემლის დამდენია.

ჩვენი ერის მიერ განვიღო გრძელ გზას ბავშვობიდან ვაყოლებდი თვალს: იგი თითქმის პრეისტორიაში იწყებოდა და აგერ, ჩვენს დღევანდელ დღემდე მოდიოდა. ქართველი ერის ნაკვალევს კაცობრიობის ცხოვრების თავდაპირველ სათავეებამდე მივყავდი და

მერე, იმ სათავეებიდან აქეთ რომ გამოვიხედავდი, ჩემი ხალხის სიცოცხლის უნარიანობა მისი საარსებო ძალების ამოუწურავობა მოცეხდა და სიამაყით მავსებდა.

ასურ-ბაბილონი და ეგვიპტე, ფინიკელები და ხეთები, ძველი ბერძნები და მიდიელები, დიდი ხნის წინათ დაიეცნენ ამ მნელსა და გრძელ გზაზე. გამანადგურებელი ომებისა და ხალხთა დიდი მოძრაობების მღელვარე ზღვაში მოქცეულმა ქართველმა ხალხმა კი, რაკი ერთხელე მოაბჯინა ქედი კავკასიონს, აქედან ფეხი აღარ მოიცივალა, ფესვი მაგრად გაიდგა და ჩვენს დრომდე სიცოცხლის შეუნელებელი წყურვილით მოვიდა.

რამ აცოცხლა ამდენხანს, რა უდგამდა ხელახლა სულს, ათასჯერ სასიკვდილოდ დაცემულ ქართველ ერს?

ამ კითხვაზე უნებურად დაფიქრებულა ყველა, ვისაც დრამატრზიით აღსავსე საქართველოს ისტორიისათვის თვალი გადაუვლია. ვრიგოლ ორბელიანი ჩვენი ერთი მითიურ ფრინველს — ფენიქსს შეადარა. ფენიქსი ცეცხლში იწვის, იფერფლება და შემდეგ იმ ფერფლიდანვე აღმდგარი, განახლებული გვევლინება. რამდენჯერ დაქცეულა და დაფერფლილა საქართველო, ქვა-ქვაზე აღარ დარჩენილა და მისი აღორძინების იმედი აღარავის ჰქონია, მაგრამ იგი მაინც აღმდგარა ფერფლიდან და ფრთები მძლავრად გაუშლია ახალი ცხოვრების დასაწყებად.

ზოგჯერ საქართველოს დაცემაში მისსავე შეილებსაც მიუძღოდათ ხოლმე წილი და ქართლის ცხოვრების ფურცლებზე არა ერთი ძლიერი ადამიანი გვხვდება, რომელსაც პირადი ბედნიერებისათვის სამშობლოს კეთილდღეობა უნაცვლებია. მაგრამ ეს ხომ მართო ქართველთა უბედურება არ იყო. განა ინგლისური ქრონიკები საესე არ არის ტახტის მიმტაცებელ მამათა და მამათა მკვლელების სახელებით, რომელთაც არაფრად უღირო მტრის ჯარების შემოძლოლა და სამშობლოს ძლიერების

დამბობა, ოღონდ კი თავიანთი პატივ-მოყვარეობის ჭია ახარონ ცოტახნით მაინც. ვინა ამ ქრონიკებში არ მისცეს საზრდო ყველა დროის უპირველეს გენიოსს შექსპირს უკვდავი, ზოგადსაკაცობრიო სახეების დასახატავად!

მსოფლიოსა და მშობლიურ ისტორიაზე დაკვირვებამ ათქმევინა ვოლტერს ესოდენ სასოწარკვეთილი სიტყვები: „კიდევ და კიდევ გვიხდებია იმის აღიარება, რომ ისტორია არის ჯაჭვი დანაშაულობისა, სიგიჟისა და უბედურებისა, რომელთა შორის უდაბნოში აქა-იქ გაბნეული ოაზისებზევით იშვიათად თუ შეხვდებით კეთილის მოქმედ ადამიანს ან ბედნიერ ეპოქას. სხვა ხალხებიც არ იყვნენ უფრო გონივრები, მაგრამ არც ერთ ერს თავი ისე არ შეურცხვევინია მკვლელობებითა და ბოროტმოქმედებით, როგორც საფრანგეთმა შეიარცხვინა“.

ასე იყო ყველგან. ასე იყო ჩვენშიც, რადგან თავათ ბუნებაშიც ასე, ერთიმეორის გვერდით არსებობს ნათელი და ბნელი, იფქლი და ღვარძლი, ღალატი და ერთგულება.

მაგრამ ძველი ქართული ქრონიკების ფასი ძალიან ჩვეულებრივი იქნებოდა, რომ მათ ზნეობრივი სიწმინდისა და რაინდული კეთილშობილების ისეთი ამადლებული მაგალითები არ შემოენახათ, რომელთა ბადალი მსოფლიოს ბევრი ხალხის ისტორიაში სანთლით სამებნელია.

„ქართლის ცხოვრების“ ყველაზე დიდი დამსახურება ჩვენი ხალხის ისტორიაში სწორედ ის არის, რომ ფაქიზი ზნეობის, ერისა და მოყვასისათვის თავდადების უქნობი გაკვეთილები გადმოგვცა და ამით შთამომავლობის სულზე სამუდამოდ აღბეჭდა მორალური სრულყოფისაკენ დაუოკებელი სწრაფვის სურვილი.

ისტორია რომ შთამომავლობისათვის გაკვეთილია, ეს საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებად ითვლება, მაგრამ ჩვენს დროში, ძველი სამქაროს მზის ჩასვლამ ბურჯუაზიულ-მოაზროვნეობრივად ახალგაზრდა

ნეთა საერთო გულის გატეხვასთან ერთად, ისტორიის მიმართაც შექმნა ურწმუნობისა და უარყოფილების მოსაფერო.

„ისტორია ინტელექტის ქიმიის მიერ გამოშუშავებული ყველაზე საშიში პროდუქტია, — წერს ჩვენი დროის ფრანგი პოეტი და მოაზროვნე პოლ ვალერი, — მისი თვისებები კარგადაა ცნობილი. იგი აღძრავს ოცნებას, აბრუნებს ხალხებს, ჰკვებავს მათ ცრუ მოგონებებით, უმძაფრებს რეფლექსებს, უმწეავებს ძველ წყლულებს, ურღვევს მოსვენებას. ავადებს განდიდების ან დევნილების მანით, ერებს ხდის გამწარებულ, მედიდურ, აუტანელ და ამოდ მოფუსფუსე ორგანიზმებად... ისტორია ამართლებს ყოველგვარ სურვილს, იგი არაფერს გვასწავლის, რადგანაც ყველაფერს შეიცავს და ყველაფრის მაგალითს იძლევა... ისტორიიდან არავითარი გაკვეთილის გამოტანა არ შეიძლება“.

ვალერის ამ მსჯელობაში გონება-მახვილ დაკვირვებასთან ერთად მკაფიოდ მოჩანს უზრუნველობა ისტორიული ბედისაგან განუბივრებელი დიდი ერის შვილისა, რომლის წინაშე არ დგას არც მშობელი ხალხის ყოფნა არყოფნის საკითხი, არც ისტორიის გაკვეთილის მოშელოებების საჭიროება დაიკუმშული სამშობლოს აღსადგენად და გასამხნეებლად.

ადამიანთა მოდგმის ყოველი ახალი თაობა თვითონ იკვლევს გზას ცხოვრებაში. როგორც თითოეული ინდივიდუუმის, ისე თითოეული თაობის წინაშე წამოჭრილი ყოველი ახალი სიძნელე მისგან მეტწილად ახლებურ გადაწყვეტას თხოულობს და მსგავს სიტუაციაშიც კი წინაპრის გამოკდილება ყოველთვის ვერ ასრულებს გზის მაჩვენებელი კომპასის როლს.

ადამიანების უმრავლესობა თავისი დროის ყოველდღიურობით ცხოვრობს და არაფერი ისე არ ახდენს ჩვენზე გავლენას, როგორც ჩვენს დროს მომხდარი რაიმე მოვლენა ან ფაქტი.

ამ ჰუმანიტეტებს საზოგადოებრივად გამოხატავს არაბული ანდაზა: „ადამიანები თავიანთ მიმებზე მეტად თავიანთ დროს გვანანო“.

დიას, ეს ასეა, მაგრამ დროსა და ბუნებაში არიან ძალები, რომელთა ზედმოქმედება მართო მათი სიმშორით ან სიახლოვით როდი განიზომება.

ჩვენს დროში, ჩვენს გვერდით ზღვება უამრავი მოვლენა, რომლებიც ჩვენზე არავითარ გავლენას არ ახდენენ, ასევე, ჩვენს გვერდით არიან უამრავი ადამიანები, რომელთა არსებობას ჩვენი ცხოვრებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ისინი არც კულად მოქმედებენ ჩვენზე, არც კარვად.

მაგრამ თითოეული ერის წარსულში იყო მოვლენები და იყვნენ ადამიანები, რომლებსაც მიუხედავად იმისა, რომ ჩვენგან შორს არიან, დღესაც შესწევთ ძალა გავლენა მოახდინონ ჩვენზე.

ის ძალა, რომელიც სიმშორის მიუხედავად, მაგნიტივით მოქმედებს ჩვენზე, ხალხისათვის თავდადებისა და კეთილშობილი რაინდობის, სპეტაკი ზნეობისა და სულიერი ვაჟკაცობის მაგალითებია. ეს მაგალითები მწვერვლებზე ითვს დგანან ერის მიერ განვლილი გზის გრებილზე და სამუდამოდ რჩებიან შთამომავლობისათვის საზომად.

ადამიანები ვერასოდეს ვერ შეიცნობენ თავისთავს და ვერასოდეს ვერ შეაფასებენ თავის ან სხვის მოქმედებას, თუ მათ ეს საზომი — მაღალი ზნეობის მაგალითი არ აქვთ.

წარსულს მეორე მაგალითიცა აქვს; ეს არის სულიერი სიმდაბლის, დაცემისა და გათახსირების მაგალითი. წარსულმა შექმნა მოღალატისა და გამყიდველის ზოგადი, შემკრები სახე — იუდა. ყველა ერსა ჰყავს თავისი იუდა და მათი მაგალითიც სპეტაკი ზნეობის მაგალითების გვერდითაა ამართული ერის მიერ განვლილ გრძელ გზაზე. ოღონდ განსხვავება ისაა, რომ იგი არ ბრწყინავს, არავის არ იზიდავს შორიდან და არავინ არ ცდილობს თავისი

მოქმედება მას შეუფარდოს და, პირიქით შთამომავლები იფიქრებენ და გამოირიცხავენ მას თავიანთი მოქმედებისათვის გუზის მიცემისას.

მაგრამ იუდა მაინც არსებობს ადამიანის ცხოვრების ყველა ეტაპზე. იგი თავს არ გვახსენებს და შესაფერის დროს უცდის, რათა გამოჩნდეს და ერთხელ კიდევ დაასვას სამარცხვინო დადი ამა თუ იმ თაობას.

ისტორიის, როგორც გამოცდილებისა და გაკვეთილის უარმყოფლები რატომღაც არ ითვისებენ თავისუფლებისათვის მებრძოლი დამონებული ხალხების მეცხრამეტე საუკუნის რუსეთისა და ავსტროუნგრეთის იმპერიებში შემავალი ერების მაგალითს. ქართველმა და სომეხმა, პოლონელმა და ბულგარელმა, სერბმა და ჩეხმა ხალხებმა, სწორედ ისტორიის გაცოცხლებით, წარსულის მაგალითების მოშველიებით ჩაიდგეს ის მებრძოლი სული, რომელმაც მათ საბოლოოდ მოუტანა დიდხინის ნანატრი თავისუფლება.

დღემდე ცოცხალი თაობის თვალწინ „ქართლის ცხოვრებამ“ ჩვენი ქვეყნის განვითარებაში უაღრესად აქტიური როლი შეასრულა და ერის სულიერი განახლებაში საოველმყოფელი მონაწილეობა მიიღო.

მეცხრამეტე საუკუნის დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეთა შთავონებას „ქართლის ცხოვრების“ ის ფურცლები ჰკეებავდა, რომლებიც ცოტნე დადიანისა და დიმიტრი თავდადებულის, ბახტრიონის გმირებისა და თევდორე მღვდლის თავგანწირვაზე მოგვითხრობენ.

ილიას „დიმიტრი თავდადებულმა“, აკაკის „ნათელამ“ და „ბაშიაჩუკმა“, ვაჟას „ბახტრიონმა“ ცოცხლად დაუბატეს სამშობლოსათვის თავდადებული გმირის იდეალი ქართველ ხალხს და შეუქმნეს თავისუფალი ცხოვრებისათვის მებრძოლ თაობებს მაღალი ზნეობისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის მისაბაძი ნიმუშები.

გმირთა მამულის მადიდნო,
 თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
 თქვენთა სახელთა ამაყად
 წარმოსთქვამს შთამომავლობა!
 თქვენთა საქმეთა მოთხრობით
 მოხუცს ცრემლ მოედინება,
 მხნეობით აღტაცებული
 ქაბუჯი ხმალსა მისწვდება!

წერდა იგივე გრიგოლ ორბელიანი,
 ხოლო ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წე-
 რეთელს ამ გმირების აღზრდასა და
 ჩაგონებაში, ბრძოლის ველისკენ მათ
 მოწოდებაში შემოაღამდათ ცხოვრების
 ძნელ გზაზე.

ქართველი ერის გამოფხიზლებისა
 და თავისუფალი ცხოვრებისათვის მის
 მომზადების იდეით შებყრობილთა
 ერთ-ერთი უმთავრესი იარაღი ერის
 გმირული წარსულის გაცოცხლება იყო
 და როცა ილიას, აკაკის, ევაასა და
 იაკობ გოგებაშვილის ფასდაუდებელ
 ღვაწლს აღვნიშნავთ, იქვე მადლიერე-
 ბით ვიხსენიებთ „ქართლის ცხოვრე-
 ბასაც“, რომელიც იყო მათი შთაგონე-
 ბის უპირველესი წყარო და, ამდენად,
 ერის თვითშეგნების ჩამოყალიბებისა-
 თვის, ახალი აღორძინებისათვის ბრძო-
 ლის აქტიური მონაწილე. ეს მაგალითი
 საუკეთესოა ისტორიასთან ცოცხალი
 ადამიანების დამოკიდებულების გასა-
 რკვევად, ისტორიული გამოცდილე-
 ბის გამოყენებისა და დღევანდელი-
 ბის სამსახურში ისტორიის ჩაყენების
 საილუსტრაციოდ.

მაგრამ ისტორიის მოხმობის, წარ-
 სულის გმირთა თავდადებით დღევან-
 დელი მებრძოლების აღფრთოვანების
 კიდევ უფრო ახლო მაგალითი ჩვენ
 ჯერ კიდევ თვალწინა გვაქვს: ფაშის-
 ტური გერმანიის მოსკოვზე შეტევის
 დროს, ყველაზე კრიტიკულ დღეებში
 საბჭოთა ხალხმა დედაქალაქის გადა-
 სარჩენად ფრონტისაკენ მიმავალი
 ლაშქარი წარსულის მაგალითებით გაა-
 მხნევა და ვარდასულ დროთა სარდლე-
 ბის გმირობის ვახსენებით, მათი დრო-
 შების დიდების ძალითა და მადლით
 დალოცა.

საქართველო ცივილიზებული ერთა
 იმ მკიერეციხოვან ჯგუფს ეკუთვნის,
 რომელსაც მშობლიურ ენაზე დაწერი-
 ლი საკუთარი დიდი ისტორია ძველთა-
 განეე გააჩნია.

ეს ისტორია საუკუნეების მანძილ-
 ზე იქმნებოდა, ერთ ვაბმულ თხრობად
 გრძელდებოდა და ერის კულტუროს-
 ნობის ერთ-ერთ უპირველეს მოწმო-
 ბად ყალიბდებოდა.

თავის ამ პასპორტს ჩვენმა წინაპ-
 რებმა „ქართლის ცხოვრება“ უწო-
 დეს და ჩვენი ხალხის გრძელ გზაზე
 არაფერში ისე არ ასახულა „ქართული
 სული“, ქართველი ხალხის ჭირი და
 ლბინი, მისი შემოქმედი ძალა, რო-
 გორც ამ წიგნში.

„ქართლის ცხოვრება“ ქართული
 კულტურის მონუმენტური ძეგლია,
 რომელიც თავისი მნიშვნელობით უს-
 წორდება ჩვენი ხალხის გენიით შექმ-
 ნილ წარსულის ყველაზე დიდ კმნი-
 ლეებებს. უფრო მეტიც, იგი არის
 მსოფლიო ისტორიოგრაფიის ერთ-
 ერთი უთვალსაჩინოესი ძეგლი, რო-
 მელსაც ყოველგვარი შედავათის გა-
 რეშე ეკუთვნის თავისი ღირსეული ად-
 გილი მსოფლიოს ხალხთა საუკეთესო
 მატანეების გვერდით.

„ქართლის ცხოვრების“ წიგნი რამ-
 დენიმე დიდებული მატანესაგან შედ-
 გება.

მათ შორის მე სწორებოვრად მე-13
 საუკუნის საქართველოს ისტორია მე-
 ჩვენება და ჩემს ამ რწმენას „უამთა-
 აღმწერლის“ მატანესთან მრავალი
 წლის განუყრელობამ და მეგობრობამ,
 თხზულებაზე ხანგრძლივმა დაკვირ-
 ვებამ და სხვა წყაროებთან შედარებამ
 შეუქმნეს საფუძველი.

მეცამეტე საუკუნის დასაწყისის
 საქართველოზე ჩვენ მეორე მოწმობა-
 ცა გვაქვს. ეს არის ე. წ. „ლაშასდრო-
 ინდელი მატანიე“ — მოკლე და მშრა-
 ლი მოთხრობა კარის ოფიციალურ ის-
 ტორიკოს-ჰანგერისტისა. ამდღებუ-

ლი ტონით მოთხრობილი ეს ისტორია, თითქმის არაფერს ცოცხალსა და ცხოვრებისეულს არ შეიცავს და თუმცა რომანისტიკათვის მისი ცოდნაც სავალდებულოა, მაინც შთაგონების ფრთების შესასხმელად იგი ძალზე მწირ მასალას იძლევა.

სულ სხვაა „ქამთა აღწერა“!

მე ამ მატიაშის ავტორზე, მისი უცნობი ავტორის პიროვნებაზე, მამულშივეილობასა და მეცნიერულ-მწერლურ ინტერესზე ბევრი მიფიქრია და ამიტომ ჩემს თავს ნებას მივცემ ცოტა ვრცლად შევჩერდე საქართველოს ისტორიის ამ შესანიშნავ წიგნზე.

* * *

ქართველი მემატიანე, რომელსაც ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში „ქამთა აღმწერელი“ შეერქვა, გაბმით მოგვითხრობს მშობელი ქვეყნის ასწლოვან თავდადასავალს XIII საუკუნის დასაწყისიდან XIV საუკუნის დასაწყისამდე.

ეს საუკუნე უაღრესად ტრაგიკული იყო არა მარტო საქართველოსათვის. მონგოლების მოულოდნელი გამოჩენის, მათი გამანადგურებელი შემოსევის შედეგად, ეკონომიურად და კულტურულად აყვავებული ბევრი ქვეყანა დაეცა, დამპყრობთა მძიმე უღელქვეშ მოექცა და დიდი ხნით დაეხშო წინსვლისა და განვითარების გზა.

მონგოლებმა არნახული უღმობელობითა და გაუგონარი სისასტიკით ვასტეხეს წინააღმდეგობთა ძალა. ბევრად ადრე, ვიდრე დაუქედელ ცხენებზე ამხედრებული ჩინგიზხანის ურდოები გამოჩნდებოდნენ, მათ წინააღმდეგ ბრძოლის უაზრობისა და მათი უძლეველობის ხმა ელვისებური სისწრაფით ვრცელდებოდა, მათ მორიგ მსხვერპლს შინის ზარს სცემდა, ნებისყოფას ართმევდა და ბრძოლის ველზე გასვლამდე იარაღს ჰყრიდა. ასე დაიპყრეს მონგოლებმა უზარმაზარი ტერიტორია და შექმნეს უნაპირო იმპერია, რომელშიც „მზე არასოდეს ჩადიოდა“.

პირველი ზარისა და გაოცებისაგან გამორკვეული ხალხები, უკვე მომხდარი, უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებს ღრმად ჩაუყვირდნენ, მათი ახსნა სცადეს და მიზეზებსა და შედეგებს შორის კანონზომიერების ძებნა იწყეს. ქრისტიანთა და მამადას რელიგიებზე აღზრდილ, განათლებულ, მაგრამ ბრმად მორწმუნე ადამიანებს ძალთა ჩვეულებრივ დაპირისპირებაში შეუძლებლად ეჩვენებოდათ განვითარების დაბალ საფეხებზე მდგარ, შედარებით მცირერიცხოვან მონგოლთა ურდოების მიერ სიმდიდრითა და ძლიერებით აღმატებული სახელმწიფოების განადგურება, მათი მრავალრიცხოვანი არმიების დაღწევა, ფორტიფიკაციის უახლესი მიღწევებით გამაგრებული ქალაქების მიწასთან გასწორება, მორკმული და ამაღლებული ხელმწიფების დამხობა; ასიათასობით უდანაშაულო ადამიანის მოსპობას, აურაცხელ მსხვერპლსა და თავსდამტყდარ საშინელებას, მათ შეგნებაში სხვა ახსნა არ უდგებოდა, იგი განგების მიერ მოვლენილ სასჯელად ესახებოდათ და ჩინგიზხანი იმ დროის ადამიანთა „ყოღვათა და უსჯულოებათათვის“ გამოგზავნილ ღმთის რისხვად ცხადდებოდა.

ეს კონცეფცია ვაიზარა და სავალდებულოდ მიიღო მთელმა იმ ისტორიულმა ლიტერატურამ, რომელიც XIII-XIV საუკუნეებში შეიქმნა.

ამ უმდიდრეს ლიტერატურაში პატიოსანი თვლებივით ბრწყინავენ იბნ ალ ასირისა და ნესევის, რაშიდ ადინისა და ჯუფეინის, კირაკოს განძაყეცისა და ჩვენი ქამთა აღმწერლის თხზულებები.

ქართველი ქამთა აღმწერლის თხზულება თავისი მაღალპატრიოტული იდეოლოგიით, ისტორიული სიმართლის ერთგულებით და თბრობის სტილის მხატვრული თავისებურებით, ყოველგვარი შეღავათის გარეშე იმსახურებს ღირსეულ ადგილს იმ პირველხარისხოვან წყაროებს შორის, რომ-

ლებიც დღესაც იწვევენ ბერძენი და რომაელი ავტორებით განებზერებული ევროპელი მეცნიერების აღტაცებას.

ყამთაღმწერელი გიორგი ბრწყინვალეს თანამედროვე, XIV საუკუნის დასაწყისის მოღვაწედ ითვლება.

XIII საუკუნე, ძლიერი და აყვავებული საქართველოს დაცემის დასაწყისი, მისთვის უკვე წარსულია და, იგი შთამომავლის მიუღღამლობით უყურებს წინაპრების მოქმედებასა და იმ საზოგადოებრივ მოვლენებს, რომელთაც განსაზღვრეს დავით აღმაშენებლისა და თამარის დროინდელი დიდებული საქართველოს ჩამოქვეითება მონგოლთა მოხარკე ქვეყნად. მისი შეხედულება საზოგადოების რომელიმე კერძო ჯგუფის შეხედულება როდია. მისი ინტერესი ფართო საზოგადოებრივია და მისი თვალსაზრისი საერთო ეროვნული თვალსაზრისია. მისი მსჯავრი უკვე მომზადრ ფაქტებზე დამყარებული მომავალი თაობის მსჯავრია, ქვეყნის ბედზე ღრმად დაფიქრებული იმ პატრიოტის თვალსაზრისია, რომელსაც ხელს აღარაფერი უშლის თბიქტური იყოს და ხანგაძლივი დაკვირვებიდან სწორი დასკვნები გამოიტანოს.

წარსულის მოღვაწეთაგან მას გამორჩეულად არც ეინმე უყვარს, არც ეინმე ძულს. მის სიმპათიასა და ანთიპათიას წინაპართა საქმეები განსაზღვრავენ, მათ აყვარეს იგი მხოლოდ მათივე მოქმედების შედეგებით წონის და აფასებს. ის კი არა, ერთსა და იმავე პიროვნებასაც კი სხვადასხვაგვარად გვიხასიათებს, იმისდა მიხედვით, თუ რა სარგებელი ან ვნება მოჰქონდა მის მოქმედებას ქვეყნისათვის სხვადასხვა დროს.

მაგალითად, მეფე დიმიტრი თავდადებულის მოღვაწეობის დასაწყისის იგი დაწვრილებით ლაპარაკობს მეფის მიმხიდეველ გარეგნობასა და კეთილ ხასიათზე, იმდენად დაწვრილებით, რომ იმასაც არ ივიწყებს, თუ რამდენჯერ იჩივებდა ჭაბუჯი მეფე ლოკვის დროს.

(„ათასსუთასი მუხლი მოაგდის მდაბლად მიწასა ზედა“).

მაგრამ შემდეგ, როცა მისი სიტყვისაგან მცირედ მიდრკა და აღერია წარმართთა და ისწავა საქმენი მათნი, უძლებებისა და სიძვისა“, შემატანე არ ერიდება ხელმწიფის ავტორიტეტს და მას ბოროტსა და უწესოს უწოდებს. მემატიანე მეფის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში აშკარად მის მოპირდაპირეთა მხარეს არის და სიტყვას არ იშურებს მათი სიწმინდისა და სიმართლის ხაზგასასმელად.

მაგრამ, „შემდგომ, როცა ამავე მეფემ ერისათვის თავი გასწირა, მემატიანე დიდი მხატვრული ძალითა და გულსიტკივილით გადმოგვეცემს ერისათვის მეფის თავდადებას: „მრავალმდეღვარე არს საწუთო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ, დღენი ჩვენნი სიზმარებრ და აზრდილებრ წარულენ და უნებელ და მსწრაფლ თანავაიც წარსვლა სოფლისა ამისაგან. რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკვდეს და მე ტვირთმძიმე ცოდვითა განვიდოდე სოფლისა ამისაგან... მეწყალვის უბრალო ვრი, ვითარცა ცხოვარნი... მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა...“ ავტორი სრულიად ივიწყებს მეფის ბოროტებასა, და უწესობას. და მისი მოწამებრივი აღსასრულით შემარწუნებული და იმავე დროს მისი კეთილშობილი თავდადებათ აღფრთოვანებული, ამადლებული თხრობით გადმოგვეცემს დიმიტრის მოკვლის შიმიე სურათს.

ასევე ცვალებადია ყამთაღმწერლის დამოკიდებულება ლაშა-გიორგისადმი. თამარის შემდეგ ლაშას ტახტზე ასელასა და მის მეფობის დასაწყისის ქვეყნის კეთილდღეობას იგი ამ სიტყვებით ახასიათებს: „მას ეამსა იშვებდა, იხარებდა და ყოველგნით იყო შვება და მხიარულება“...

მაგრამ, როგორც კი ჩვენი ერის ბედი ჩარხუქულმა დატრიალდა და საქართველოს ცაზე პირველი ღრუბლები გამოჩნდა, ყამთაღმწერელმა ღვთის

განრისხების ერთ-ერთი მიზეზი სახელმწიფოს მეთაურის ქცევაში დაინახა და „ღვთივეგორგვინოსანი მეფე“ მეტი-მეტად მკაცრი ვპითეტებით შეამკო.

ჩვენი მემატიაზე ყველაფერზე მალა საშობლოსა და ერის ინტერესებს აყენებს და თუ ვისმეს ბრალს შობილი ხალხის უბედურებაში ხედავს, მოურიდებლად ჰგმობს და ჰკიცხავს მათ. ასეთ შემთხვევაში მისთვის არ არსებობს ავტორიტეტი, რადგან საშობლო ყველაზე მალა დგას, თვით მეფეებზე და ღვთის მსახურებზეც კი.

ეთათაღმწერლის განაჩენი მკაცრი და პირუთენელია, მაგრამ თან გულისტკივილიც სდევს იმის გამო, რომ იძულებულია „ღვთისგან ცხებულნი“ ამხილოს. მემატიაზე უმძიმეს მწარე სიმართლის მოთხრობა: „სირცხვილ მიჩნს კადრებად და კვალად ვერ მიძლავს დუმლიად, რამეთუ უბატით ჰყო თავი თვისი ბოროტითა ამით, რომელ აღადგინა ძმისწულსა თვისსა ზედა“ — წერს ლაშასძის დავითის მიმართ რუსუდან დედოფლის მიერ ჩადენილი ბოროტების გამო და ამ აზრს კიდევ უფრო აღრმავებს: „კვალად აქაცა ვინებე დუმლი, ვინათგან მეგულების განსაკრთომელისა მოთხრობისა, დაღათუ არა საკადრებელ არს თხრობა მეფეთათვის უშეერსა რასმე, რამეთუ იტყვის მოსე, მზილველი ღმრთისა, ვბოროტმედ: „მთავარსა ერისა შენისასა არა ჰრქვა ბოროტი“.

მაგრამ ამ სტრიქონების ავტორმა ისიც იცის, რომ ერის ისტორიის წიგნი „შუამდებარე არს კეთილისმოქმედთა და ბოროტის მოქმედთა“ და რომ შთამომავალთაგან შენდობილ იქნებიან მისი სიმართლე და პირუთენელობა, რადგან „ეთათაღმწერლობა ჰეშმარიტის მეტყველება არს და არა თვალახმა ვისთვისმე“.

ამ შეგნებით ხელმძღვანელობს ეთათაღმწერელი, როცა მხოლოდ რამდენიმე მოკრძალებული ფრაზით მიგვანიშნებს სამეფო კარის ყოფის ეპიზოდზე; ეს ეპიზოდები ზოგიერთ უცხო

წყაროში (მაგ. იბნ ალასირი) ვრცლად და გამომწვლვებული თხრობითა და დასტურებული.

ეს ფაქტი ქართული წყაროს სარწმუნოებაზე და მისი ავტორის ერთვნილ თავმოყვარეობაზე ლაპარაკობს.

ქართველი ეთათაღმწერელი მთლიანად იზიარებს მონგოლთა ეპოქის ისტორიკოსების ისტორიულ პოლიტიკურ კონცეფციას: ქვეყნის მმართველთა უღარდულობამ და ზნეობრივმა დაცემამ, სარწმუნოების შერყევამ, ურთიერთ ქიშპმა და მტრობამ იმეცნად დაასუსტა ძლიერი სახელმწიფო, რომ, ცოდვითა და ბოროტათვის ღვთის მიერ სასჯელად მოვლენილი მონგოლები, როცა გამოჩნდნენ, იგი უძლური იყო გამკლავებოდა და უკუშეშეშა მათი ურდოები.

რაკი მონგოლთაგან ძლევა თვით განგების მიერ წინასწარ იყო გადაწყვეტილი, მემატიაზე ისღა რჩება, ხშირ-ხშირად, შეგვახსენოს ღვთის ეს განაჩენი და „სასოწარკვეთილმა არაერთგზის გაიმეოროს ეკლესიასტეს სიტყვები: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამო არს“...

„და ვაგრძელდა ოსრება და მოსპოლვა ქვეყანისა სიმრავლისათვის უსჯულოებათა ჩვენთასა, რამეთუ ვანრყენა ყოველმან ასაყმან ქვეყანა“ — იმეორებს არაერთხელ გამოთქმულ თავის ამ აზრს ჩვენი ისტორიკოსი. მან კარგად იცის, რომ ეს უბედურება მარტო საქართველოს როდი დაატყდა თავს: „დაღათუ საქართველო, არამედ სპარსეთი, ბაბილოვანი და საბერძნეთი, რამეთუ მიეცემოდეს მწარესა ტყვეობასა და უწყალოთა სიკვდილთა, რომელ არა იყო წყალობა, სავსე იყვნეს მოკლულთა მიერ ქალაქნი და სოფელნი, ველნი, ტყენი, მთანი და ხეენი...“

ეთათაღმწერლის წიგნი ქართლის ცხოვრების ყველაზე შეგნულსა და მძიმე ხანას მოიცავს და იგი სავსეა სურათებით, რომლებიც თავისი საშინელებით გვზარავენ. მემატიაზე არსად არ

ცდილობს ფაქტების შერბილებას, პირიქით, აშიშვლებს სინამდვილეს და ამტკებს კიდევაც ფერებს, რომ მისი მონათხრობი ღრმად შთამბეჭდავი და დამაფიქრებელი იყო: „ჩვილიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან, და რომელსამე თვალნი წარსცვიდიან და რომელსამე ტვინი დაეთხიის, და უკანის დედანი მოიკვლოდიან; ბერნი უწყალოდ ფოლოცთა შინა ცხენთა მიერ დაითრგუნვოდეს, ჭბაუენი დაეკვეთებოდეს, სისხლისა მდინარენი დიოდეს. ტვინი კაცთა, დედათა, ბერთა, ჩჩვილთა თმა და სისხლი, თავი მხართაგან განშორებული, ნაწლევნი ცხენთა მიერ დათრგუნვილნი ურთიერთას აღრეულ იყო“.

მატიანის ფურცლებზე იშვიათი როდია მსგავსი აღწერები, რომლებიც აპოკალიპსის სურათებს არ ჩამოუვარდებიან თავიანთი შემშარაობით. სიმძაფრე თხრობის დრამატიზმისა, სწორედ რომ შესაფერისია და, კარგად გადმოგვეცმს თხზულებაში აღწერბილ საშინელებათა არსსა და მნიშვნელობას. ეამთააღწერაში ქვეყნის ასწლოვანი ისტორია იშლება, როგორც ეპოპეა. თხრობის დრამატიზმი, როგორც მთლიანად, ისე ცალკე ეპიზოდებში, არის თხზულების სტილის, ავტორის ხელოვნების უპირველესი ნიშანი.

ამაღლებული პათეთიკა და უიმედო სასოწარკვეთილი ტონი ოსტატურად ენაცვლებიან ერთიმეორეს ეამთააღმწერლის თხრობაში. მათი სრული თანხმობა ქმნის სტილის იმ თავისებურებას, თხრობის იმ არტისტიზმს, რომლითაც ასე ხიბლავს მკითხველს მონგოლთა ღროის ქართული მატინე. ნაწარმოების კომპოზიცია განსაზღვრავს მის სტილს. მემატინეს წინაშე იდგა რთული ამოცანა: განსაზღვრული ზომის ერთ წიგნში გადმოეცა მთელი საუკუნის მანძილზე დატრიალებული ამბები, ერის ცხოვრებისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე მოვლენები. დიდძალი მასალიდან მას უნდა შეე-

რჩია ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი, ყველაზე უმთავრესი და აუცილებელი. დაეთისა და თამარის ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, მას ერთი ხელმწიფის ცხოვრების მოთხრობა კი არ ევალებოდა. ეამთააღმწერელს მფოთთთა და ვეებით საეე ასწლოვანი ისტორია უნდა გადმოეცა მშობელი ერისა. ეს ასი წელი მეფეთა რამდენიმე თაობის ცხოვრებას მოიცავდა და მერე როგორ ცხოვრებას! მარტო მეფეებისა კი არა, მთელი ერის სიცოცხლე და არსებობა სულ ბეწვზე რომ ეკიდა და, დაღუპვის მუდმივი საფრთხის წინაშე იდგა!

მხატვრისათვის ასეთი ეპოქა უფრო საინტერესო იქნებოდა, ვიდრე ბრძენი გვირგვინოსნის ხელმწიფობით დაწყობილი ქვეყნის მოსვენებული ცხოვრება: თვითმპყრობელი ხელმწიფეების ერთმმართველობის დროს, სხვა, ცალკე ადამიანთა თაოსნობა ჩახშობილია, ქვეყანაში ერთი ნება ბატონობს და ძლიერი ხასიათების გამოსავლინებლად ასპარეზი შეზღუდულია, ან სულ აღარ არის. ცენტრალური ხელისუფლების მოშლის ან დასუსტების ეამს ცალკე მოღვაწეთა თაოსნობას გასაქანი ეძლევა და ძლიერი ადამიანების წინაშე ნებისყოფისა და ხასიათის გამოსაჩენად ფართო ასპარეზი იშლება ხოლმე.

ქართველმა ეამთააღმწერელმა მხატვრისა და ისტორიკოსის ინტერესები შეაერთა, უამრავი მასალიდან მხოლოდ ერის ცხოვრებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტები შეარჩია და მკითხველის მოთხოვნილება დააკმაყოფილა ნაწარმოების მაღალ მხატვრულობაზეც. ქვეყნის საუკუნოვანი თავგადასავლის გადმოცემა ასეთი მოცულობის წიგნში სქემატიზმის საფრთხის წინაშე დააყენებდა სხვა ავტორს, მაგრამ ეამთააღმწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ვრცელი ამბების მოკლედ და შეკუმშულად გადმოცემის, მოვლენების არსის დაკერის ოსტატია. ასეთ შეზღუდულ

ფართობზე მას თითქოს ადგილი აღარ უნდა დარჩენოდა იმ წვრილმანებზე შესაჩერებლად, რომლებიც ზოგჯერ გაცილებით უკეთ გვიხატავენ ისტორიულ გმირთა ბუნებასა და ეპოქის ხასიათს, მაგრამ ჩვენი მემატიანე უმთავრესი მასალის სწორად შერჩევითა და დალაგებით, მეორეხარისხოვანი მოვლენების ძუნწად გადმოცემითა და თხრობის ლაკონურობით აღწევს თითქოს შეუძლებელს: ცხოვრებისეული დეტალების დამოწმებით ახერხებს გმირების გაცოცხლებასა და ხასიათის გახსნას და საიმისო ადგილსაც პოულობს, რომ ზოგი რამ არსებითი ფართოდ განავრცოს და თავისი მნიშვნელოვანი მოსაზრებები არაერთგზის განმეორებით მოგვაწოდოს.

ამ მხრივ იგი „სონეტების“ იმ დიდ ოსტატ-პოეტებს ვაგვს, რომლებიც ლექსის ამ ფორმის მკაცრ არტახეზში (როცა ყოველი სიტყვის ადგილი გამოზომილია), არათუ აზრის ლაღად და მწყობრად გადმოცემას, არამედ ტავტოლოგიით, სიტყვათა განმეორებით სათქმელის ხაზგასმას კიდევ უფრო მეტად ახერხებენ.

ეპითალმწერელი ერთგან ჰულაგუყაენისა და ბათოს ძმის ბერქას (რომელსაც შეცდომით „ბათოს შვილს“ უწოდებს) ლაშქართა შებმას აგვიწერს. ამ იმში სარგის ჯაყელი ჰულაგუმ თურმე „თვით წინ დაიყენა“. ომამდე ცოტახნით ადრე, სარგისი ულუ დავითთან ერთად ურდოში იყო დაბარებული, სადაც ქართველთა მეფის განდგომის გამო პასუხისმგებლობა თვითონ იკისრა: „მეფე უბრალო არს; მე ვარ რომელმან განვაყენე მეფე კარიხაგან თქვენისათ“. თავის ამ ნაბიჯით სარგისი მეფეს გადაარჩენდა, მაგრამ თვითონ უთუოდ დაიღუპებოდა, ბერქას ლაშქარი რომ არ გამოსულიყო და ჰულაგუ ყაენი სასწრაფოდ საომრად არ დაძრულიყო. როგორი იქნებოდა სარგის ჯაყელის სულიერი განწყობილება, როცა საომრად გამზადებულმა ჰულაგუ ყაენმა იგი თავის წინ დაიყუ-

ნა! სხვა ალბათ მის ადგილზე მღვლეობას ვერ დატარებდა და წთანასწორობას ვერ შეინარჩუნებდა. — სარგისს კი იშვიათი სიმშვიდე და ნებისყოფის სიმტკიცე გამოუჩენია და ისეთი წვრილმანისთვის მოუცლია, რომელსაც მის ბედში მყოფი სხვა ვინმე, ალბათ ვერც შეამჩნევდა: — „ხოლო იქმნა ესეცა. — გვიამბობს მემატიანე, — რომელ რაზმა შინა გახლთა შველი, სადა იგი სარგის ჯაყელმან, აბჯარცმულმან მოკლა. მკირედ წარვლეს, და მელი მოკლა, იგიცა სარგის, ისრითა და წაიარეს და ყურდგელი მოკლა“.

მასზე განრისხებული ყაენის წინ ისე არხეინად უჭირავს თავი სასიკვდილოდ განწირულ ჯაყელს, თითქოს იმ დღეებში მელისა და ყურდგლის მოკვლის მეტი სადარდელი არაფერი ჰქონოდა!

მემატიანეს შაბურანის დიდი ომის აღწერისას დრო და ადგილი არ უნდა ჰქონოდა მელის, მელისა და ყურდგლის შემთხვევით გამოხტომისა და სარგისის ისრით მათი მოკვლის უმნიშვნელო ამბის მოსათხრობად. მაგრამ ჩვენი ავტორი შესანიშნავი ფსიქოლოგია, და მან იცის, რომ სწორედ ერთი შეხედვით ამ უმნიშვნელო ეპიზოდმა, გადასწყვიტა სარგის ჯაყელის ბედი: მისმა სულიერმა სიმშვიდემ და ნებისყოფის შეუწყველობამ მოხიბლა ჰულაგუ და, ომის შემდგომ მსვლელობაში, მას კიდევაც რომ არ ეხსნა სიკვდილისაგან ყაენი, იგი მაინც შეწყნარებული იქნებოდა ჰულაგუსაგან.

* * *

ეპითალმწერელი მომხდარი ამბების უბრალო მოხრობელი როდია. იგი ცდილობს ჩასწედეს ისტორიის კანონებსაც და იმ ისტორიის შემოქმედი ადამიანების სულსაც.

იგი აშიშვლებს ადამიანის ბუნებაში ორი საწყისის ერთდროულ არსებობას, გვაჩვენებს, როგორ მელაენდება ერთი და იმავე პიროვნების ქცევაში კეთილი და ბოროტი, მაღალი სული და

მდაბალი უზნეობა. მემბტიანე არ სჯერდება გმირების მოქმედების შპრალ მოთხრობას. იგი ცდილობს მათ მიერ გადადგმული ნაბიჯების, მათი ქცევისა და მოქმედების მოტივების ახსნას, მათი სულის მღელვარების გადმოცემას. იგი ხშირად იმის წარმოჩენასაც კი ცდილობს, რასაც გმირები ერთმანეთსა და ზოგჯერ თავისთავსაც კი არ უმხელენ, ლაპარაკობს შესაძლო მიზეზებზე და გამოთქვამს საკუთარ ვარაუდს. ადამიანის სულის ეამთაღმწერლისეული წვდომა, ფსიქოლოგიური სიღრმე, იშვიათად როდი გვაგონებს დიდი მხატვრის ხედვასა და წვდომას: იგი გმირის სულში ღრმად იხედება და პიროვნულ თვისებებს უკან ხედავს ზოგად საკაცობრიოს, რომელიც საერთოა წარსულის, აწმყოსა და მომავლისათვის.

ეამთაღმწერელი როგორც ისტორიკოსი და მორალისტი ასე თუ ისე შესწავლილია, მაგრამ როგორც მხატვარი და ფსიქოლოგი იგი ცალკე შესწავლას იმსახურებს.

იგი ძალიან ხშირად, კი არ ჰყვება, არამედ ხატავს, პლასტიკურად აღადგენს დიდი ხნის წინათ მომხდარ ამბავს და ისე აცოცხლებს სურათს, თითქოს იგი ჩვენს თვალწინ, ახლა ხდებოდეს.

„ჯალალედინმა, — წერს ჩვენი მემბტიანე, — იყადრა და ხელყო სიონისა გუმბადსა შემუსვრად და ზედა ბილწისა საჯდომისა მისისა აღშენებად, რომელ იგი ხიდითა მალლითა და გრძლითა განზიდა აღსვლად, და ესეცა შესძინა, რამეთუ ხატი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ყოვლად წმიდისა ღმრთისშობლისა, რომელ სიონს მკვიდრ იყო, ბრძანა მოყვანებად და ხიდისა შესავალსა დადებად პირაღმართ, და ბრძანა ყოველთა მათ პურობილთა ქრისტიანეთა, მამათა და დედათა, იძულებით დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა...“

ან, ნახეთ როგორი ოსტატობით ხატავს მემბტიანე სატანჯველიდან გამო-

სულ უღუდავითის შესახებდობას: „გამოიყვანეს დავით, კინდა სულაყერ მყოფი, რამეთუ უსულოდ რადმე განყინულად ანუ მკვდრად, უძრავად საგონებელ იყო მხილველთა მიერ. და უცხო იყო სახილველად, რამეთუ ფერი პირისა მისისა დაყვითლებულ იყო, და თმანი ვიდრე სხვილ-ბარკლამდე შთასრულ, და ფრჩხილნი ფრიად გრძელ“...

მონგოლთა გარეგნობის აღწერას იმ დროის ყველა ისტორიკოსი დიდ ადვილს უთმობს თავის თხზულებაში. მაგრამ ეამთაღმწერლის მიერ დახატული მათი გარეგნობა მართლაც რომ კლასიკურად შეიძლება ჩაითვალოს. იგი გვაოცებს თითქმის ფოტოგრაფიული სიზუსტით, ნაკეთებისა და ასოთა აღწერილობის ზედმიწევნილობით: „იყვნეს ტანითა სრულ, გვამითა ახოვან და ძლიერ ფერხითა, შვენიერ და სპეტაკ ხორცითა, თვალითა მცირე ჰვრიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო; თავითა დიდ, თმითა შავ და ხშირ, შუბლ-ბარტყელ, ცხვირითა მდაბალ ესოდენ, რომელ დაწვნი უმადლეს იყვნინან ცხვირითა და მცირედნი ოდენ ნესტენი ჩნდიან ცხვირთა; ბაგენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ, ყოველად უწვერულ“...

საერთოდ, პორტრეტის ხატვას ცოტა ადვილს როდი უთმობს ეამთაღმწერელი თავის თხზულებაში. თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პიროვნების (ქართველი მეფეები, ჩინგიზყაენი, ილხანები, ქართველი დიდებულები) პორტრეტს ხატავს იგი და თითქმის ყველას ერთგვარი სქემის მიხედვით. თუმცა ეს გარეგნობა მხოლოდ საერთო ნიშნებითაა გადმოცემული, ისინი პოლიციის პორტრეტულ აღწერილობას მაინც არ გვანან; რადგან უშთავრესი გარეგნული წიგნების გადმოცემასთან ერთად ხასიათსაც გვაცნობენ: „იყო ესე დიმიტრი ტანითა ახოვან, ფერითა პაერთვან, შესახედავად ტურფა, თმითა და წვერითა მწყახარ და შვენიერ, თვალითა გრემან, ბეჭ-ბარტყელ და შეწყობილ სამ-

ხედროთა წესითა, სრული ცხენოსანი და მშვილდოსანი რჩეული, უხვი, მოწყალე და მდაბალი“...

პორტრეტული აღწერა ულუ დავეითისა და დავეით ნარინის გარეგნობისა იქვე შეიკავს მათი ხასიათისა და ბუნების გადმოცემასაც:

„ხოლო იყო ესე ლაშასძე დავეით ტანთა დიდ და ახოვან და სხვილ, და მოისარი მავრითა მშვილდითა, უმანკო, წრფელი, და მალე-მარწყემენ, და შემნდობელ ბოროტის მყოფთა. და რუსუდანისძე დავეით იყო ტანითა ზომიერ და თხელ, ფერითა პაეროვან და შევნიერ და თმითა თხელ, ფერხითა მალე, მონადირე რჩეული და კეთილად მსროლელი ნადირთა. ენატკბილ და სიტყვიერ, უხვ და მდაბალ, ცხენსა ზედა მხენ და ლაშქრობასა გამგონე და სამართლის მომქმედ“...

ამ ერთ აბზაცში ლაკონიურადაა დახატული ორი მეფის (ბიძაშვილ-მამიდაშვილის) არა მარტო გარეგნული პორტრეტი, არამედ ხასიათის ის თვისებები, რომლებიც მათ შემდგომ მოღვაწეობაში არაერთხელ იჩენს თავს.

რაკი ფამთაალმწერლის რწმენით მეფის ხასიათი განსაზღვრავს პოლიტიკას, ამიტომ შემატანე ხასიათის იმ თვისებებს გამოაყოფს (ლალი, ამაყი, თვითბუნება, მალემარწყმენი, კეთილი, შემნდობი, მოწყალე), რომლებიც გველენას ახდენდნენ მეფეების მოღვაწეობაზე და მთელი ქვეყნის ბედზე. იგი უმთავრეს ყურადღებას აქცევს სარწმუნოებასთან მეფის დამოკიდებულებას და ეს ბუნებრივიც არის, რადგანაც შემატანის რწმენით სახელმწიფოს სიმტკიცის საფუძველი სჯულის სიმტკიცეა.

* * *

ჩვენში ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი რიტორაიკის ის ხერხები, რომლებითაც ტრადიციულად ხელმძღვანელობდა ქართულ ისტორიოგრაფია. „ქართლის ცხოვრების“ ცალკე მატანიების ურთიერთ დამოკიდებულება,

მათი საერთო ადგილები ჯერ კიდევ არ გამხდარა შედარების საგნად.

ეს საერთო ადგილები ერთი გადავლებითაც კარგად ჩანს: თითქმის ყველგან გვაქვს ღვთისმოსავი და გლახაკთა გამკითხავი მეფეების ერთნაირი დახასიათება, მათი მხედრული ღირსებების ჩამოთვლა, ქვეყნის თავზე დამტყდარი უბედურების ცოდვათა ჩვენთა გამო ღვთის განრისხებით ახსნა, მიწის ძვრისა თუ ბუნების სხვა საოცარი მოვლენების ერთნაირი აღწერა და განმარტება.

ფამთაალმწერელი თავის ისტორიას ლაშა გიორგის გამეფებიდან იწყებს და ბოლომდე მიჰყვება ამბების თანმიმდევრობას. მაგრამ მის მატანიეში ხშირად ვხვდებით წილისვლებს, გვიან მომხდარი ამბების წინ გადმოტანას, ან აღრე მომხდარის გვიან გახსენებას. კლასიკური ხანის ავტორების მსგავსად, ისიც ხშირად იყენებს ასეთი შემთხვევისათვის მიღებულ ფრაზას: „ხოლო ჩვენ პირველსავე სიტყვასა აღვიდეთ“, „ხოლო ჩვენ პირველივე სიტყვა მოვიხსენოთ“ და სხვ.

* * *

„ფამთაალმწერლის“ თხზულების შესწავლას საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა დიდიმა ქართველმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა. ნაწარმოების დეტალური ანალიზით იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ჩვენი ფამთაალმწერელი საზოგადოდ განვითარებული ადამიანი ყოფილა, მისი მსჯელობა ჩვეულებრივ სწორე და ფიზიკლია, ამასთანავე თავისუფალი“. მატანიის ტექსტის შესწავლამ სახელოვანი მეცნიერი დაარწმუნა, რომ მისმა ავტორმა რამდენიმე ენა (ბერძნული, მონგოლური, უიღურული, სპარსული) იცოდა, იგი კარგად იცნობდა ბერძნულ, რომაულ და სპარსულ საისტორიო ლიტერატურას.

ფამთაალმწერა აპრელბუღია მონგოლური და სპარსული ციტატებით, ანტიკური ავტორების დამოწმებით,

ძველი და ახალი აღთქმის ადგილების არაერთგზის მოშველიებით.

ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული დაკვირვება ცხადად გვიჩვენებს, რომ ეამთაალმწერელს უსარგებლია მრავალი, არაქართული, უცხო წყაროთი. მას ხელთ ჰქონია ქართული წყაროებიც, რომლებსაც ხშირად ასახელებს და იმეორებს, ეთანხმება ან უარყოფს მათ ჩვენებას. იგი ბრძანდ რომელი სარგებლობს ამ წყაროთა მოწმობით, ერთიმეორეს აღარებს მათ და თავისი დასკვნა ისე გამოაქვს. „ისტორიულ სიმართლეს იგი დედან-საბუთების ცნობების მიხედვით არკვევს. ხოლო ეს უკვე საისტორიო კრიტიკის მეთოდის ჩანასახია და ქართულ მწერლობაში ეს კრიტიკული მეთოდის პირველი ცდა არის“ — ავტორიტეტულად აცხადებს ი. ჯავახიშვილი.

ნაწარმოების დაკვირვებულმა ანალიზმა ჩვენს დიდ მეცნიერს საბოლოოდ ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველი მისცა: „ქართული ეამთაალმწერელის ღირსებას მისი მიუღღამლობა და პირუთვნელობა შეადგენს“.

„ჩვენი ეამთაალმწერელის თხზულება, როგორც ირკვევა, სანდო საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს“.

ერთადერთი დაეჭვება, რომელსაც ი. ჯავახიშვილი ეამთაალმწერლის თხზულების მიმართ იჩენს, ეხება იმ დაუჯერებელ, ზღაპრულ ელემენტს, რომელიც ბლომადაა განხეული ჩვენი ავტორის მატიანეში. „...პირდაპირ გასათვარია, — წერს ი. ჯავახიშვილი, — როგორ მოხდა და როგორ შეიტანა მან თავის თხზულებაში ის მართლაც და „ზღაპარნი“, რომელიც მოთხრობილია ლაშა-ვიორგის ძისადმი ხაროში მყოფ გველების სიყვარულის შესახებ, ან სამეფო ცხენზე სამი დღე და ღამე ჰქნება, ან კიდევ ადამიანთა ძალღერ უფთისაგან გარემოცულ ქალაქის ზღუდეების ორგან განრღვევა და დაცემა“.

ი. ჯავახიშვილის ამ დაეჭვებას ჩაებლაჟქნენ ზოგიერთნი, ვისაც საკუთარი, დაუსაბუთებელი მოსაზრების გასამა-

გრებლად ეამთაალმწერლის თხზულების არა სანდო წყაროდ გამოცხადება სჭირდებოდა. მაგრამ ასეთი შედეგითებით ისტორიული წყაროს სანდოობა თუ საეჭვოობა რომ არ დადგინდება, ამის საილუსტრაციოდ გამოდგება წარსულის ყველა ისტორიკოსი და არა მარტო მონგოლთა დროის ისტორიკოსები: თუკიდიდე და პლუტარქე, ტიტუს ლიბიუსი და ტაციტუსი, სალიუსტი და სვეტონიუსი, იბნ ალ ასირი და რაშიდ აღინი და მრავალი სხვა.

ისტორიული მწერლობის არცერთი კლასიკოსი ათეისტი-მარქსისტი არ ყოფილა. ისინი თუ წარმართები არ იყვნენ, ქრისტეს ან მამკვალს აღიარებდნენ. მათ თავიანთი რელიგია ღრმად სწამდათ და სასწაულებისა ისევე სჯეროდათ, როგორც რეალური ფაქტებისა, ეს ჰეშმარბრტება კარვად ჰქონდათ შეგნებული წარსულის მოაზროვნეებსაც. აი, რას წერს შესანიშნავი ფრანგი ფილოსოფოსი მონტენი: „მისი ცნობა, — ლაპარაკია ტაციტუსზე, — ზოგჯერ მეტისმეტად გაბედულად გვეჩვენება, როგორც მავალითად ქარისკაცის ამბავი, რომელსაც შეშის კონა მოჰქონდა: ჯარისკაცს თურმე ისე ვაეთოშა სიცილისაგან თითები, რომ ძვლები შუშას მიეყინა, ხელებს მოცილდა და შეშას შერჩა. მე ჩვეულებად მაქვს ასეთ შემთხვევაში ვენდო ავტორიტეტულ მოწმობას. ასეთივე ხასიათისაა მისი ნაამბობი იმის თაობაზე, რომ ღვთაება სერაპისის შეწევნით, ვესპასიანემ ბრმას თვალი აუხილა საკუთარ ნერწყვში დასველებული თითის ამოსმით. იგი სხვა სასწაულებსაც გვიამბობს, მაგრამ ამას იგი აკეთებს ყველა კეთილსინდისიერი ისტორიკოსის მავალითისა და მოვალეობის ვათვალისწინებით: ისინი ხომ ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის მომთხრობნი არიან და ადამიანების მითქმა-მოთქმა და შეხედულებებიც ხომ საზოგადოებაში მომხდარ მოვლენებს ეხება და განუკუთვნება“ (იხ. მ. მონტენი, ტ. III, 204. რუს. ენაზე).

ამ მხრივ რომ ჩვენი ეამთაღმწერელი, ორიგინალური და ერთადერთი არ არის წარსულის ისტორიკოსებს შორის, ამის ილუსტრაციად ყველა მისი დროისა თუ წინამორბედი ისტორიკოსის თხზულებიდან შეიძლებაოდა უხვად მოგვეტანა მასალა, რომლებიც გაცილებით უფრო დაუჯერებელი იქნებოდა, ვიდრე ეამთაღმწერლის მოკრძალებული სასწაულები.

მაგრამ იმის გამო, რომ პლუტარქე, ტაციტუსი, სვეტონიუსი ან იბნ ალასირი სასწაულებსაც უთმობენ ადვილს თავიანთ თხზულებებში, განამეტყვირებას ოდესმე ეკვი მიუტანია მათ მიერ მოთხრობილის ტეშმარიტებაზე?!

მსვავსი ამბების გამო კარგად დაასკვნის ჩვენი დროის ფრანგი ისტორიკოსი მ. ბლოკი: „თუ სამყაროს ის სურათი, რომელიც დღეს არის ჩვენს თვალწინ, გაწმენდილია მრავალი თაობის მიერ დამოწმებული ყველა მოსაჩვენარი სასწაულისაგან, ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ, უწინარეს ყოვლისა, ურყევი კანონებით ნაკარნახევ მოვლენათა ბუნებრივი მსვლელობის შესახებ თანდათან გამოშუშავებულ ცოდნას. მაგრამ მტკიცედ ჩამოყალიბება ამ ცოდნისა და მისი უარყოფელი დაკვირვების უკუგდება შეიძლებაოდა მომხდარიყო მხოლოდ იმ დიდი მუშაობის შედეგად, რომლის ექსპერიმენტის ობიექტი იყო ადამიანი — მოწმე. ამიერიდან ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს აღმოვაჩინოთ ხარვეზები ამ მოწმობისა. ჩვენ მოვიპოვეთ უფლება ყოველთვის როდი დავუჭვართ მოწმობას, ჩვენ ახლა ადრინდელზე უკეთ ვიცით, როდის და რატომ არ უნდა ვერწმუნოთ მას. ასე შესძლო მეცნიერებამ განთავისუფლებულიყო ბევრი ცრუ პრობლემის მკვდარი ტვირთისაგან“ (მ. ბლოკი, ისტორიის აპოლოგია, 74. 1973 წ. რუს. ენაზე).

ი. ჭავჭავაძის კარგად ესმოდა საქმის ეს არსი, მაგრამ ეამთაღმწერელი იმდენად უტყუარ, განათლებულ

და საღად მოაზროვნე ავტორად მიაჩნდა, რომ მის მიმართ მინც ზედმეტი მეცნიერული სიფრთხილე გამოუჩინია და სულსწრაფ ხელმოყოფელთა თავდასხმისაგან მის დასაცავად, საბოლოოდ ასეთი მოსაზრება ჩამოუყალიბებია: „უნებლიედ ეკვი ებადება მკვლევარს, მერმინდელ გადამწერის ჩამატებული ხომ არ არის ეს ადგილები?“.

* * *

ეამთაღმწერლის მოთხრობა ხშირადა ჰგავს იერემიას გოდებას და მართო იმის გამო კი არა, რომ ისიც დიდებული სამშობლოს ნანგრევებს დასტირის.

თავათ ტონიც, უსაზღვრო ნაღვლითა და სასოწარმყვეთი მწუხარებით დასავსე ტონი მისი თხრობისა, უაღრესად პოეტური და გულშიჩამწვდომია.

მას ბედმა XII საუკუნის ძლევაშოილი საქართველოს გამოტირება არ გუნა. მისი ისტორიის უდიდესი ნაწილი დამციარებისა და: დაცემის, შეუცაცყოფისა და გულისგატეხვის მწარე მოთხრობაა, მთელი საუკუნის მანძილზე გაგრძელებული ბნელი ღამის სურათია, რომლის შვე ფონზე დროდადრო ელავენ კეთილშობილი გმირობისა და ვაჟკაცობის, მაღალი ზნეობისა და იშვიათი ადამიანობის მაგალითები.

„ეამთაღმწერას“ თავი და ბოლო აკლია და, თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ავტორი მონგოლთა უღლისაგან სამშობლოს განთავისუფლების ნანატრ დროს მოსწრებოა, გიორგი ბრწყინვალის დღეებამდე მოსული მისი თხრობა უეცრად წყდება კიდევ ახალი საშინელი ამბის დასაწყისის პირველსავე სტრიქონებზე: „და იწყო მთიებმან აღმოკვირებად, ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკვირველისა და საშინელის თქმად...“ უნებლიედ გაწყვეტილი თხრობის ასეთი მოულოდნელი ბოლო, დიახაც, რომ ეთანხმება და შექვერის ეამთაღმწერის მთელ შინაარსსა და სულს, თვითონ

მემბტიანის უიღბლო ბედს — იყოს სა-
შინელებათა და უბედურებათა მომთხ-
რობი, ცრემლითა და ტკივილით მეტყ-
ველი.

ჟამთააღმწერლის ისტორიულ-პო-
ლიტიკური კონცეფცია უაღრესად პატ-
რიოტული და ეროვნულია. მან იცის,
რომ ისტორია, ერის ცხოვრება გრძელ-
დება და ბოროტება შეიძლება განმე-
ორდეს მომავლის ადამიანთა ურთიერ-
ობაში. ამიტომ უნდა დარჩეს სიკე-
თისა და მანკიერების მაგალითები ყვე-
ლა დროის ადამიანებს, გაკვეთილად,
გეზის მიმცემად და გზის მაჩვენებ-
ლად.

აქედან გამომდინარე, იგი ბიბლიურ-
რი წინასწარმეტყველივით ამხნეებს
და აფრთხილებს შთამომავლობას ზნე-
ობრივი მაგალითებით, რომლებსაც უნ-
და მიბაძონ ან ერიდონ.

წინაპართაგან მისთვის სიკეთისა და
სრულყოფის ნიმუშებია — დავითი და
თამარი, ზოლო ბოროტებისა და სიმ-
დაბლის — ბაღვაშაკაბერის ძენი.

ამ ისტორიულ ნიშანსვეტებთან მი-
მართებაში ახდენს იგი მონგოლთა
დროინდელ მოღვაწეთა საქმიანობის
შეფასებას, საზომებად დარჩენილ წი-
ნაპართა მოქმედებას უდარებს მათ ყო-
ველ მნიშვნელოვან ნაბიჯს და, საბო-
ლოთ მსჯავრი მხოლოდ შედეგების მი-
ხედვით გამოაქვს.

რაკი დაკემის ხანის საქართველოს
ცხოვრებას მოგვითხრობს ჟამთააღმ-
წერელი, ბუნებრივი იქნებოდა ერის
საერთო დაშლისა და საზოგადოების
გახრწნის სურათი ცალკე ადამიანთა
გადაგვარებისა და ზნეობრივი გათა-
სირების უამრავი მაგალითით წარმოე-
დგინა.

თხზულებაში კი საქმე სულ სხვა-
გვარადაა.

„ქართლის ცხოვრების“ არცერთ
პატიანეში ზნეობრივი სისპეტაკისა და
კეთილშობილების, ერისა და მოყვა-
სისათვის თავის დადების ამდენი მაგა-
ლითი არა გვაქვს. ჟამთააღმწერლის
მეორე მოთხრობილ გმირობასა და ზნე-

ობრივი სიწმინდის მრავალი მაგალი-
თიდან აქ მხოლოდ რამდენიმეს დავა-
სახელებთ:

1. ალაშუთის ალყის დროს, როცა
ჩაღატა ნოინი მოჰკლეს და მკვლელო-
ბაში ექვმიტანილი ქართველი მხედრო-
ბა მთლიანად მოსპობის საფრთხის წი-
ნაშე აღმოჩნდა, გრიგოლ სურამელის
რჩევით ქართველი მხედართმთავრები
თვითონ გამოეცხადნენ ვანრისსებულ
მონგოლებს: სასიკვდილოდ თავი გა-
დადეს და ამით ლაშქარი გაუუფრესაგან
იხსნეს.

2. მონგოლთა ურდოში დებარე-
ბულმა დიმიტრი მეფემ დანამდვილე-
ბით იცოდა, რომ სიკვდილი ელოდა,
ახლობლები და დიდებულები ერთხმად
უშლიდნენ წასვლას, მაგრამ მან მთე-
ლი ერის დარბევას, უდანაშაულო ხალ-
ხის გაწყვეტას, ყაენის ხლება და სასი-
კვდილოდ თავგანწირვა არჩია.

3. მორჩილებისაგან გამდგარი უღუ-
დავითი და სარგის ჯაყელი ბოლოსდა-
ბოლოს ყაენს ეახლნენ. ყაენის რისხვა,
რომ მეფისათვის ავსორებინა, სარგის-
მა თვით გადასდო თავი სასიკვდი-
ლოდ, მეფის დანაშაული თვითონ დაი-
ბრალა და ხელმწიფე განსაცდელისაგან
იხსნა.

4. ბათოსთან ჩასულ ავაგ მხარ-
გრძელსა და მის ამაღლას იმდენი აქვთ
გაგონილი მონგოლთა მრისხანებაზე
და განუკითხაობაზე, რომ ეშინიათ ნახ-
ვისთანავე არ მოჰკლას ბათომ ავაგი.
მხარგრძელის ეჯიბი, ივანე ახალციხე-
ლისძე დავითი მთავრის ტანსაცემის
ჩაიცვამს და ეჯიბის ტანსაცემლში გა-
მოწყობილ ავაგს ასე ამხნეებს: „უყე-
თუ ენებოს მოკვდინება შენი, მე მო-
ვიკლა და არა შენ...“ ეჯიბი მოზიბლავს
ბათო ყაენს ქცევითა და სიტყვაპასუ-
ხით და ეს ტრაგიკომიკური ეპიზოდი
ბედნიერი დასასრულით ბოლოვდება.

5. ბარახა ყაენთან საომრად და-
პრულმა მულაგუმ მუვერავებად ქარ-
თველთა ჯარი ვაგზუნა მონგოლებთან
ერთად. მუვერავეები ბარახას მთავარ
ლაშქარს გადაეყარნენ. მონგოლმა სარ-

დალმა სიქადურმა უკან მობრუნება გადაწყვიტა, ქართველ მეფეს ფეხი მიუდგამს და მტკიცედ განუცხადებია: „არა არს წესი ჩვენ ქართველთა, უკეთ ვიხილოთ მტერი ჩვენ კერძოდ მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიყვდილი“. მეფემ ერთხელ ნათქვამი რომ აღარ გადათქვა, სიქადურს შეშინებია და ყაენთან კაცი უფრენია. ჰულაგუ დაეითს განრისხებია. მეფეს ისევ გაუმეორებია, წესად არ გვაქვს ქართველებს მტრისთვის ზურგის შექცევაო, თავი სასიყვდილოდ გადაუდევს და არაჩვეულებრივი გმირობა უჩვენებია.

და, დასასრულ, მშვენება და დიდება მართო ეამთაღმწერლის მატიანისა კი არა, მთელი „ქართლის ცხოვრებისა“ — ამბავი კონტისთავის შეთქმულებისა და ცოტენ დადიანის არაჩვეულებრივი გმირობისა.

როგორც ეამთაღმწერელი გადმოგვცემს, სამშობლოსა და ერისათვის თავდადების ყველა ეს უქნობი მაგალითი იმ დროს ეკუთვნის, როცა „ყოველი ასაკი ბერთა და ყრმათა, მეფეთა და მთავართა, დიდთა და მცირედთა მიდრკა სიბოროტეთა, რამეთუ დაუტევს სიმაართე და ჰეშმარიტება, ვინათგან თვით მღვდელთა მიერ იხილვებოდა არაწმიდება, ვინათგან ყოველი ერი იქმოდეს სიბილწესა“.

ასეთი საყოველთაო დაცემისა და გათახსირების დროს ქართველ ერს იშვიათი გმირობის, კეთილშობილებისა და შეუღალველი ზნეობის ესოდენ მრავალრიცხოვანი მაგალითით სულიერი მობილიზების უდიდესი უნარი უჩვენებია.

საერთო დაქვეითებისა და ზნეობრივი გარყვნის ეამს ცუდისა და დასაგმობის მაგალითი ზომ ბევრად მეტი იქნებოდა. ამგვარი მაგალითები, ალბათ ყოველ ნაბიჯზე ხედვებოდა მემკვიდრისა, მაგრამ იგი შეგნებულად უყრუებდა ყურს ერის შემარცხველ საქმეებს, თავის თხზულებაში მხოლოდ აუცილებლობის გამო შეჰქონდა ისი-

ნი და ერის ცხოვრებაში მომხდარ ისეთ ფაქტებს აღუვცდა უპირატესობას ისტორიაში შესატანად, რომლებიც შთამომავლობის სულიერ განსვენებასა და ზნეობრივ ამაღლებას შეუწყობდნენ ხელს.

ეამთაღმწერის ეს დიდი სიკეთეც ალბათ მისი ავტორის მაღალი ერთგული შეგნებით და სწორი ისტორიული კონცეფციით უნდა აიხსნას.

მაგრამ მთავარი მაინც მწერლის დიდი ნიჭი და ალღო უნდა ყოფილიყო, თორემ გმირობისა და კეთილშობილების, პატიოსნებისა და სპეტაკი ზნეობის მაგალითები ქართლის ცხოვრების სხვა ეპოქებშიაც ბლომად იქნებოდა.

და თუ ეს მაგალითები სხვა მემკვიდრეებმა ეამთაღმწერლის მსგავსად ვერ უცვდაცვევს, ამის ახსნა ეგებ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ დამოწმებულ ალექსანდრე მაკედონელის სიტყვებში ვიპოვოთ: „არა დიდ იყავ აქილევსი, არამედ დიდსა მიემთხვევ მაქებელსა უმიროსს“.

* * *

კაცობრიობის ისტორიაში ბევრი ერი ისე გამჭრალა, არავითარი კვალი არ დარჩენია.

იყენენ ერები, რომლებმაც სხვათა რბევითა და ნგრევით იცხოვრეს და შთამომავლობას მხოლოდ გრძელი სიები დაუტოვეს იმისა, თუ, სად, რამდენი ქალაქი და სოფელი აღგავსს მიწის პირისაგან, რამდენი სული უდანაშაულო ადამიანი მოსპეს და რამდენი კიდევ მონად წაასხეს. ასეთი ერების სახსენებელი მათ არსებობასთან ერთად ჭრებოდა და მათი სახელი დღეს მხოლოდ სპეციალისტ მკვლევარებსღა ახსოვთ.

მაგრამ იყენენ ერები, რომლებიც ქმნიდნენ და კაცობრიობის სულიერ საგანძურში თავიანთი საკუთარი წვლილი შეჰქონდათ. ამ ერებმა თავიანთი არსებობა სამუდამოდ უცვდაცვევს შთამომავლობის ხსოვნაში ხელა ვნე-

ბისა და ლიტერატურის იმ დიდებული ძეგლებით, რომლებითაც დღესაც, მათი შემოქმედი ხალხების გაქრობიდან დღეი ხნის შემდეგაც, ამაყობს კაცობრიობა.

მაგრამ იმ გარდასულ ხალხთა ცხოვრებას ხელოვნების ხელთუქმნელ ძეგლებზე ნაკლებად როდი ამშვენებს ზნეობისა და კეთილშობილი რაინდობის ის განუმეორებელი მაგალითები, რომლებითაც ისინი ასე მალა დგანან თავიანთ თანამედროვეებთან შედარებით და, რომლებიც მათ ისტორიას შემოუნახავს შთამომავლობისათვის.

საქართველო ერთა ამ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნის. ჩვენმა ერმა თავისი არსებობის გრძელ გზაზე სულიერი შემოქმედების მრავალი ისეთი ძეგლი შექმნა, რომელთა მნიშვნელობა არასოდეს არ შემოიფარგლებოდა დროითა და ადგილით.

მსოფლიოს ხალხთა შორის ცოტას თუ დავასახელებთ, ქართველების გვერდით, რომელთა ისტორიას ფაქიზი ზნეობისა და მაღალი ადამიანობის, კეთილშობილი რაინდობისა და გმირული თავდადების ამდენი და ესოდენ დიდებული მაგალითი ამშვენებდეს!

ამ მაგალითთაგან ყველაზე ნათელი და მიწილდელი, ყველაზე ღრმა ადამიანური და ამაღლებული ცოტნე დადიანის თავდადებისა და რაინდობის ამბავია.

ერს რომ ვაეკაცობისა და კეთილშობილების ასეთი მაგალითი არ ჰქონოდა, იგი უნდა გამოეგონა.

მაგრამ მსგავსი მაგალითის შექმნას ან გამოგონებასაც ისეთივე ნოყიერი ნადაგი უნდა, როგორც საქართველოს ისტორია იყო. ერის არსებობისა და მთელი მისი ისტორიის გამართლებად კმარა ზნეობრივი გმირობის ერთი ასეთი მაგალითის შექმნაც!

ქართველმა ერმა იმითაც უკვდავყო თავისი არსებობა, რომ მცხეთის ჯვრისა და ვეფხისტყაოსნის გვერდით შექმნა ცოტნე დადიანის გმირობის მაგალითი და თავისი სულიერი სილამა-

ზის ამ შესანიშნავი მოწმობით მსოფლიო ისტორიაში თავისი უგანუმეტებელი სიტყვა თქვა.

ქამთაალმწერლის მოთხრობაში კოტისათვის შეთქმულებისა და ცოტნე დადიანის გმირობის ამბავი მოკლე რეპორტაჟს უფრო ჰგავს, ვიდრე ერის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდის დიწ გადმოცემას. ასეთი ლაკონურობა მნიშვნელოვანი ამბის მოყოლისას გაუგებარია და მიუტყვებელი, თვით ისეთი სიტყვაძუნწი ავტორისთვისაც კი, როგორც ჩვენი ქამთაალმწერელია.

რაკი ეს ეპიზოდი არც ერთ სხვა წყაროს არ შემოუნახავს (არც ქართულს და არც უცხოს), ჩვენ ისღა დავგრჩენოდა ისევ და ისევ ქამთაალმწერლის კონსპექტურ ჩანაწერს ჩაგვირეებოდით, მისგან შესაძლებელი მაქსიმუმი მიგველო და არსებითი სიცარიელე ეპოქის საერთო ცოდნითა და ფანტაზიით შეგვევსო. თუ მამხილებელი სახუთების ნაკლებობა სასამართლო გამომჩიებისათვის დიდი დაბრკოლებაა, მხატვრისა და შემოქმედისათვის ფაქტიური მასალის სიღარიბე, ცოდნის განსაზღვრულობა, ზოგჯერ საუკეთესო პირობაა ფანტაზიის გაშლისა და სიუჟეტის თავისუფალი განვითარებისათვის.

მაგრამ ცოტნე დადიანი უბრალო პიროვნება როდია, იგი ქართველი ხალხის ეროვნული გმირია და მისი ბიოგრაფიის შექმნისას ეს ფაქტი რომანისტისათვის უადრესად ანგარიშგასაწევია.

• • •

ქართული ისტორიული მეცნიერება ჯერჯერობით ფაქტების დაგროვებასა და მათი სარწმუნოების დადგენას აგრძელებს დღემდე.

შესამოწმებელი და დასადგენი მასალა კი მართლაც, რომ თავსაყრელია. და მათი უცხო წყაროებთან თუ არქეოლოგიურ მონაბოვრებთან შეჯერება სწორედ საშური და გადაუდებელი ამოცანაა.

მაგრამ ისტორია მარტოოდენ წარსულში მომხდარი ყოველგვარი ფაქტის დაგროვება როდია!

ისტორია, უპირველეს ყოვლისა, არის მეცნიერება ადამიანთა საზოგადოებაზე. ამ თვალსაზრისით იგი ჯერ კიდევ პირველ ნაბიჯებს დგამს თურმე ისეთ ქვეყნებშიაც კი, სადაც მეცნიერების ამ დარგს დიდი და სახელოვანი ტრადიციები აქვს.

რა საყვედური ეთქმის ქართულ ისტორიულ მეცნიერებას, თუ იმავე მარკ ბლოკის სიტყვით, თანამედროვე დასავლეთში „როგორც სერიოზული ანალიტიკური დარგი, ისტორია ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდაა“ და „თავისი მეთოდის რიგ მნიშვნელოვან პრობლემებში იგი მხოლოდ ახლა იწყებს ნიადაგის მოსინჯვას.

ქართული ისტორიით დაინტერესებულ მკითხველსა თუ სავანგებოდ ამ ისტორიის შესწავლათ გატაცებულ მხატვარს პრობლემების ანალიზში ჯერჯერობით თავისი საკუთარი თავის და ბეჭითი შრომის მეტი ვერაფერს დაეხმარება, რადგან ჩვენში, არა მარტო ცალკე მნიშვნელოვანი პრობლემებია შეუსწავლელი ჩვენი ისტორიისა, არამედ ბოლომდე და, სრულად, დღემდე ჯერ კიდევ გამოცეპულიც არა ვაქვს საქართველოს ისტორიის ყველა წყარო,¹ შეუსწავლელი და ზოგჯერ მიუკვლეველ-აღმოუჩენელია ბევრი უცხოური წყარო, რომელიც ჩვენი ერის წარსულს ეხება.

ასეთ პირობებში საქართველოს ისტორიის თემაზე მომუშავე მწერალს ხშირად თვითონ უხდება ფაქტების კვლევა და ქეშმარიტების დადგენა. რაოდენ რთული და ძნელია ამ სამუშაოს შესრულება, როცა ბევრი ორიგინალური წყარო ზოგჯერ არქივებსა და მუზეუმებშია საძებნელი, ბოლო უცხო წყაროთა შესაბამისი ბიბლიო-

გრაფიაც კი საოცნებო ფუფუნებად რჩება დღემდე.

მწერალს, მხატვარს ისტორიული მასალა, ფაქტები კი არ უნდა ჰქონდეს საკლავი. მისი კვლევის საგანი ისტორიული გმირების მოქმედების ამხსნელი შინაგანი მოტივები, მათი სულის მღელვარება და მოძრაობა უნდა იყოს, იგი დადგენილ, ექვშუტანულ ქეშმარიტებათა მიმართ თავისი მსჯავრისა და დამოკიდებულების უკეთ ჩამოყალიბებისათვის უნდა ზრუნავდეს მხოლოდ, და ამის საშუალებას უკვე მეცნიერულად შესწავლილი მასალა უნდა აძლევდეს მას.

* * *

წარსული თავისებური თეატრია, ასპარეზია, სადაც შთამომავლობის მრავალი თაობის წინაშე გამოსული წინაპრები მოქმედებენ, იბრძვიან, შრომობენ და მრავლდებიან, უხაროთ და სწუხან, უყვართ და სძულთ...

რაკი წარსულშიაც ჩვენსავით ადამიანები ცხოვრობდნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ მათთვისაც, როგორც ჩვენთვის, არაფერი ადამიანური უცხო არ უნდა ყოფილიყო.

მარქსის მიერ აღმოჩენილი კანონის თანახმად, ისტორიულ პროცესს საფუძვლად სოციალურ-ეკონომიური წყობის ცვლილება უდევს.

ადამიანი გარკვეულ სოციალურ წრეს ეკუთვნის და მის შეგნებას საზოგადოებრივი წყობა განსაზღვრავს. ეს წყობა და წრე აყალიბებენ მის შეგნებას და წარმართავენ მის მოქმედებას.

დღეს ჩვენ ვეღარ გავიზიარებთ მაკიაველის გონებაშახვილ მოსაზრებას, თითქოს „ღრმთა ვითარებაში ერთი რამ რჩება უცვლელი — ადამიანი“. სოციალური ფსიქოლოგიის შესწავლამ ნათლად წარმოაჩინა ადამიანზე სოციალური გარემოს გავლენა: იცვლება ეს გარემო და, ცვლილებას განიცდის ადამიანის ფსიქიკაც, შეგნებაც, გემოვნებაც, სავნებთან და მოვლენებთან ადა-

¹ ეს საშეკრიფლო საქმე მხოლოდ ახლა, ჩვენს თვალწინ ხორციელდება აკადემიკოს ს. ყუბხიძეის დიდი მეცნიერული და მამულიშვილური ღვაწლით.

მიანის დამოკიდებულება. მაგრამ ახალი ისტორიული მეცნიერება მიანიცნობს და აღიარებს, რომ ადამიანის ბუნებაში, ადამიანთა საზოგადოებაში არსებობს რაღაც მუდმივი ფონდი, რომელიც ყველა დროსა და გარემოში უცვლელი რჩება. ეს „ფონდი“ რომ არ არსებობდეს, ჩვენ ვერ გავიგებდით არა მარტო ანტიკური და შუასაუკუნეების ადამიანთა ქცევასა და ხასიათს, არამედ ჩვენი მამებისა და უახლოესი წინაპრების ფიქრსა და ზრახვებს, მათ გრძობებსა და განცდებს.

ისტორიული მეცნიერების მიერ დადგენილ ამ ჭეშმარიტებას მხატვრები დიდიხნით ადრე, ინტუიტურად ხვდებოდნენ და ისტორიული პიროვნების ხატვისას კარგი შემოქმედი მუდამ ცდილობდა თავისი გმირი, რაც შეიძლებოდა, მეტად აღეჭურვა იმ „ფონდიდან“ წამოღებული მასალით, რომელიც ყველა დროის ადამიანს უცვლელად თანა სდევს და, რის გამოც ერთი დროის ადამიანს მეორე დროის ადამიანისა ესმის.

თუ ხელოვანი იმ ძირითად ფონდს არ ჩაუღრმავდა, რომელიც საერთო აქვს ანტიკური ხანის ფეხშიშველა მწყემსს, პოლოტიკით მთლიანად შეჭურვილ შუა საუკუნეების რაინდსა და ჩვენი დროის კოსმონავტს, შემოქმედის მიერ გამოძიებული სახე უსიცოცხლო იქნება, ვერავითარ ემოციას ვერ აღძრავს და ჩვენი ინტერესის გარეთ დარჩება.

მხატვრის ნიჭის ძალა და ცხოველმყოფელობა იმით კი არ განიზომება, თუ რამდენად ზუსტად ადაღვინა მან გარკვეული ისტორიული დროის გარეგანი მხარე (ეს ყველა საშუალო ნიჭის მქონე პედანტს შეუძლია, რადგან ასეთი საშუაოს შესრულება მასალის კეთილსინდისიერ შესწავლას და ზედმიწევნით გადმოღებას მოითხოვს მხოლოდ).

ნამდვილი შემოქმედება მაშინ იწყება, როცა მხატვარი ისტორიული გმირის წარმოსახვისას იმ უცვლელს

უღრმავდება, რომელიც საერთოა ყველა დროის ადამიანისათვის.

თეოცალურ მატიაწეებში წარსულის ჩვენება სცენაზე გამოსული გმირების მოქმედების გადმოცემით შემოფარგლება. ისტორიულ მასალაზე მომუშავე მხატვარს კი უფლება აქვს იმაზედაც მოგვითხროს, რაც ამ სცენის მიღმა ხდება, მას ნება აქვს გვიჩვენოს ნოსანთა საწოლშიც კი შეიხედოს და ზოგჯერ იქ დატრიალებული დრამა გვიჩვენოს.

ისტორიკოსისაგან განსხვავებით, მხატვარი არა მარტო უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიცაა ისტორიული გმირის სულში ღრმად ჩაიხედოს, მისი მღელვარება თუ დაეჭვება გადმოგვეცეს და მისი ვნებების სიმძაფრე განვაცდევინოს.

ჩვენს დროში ვერავითარ მოწონებას ვერ დაიმსახურებს ის მხატვრული ნაწარმოები, რომელშიაც გმირთა ხასიათების ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი ცოცხალი, ცხოვრებისეული დეტალები, სისხლსავსე ადამიანური ვნებები, დამაფიქრებელი მსჯელობები და ჩვეულებრივი თვალისათვის შეუმჩნეველი სულის შინაგანი მოძრაობა არ იქნება მოცემული.

მაგრამ ისტორიულ ნაწარმოებს ჩვენ რატომდაც ვაპატიებთ ხოლმე უამისობას. რაკი ისტორიული პიროვნებები შეტწილად ქვეყნის მეთაურები, ან გამოჩენილი მოღვაწეები არიან, ისინი ჩვენს წარმოდგენაში ნაწილობრივ ზე-ბუნებრიობის ნათელში არიან გახვეულნი და ჩვენ ვერიგდებით ასე დახატული მათი სახეებიდან მომპროლავ სიცივესა და მოსაწყენობას.

სადაც არაა, რომ გარეგნული ნიშნების, აქსესუარების (ტანსაცმელი, იარაღი, სამკაული, ავეჯი და სხვ.) ადღვენას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ისტორიულ თემაზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებში, იგი ქმნის სურნელსა და განწყობილებას. თუმცა ზოგჯერ ამ აქსესუარების კარბად დახვავება ჩვენთვის შეუმჩნეველად სტო-

ვებს ამ საგნების შემქმნელ და მომხმარებელ ადამიანებს.

მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება: პოლიტიკურ-სოციალურმა და მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციებმა ეპოქები ერთიმეორეს დააშორა და დიდად გაზარდა მანძილი სხვადასხვა დროის თაობათა შორის.

ამიტომ, როცა „უცვლელ ფონზე“ ვლაპარაკობთ, მისი საზღვრები იმ თავეთვე უნდა შემოგფარგლოთ და იქამდე არ უნდა გავაფართოვოთ, რომ დაუშვებელ ანაქრონიზმში ჩავევარდეთ და წარსულის გმირებს მივაწეროთ, მათთვის უცხო, ჩვენი თანამედროვეების ემოციები და ქცევის ნორმები.

ამ ჭეშმარიტებათა დადგენა კიდევ ერთი პრობლემის გადაწყვეტას გვკარნახობს: რა ზომით უნდა იხმაროს აღებული ისტორიული ეპოქის გმირთა სამეტყველო ენა მწერალმა?

დღესდღეობით მსოფლიოში არსებულ ერთაგან, მეტნაკლებად ყველა ხალხის ენა ვანიციდია ცვლილებას. ზოგთა ენა არსებითად გამოიცვალა, ზოგის ორ ისტორიულ პერიოდად, ორ ნაკვეთად გაიყო და, გაჩნდა ამა თუ იმ ხალხის ძველი და ახალი ენა (მაგალითად, ძველი და ახალი ფრანგული, ძველი და ახალი სომხური და სხვა).

ახლა რომ ფრანგმა მწერალმა პროვანსელი ტრუბადურის ცხოვრების რომანი დაწეროს, არავის გაუკვირდება, მაგრამ ეს რომანი, რომ ძველი ფრანგული დაიწეროს, მას არაერთი გამართლება არ ექნება და არც მკითხველი ეყოლება.

ენის როლი და მნიშვნელობა ლიტერატურაში განუსაზღვრელია და, დიდი მწერლის უპირველესი ნიშანი ენის სიმდიდრეა. კლასიკოსის უმთავრესი და აუცილებელი თვისება ენის დახვეწილობა და ნატიფი სტილისტობაა.

მაგრამ უკვე მკვლარ, ხმარებიდან გამოსულ (ან ნაკლებ მოსახმარ) ენაზე ჯერ არცერთ კლასიკოსს არ უწერია და, თუ ვინმეს მსგავსი რამ უცდია, მხოლოდ სპორტული ინტერესით. პი-

რიქით, დიდი მწერლების ენა ყოველთვის ხალხურ მეტყველებასთან ახლო და მათ მიერ მოხდენილი ფორმა სამწერლო ენის ცოცხალ, ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებასაც გულისხმობდა.

ძველ, ან მკვლარ ენაზე წერა, რომ ისტორიული რომანის ავტორისათვის სავალდებულო ყოფილიყო, როგორ დაეწერა თავის ენაზე ფლობერს კართაგენელი გმირის ცხოვრება, ან ჰენრიხ მანს საფრანგეთის მეფის პანრი მეოთხის რომანი, ან თუნდაც თომას მანს ბიბლიური პატრიარქის იოსების ეპოპეა?

ისტორიული რომანის წერისას აღებული ეპოქის ენობრივ ფორმებით მეტისმეტი გატაცება, რომ ფუნქციას მოკლებულია, ეს ნაწარმოების უცხო ენაზე თარგმნისას უპირველესად გაციმა თვალში. მთარგმნელი იძულებულია ძველი ენით დაწერილი პასაჟები, ჩვეულებრივ თანამედროვე ენაზე გადმოიტანოს და ცოცხალი სამეტყველო ენით თარგმნოს. ქართულ ენას ამ მხრივ განსაკუთრებული მდგომარეობა აქვს და ისტორიული ნაწარმოების შექმნისას ქართველ რომანისტს ცოტა შეღავათი ეძლევა. ამ შეღავათს ის სასწაული განაპირობებს, რომ ძველი ქართული ჩვენთვის ჯერ კიდევ მისაწვდომია და, რუსთაველის ენა დღემდე მეტნაკლებად ყველა ქართველი მკითხველისათვის გასაგებია.

მაგრამ ზომ ყოველად გაუმართლებელი ანაქრონიზმი იქნებოდა, დღეს რომ ვისმეს, ცურტაველის ან მერჩულესა და, თუნდაც, რუსთაველის ენით რომანები ეწერა?

* * *

ამ ბოლოსიტყვაში მე ვცადე გამეზიარებინა მკითხველისათვის ისტორიული მასალისადმი ჩემი დამოკიდებულება, ის ძირითადი პრინციპები, რომლებითაც „მეცამეტე საუკუნის ქართული ქრონიკის“ სამ წიგნზე მუშაობისას ვხელმძღვანელობდი.

ისტორიული კონცეფციის შემუშავებისას მე, რა თქმა უნდა, არ შემედლო მონგოლთა ეპოქის მემარტიანეების რწმენის გაზიარება, ჩინგიზხანის გამარჯვების ფატალურ გარდუვალობაზე, არც მონგოლთაგან დაპყრობილი ქვეყნების დამარცხების ახსნა მათი უსჯულოებისათვის მოვლენილი ღეთის რისხვით, ან ამ ქვეყნების მეთაურთა პირადი თვისებებით.

განვიხილავდი რა დიდძალ ფაქტობრივ მასალას ისტორიული მეცნიერების დღევანდელ დონეზე, მხატვრის თვალთ ვკითხულობდი ჩვენი ერის ცხოვრების უღრესად ტრაგიკულ სურათს და ვცდილობდი ღრმად ჩამეხედა იმ მოვლენებში, რომლებიც განაპირობებს და წარმოქმნეს რთულმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ურთიერთობებმა.

ისტორიულ რომანებში მე მინდოდა მეჩვენებინა ხალხი, როგორც ისტორიის შემოქმედი ძალა და ამით ერთგვარად შემეცნო მარტიანეების ის დიდი ხარვეზი, რომელიც ერთნაირად აწუხებდა ფრანგ ვოლტერსა და ქართველ ილია ჭავჭავაძეს.

აწ უკვე გასრულებულ ტრილოგია-

ში მე ვცდილობდი, ეამთაღმწერლის მსგავსად „სიმართლის შემტყველად“ ვყოფილიყავი. ისტორიულმა გმირებმა სამშობლოს სიყვარულის სიმაღლიდან დამენახა და მსჯავრი იმის მიხედვით გამომეტანა, თუ რა სიკეთე ან ვნება მოუტანა საქართველოს მათმა მოქმედებამ.

ქართლის ცხოვრების ამ უძნელეს უღელტეხილზე ცოტნეს გმირობა ქართველი ერის ისტორიის აპოთეოზად მესახებოდა და მის თავდადებაში მართო ერთი თაობის განწმენდა კი არა, მთელი დაცემული საქართველოს სულიერ ამაღლებას, ფენიქსებრ აღდგენასა და გამარჯვებას ვხედავდი.

ცოტნეს თავდადება კეთილშობილი რაინდობისა და დიდსულოვნების განუმეორებელი ნიმუშია. ზნეობრივ მაგალითს შთამომავლობაზე ყოველთვის ჰქონდა ცხოველმყოფელი გავლენა და ცოტნეს გაკვეთილის მნიშვნელობა ჩვენი ერისათვის განსაკუთრებით დიდი უნდა იყოს დღეს, როცა ქართველი ხალხი ასეთი ერთსულოვნებით იბრძვის ზნეობრივი განწმენდისათვის, მალაღობისა და შეუღალავი პატიოსნების დამკვიდრებისათვის.



იზა გომეძე

დაძინილი ჰარისასი

მზეო, გნატრულობ,
მალე მოდი,
მალე დამხედდე,
მალე მკურნალო,
თორემ მგონი
სიკვდილი მოდის,
ჩამსაფრებია ჩემ სანგართან
ეს იდუმალი,
ეს იდუმალი ქანდაკება
ტყვიის და ლოდის!

ვაგლახ, მკურნალო,
რომ შემეძლოს
შენ სამრეკლოში
თუნდაც ხეიბრად დაბრუნება —
აღარას ვრივი,
ზართა გუგუნში
დავიდგამდი სიცოცხლის გვირგვინს,
მოვაგროვებდი მოთქროვილ

ბულულებს თივის
და საქორწილო
ლოგინს გაგშლიდი...
მაგრამ...
ვაი თუ, ჯღარ განხო,
(ინათებს როდის...)
როგორ გაგრძელდა
მრუმე ღამე,
სანგარი ცივი...

გნატრულობ მზეო!
დავილიე...
მალე მკურნალო,
მალე დამხედდე,
მომამეღლე იმედის ხელი,
სულ ერთი ციდა
მაჩუქე სხივი,
რომ ჩვენებურად გადაფრეკო
რუსი ღრუბელი,
ავანშიანო ურო და ცელი.

შოთოღი

მე ფოთოლი ვარ დაცემული აგვისტოს ხვატში,
სამარადფამო ლაბირინთებს მიბარებული...
გარდაცვალების სვირინგები მაფორთხავს ტანზე
შელოცვილს ვგაგარ,
ეული მწირი დასაბამიდან ქრონოსში დავალ
და ჩემი სისხლი ქვესკნელშიც მიდის;



მოქცევა დღეთა,
ძრაობა მზისა,
ალმასი, ლალი,
თეთრი მაქმანი,
თავის ქალა და
ბედის ნალი,
დრტვინვა ღრუბულთა,
დიადემა,
ცეცხლი თუ ალი — წასულთათვის ფერფლი უსახო...

გაილანდება შემოდგომის ფერადი დილა,
უკანასკნელად ცის შეგრძნების გადამხაფრავი
ზამთარი მოვა,
თოვლის საბანში შეფუთვნილს,
მღიმარს ფუჭი ღიმილით,
რამეთუ მწუხრის ცრემლი დამდინდა,
გადავიტყევი ყინულის მონად,
ემმა-ჭინკების სათამაშო, გასართობ რგოლად,
მავანნი ფეხის დადგმასაც რომ ურიდებინ.


მოგვიანებით

დღეს მეგობრებმა მიმატოვეს,
გაქქრა ყოველი,
შენზე ძვირფასი სხვა არასდროს
მე არ მყოლია,
ნუ მიწყენ, დაო, თუ შენამდე
გვიან მოველი,
შინაურ მღვდლისთვის შენდობა
ვის გაუგონია!

მალე ზამთარი მოვა ჩვენი
ბავშვობის ბაღში,
გაძარცვეულ ხეებს გადამალავს
ფიფქების თოვა,
გარდასულ დღეებს გათრშილი
თითებით წაშლის,
ბავშვობის ბაღში
მალე თეთრი ზამთარი მოვა.

ღმერთებს ნურასდროს ნუ წაგართმევთ
თავის სამყოფელს,
— გზადაკარგული გამოქვაბულს
იპოვის მაგრამ,
სული მოიწყენს თუ გახმება
ფერად ქოთანში
ჩვენი შვილების დარგული ბაღბა.

თეთრი ბაფთები ათასნაირ
წუხილს ბადებენ,
საკუთარ თავთან ნუ ვიქნებით
მხოლოდ მართლები
და ინათებენ მარადიულ
ვარსკვლავის კართან
ჩვენთვის კუთვნილი ბალახები —
მწვანე სანთლები.



შავი და ცისფერი მდინარე

რომანი

თავი პირველი

I

პალატზე წამოდგმულ ოდა-სახლში, მამლის მეოთხე ყვივლამდე არ ჩამქრალა სინათლე.

ფანჯრებიდან და ღია კარებიდან გამოსული, ბღღვიალა შუქის დამნახავი, ძილგატეხილი, ან ღამის საჭიროებაზე ეზოში გამოხეტებული მეზობელი უმაღლეს ამას გაიფიქრებდა: რა ჰქონდა ამდენი სამუსაიფო ფარნას შვილებთან, რომლებიც ამ ოციოდე წლის წინ ერთმანეთის მიყოლებით გაჩნდნენ ამ სოფელში და ბოლო დროს ასევე მიყოლებით გადაიხვეწნენ. დღეს კი რატომღაც ოთხივე ძმა ერთად გამოჩნდა.

სათქმელი იცოცხლე იყო, მაგრამ გაუთავებელი?!

სოფელს ასი თვალი და ასი ყური აქვს. ორღობეში ჯერ უფროსმა ვაჟ-შვილმა — ლეონმა ქალაქელი, ორი წლის წინ შერთული, უკვე მუცელდამშვენებული ცოლით ჩაიარა; მერე ორმა შუათანამ: ერთი რომ კოჭლობას არ იმჩნევდა, თითქოს თავისიანებთან კი არა, სადღაც უცხო მხარეში ჩასულიყოს, და ბოლოს უმცროსი გამოჩნდა.

მამუკა, შარშან ზაფხულის ბოლოს წასული, ახლა — მეორე ზაფხულს, შე-

ბინდებისას დაბრუნდა, არც ძმებთან და არც მარტოღმარტო. ისეთი პატარა, მწყაზარი, თვალბებრიალა გოგო ჩამოჰყვა, მეზობლებს მაშინ მოავონდათ, რომ ხბო აქეთ, მესერთან ეგულებოდათ, იხვევს კვერცხი სადღაც გზის კიდზე აწინწიხებულ არხში უნდა გაეგდოთ და ძროხამ მაინცდამაინც იმ საღამოს დაიგვიანა და მაინცდამაინც ამ ორღობეში უნდა გამოჩენილიყო.

ლეონის ცოლი, აქაურ გზაზე ბარე ათჯერ იყო გავლილი და მაინც ძირს იხედებოდა, სადმე ტალახში არ ჩავევარდეთო, თუმცა ახალი ნაწვიმარი არ იყო; ნაბოლარას თანმხლები გოგო, ჯერ ამ არემარეზე რომ არავის დაუნახავს, თავალერილი მიამიჯებდა და ორივე მხარეს, ხასხასა ეზოებში, თვალებიდან ბლუჯა-ბლუჯა ნაპერწკლებს ჰყრიდა...

სოფელს ორი წლის წინ ნათხოვი, მემკვიდრის მომლოდინე რძალი იმ დღეს აღარ მოეწონა და ამ ეტიგინდარა, უცხო ქალიშვილის მხარეზე დადგა. ალბათ იმიტომაც, რომ ფარნა თავისი ნაშიერის ასეთ არამქითზე სთამამუნსკ კარზე რომ ფილც-მარტოგვეცა გომშობი

მოაყენა, ჭიშკარს გაუღებდა, მაგრამ ღიმილით არ გაუღებდა.

ფარნას არც ცხოვრების სიმძიმე აკლდა, არც ვაი-ვარამი, მაგრამ თავისი „კაიხის ნატეხი“ ხასიათით და ჯანით შვილებს უფროს ძმად უფრო შეეფერებოდა, ვინემ მამად. კაცისთვის, რომელმაც გუშინდელიც იცოდა და ხვალინდელზეც თვალი მიუწვდებოდა, ახლა რომ ვინმეს ეკითხა, რატომ მოიგუნება დღეს თავი მოეყარა „ვადახვეწილი“ შთამომავლობისათვის, იქნებ ვერ ეპასუხა. ვერ ეპასუხა, რაკი საამისოდ ბევრი მიზეზი ჰქონდა და ცალკე-ცალკე ეს „მიზეზები“ არც ერთი არ იყო დამაჯერებელი, არც ის, რომ ბიჭები „გაგარეულდნენ“, ცხელ კერიაზე გამომცხვარი ღადრის მჭადის გემო და ავიწყლათ, თუ შარშანდელს აქეთ წინ რა ნაბიჯი გადადგეს... იქნებ იმ საეკუვო, უსიამო ხმების ამოცნობა მოინდომა, შეილებზე რომ ყურმოკრულად იცოდა, მეუღლე კი გულმოდგინედ მალავდა და ქვეყანას პირზე ხელს აფარებდა; თუ უბრალოდ, მარტოხელობით გაბნეობულს მოუწდა წელიწადში ერთხელ მაინც ენახა თავშეყრილი თავისი სისხლისა და ჯიშის გამგრძელებლები და სცოდნოდა რა განძის პატრონი იყო... იქნებ ისტორიაში და აღმართან ბედში ჩახედული მამა შეაშფოთა ევროპის შუაგულში დანთებული აომის ცეცხლმა, გაზეთები რომ მაინცადამაინც დიდ შემფოთებას არ გამოთქვამდნენ...

ლუონს, პო, თბილად მიესალმა, მაგრამ რძლის გამოჩენით გულზე ვარდი არ გადაფენია, არც მომდევნო ვაჟის — ვატუტის დანახვაზე სწევია ცას სიხარულით. გამოწეპილი რომ გამოეცხადა და ბავშვობაში თავისი უკუღმართობით, ერთსა და იმავე ადგილას, ორჯერ მოწატეხი ფეხის კოჭლობას სულ აღარ იმჩნევდა. ბაკურის მოკრძალებამ და დაუდევარმა ჩაცმულობამ ვითომ გუნება გამოუკეთა, მაგრამ ჯერ იყო და ის ცას მიშტერებული ნაბოლარა ამოთქან ვერ დაინახა, რადის რი-

დის მიმწუხრის ხანს ინება მობრძანება და ვიღაც დაუბატიებელი „კარგან მგა“ გობარიც კარზე მოაყენა.

ფარნა ისე აიძვრა, როგორც მდინარე კოკისპირული წვიმების შემდეგ.

* * *

— აჰ, ფარნა, მგონი ელირსათ მოსვლა და რა გქნათ, არავის დაუძახოთ? საშეშესთან მკლავზე ფინხდაწყობილი იდგა რუსუდანი, სანამ ქმარი გამოჩნდებოდა.

— არა.
— აბა, ასე როგორ...
— შენს საქმეს მიხედე შენ!
— როგორც გინდა, მაგრამ მეზობლებს ან შენს შეგობრებს...
— ვითხარი მე შენ!
— ბიძას... შენ ძმას ლუქას არ დაუძახებ?

— ჩემი ძმა არაა სახლში.
— აბა სად გადაიკარგა?
— არ ვიცი. წაიღე მაგ ფინხი, რომ დამღვარხარ ამ შუა ვზაზე და დაანთე ცეცხლი.

ქალი გზას დაბორკილივით დაადგა. სამზადის წინკარში შეჩერდა.

— გოგოებს მაინც ვერყვი.
— ვინ გოგოებს?
— ჩემი მახლის შეილებს...
— მაგერა გყავს „გოგოები“ და მიიხმარე!

— რანაირი თქმა იცი, შე კაცო! იმ ქალს მუცელი ცხვირზე ჰკილია და თვალები ცეცხლზე ამოგწევა? ისაა და... რა ვიცი ვინაა... ან უცხო ადამიანი...
— არ იცი ვინაა?!

— საიდან უნდა ვიცოდე! — ქალმა გაუცინარი სახე კუშტად შეიკრა და გატრიალდა.

— იცი, შეილებს უნიათო, მესაიდუმლე დედები უფრო უყვართ. შენც რაკი მეტი არაფრის თავი გაქვს, მაგ საიდუმლოებებით გინდა „უძვირფასესი დედიკო“ გახდე, მაგრამ რომ მიატეხავთ ცხვირს იმ თქვენს საიდუმლოებებს...

რუსუდანი უკვე სამზადში იყო

ფარნამ ძელურის ქილუქთან მიყუდებული თოხი რომ აიღო, ბარზე მიგოზილი, მიმხმარი ტალახი მოფხიკა, ორივე იქვე მიატოვა, ხელი ჩაიჭინა, ლაფაროში ატუხულ, ამ სტუმრიანობით აფორიაქებულ ურწყვ შავ ძაღლს მოხედა და ჩაილაპარაკა:

— დამალა მაგასთან ლაპარაკმა...

ძაღლმა იგრძნო, ეს მისთვის არ უთქვამთ და სასიძინდის გვერდით უნახის ხეზე დასაბუღრებლად აფათქუნებულ ქათმებს ადგილიდან ფეხმოუცვლელად, კეთილად შეჰყეფა.

„ძროხა ეყოლება დუბშელი“ — ვაიფიქრა და ნაღის ქვეშ ფიცრით შემოშენებულ ბოსლისკენ ისე გააღაჯა, ძაღლმა უკან დაიწია, თუ არა ფეხებში გაედებოდა.

ბოგაყარილ ბოსელში გაუტანელი ახალი ნაკელისა და წუნწუნის შიფრი სუნი იდგა. საპირესთან ნაჩვევი ხარი მიწოლილიყო. ძროხა ფიცრულის კუთხეში მოკლედ თავმიკრულ ხბოს მიდგომოდა, მის კუდს სავეც ცურით ეხებოდა და ზრუტუნებდა.

„კიდევ კარგი რომ ხბოს დაბმა მაინც მოკგონებია“.

ბოსელში იმაზე მეტი დააგვიანა, ვინემ ამ საქმეს სხვა დროს დასპირდებოდა.

ამ „ცოდვის შვილმა“, ეს ერთი წელია მეოთხე ვაეც უმადლესში რომ წავიდა, მაშინ გამოაჩინა თავისი სახე. ან ახლა დაინახა ფარნამ ის, რისი დაფარვა ამ ქალს არ უცდია და რომ ეცადა, ვერც მოახერხებდა. ანდა ქმარმა დაინახა ოცდაექვსი წლის შემდეგ, როცა ისინი ერთმანეთის ამარა დარჩნენ, როცა ოთხი შვილის დედას უნიათობისა და თავმოუბმელობის გამართლების მიზეზი ხელიდან გამოეცალა; როცა ცოლ-ქმარმა ერთმანეთისათვის მოიცალეს, აღმოჩნდა, რომ მათ შორის შვილები კი არ მდგარან, უფსკრული გაჩენილა. ისინი ისე დამორბეულან ერთმანეთს, ამისი ერთბაშად ხელშესახები, თვალში საცემი მიზეზი არც ყოფილა. კაცი თავისი გზაგაუკვლეველი

მოსწავლეების და ბნელით მოცული ისტორიის ლაბირინთებში ჩაკარგულ, ქალი — შვილების ბრმა, მონურ სიყვარულსა და მოუსაკლისებელ ყოველდღიურ ოჯახურ ფუსფუსში. ბოლო ერთი წლის მანძილზე ისინი სულ დამორიდნენ ერთმანეთს, რაკი ქმარმა მთლიანად გაიწია იქით, საითაც ცხოვრება ეძახდა და უკვე თავის გამართლებას ვეღარ ახერხებდა. ცოლს კი ახალგაზრდობისდროინდელი გატაცებები მხოლოდ გულისტკივილით ახსოვდა და წყალწაღებული ბედს იმდენად შერიგებოდა, ხავსის მოჭიდებასაც არ აპირებდა.

ფარნას ახალგაზრდობაც თვალსა და ხელს შუა შემოადნა და მარტოდ მარტოც დარჩა. ისე ჩაიარა ისტორიის არნახულმა, ძნელბედობითა და ქართველებით აზობოქრებულმა მდინარემ, ფარნა არც ჩაძირულა და ვერც ფონი იპოვა.

ამ შექმნილობებზე მეოთხედი საუკუნის მანძილზე, რომელსაც სხვა დროს ასეული წლები დასპირდებოდა, ფარნამ ერთი საცოდავი მასწავლებლის, ხელმოცარულ მეურნის და მკაცრი მამის როლი შეასრულა; ახლა შვილები თითქოს თავიანთ იოლად დამყოლ დედოცოსთან მეტ საერთოს პოულობენ, რომელმაც ისიც კი არ იცის, ხვალ ამ ძროხას დააბამს, თუ ისევე დაუბშელს დატოვებს, შორსმჭვრეტელობაზე რომ არაფერი ითქვას.

როცა ბოსელიდან გამოვიდა, კარი კაუჭით გადარჩა, ოდიდან ვაეიშვილები ხორხოცი და უცხო გოგონას კისკისი შემოესმია, ჩაილაპარაკა:

— მე თითქოს ღმერთმა ოთხი შვილის მამობის სიხარული სასჯელივით მარგუნა.

II.

— თუ არავის ეძახი, ორი ქათამი არ გვეყოფა?

— არ ვიცი მე, შენს შვილებს რა ეყოფა.

— ვინმე რომ შემოგვესწროს?

— ოცდაექვსი წელია ამ სოფელში ცხოვრობ და უნდა იცოდე ვინ შემოგვესწრება, ჩვენი ვის რა უხარია და სწყინს. წყლიანი დოქი გამომიდგი გართ!

— კაცო, რა იცი ეს!.. ხალხის გულში კი არ გზივარ... — ცეცხლის დანთებისას, ერთბაშად ავარდნილი კვამლით აცრემლებულ თვალეებში რუსულანმა ხელის ზურგი ამოისვა და სამზადის კარის ჩარჩოს მიყრდნობილი, უკან შებრუნდა.

ქალმა წყლიანი დოქი წინკარში გამოდგა და ოდა სახლისაკენ წავიდა.

— აქ ფეხიანი ბარი იყო, ვის გაატანე? — მოისმა სამზადის ქილუქის იქეთა მხრიდან კაცის დანჯღრეული ხმა.

— რა ვიცი, ვის გაატანე... — უკმეხად, სიტყვის დამთავრებაც არ აცალა, ისე მოაძახა ქალმა. მერე შეჩერდა, მოიხედა და უფრო თავშეკავებულად დაასრულა, — რა ვიცი, მეზობელი წაიღებდა. ბარისთვის გადამთიელი არ მოვიდოდა...

— ვის გაატანე!
— ბარი არაა, მაგერ რომაა მიყუდებული? ამაღამ სავენახეს აბრუნებ თუ?...
კაცმა წარბშეკრულმა გამოხედა.

— ჰო, სავენახეს არ ვაბრუნებ...
რუსულანმა გაცლა ამჯობინა, მაგრამ გზას დამდგარმა, ისე რომ არც ახალ-მყალი აეტება და არც უთქმელი დარჩენოდა, ჩაილაპარაკა:

— ვინ წაიღებდა, აქ ახლო-მახლო შენინანები ცხოვრობენ, ჩემი თავისახლიდან არავინ მოვიდოდა ბარისა და თოხისათვის.
— შენ თუ ვინმე მოსული დაინახე, მერე ხომ მთლად აირევი... წადი, ნუ შეკამათები და იქ რომ ხორხოცობენ... ბაკური გამომიგზავნე.

ქალი მამაკაცის ქუსლჩათელილი ფეხსაცმელების ფლატუნით ჩქარა შევიდა ოდის ქვეშ — ქვიტყირის პალატში.

რუსულანი რომ დაბრუნდა, ფარნას

იღლიაში ტარით ორშიმო ამოეხარა და ორ საღვინე ტუჩიან დოქს წყალს აგულბდა.

ქალი გზადაგზა თავზე მიტკლის სამკუთხა, თეთრ თავსაფარს იყრავდა, არ შეჩერებულა, ოდნავ შემრიგებლურ ხმაზე ჩაილაპარაკა:

— ბებიამისთან უნდათ გადასვლა.

— კარგია, რომ მოგონებიათ... — კაცს მისკენ არ მოუხედავს, ნაჯანჯღარებ აქაფებულ წყალს დოქიდან წურავდა.

— თუ მაგათზე უკეთესად თავისინები ვინმეს უყვარს...

— ბაკურის უთხარი?

— ახლავე მოვა, — სამზადის შესასვლელთან მოიხედა რუსულანმა და ზღურბლზე გადაბიჯებისას ქუსლჩათელილი ფეხსაცმელი წაძვრა, აქეთ დარჩა, თვითონ კარებში შეაბიჯა, ვამობრუნდა, ფეხი წაქყო და მიაწყველა:

— დაგწვა ცეცხლმა!
ფარნას არ მოუხედავს, ისე დაინახა ყველაფერი და გაიფიქრა: ახლა იმ ჭლანების გამოსაცვლელად ხელახლა ვაბრუნდებ... ასე ივლის ამ ორ სახლს შუა, ვერც გაჩერებულს ნახავ და ვერც რაიმეს გაკეთებას მოაბამს თავს...

ბაკურმა ოდის უკანა აივნის კიბეზე ჩამოირბინა და მამასთან გაჩნდა:

— ბატონო ფარნა, შევუდგეთ მამულიშვილურ საქმეს? — მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით თქვა და ლაფაროში დატოვებული სველი, წითელი ღვინით ყელმოხატული ნისკარტიანი დოქი აიღო.

— ბარი წამოიღე!

— ესაა მამა შენი ბარი?! — ბაკურიმ ქილუქთან მიყუდებული ტარმოდნულეებელი ბარი იქვე მიატოვა და სხვას დაუწყო ძებნა.

— ესაა... წამოიღე! მე მასწავლებელი კაცი ვარ, ბარი და თოხი არაა ჩემი საქმე... მეზობლებიდან ვნათხოვრობ. ფარნა საქურეებისაკენ წავიდა.

ბაკურმა სამზადში შეიხედა და გობზე დაბრილ დედას თვალით ანიშნა: ვის გაატანე, ჯავიქვევი და მოვიტანო.

რუსუდანმა: რა მახსოვსო, თავი უკმაყოფილოდ გაიქნია და შეიღს ხელში რომ ეჭირა, იმ ბარზე ანიშნა, მაგი-თაც კარგად გახვალთ იოლასო.

— თოხი, თოხი არ დაგვიწყდეს!
— მოისმა ისევ მამის ხმა.

ბაკურმა იცოდა ოთხი ვაჟიდან, მა-მამ ის რატომ აირჩია ისეთი საქმისათ-ვის, რომელსაც თავს თვითონაც იოლად გაართმევდა. უფოოდ უსიამოვნო რო-ლის შესრულება მოუწევდა. რა თქმა უნდა, არაფერის დამღვეს არ აპირებ-და, მაგრამ ის აფიქრებდა, როგორმე იმაზე უარესი არაფერი ეთქვა, რაც მოხდა, ან რაც შეიძლებოდა უკიდუ-რესობებს მიჩვეულ კაცს მოსჩვენე-ბოდა.

ფარნამ ტალავერის ქვეშ ჭურს ძვე-ლისძველი კოდის ნახევარი ბრტყელი ქვა და ყურჩამოტეხილი კრამიტი მოა-შორა, რომელიც აკოშტიანებულ მი-წას ფარავდა, ქათმებს რომ არ გადაე-ქეპა და თოხით ხმელი ფხვიერი თიხა გადააცალა, აყალო გამოაჩინა და ზედ წრე შემოხაზა, რამდენზეც ექვსკოკი-ნის თავი ეგულებოდა, ბარის პირს წყალი გადაავლო და ბაკურს შიჩეჩა.

— რას უცდი, ღამდება.

ვაემა ბარის პირი აყალოზე შემოვ-ლებულ ხაზს დაადო და ფრთხილად დააწვა.

მამამ პაპიროსს მოუკიდა.

— ვინ ოხერია ბიჭო, ის ქალი?... — შეიღისკენ არც მიუხედავს, ტალავე-რიდან ჩამოკიდებული მწვანე ყურძნი-ანი ტოტი მალლა შემოდო, ზედა ტო-ტებში გახლართა.

— არ ვიცი, მამა... — არც ბაკურს მიუხედავს მამისკენ. ეს ასეც უნდა მო-მნდარიყო, საქმე მისცა და მერე გამო-ესაუბრა.

— აბა შენი ძმის ამბავი სხვას გკითხო?

— ვილაც ოფიცრის ცოლი უნდა იყოს...

— მერე ვილაცის ცოლებს არ სდიოს, ქალი დაილია ქვეყანაზე?

— ვითომ... — ბაკურმა ბარით წრე

შემოუარა და მამასთან ზურგივით დად-გა.

— რა, ვითომ? — ფარნამ ბოლო-ღრმად ჩაისუნთქა, — თქვი თუ რაიმე იცი!

— ვითომ ქალი... ქელის...

— ქალმა ინდომა შენი ძმა და მა-ნაც როგორც „რაინდმა“...

— „რაინდობა“ რა სახსენებელია, მაგრამ...

ვაევი დაიხარა და აყალოსა და სარ-ქველს შორის ბარის პირი შეადვრინა, ერთბაშად გადაატრიალა.

— კაცური კაცი ამას ქალზე არც ილაპარაკებს.

— მართალია! — ბაკურმა მამას თვალეში შეხედა.

ფარნამ ჭურთან სარქველის ასახ-დელად ჩაიჩოქა, პაპიროსი ზედიზედ მოქაჩა, წვიპურტით შორს გადაისრო-ლა, დაიხარა და ჩილაპარაკა:

— ტურამ რომ ვეფხეთან შეცო-დოს, ვეფხემა არ უნდა შეცოდოს.

„ბებიაჩემივით ლაპარაკობს“. — გაეღიმა ბაკურს, — „ჩვენ აზიელები ვართ... და საერთოდ, ვინმე რაიმე ახალს ამბობს?“ — მამის გასაგონად ესლა თქვა:

— ვეფხემა არ უნდა შეცოდოს...

— შენთან რალა უნდოდა იმ ოფი-ცერს?

— ხელში მე შევრჩი... შენ თუ არა, შენი ძმა ხომ იყოო. — ბაკურმა გა-ხსნილ საყელოში ხელი ზურგისკენ მა-ლულად გააპარა და ბეჭზე მოსივსა, — როცა არაფერ შეაშინ ხარ, სერიც ესაა...

— შენი ძმა რალას ამბობს?

— ვატუტი?

— ვინცაა, რაო?

— რაო, რაო და... ღამდება მამა, გადახადე მაგ ჭურს თავი...

— შენ რასაც გეკითხებიან, იმას გაეცი პასუხი...

— რას ამბობს... მან კი იცის?

— რა არ იცის!..

— ჩვენ ვიცით, რატომ ასე ვიჭე-ვით და არა სხვანაირად?..

— მაინც, მაინც... — მკაცრად გააწყვეტინა მამამ.

— მაინც... ყველამ თავის საქონელს მოუაროსო.

— კი მაგრამ, იმ ოფიცერმა იმ მართლა საქონელს მოუაროს, თუ საზღვრებს რომ მტერი ასკდება, იმაზე იფიქროს...

— შენ გვონია მამა, რომ გერმანია ჩვენს წინააღმდეგაც დაიწყებს ომს? — ბაკურს გულს მოეშვა.

— არა, თვალეში გავოცდეს.

— კი მაგრამ, რატომ? — ისიც იქვე ჩაცუქდა და მამას თვალი გაუსწორა.

— რატომ დაუწყო ფრანგებს და იუგოსლავებს, რუმინელებს და ჩეხოსლოვაკებს? პოლონელებმა, დავიჯერო, მართლა დაარღვიეს ასე აღზევებული გერმანიის საზღვარი? — ფარნამ სარქველი აიღო, კოდის ნახევარზე გულამა დადო, ბალიანი ააცალა და პირამდე გალიცლიცებულ ქურში ტალავერში ჩამოპარულმა მუქმა ცისფერმა ჩაიხედა.

— მე არც იმის მჯერა, რასაც გერმანელები აცხადებენ, მაგრამ ალბათ საზღვრები, ან ისტორიულად ძველი მტრობა... ჩვენც ხომ მუდამ მეზობლებთან ვცქონდა ომები და არა ამერიკელებთან და ავსტრალიელებთან.

— სისხლი ნუ მოაწვება ქვეყანას ყელში თორემ, მიზეზი რომ არ მისცე, იმისათვის ავიტყავს ომს, რატომ მიზეზი არ მომეცით. მაგ დოქი ვადმოდგი აქეთ და ორშიმომ მომეცი!

ბაკურმა ტალავერის სარზე აყოლილი ვენახის გატოტებაში გაკვებებული ორშიმომ ჩამოიღო და მიაწოდა.

— ეს თვალეზობადაცეებული გომბიო ვილა?

— მამუკას რომ ახლავს?

— ჰო, შენს უმცროს ძამიკოს.

— მაშა... აქ რაა ისეთი... ერთად დადიან... ცუდს ვერაფერს ვიტყვი...

— რავე, მე გითხარი, ცუდი თქვი-მეთქი?

— რატაა, შენც ხედავ.

— რას ვხედავ ბიჭო მე? ამფართე მხნის ცას ნაღობს თქვიც ვეცნე —

თვალეზის მეტს. ვინც თვალეზში დაუხამხამებლად გიყურებს, განუწყვეტელი ან პატიოსანი.

— მაგ გოგოს პატიოსნებაზე მამა, მე დავდებ თავს.

— ესე იგი იცნობ.

— ვიცნობ, ასე ვთქვათ...

— ვინაა, ვისი რაა, რომ ასე აუშვია და ვინც ხელს დაუქნევს, კვიცივით დასდევს.

— მამა, ნუ იტყვი ასე... საწყალი გოგოა, ბებია ზრდის.

— მიტომაა რომ თავადერლია. დედ-მამა?...

— მამა... ჭრაქს მოვიტან, დალამდა.

— მე უჭრაქოდაც ვიცი ჩემი ქურის თავი და დოქის ტუჩი. დედა? დედამისმა რალა დააშავა?

— ჩვენ ხომ არ ვიცით, ვინ რა დააშავა და დააშავა კი?

— დედამისზე ამბობ?

— არა, მამამისზე. დედა ზაფხულობით აბასთუმანშია. შევიღს, ხომ იცი, ათასში ერთხელ თუ ნახავს...

— დარღზე, ესე იგი...

— ალბათ.

— კი, მართალია... მე არც ავის თქმა შემიძლია და არც კარგის, მაგრამ ასე რომ აიღებთ თავს და... ამ სოფელში — მართო მე ვცხოვრობ? თუ დედაშენივით ვინ რას იტყვის, არაფრად ჩავაგდო... ეს ბიჭი სულ ცაზე ავიდა და ქვევით აღარ იხედება?

— ხომ იცი, მამა, რასაც ფიქრობს, ისაა. მას ხომ არ შეუძლია სხვა ედოს გუნებაში და სხვა აყეთოს.

— კი მაგრამ, იცით თუ არა თქვენ, რომ აქ სოფელია, ხალხია, წესი და ადათი...

— რა ქვეყანა დაიქცა მამა, სტუმარი ჩვენს ოჯახში... რა მოხდა ისეთი... შენ ხომ... იმაზე ბებიაჩემიც არაფერს იტყვის...

— მოიცა, მე შენ ჭკუის დამრიგებლად არ მომიწვევინარ...

— არც ლენის ამოსალებად... მაგრამ მამუკა... არ ვიცი, სოფლისთვის თუ ასე თვზარდამკვება, მაგრამ ვიცი, ცხინვალში თუ იქვე არაფერს ვიტყვი... —

ცამდე მართალია. სიმართლე მამა...

— სიმართლესა და სისულელეს შორის ზღვარიც ხომ უნდა იცოდეს?

— ეს იქნებ ოდესმე მე მეცოდინოს და მამუკა შენი ხნისაც რომ იქნება და იქნებ ბებიაჩემისაც, არც მაშინ... მე არა მგონია ერთმანეთიდან გეარჩევდე, მაგრამ ის მაინც ყველაზე მეტად გიყვარს.

— მიყვარს... ენა დაიმოკლე! არ იცი შენ, მე ვინ მიყვარს და ვინ არა.

— თუ ჩვენ საერთოდ რაიმე ვიცით...

— შენ ჯარში თუ გეძახდნენ, რატომ არაფერი შემატყობინე? — შვილს ისევე არ აცალა სათქმელი.

— დამიძახეს, მაგრამ... მე რე კურსის დახურვა მაკალეს.

— კურსი რომ დასამთავრებელი გქონდა, როცა გეძახდნენ, არ იცოდნენ?

— კი მაგრამ... კომისარი გამოდგა კარგი კაცი... — ბინდ-ბუნდში მამას წამოწითლებული შვილის სახე არ დაუნახავს.

— კომისრის კაი კაცობაზეა გაწვევა და არგაწვევა?

— რა მოხდა, მართლა ომი ხომ არაა...

— ომი რომ არაა, რაღაცაა, თორემ სხვა დროს როდის დაუძახებიათ სტუდენტობისათვის, — ფარნამ სავესე დოქმები ხელის გაწვდენაზე გადადგა, თავი მიძიმე და დააქნია და ჰაპიროსის კოლოფი მოძებნა.

— ამ ჰურს თავდაუგოზავს დატოვებ?

— იყოს ჯერ...

III.

ფარნა არავის დაძახებას არ აპირებდა. ერთი გარეშე პირი, თუნდაც ახლო ნათესავი, სუფრას მთლიანად შეუცვლის ნირს, ყველა სადღეგრძელოს თუ სათქმელს მაინც სტუმარ-მასპინძლურად წარმართავს. სადაც სტუმარია, იქ მასპინძელი თავის თავზე ვერ იფიქრებს.

ამ ოჯახს ამელამ ისედაც ეყოლებოდა „სტუმარი“, უფროსი ვაჟიშვილის ორი წლის წინ შერთული მეუღლე — ნორა. ეს ქალი, მართალია აქ დღემოდამ არ ათენებდა და აღამებდა, მაგრამ სამარადგამოდაც აქ რომ დაედო ბინა, თავისი ჩაკეტილი, თუ ზერელე ხასიათის გამო მთელი ცხოვრება

„სტუმრად“ დარჩებოდა. ეს ისევე რუსუდანის სისუსტე თუ იყო, რომ ოჯახის პირველი სისარული — რძალი, სახლის გარეთ დარჩა. ფარნას არ უნდოდა ყველაფერი ცოლისთვის გადაებრალებია, თვითონაც რომ გაედო მამა-შვილურად გულის და სახლის კარები, იქნებ მოეშინაურებია, მთელი ორი წელიწადი უცხოვდ არ დარჩენილიყო, მაგრამ არ მოხერხდა. არ მოხერხდა, რომ ეს ბუნებრივად, თავისთავად მომხდარიყო და შვილთან და რძალთან რაიმე გამოგონილი, ყურით მოთრეული კი ვერ შეძლო, კაცმა რომ თქვას, არც უცდია.

ფარნა დააფრთხო იმ უფესურულმა, რომელიც გაჩნდა მას და ისევე არულით და მომავლისადმი დიდი იმედებით შერთულ ცოლს შორის, მას მე რე ადამიანებს ეშვით დაუწყყო ცქერა და რამდენადაც ადრე მიჰნდობი და მოსიყვარულე იყო, იმდენად მიუკარებელი და ბევრის მომთხროფი ვახდა. სიტყვა ისე აღარ ესმოდა, როგორც ამბობდნენ და მუდამ ნათქვამის მიღმა იხედებოდა. ეს არ ითქმარდა მოსწავლეებზე, ის უკვე იცნობდა ბავშვის ბუნებას და თანდაყოლილი უშუალობა და ზალისი პატარებთან შეინარჩუნა. შეინარჩუნა თუ შეუენარჩუნეს, რაკი მათ უნდობლობისათვის საბაბი არ მიუციათ. პირიქით, ისინი სხვაგან გაკრუებულ, თუ დაკარგული რწმენის ნაწილს უბრუნებდნენ და არ აძლევდნენ უფლებას ეფიქრა, რომ მისი ცხოვრება უმინოდ და უფერულად მიდიოდა.

ფარნა აპირებდა დღეს ერთი ნაბიჯით მაინც დაეახლოებინა რძალი, რომელიც მალე დედა უნდა გამხდარიყო და სადაც არ უნდა აღეზარდა, ამ ოჯახის შვილი უნდა აღეზარდა. ბუნების

ამ მარადიულმა კანონმა თავისთავად გაუღო ოჯახის უფროსს გულის კარები შვილისათვის, რომელსაც ჭერჭერობით მაინც ჩასიძებული კაცი ეთქმოდა, რის გაგონებაც მამას არ უნდოდა.

ლეონი მას დედის დამყოლ, თვინიერ კაცად მიიჩნდა, და რამდენად ის ვაჟი იყო და არა ქალი, ადრე იმდენად ვერ ახერხებდა მის გამართლებას, მისგან რაღაცას უფრო ვაეკაცურს მოითხოვდა. ამ ბოლო დროს მან დაუწყო ძებნა უფროსი შვილის აღზრდაში დამუშავებულ შედეგებს, თუ ცხოვრებით გამოწვეულ გარღვევალობას, რომელშიც ბრალი არც მშობლებს მიუძღოდათ, მაგრამ არც შვილს.

ლეონის დაბადების მერე რომ ამ ოჯახში ზედიზედ კიდევ სამი ვაჟი გაჩნდა, იგი მისდაუნებურად „უფროსად“ იქცა, მაშინვე მოაკლდა ყურადღება და აღერსი, როცა მამუკა აგერ თერამეტი წლისაა და მაინც „უმცროსია“ და დედამისს მისი ზიდვა რომ შეეძლოს, ახლაც ახუტებულს ატარებდა. და განა მარტო დედამისი? თვით საშივე უფროსი მშაც. და ფარნაც იმ სიმკაცრეს და მომთხოვნელობას მსსთან ისე ვერ იჩენს, როგორც სხვა შვილებთან.

ვერც ერთი შვილი, ვატუტიც კი, რომელსაც შეუძლია სხვებზე მეტი დანაშაული ჩაიდინოს, მამის წინაშე ვერ გაბედავდა, რაც ამ „უმცროსმა“ თუნდაც დღეს ჩაიდინა და კაცმა არ იცის, ფარნა იმათაც ისე მიიღებდა, როგორც მამუკას? რა სათქმელია, ჭიშკარზე მომდგარ სტუმარს კარს ვერასდროს მოუხურავდა, მაგრამ ისინი „ასეთ სტუმარს“ ოჯახს ვერ მოაყენებდნენ. ვერა, რაკი იმათ ამის უფლება არ ჰქონდათ. აღმოჩნდა, რაც არ უნდა რეგენი იყოს, ქვეშეცნეულად იცის ის, რისი უფლებაც აქვს და რისიც არა. ამ ნაბოლარამ კი იცოდა, რომ მას, სხვებისაგან გამოირჩევით, შეეძლო ეს გაეკეთებია და ამისთვის ყურებს არ აახეცდნენ, არ აახეცდნენ, რაკი ის ყველას საყვარელი ბატარაა, რომ მას არ სჭირდება მიწაზე

დაიხედოს, რაკი დედ-მამა და ძმები ზედავენ, თუ სადმე ორმოა ან გუნდასავადნი; რაკი ყველას, ერთმანეთის ჩუმად, ცალი ზელი მისკენა აქვს და რაც მას იამება, ყველას სიხარულს მოგვრის.

უფროს ძმას ეს გაჩენის შემდეგ ზედიზედ სამჯერ წაართვეს, ბოლოს როცა მას შეეძლო დაენახა ან ეგოძნო, სიყვარული და სითბო მისთვის აღარ რჩებოდა და აზრადაც არავის მოსდიოდა, რომ საჭირო იყო, რაკი ის უფროსი იყო.

ლეონი რომ სასწავლებელში წაიქცა, მასწავლებლის ხელფასის სულ ცოტა ნაწილი იყო მისთვის განკუთვნილი, რაკი აქ ოჯახი, მტერ-მოყვარე და სამი ძმა წილში ჰყავდა. იგი მუდამ ცოტას ჭერდებოდა. მის მიმართ ამაღლებული, ბობოქარი ვრძობა არავის არ ჰქონია და არც მას შეეძლო ვინმე უკიდევანო სიყვარულით შეჰყვარებოდა. იგი უფრო გულჩათხრობილი, მოკრძალებული და დამთმობი გახდა. სუფრასთან მთელი ღამე რომ იჯდეს, ცოლის მხარეზე სამჯერ არ მოიხედავს, როცა ეს ღლაპი მამუკა, ამ უცხო გომბიოს, კაცმა რომ არ იცის ხეალ ერთმანეთსთვის რა იქნებიან, თვალებში შეციციანებს.

„მამუკას სულ ყველა ერთად მივესიეთ, ვასწავლეთ სიყვარული და მის სულში დეაგუბეთ, ახლა ამ თვალავიზგინებულმა ვოგომ ვზა თავისკენ გაულო და ბანაობს, არც დიდი დავიდარაბა დაქირდებოდა, რაკი იგი ისედაც გადმოდიოდა ნაპირებზე.“

„ლეონი კი ბავშვობიდანვე გავალარბებთ და მორჩენილი სიყვარულით გაიზარდა, ასეთი კაცი შეიძლება წუნია გამხდარიყო, შურთან, ან მიმტაცებელი, მაგრამ თავისმა ბუნებამ, ბებოის ღვთისმოსაობამ და ამ ვახრული ძვალივით მიგდებულმა მშობლების აღერსმა მომთმენი გახადა და დაარწმუნა: „ცოტას დაქვრდი“, „ბედი ყველას არ ანებებებს“, „ერთი თბილი თუ გინდა გერგოს, ცხრა უნდა მო-

იწიო“. ცოლიც ისეთი შეირთო, რომელიც ვენების ცეცხლს ვერ წაუცილებს, მაგრამ პატარა სიყვარული შეუძლია, პატარა ერთგულებაც, თუ აუცილებელია, თანაგრძნობაც, რაკი ქვეყანა ისეა მოწყობილი, ქმარს თანაგრძნობა სჭირდება, ამ გზა-შარა ღოღილი, ისიც ფეხშიძმე ქალისთვის ძნელია, მაგრამ მანამთილ-დემამთილთან და მახლებთანაც მოყვება. ამან შეიძლება იმდენი სიამოვნება ვერ მისცეს, რამდენიც დალდა და მოწყენა, მაგრამ უამისოდაც არაა ვარსკვლავებს გამოსცენილი.

ფარნა უფროსი შეილისადმი იმდენად დამთმობი გახდა, თავის განვილი გზასაც ეპვის თვალთ დაუწყო ცქერა. თვითონაც ზომ ვერ იცხოვრა იმ ბოზბოქარი სიყვარულით, როგორც უნდოდა და ვერც ქვეყანას აუშენა ის ციხე-კოშკები, მაშინ რომ აპირებდა, ლეონის ხნისა რომ იყო; ლეონიც რომ მამისტოლა გახდებოდა, იქნებ არც მას ეთქმოდეს უარესი და რაც ფარნამ თავისი მოსვლით მოუტანა ქვეყნიერებას (თუ საერთოდ რაიმე მოუტანა), იქნებ არც შეილი აპირებს ვალში დარჩენას? ეს თავდაუზოგველი შრომისმოყვარეობა და უღალატო, ერთგული ხასიათი თავისაა ვაიტიანს, თუ ის ახალი ზეონის ვინა, რომელსაც თავზე დაკანკალეებს, მართლა ქვეყანას არ ააშენებს და იქედან არაფერი გამოვა, ალბათ, ბოლოს და ბოლოს ის განსხვავდება დარჩება, მისი დამთმობი ხასიათის გამო ფარნასავით აჯანყებული, გულნატკენი და ბედთან შეურთგებელი მაინც არ იქნება...

... თუ ფარნას გულში გაჩნდა ბედისადმი შემრიგებლური რამ?

... თუ „მზრუნველი მამიკოს“ ვარაუდია, რომ „ცოტას დაჯერდი“. შეილი ურჩევნია ამბოხებულ და ხანჯალზე ხელდადებულ მემკვიდრეს, რომელიც ქვეყანას სამოთხის აშენებას სჭირდება, ამ დროს კი თავსაც წააბარკავს თავის საკაცობრიო იდეებს და ქვეყნის მოღალატის სახელსაც დატოვებს...

ეს საუკუნე ისეთი აურზაურით

დაიწყო, ამას ისტორიაში ჩახედული კაციც არ უნდა, რომ ისევე დიდი ძვრები მოჰყვება და შობებს, რომელმაც ოთხი ვაჟიშვილისათვის ანბანი უსწავლებია და თვალახელილი გზაჯვარედინზე გაუშვია, საფიქრალი და სადავიდარაბო არ დაეღუვა.

ეპ, რამდენ რამეზე უნდოდა ამ კაცს ამაღამ, დალოცვილ ჭიჭა ღვინოსთან, ვადაეხედა, ამოეხსნა, ამოეკითხა და ამ დროს ეს თვალბედაცეცებული გოგო კი გამოტყვრა.

IV

— თამადას არ ვირჩევთ, თავის ადგილზეა — გაიკრიჭა ვატუტი, სუფრისთავთან მჯდომ მამას ვადახედა, სუფრის ხმაურით წინ მოიჩოჩა და კეცსა და კეცს შუა გამომცხვარი მკადი გატეხა. სქელი ნაჭერი დასერეტილი ყველადამოილო და ერთი მუჭი მწვანელიც წინ დაიყარა, — ბოდიშები მე ჩემს სახლში კი არა, სხვაგან არ მიყვარს... — და ჭამას შეუდგა.

— რატომ, ბრიყვ-თამამი ვარო თუ... აქ იქნებ არა, მაგრამ სხვაგან ვითომ რატომ არა?.. — მარცხენა თვალი ოდნავ დაუქრამდა და დაუფიქროვდა ფარნას.

— რა საკადრისია მამა, სიბრიყვე ან სითამამე? — შეხტა პირგამოტენილი ვატუტი.

— კაცო, სიტყვაზე თქვა, თუ არა სხვაგან აბა ისე მოიქცევა, როგორც თავის სახლში? — ჩილაბარაკა რუსუდანმა, ქურჭლის ძველი განჯინიდან რომ ჭიქებს იღებდა და მავდაზე ორთვი ცალი მოქონდა.

— შენ მაგ ჭიქებს ვერ წყალი გამოავლე და სუფრაზე მერე მოიტანე! — თავი მისკენ არ მოუბრუნებია, ცალყბად გადაუღლო ფარნამ.

— მავიდიდან ვერ წავილებ? თუ როდის იყო გაუვლებელი მომქონდა! — იწყინა რუსუდანმა: ამ ქალებთან მაინც რაეა მეუბნებიო, მაგრამ ფარნამ რომ აგრძნობინა, მე ვიცი რასაც ვამბობ, ნუ

ერვი, უკეთესია შენი საქმე იცოდეთ, ეს ვერ ვიცი.

— კი, მაგრამ მამა.. არ უნდა მოედოს ბოლო ამ ძველსა და დრომოქმულ „ქაშე ბატონო, მიერთვი, შენ გენაცვალეს“? შეწუხდა ხალხი, გაამზადეს, მოგიტანეს რაც გაჩნდათ, რაღათ უნდა ახვეწნით ისედაც დაღლილი მასპინძელი.

— სტუმრით რომ მასპინძელი დაიღლება, ან სტუმარი არაა სტუმარი, ან მასპინძელი მასპინძელი...

— დაღლა ქვია მამა, აბა...

— ამას გარდა, ასე დაგიყარონ წინ, მიდგები და ჩანთქვე?

— რატომ დამიყრიან? მოგვართმევენ და მივდგებით და შევექცევით... მაგალითად, ქართლი, კახეთი...

— ყველგან, ქართლ-კახეთშიც, მესხეთ-ჯავახეთშიც... რომელი კუთხეც გინდა, იცოდნენ და იციან... ახლა თუ მუდამ რბევასა და აწიოკებაში ზოგჯერ ზოგი რამ გამოჩნათ... არა, მაინც საღ ნახე, რომ ქართველ კაცს სუფრაზე მიეწვიო და მიერთვიო არ ეთქვას.

— ეგ ვინ თქვა, მაგრამ ასე ყოველ წუთს ერთი და იგივე: არიქა, შენი ჭირიმე და არიქა, შენ გენაცვალე...

— გა-აჩუმიდი ბიჭო! — გადაულაპარაკა ლეონმა ძმას, რომელმაც ისევ დააპირა ამ ჭერად უკვე ვრცელი მოსაზრების გადმოშლა იმ იმედით, რომ საუბარი ეროვნულ ტრადიციებზე და აღათ-წესებზე თანდათან ისტორიის შორეულ წარსულში გადაეტანათ, საიდანაც ფარნა კარგა ხანს თავს ვეღარ დააღწევდა და იმაზე, რისი შიშიც ვატუტის ჰქონდა, იქნებ სიტყვა გადაკრულადაც არ თქმულიყო.

რაკი ვრთმა უკვე შენიშვნა მიიღო, დანარჩენი ძმები და. მით უმეტეს, ქალები ხელს არაფერს აკარებდნენ.

— მიერთვით, მე ის კი არ მითქვამს, დავჯდეთ და გაწყობილ სუფრას ვუყურეთ-მეთქი.

მხოლოდ ზრდილობისათვის გაიღმა ოჯახის უფროსმა.

შენ ეს თქვიო, მაშინვე ფეხზე წა-

მოიჭრა მამუკა, თუმცა ადგილიდანაც მიწვდებოდა, ერთმანეთზე შეწყობილ ხაჭაპურებიდან ქვედა გამოიღო და მთლიანად წინ დაუდო მის გვერდით დასკუბულ „კარგ მეგობარს“.

ნორას მახლმა — ბაჭურმა მოაწოდა მაგიდის მეორე მხრიდან, რაკი ლეონი ამას ვერასვხით ვერ მთიფიქრებდა.

რუსუდანმა წყალგავლებული, ძველი, წელში გაწყვეტილი ლეონის ჭიქები ჩამოაოკა და თვითონაც მაგიდის კუთხეში, რძალსა და სტუმარ გოგონას შორის ჩამოჯდა.

— დედა, დაიღალე? — თანაგრძნობით ჰკითხა ბაქურმა.

— დავიღალე, დავიღალე! — უხალისოდ ჩაილაპარაკა და რაც ხელში მოყვა, თეფშზე გადაიტანა.

— დაასხით ეს ლეონო! — გადაულაპარაკა უმცროს ძმებს ვატუტომ, თეფშზე წითელი ტყემლის საწებელი დაისხა და შემწვარი ქათმის მკერდის ანაქერი დაიდო. მამისკენ არ მიუხედავს, უკვე დამტუქსავი კილოთი მიმართა ძმებს: — ამ კაცმა დარგო, მოიწია, სუფრაზე მოგიტანათ... დოქიდან ჭიქაში დასხმას მაინც მოაბით თავი!

— მე ხომ არა და არა, ეს არც დედამის ჰგავს — გაიფიქრა ფარნამ. ერთი კოვზი გუშინდელი ფხალი გადმოიღო და მქადს კიდე წატეხა.

— მომაწოდეთ დოქი! — წამოვარდა ფეხზე ისევ მამუკა.

— მიდი და აიღე, ვინ მოგაწოდოს, ვინაა ამ შენზე უმცროსი! — გაუწყრა ვატუტი, მაგრამ მას და ფარნას შორის მაგიდის კუთხეში დადგმული დოქი ლეონმა აიღო და ცოლის, დედის და სტუმარი გოგონა წინ სუფრის ბოლოში უმცროს ძმას უნდილად გაუწოდა. მამუკა ორივე ხელით დააფრინდა, მაგრამ სახელურში ბაკური წვედა და ჩამოართვა.

— მერიქიფე მეორე კაცია ქართულ სუფრაზე თამაღის შემდეგ! — ხუმრობით წაქეზა ძმები ვატუტომ. ფარნას ჭიქა შესავსებლად გადააწოდა.

— მამა, მე დავასხამდი... — აწუწუნდა მამუკა და გულზე ხელები დაიკრიფა: რატომღა რომ მე არ მენდობით და არაფერზე ხელს არ მაკიდებინებთო, რაზეც მხოლოდ „კარგ მეგობარს“ ვაეღვიმა.

— ბატონო თამადა, არ დაველოცოთ? — ჭიქა მუჭში მოიქცია ვატუტიმ, როცა ბაკურმა სასმისები აავსო.

— გაუმარჯოს ამ ოჯახს! — ფარნამ ჭიქა ლეონის ჭიქას შეახო და დალია.

ლეონმა რომ სასმისი აიღო რუსუდანმა ნახევრად ვასაგონად ჩაილაპარაკა:

— გაუმარჯოს ამ ოჯახს და... თქვენ ვაგიმარჯოთ, შვილებო! — ჭიქა ნახევრამდე დაცალა და დადგა.

მერე ვატუტი აპირებდა გრძელი სადღეგრძელო ეთქვა, მაგრამ თამადის თავიდანვე მოკლედ დალოცვამ სუფრაზე მიინც ზომიერება დააწესა და ისიც ხუთიოდე ფარნას დასჯერდა. ლეონი ასე ხელვაშუშებული დარჩა, სანამ სადღეგრძელო არ ჩამოთავდა და ბოლოს მაინც უსიტყვოდ შესვა.

— ქალისა და კაცის თანასწორობა ჩვენ ოდითგანვე მოგედგამდა, — ულვაში კბილებში გაიწიქნა და დაიწყო ფარნამ. ხელახლა შევსებული ჭიქა მიიჩინა, — იმაზე ადრეც, სანამ ქალს ვამეფებდით...

— მაშინაც? „ოდეს ყოფილა...“ ქალსა და კაცს პური ერთად ეჭამოთო... ზუსტად არ მახსოვს, როგორ ამბობს ცურტაველი? მე ფილოლოგი არა ვარ... თავი იმართლა ვატუტიმ.

— მაინც არ გაწყენდა მაგის ცოდნა... — თავი არ მიუბრუნებია, თვალეზით მიხედა ფარნამ.

— რა აამბავსი ხარ! — რალაც უჩვეულო მოეჩვენა ლეონს მომდევნო ძმის საქციელში.

— „ოდეს ყოფილ არს, აჭამომდე მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური“ — წამოიძახა მამუკამ.

— „... თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური“ — გაუსწორა

„კარგმა მეგობარმა“, რაზეც რუსუდანმა ქმარს გამოხედა, მერე ხაჭაპურს მოციქნა და თითებით ბურთულად დაამრგვალება დაუწყო.

— ჰო, როცა ეს ითქვა, მაშინაც? — და ხმადახლა ჩაიქირქილა, — მე კი არა, ფილოლოგებს ეშლებათ...

— მხოლოდ ესთეტიკური თვალსაზრისით, — ორი სიტყვით ახსნა თამადამ.

— მართალია, ამის ცოდნა არ მაწყენდა, მაგრამ რალაც... არ მახსოვს ავტორის რაიმე ეთქვას „ესთეტიკურ თვალსაზრისზე“, — თავი გადააქინა ვატუტიმ: ჩვენ ის ბავშვები აღარა ვართ, შენი რომ უსიტყვოდ გვჯეროდანო.

— თქვა!

— მამა?! — წამოიწია მამუკა და „კარგ მეგობარს“ მხრებაწურულმა ვადახედა: წარმოგიდგენია, თურმე მამაჩემიც ცდებო.

— დაქექი მანდ, აცალე კაცს ლაპარაკი! — ბეჭუზე ხელი მზრუნველად დაადო ბაკურმა ნაბოლარა ძმას და ანიშნა: მაგ გოგოს ხაჭაპურის გარდა სხვა რაიმეც ვადაუღეო.

— თქვა, — ახლა მამუკას შეხედა ფარნამ, — წიგნი იმიტომ კი არ უნდა წაიკითხო, სადმე სუფრაზე ან საზოგადოებაში წამოიძახო, წაიკითხული მაქვს, მიყურეთ, რა განათლებული ვარო.

— რატომ არ უნდა ეთქვა, თუ წაიკითხული მაქვს! — თავის თავზე მიიღო ვატუტიმ და გაიოცა.

— თუ წაიკითხული გაქვს, კი, მაგრამ გოგოლის პეტრუშკასავით რომ მარტო ასოვებს სცნობდე და გიკვირდეს, ასოებისაგან სიტყვა როგორ გამოდის და გეგონოს წაიკითხე?

— კაცო, რანაირი თქმა იცი! შეადარებს პეტრუშკებს, სელიფანებს და აკაკი აკაკიევიჩებს... — სახე უცმებად მიაბრუნა რუსუდანმა და პურის ნამცეცის ბურთულა თეფშზე დააგდო.

— დედა, რაა ახლა აქ გულმოსავალი, არ იცი მამის უკიდურესობა? შედარებისთვის რომ უფრო...

— უფრო ემოციური იყოს... — არ აცალა უმცროსს შესაშვ ძმამ.

— შთამბეჭდავი, — თავის მხრივ დაეთანხმა მეორეც: აქაო და მე არ მწყენია დედაჩემო, შენ წერეებს რად იწლიო, — და მაინც თუ სადმე წერია, ხომ უნდა ვიცოდეთ...

— როცა გე-უფხნებია, ალბათ სწერია! — თავის მხრივ ჩაილაპარაკა უფროსმაც და ცოლის მხარეზე რაც სუფრასთან დასხდნენ, პირველად მიიხედა.

ნორამ მხრები შეუქმნევლად აწუწუა: ასეთი არაფერი მახსოვს.

— თუ ქალი სუფრასთან არ დაიჯდომებოდა, იმდენად მონურ დამოკიდებულებაში იყო და მამაკაცთან თანასწორი უფლებები არ ჰქონდა, როგორ მოხდა, რომ უბრძანეს მიეღო მანუღიანობა და უსიტყვოდ არ აღასრულა?

— კიდევ ამიტომ იყო, რომ დაისაჯა! — მავიდაზე მუშტი დადო ვატუტიმ.

— თუ ქალი უფლებებო იყო ოჯახში, რაღა ეღირებოდა ის სახელმწიფოსათვის და ბოვანო რა რელიგიასაც აღიარებდა, სულერთი არ იყო?

— მთელ აღმოსავლეთში ასე იყო, მამა... — სცადა ვატუტიმ სხვა ვზით შემოველო.

— აღმოსავლეთში ქრისტეს დაბადებისას კი არა, აქამდეც ასე იყო, პარამხანებში ათობით რჯულის ქალი ჰყავდათ, და არავის არ აწუხებდა მათი ბედი.

— კი, მაგრამ დედაჩემის სადღეგრძელოსთან რა კავშირი აქვს უთანასწორობას და პარამხანებს? — ჩვეული მერყველი, უეშმაკო ღიმილით გადახედა მამას ბაკურმა.

— პო, მართლა გადავუხევეთ, — თავი დაუქნია ფარნამ, — პირიქით, ქალის და მით უფრო ოჯახის უფროსი ქალის სადღეგრძელო პირველ რიგში ისმებოდა და ისმება. ახლაც გვინდა, არ გვინდა, აქ უცხო ადამიანებიცაა და ვიცით სტუმარი ღვთისაა, მაინც დიასახლისის სადღეგრძელოთი ვიწყებთ.

გაუმარჯოს დედათქვენს, თქვენს მერი მაინც არავენ ახსოვს ამ ქვეყნად და თქვენ მაინც გაგემართლებოთ... არსებობა.

— ნეტავ კიდევ ვინ უნდა მახსოვდეს?! — ისევ წაცოცქნა საქაპურს და ფინჩხას თითებით დაუწყო წვალება.

— დედა, იცოცხლე! — მამის შემდეგ ამჯერად ლეონმა დალია და მეორედ გადახედა ცოლს.

— იცოცხლე! — ჩაილაპარაკა ნორამაც და ჭიქა პირთანაც არ მიუტანია, ისე დადგა.

— დედიკო! — წამოხტა მამუქა და ჭიქიდან ლეონო გადმოღვარა, მაგრამ ასე დაეუღლებული დარჩა, რაკი სადღეგრძელო მეორე ძმამ დაიწყო.

— აქაო და მშობლის ამავს მაინც ვერ გადავიხდიო, ხელი არ უნდა ჩაეიქნით. აღამიანს კარგი სიტყვა სჭირდება: აბა, ვერც ვერაფერი გაუკეთო და არც არაფერი თქვა, თქვენი მტრისას იყოს. ჭერ მხოლოდ თქმა შეგვიძლია და ვთქვათ, მალე საქმეც გვექნება და საქმით გადავუხდით... — მამას მოხედა, — რა თქმა უნდა, რისი გადახდაც შეიძლება...

ახლაც შორიდან დაიწყო, ალბათ, ისევ იმ მიზნით, რომ დრო გაეყვანა და მის ნაეიკაცარზე სალაპარაკოდ ვერ მოეცალათ. იცოდა, მამას თავს ვერ შეუხვევდა, მაგრამ დედას, რომელსაც შეეძლო, ფარნას დაწნული გოდორი ან ახალტარდაგებული ცელი, მეზობლისთვის ენათხოვრებია და უკან აღარც მოეუბნა, რომ ეთქვათ, ეს ქალი კეთილი გულისააო და ამის თაობაზე ოჯახში უსიამოვნებასაც არ დაერიდებოდა. მეზობელს, ეს, რა თქმა უნდა, გულუბრყვილობად მიიჩნდა. აი, რუსუდანს რომ მისთვის კაბა შეეკერა და ქარგვა ესწავლებინა, ან ავადმყოფისათვის ნემსის გაკეთება შეძლებოდა, იქნებ ეს ჩაეთვალათ კარგ ქალობად და სიყუთედ, თუ არა ადამიანებს ზურგს უკან ქებას გაზით ვერ ამოგლიჯავ.

შვილს ახლა დედის მიმზრობა შეეძლო და იმ მოსალოდნელ აყალმა-

ყალბი რუსუდანი, თავის მხრივ, რძალსა და ამ სტუმარ ვაგოს ქმარზე იმას მაინც ეტყოდა, „მაგან ასე იცის...“ შეილებიდან რაღაცას ისეთს მოითხოვს...“ და შეილმაც, რაკი გუდას პირი მოხსნა, მშობელს ბროლის კოშკი აუგო.

— შენ, დედიკო, ჭეროვნად ვერ გაფასებთ, — მამას გადაკრა, — მაგრამ გული არ გაიტეხო.

ეს „გული არ გაიტეხო“ შეტისმეტად ზერტულ და მშრალი იმედის მიცემა რომ გამოუვიდა, შეეცადა, ის დრო მოეგონებინა, როცა დედას ოცნება და რაღაცნაირ მომავალზე ფიქრი შეეძლო; რუსუდანს კი ხერიანად აღარც ასწავდა, მაინც როგორ მომავალზე ოცნებობდა. რა თქმა უნდა, ვერც შეილმა გააგებინა, თუ ვინმე იყო ამის მოწადინე, სახელდობრ, რას ეპირებოდა დედა და რა შესწირა ოთხი ვაჟიშვილის აღზრდას. ის კი ღრმა გულიანობით და ამოხვრით აღნიშნა, რომ შეილებმა იცოან დედას რის საფასურად დაუჭდა, რომ მამულისათვის ოთხი, ზოგიერთებს რომ ჰგონიათ, არც ისე წყალწაღებული ვაჟაკი აღზარდა.

— თუ მაინცდამაინც, შენს თავზე ილაპარაკე, — მამის შერცხვა ბაკურს.

— შენ რა, სამარცხვინო და საჯაყი ხარ? — თვალები გადაუბრიალა ქმას.

— მაგას ჯერ ბარე ორჯერ დასჭირდება გვერდების დაზელა, სანამ დავაეკიდებოდეს! — ცინიკურად გაეღიმა ფარნას და „ორატორს“ ხელით ანიშნა დაჭეკო.

— გე-ეყოფა! — შემფოთდა ლეონი.

— თუ ქართული სტფრა აკადემიაა, და სადღეგრძელო ტრიბუნა, სადაც შედეგ და შონა თანასწორი იყო, ხომ უნდა ვთქვათ, რაც გულში გვაქვს!

— იყო, ყველაფერი ეს იყო... — თავი დაუქნია ფარნამ.

— ასე იცის, ორ სიტყვას არ ათქმევინებს... — ისევ წააციქვნა რუსუდანმა ხაჭაპურს და ნამცეცს კვლავ უგულის-

ყურო მონდომებით დაუწყო დამრგვალება.

— ყველამ თავის ტყავს მოტაროს! — ხმას აუწია ვატუტიმ და ბაკურს გადახედა: ის „გვერდების დაზელა“ რომ ასენა მამაჩემმა, მოასწარი ენის მიტანაო? მაგრამ მაშინვე მიხვდა, საქმეს სულ წაეხდნო და სახეზე მშვიდი გამომეტყველება აიფარა. დედის ნუგეშის ცემა მაინც მოასწრო და ისეთი მომავალი უწინასწარმეტყველა, ოთხი დიდი მამულიშვილის გამზრდელ, ყოველმხრივ უზადო დედას რომ შეშურდებოდა.

ბაკური კი ვერაფერს დაპირდა მშობელს, თუ მან მართლა დაკარგა ისეთი რამ, რომელიც ქვეყანას რაიმე მნიშვნელოვანს შესძენდა, რომ შეილები აწინაზღუდებდნენ. მშობელი, რომელიც მართლა დაუფასებელ ამავს ღებს მომავალი თაობის აღზრდას, მხოლოდ ვალს იხდის, ვიღაცის მიერ დაკანონებულს იმეორებს და უნდა არ უნდა, შეილმა ასევე უნდა აღზარდოს...

— შენ თავი ქუღღში გქონია! — გადაიხარხარა ვატუტიმ, — დაგზანია ბელები და ესაა...

— გა-აჩერდი ბიჭო შენ! — ამოილაპარაკა ისევ ფანბრგვილმა ლეონმა, რომელიც გუშინით მიხვდა, რომ მესამე ძმა უფრო მართალს ლაპარაკობდა.

— ნუ აწყენინებ! — ჩაულაპარაკა ცოლმა და დედამთილს უგერგილოდ გაუღიმა: ეს იმიტომ ვუთხარი, მინდა კეთილგანწყობილება სუფევდეს, თორემ ქმარს ჭკუას კი არ ვარიგებო.

— მე მგონია თამასუქების ვაცემა იოლია... — უპასუხა მშვიდად ბაკურმა ქმას, მისკენ არც კი მიუხედავს, — მაგრამ ჯერ კიდევ არავინ იცის ჩვენ ჩვენი მიზნებისათვის გამოვლევებით თუ არა, ყველაფერი ჩვენზეც არაა დამოკიდებული...

— აბა, ვისზეა! — გააწყვეტინა ქმამ, — ამ ხალხმა გააკეთა, თავისი, — მამას ისევ თავის მოქონვა დაუპირა. — არც ისაა სწორი, წიგნები მხოლოდ წიგნებისათვის იქითხო და იქაბო, სამ-

ყაროს საიდუმლო შევიცანი და მივხედე, თოჯინები ვართო. ასე, შენ კი არა, მამაჩემსაც არ ჩაუქნევია ხელი, და მე დარწმუნებული ვარ, იგი თავისას მაინც მიაღწევს...

— ეს რა-აეა გა-ატლევია! — ყველაფერს ლაპარაკობს, მე რაღა ვთქვაო და ლეონმა სასმისი ბოლომდე დაცალა.

ბაკურს არავისათვის ყური არ უთხოვებია, თავისი გააგრძელა:

— შვილი მშობლის გასაკეთებელს ვერ გააკეთებს, მას სხვა როლი ექნება შესასრულებელი, და ნეტავ იმისთვის გამოდგებოდეს, თორემ...

— ისე, როგორც დედაშენი გამოდგა... — ჩაურთო ფარნამ.

— არც შენ დაგიდგამს ჯერ ძეგლი! — ჰურის ნამცეცის ბურთულა სუფრაზე დაანარცხა რუსუდანმა და მაგიდიდან აღგა, — ნეტავ მაკოდინა, რას მოითხოვს...

V.

მამლები მერამდენედ ყიოდნენ, არავენ უწყის, ფარნა უკანა აიენის ფიცრის ვიწრო კიბით, ქვევით ჩამოვიდა. აჰ, პალატსა და სამზადს შორის ცოლს რომ არ გადაყროდა, სახლის ლაფაროს გაჰყვა და წინა ეზოში გააბოტა. უჩუმრად, ფეხდაფეხ მიჰყვა ურწყვი შავი ძაღლი, რომელსაც იმედი ჰქონდა, მთვრალი პატრონი მისთვის ორიოდ სააღურსო სიტყვას ახლა მაინც გაიმეტებდა.

კონინდარში თრთვილი დაედო. ხეხილის ფოთლებზე დაგროვილი ნამი კანტიკუნტად ეწვეთებოდა ბალახებს. მსუყე, ნოტიო, გრილი ჰაერი იდგა, ფარნა ბებერი მსხლის ძირას ორ ლოდზე ვადებულ ბრტყელ ფართო ქვაზე დაეშვა. თავი მსხალს აყოლილ კოკის ყელის სიმსხო ვენახსა და ხის ტანს შორის მიაბჯინა.

მოჭახჭახებულ ზეცაზე მოჭედილი ვარსკვლავები ცოცხლებივით ცახცახებდნენ. ირმის ნახტომი — ოქროს-

ფერი ნისლი, ღმერთის ნაკვალევით ჩანდა კიდით კიდემდე.

„მართლა ისეა მოწყობილი სამყარო, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, თუ ჩვენც ისევე ვცდებით, როგორც ერთ დროს ცდებოდნენ, როცა დედამიწა ბრტყელი ეგონათ...“

ძაღლმა მუხლზე მიადო ცხვირი და დაყნოსა, თითქოს გამოცნობას აპირებდა, ეს მართლა მისი პატრონი იყო თუ არა.

ფარნამ ხელი წაუწია, მაგრამ ხის ტანისათვის ზურგი არ მოუცილებია და ვერ მიწვდა. ძაღლმა კისერი წამოიგრძელა და თავი ბრტყელ ქვაზე დადო.

„არც მე დამიდგამს ძეგლი და იქნება, არც იმათ, ვისაც ჰგონია, რომ დაიდგა. თუ ეს სამყარო ასე ამაზრბენი უსაზღვროებაა, მაშინ ეს ჩემი დედაკაცი უფრო ჰქვიანი ყოფილა, ვინემ მე და მარტო მე კი არა, ერთად აღებული ყველა ბრძენი და მოაზროვნე, ან ვატუტი, დედამისზე კიდევ უკეთესი ჰქუის კოლოფი, და სამყაროსათვის რა მნიშვნელობა აქვს შენ ციხე-სიმაგრეს აუშენებ ქვეყანას თუ ოფიცრის ცოლს აცდუნებ...“

რაღაცით უქმყოფილო ძაღლმა ფარნას ხელზე ენა მოუსვა.

„თუ ამ უსასრულობას პატრონი მართლა არა ჰყავს, მაშინ ან ერთისათვის ვინ გაგიღებს სამოთხის კარებს და ან მეორისთვის ვინ გადაგიძახებს აღუღებულ კუპრში.“

„ჩემი კაცობა და სინდისი გამიღებს სამოთხეს ან ჩამავდებს ჯოჯოხეთში? მერე საიდან დაიწყო ჩემი კაცობა და სინდისი, როცა მე გავჩნდი, თუ ჩემი ბაბუის ბაბუა...“

„და სად გათავდება? როცა მე აღარ ვიქნები, თუ ჩემი შვილთა შვილი. ორ ევ სულ ერთია, ჩემგან დაიწყო, თუ ადამ და ევადან და ისევ ადამ და ეთი გათავდება...“

ძაღლმა თავი გადააბრუნა, ქვაზე ყური დადო, პატრონს ხელი ისევ აულოკა.

„რომელი ვართ მართალი. მე, ჩემი

ხალხის ჩვენი წელთაღრიცხვის წინ და-
ნისლულ ისტორიაში რომ ვცდილობ
სინათლე შევიტანო, თუ ჩემი ცოლი,
რომელმაც მისი ქალიშვილობის დრო-
ინდელი, იქნებ მაშინაც ფუჭი ოცნება
დაიფიქსა და ხვალ სადილად რა გვემ-
ნება, ამაზე მე რომ არ შეზრუნა, თვი-
თონ ხვალემდე არ იფიქრებდა“.

ძალმა პატრონის ხელისგულის
ქვეშ თავი სულ ამოაბრუნა.

„თუ ეს არის ის, რასაც ადამიანი
გაჩენის დღიდან ეძებდა და ვერ პოუ-
ლობდა, სიკვდილის დღემდე ეძებს და
ვერ იპოვის? მის მიუგნებლობაში ხომ
არაა სიცოცხლის აზრი? იქნებ იმ თა-
ვითვე რომ ეპოვა, მაშინვე დაკარგა-
და ცხოვრების მიზანს, ეს უმიზნობა
ხომ არაა მიზანი? ეს შეუცნობლობა
ხომ არაა შეცნობა?“

„გასაგებია, რომ თავის დროზე ამან
შეჰქმნა ღმერთი. მაგრამ მაშინვე ხომ
არ ჯეროდა, რაკი თვითონ მან მოიგო-
ნა. ის ხომ არასოდეს თვალით არ უნა-
ხავს. კარგი, რაკი ღმერთი იყო და
მაინცადამაინც უხილავი უნდა ყოფი-
ლიყო, ასე მართლა ხომ არ ჩამოვიდო-
და ცათა მპყრობელი და კარდაკარ
არ ივლიდა, აგერ ვარ, მიწაშენეთო.
მაგრამ, რომ ვერაფრით ვერ მოახერხა
ის, რაც დამაჯერებელს ვახდიდა მის
არსებობას, — როდის გაჩნდა!“

„ეს ხომ გულუბრყვილობაა, რომ
ღმერთი იყო, არის და იქნება. ხომ ყვე-
ლაფერს, თვით უსუსურ მდილსაც კი
აქვს თავისი დასაწყისი და დასასრუ-
ლი, მაშ ისეთ სრულქმნილს და ყოვე-
ლის შემძლეს, თუ დასასრული არაა,
იქნებ არც მან იცოდეს, ან არ უნდა
იცოდეს, რომ დასასრული ექნება, და-
საწყისი ხომ უნდა“.

ძალმა ხელიდან თავი გამოიძვრი-
ნა და ისევ დაყნოსა პატრონის მუხლს.

„და თუ მაინც მოწმუნებ ასე გა-
ნუსკელად დაიჯერა და იცხოვრა, იშრო-
მა და ჩაიდინა კიდევ, ვინც მაშინვე არ
დაიჯერა, ან მერე მოეგო გონს, მან
რისთვისღა იცხოვრა, ხომ აღარაფერი
აზრი აღარ ჰქონდა, არ იყო ღმერთი,

არ იყო სამოთხე ან ჯოჯობეთი... ჯოჯო-
ბეთიც ხომ ცხოვრებაა, და კაცმა უარ
იყოს, რომელი რომელს სჯობსა? მაგ-
რამ თუ იცოდა, რომ ეს არც ერთი
აღარ იყო, მაშ რატომ იწვალა?“

„ვისაც სჯეროდა, ვთქვით მან აღარ
იმტყრია თავი იმას იქით რა იქნებო-
და, დარწმუნებულმა, რომ დაჯდებოდა,
უკეთეს შემთხვევაში, სამოთხეში და
იქნებოდა დაუსრულებლად სამოთხე-
ში, იქაც ხომ აღარ მოკვდებოდა და
ის აღარ დაეძია კიდევ რაღა იქნებო-
და, მივალ და ვნახავო, მაგრამ ვისაც
არ სწამდა, რისთვის იწვალა და იჯახი-
რა, რატომ ერჩია უკეთესი შეილი
უარესს და რა იყო უარესი და უკეთე-
სი. მხოლოდ იმისთვის, რომ უკეთესი
უფრო გულთბილად მოპყრობოდა სი-
ბერის ეაშს და უარესი უარესად? სულ
არაა მოულოდნელი, რომ ვატუტომ
უფრო მსუქანი დუმა აათალოს ამ
ცხოვრებას და მშობლებიც რომ მაგათ
ხელეგში შეჩერებული დარჩნენ, მა-
თაც მსუყე ლუკმა მოუტრას, ვინემ
ბაკურმა ან კიდევ უარესი, მამუკამ...“

„ლეონმა შეიძლება ეს თავსატეხი
ჩვენ მოგვანდოს, მაგრამ მე ხომ ისევ
იმას ვერ მივუგებ? ვატუტი არ
მნლობს, ჩემსას არ იმეორებს. ბაკური
იმ ქვეყანას, რომელიც მე ვერ ამოვეუ-
ხსენი, მით უმეტეს მონიღომებს მის
ამოცნობას, მაგრამ მეც ხომ არ მინდა
ისე დავბუჭო თვალეები, როგორც მა-
მაჩემმა, რომელიც ღმერთსა და უღ-
მერთობას შორის დაიკარგა. მამუკა კი,
რომელიც მიწიერს სულ არ ხედავს,
იგი ყველაფერის ხილვას მონიღომებს,
რასაც მოკვდავის თვალს ვერ წვდო-
ბა“.

ძალმა დაიწკმუტუნა, პატრონს
მთლად ანება თავი, ქვის ქვეშ შეძვრა,
თავი პატრონის ფეხებთან დაუდო და
დაწვა.

— ამ ცივ ქვაზე რომ დამჯდარხარ,
რას აკეთებ აქ?

ფარნა შეაკრთო ცოლის საყვედუ-
რით და სიცივით გაეყვიღმა ხმამ.

— რა უნდა ვაკეთო? — ამოილაპა-

რაც, მაგრამ ამით არც საყვედური უთქვამს და არც მადლობა, რომ უყურადღებოდ არ მოიტოვეს და მოიძებნეს.

— რა აკეთო... უნდა ადგე და დაიძინო.

— იქნება ესეც მართალია.

— რაჟი შე ვთქვი, არც ეს მოგეწონოს! — ქალი უკან გატრიალდა, ძალი ქვის ქვევიდან გამოძვრა და რუსუდანს გაჰყვა, აქ ახლა მისთვის არ ეცალათ.

— მართლა ცივ ქვაზე ეზივარ! — ჩაილაპარაკა ფარნამ ბნელი მიწისა და ვარსკვლავებს შორის გარინდული სიჩუმის ვასავონად, თუ თავის ვასავონად.

VI.

ორიოდე საათის წინ ჩაძინებული მამუკა მკრთალმა ნათელმა ისე შეშფოთებული გააღვიძა, თითქოს ეკლესიის ზარი ჩამოერეკათ. ლოგინი, დაძინებამდე რომ შუშის ნამსხვრევებით ეგონა მოფენილი, ამ გამოთენისას ისეთი თბილი და მოსალბუნე გამხდარიყო, ბალიშიდან თავის წამოწვევა გაუჭირდა და ისღა მოახერხა, თავდაღმა ჩაემხო.

ერთი წლის წინ მიტოვებული საკუთარი ლოგინი, დაწოლისას რომ უცხო მოეჩვენა, ამ დილით ისევ ისე მოსალბუნე გამხდარიყო, როგორც ძუძუმიტოვებულ ბავშვისათვის დედის უბე, მაინც მთელ ქვეყანას რომ ურჩევნია.

ბალიშზე დამხობილი, შეუცნობელი ნეტარებით თავისივე ამონასუნთქს სუნთქავდა და ახლა ეს ერჩია მკრთალ ისფერ, ვრილ ჰაერს, ღია ფანჯრებიდან რომ გადმოღვრილიყო. იგი არ ფიქრობდა, მის გონებაში დალაგებულ, გამოკვეთილი აზრები არ ლაგდებოდნენ, მაგრამ მისი სუნთქვა, ტანი, რომელსაც თავისი დატოვებული სითბო და ალერსი ათბობდა და ეალერსებოდა, ფილტვები და სისხლი, რომელიც საფეთქლებში ჩხრიალებდა, ისევ

იმ ძუძუმიტოვებულ ბალდის უჭარბობას აგრძნობინებდა, მთელი წელიწადს რომ ჰკლებია. ახლა ბავშვებისაა რომდა და მთელი სხეულით ისრუტავდა ერთი წლის დანაკლისს. და ვინ იცის, რამდენ ხანს ვერ წაართმევდა თავს დედას მონატრებული ბავშვი ამ განცხროქას, რომ მის სხეულს არ შეესუნთქა იმის ამონასუნთქი, ვისაც ამ ბალიშზე თავი არასოდეს არ დებია და საფეთქლებში ბავაბუგი არ აეტეხა.

თეკლა...

მამუკა მაშინვე გულაღმა გადმოტრიალდა და რომ ეგონა უკვე შუაღლე ჩამოდგაო, თურმე რაღაც წამებს გაეცლო და ოთახში ისევ იისფერი რიბირაბო იდგა.

შარვალ-ხალათი ასეთი ლოგინის მერე უცხო და ცივი მოეჩვენა. წინდები ჩაჩურთული ფეხსაცმელები ხელში დაიჭირა და იატაკზე თითის წვერებზე აიწკია. ახლა გაიგონა, თურმე ამ სახლში იმდენი ვინმე სუნთქავდა და ფშვინავდა, გაუკვირდა, რატომ მეგონა წელან, რომ მართო ვიყავი და არ მესმოდა ირგვლივ ამდენი ჩემიანი თუ ხმაურობდაო. (მათი სუნთქვა ხმაურად და ხვრინვად მოეჩვენა). კარებისკენ უფრო გაბედულად წავიდა, ვინემ ამას თავიდან, მისდა უნებურად, აპირებდა.

კიბის ძველი, მუხის ხეშეში საფეხურები, შიშველი ფეხის დაკარებისას ნოტიო, ცივი იყო, მაგრამ შუამდე რომ ჩავიდა და ტერფებითაც დააღვა — ეთბილა. თითქოს ხეს გუშინდელი მზის სიხვე უფრო ღრმად ჰქონდა შენახული, ამდღიანდელი სივრილე და ნამი კი იმდენად ზედაპირული იყო, საკმარისი გამოდგა ზედ მთელი ტერფით დინჯად დაყრდნობა, რომ ის სითბო სხეულში ამოსულიყო.

პალატის უკანა აივნის ყურეში ამოღრუტულ სოხანზე მოგერგვილი ძალი, მუყაოზე დაქცეულ შავ ლაქსაყვით რომ ჩანდა, უხმოდ წაჰოიძმართა, წელი კითხვის ნიშანივით აზნიქა, ტანი გაიფერთხა და ქვევით ჩამოსულ მამუკას მიუახლოვდა. ხელში დაჭერილ

ფეხსაცმელებზე დაყნოსა და რაღაცას უკვე ვაღაჩვეულმა, მაგრამ მაინც მომლოდინემ მალა ახედა.

— ბაბულა! — ხმა არც კი გამოუცია ბიჭს, ისე ტუჩების მოძრაობით თქვა ძაღლის სახელი, თვალების მოჭტვით და თავის დაქნევით ანიშნა: ხმა არ გაიღო.

ბაბულამ ცალი თათი დაადო შარგლის ტოტზე და კუდის ქიციის მოჰყვა.

პატრონმა წინდაჩაჩუროთული ფეხსაცმელები დაუყარა და ვაეცალა, ნაგახმა ისევ დაყნოსა იმას, რაც დაუტოვეს და იმ რაღაცის მომლოდინე, გაწილებული დარჩა.

მამუკამ სამზადის რაზა გახსნა და კარი ღრიჭოდ შეაღო, გვერდულად შევიდა, სოხანეზე ისევ თითის წვერებზე ვაიარა, თითქოს კრაქუნა იატაკზე გავლოს და იქაც ვინმეს სძინებოდეს.

ტყვივბასხმული, ათოკილი საშალი ბადე ქილუქთან კუთხეში ეკიდა ნაჭედ ლურსმანზე. მხარზე გადაიგდო და უკან კვლავ თითისწვერებზე გამოიღალა. ბადეც ძაღლის წინ დააგდო და ისევ ფეხაკრფით ვაცუნცულდა, პალატის შემქმარტლულ ფანჯარაში შეიხედა. მერე ორივე ხელით კარის სახელურს ჩააფრინდა, მალა ასწია, შეაღო, აქაც გვერდულად შეძერა და დილის ღრმა ძილში წასულ დედას თავზე დაადგა.

რუსუდანს ლურჯხოლებიანი ლეიბი დაეგო ფარდაგადაფარებულ ტახტზე უზეწროდ. ზევიდან უჯრედებიანი თავშალი, ღაზლი და ფარნას ბამბიანი ჯუბა წახებურა; ისე ხმაურით სუნთქავდა, მამუკას გაუკვირდა, მალა, მეორე სართულშიაც რატომ არ შესოდოდა და ამიტომაც ხომ არ იყო, რომ მამას ყოველთვის ცალკე ეძინა, დედას ცალკე, თავის ოთახში, წუხელი რომ უფროს შეიღს და რძალს დაუთმო?

შალში, ღაზლში და ძველ ჯუბაში გახვეული ეს ადამიანი, მძინარე დედის ვაუცინარი სახე, რომელიც სხვისთვის ისევე ჩვეულებრივი, ან უარესი, ანაც ისე შეუქმნეველი იყო, როგორც სხვა ასი და ათასი, მამუკასათვის იყო

ის, რასაც წელან, ლოგინში ადგომის წინ განიცდიდა, რასაც განიცდიდა მერე, კიბის საფეხურზე მოშველი ფეხით დგომისას, ზედაპირული სიცივის მიღმა რომ იგრძნო გუშინდელი ცხელი მზის სითბო; ახლაც, ამ ძველმანების ქვეშ დედის დიდი სიყვარული და ყველაფრის მომტყევებელი გული დაინახა.

ამ დილით პირველად დაენახა ვასაღვიძებლად ალბათ იმიტომაც, რომ სხვა დროს მისი მყუდროებისათვის ანგარიში არ გაუწევია და არასოდეს დედას ამისთვის არ უსაყვედურია. იქნებ ის არ იყო დაუზარელი ქალი და არც მთლად ზელჩაქნეული, ეს სხვაა, მაგრამ ამ ადამიანს გაჩნდა ბუნების მიერ მომადლებული ნიჭი დედობისა, რომელსაც განუსჯელად და უღრტვინველად მისდევდა მთელი ცხოვრების მანძილზე. უთუოდ მას თავისებურად ავიც და კარგად ესმოდა, მაგრამ არა შეიღების მიმართ. მას ალბათ ვატუტის საქციელშიც შეიძლება ეპოვა გამართლება, ან არ ეძებნა შეიღის დანაშაულში დანაშაული. მაგრამ თუ ამას მაინც მოახვედნენ თავზე, ხელაღებით სხვისთვის გადაებრალებია და არაფერი არ დაენახა ისეთი, რაც მის შობილს ჩირქს მოსცებდა; და თუ მთლად აშკარად დაანახებდნენ, დაინახავდა გულს გარეთ, როგორც სხვა ვიღაცის შეცდომას; და ეს ძველმანებში გახვეული ადამიანი, მას, როგორც საკუთარი ვაჟი შეიღის შეცდომას მაინც ვერ გაიზიარებდა. აქ იგი ვერასოდეს ვერ გაუგებდა ქმარს, ძალიან გულითაც რომ მოენდომებია, რაქი საერთოდ შინაგან ძახილს მინდობილი ადამიანი იყო და თუ მაინც შეეძლო რაიმე დაენახა, ასეთ დროს ესეც არ შეეძლო.

იქნებ დედა-შვილის სიყვარულში არის განსაკუთრებული რამ, რაც ამ გრძნობას განუმეორებელ ძალას აძლევს? იქნებ არავითარ კანონს და წესს რომ არ ემორჩილება, ამიტომ დგას ყველაზე და ყველაფერზე მალა, იქნებ იმ მიტყევას და შენდობას სჭირდება რაღაც არა ადამიანური, ღვთიუ-

რი, რაც დედებს გაჩნიათ, მხოლოდ თავიანთი შვილების მიმართ, სხვა დროს კი ისევე ჩვეულებრივ ადამიანებად რჩებიან, როგორც მამაკაცები და ის ქალები, ვისაც დედობა არ ნუტყდიათ.

უძველესი დედის ყოველად არამზადა და წყალწადებელი შვილი და, თუ არ დავგეთანხმოს, არ დაიჯერო, რომ გულში არ გეთანხმება. არ გეთანხმება, მაგრამ გულს ვარეთ, რაკი მან იგი სიყვითის, სათნოების და ბედნიერებისათვის შვა და მას ისეთს ზედავს, როგორიც შვექმნა. იგი დედა იყო და მას არ შეეძლო ცხრა თვე მუცლით ეთრია ავახაკი, არ შეეძლო ტანჯვით ეშვა ბოროტება, თეთრად ეთენებია ლამეები არამზადისათვის და რისთვისაც შვა და ვაზარდა, იმად ესახება, ჩვენ ვხედავთ ავს ავად და კარგს კარგად და ვამბობთ ვინ რაა, რაკი არაფერი გვენაღვლება, გარდა სიმაართლის თქმისა. მაგრამ ვისთვისაც ის ყველაფერზე მაღლა დგას და ყველაზე საუყუეთესო თვისებებს ატარებს?..

დედისათვის შვილია საზომი მშვენიერებისა და არა ის, რომ ვიღაცა სხვამ სხვაგვარად დააწესა. თუ ბავშვი ცელქია, დედისთვის ბავშვი ასეთი უნდა იყოს: ცოცხალი, მკვირცხლი, იქნებ გაუგონარიც; ამა ბაღლი ბრძენი ხომ არ იქნება და თვლებში ვერ მოგაჩერდება, გუნებაში რა გიდევს, იცოდეს. თუ შვილმა ვინმე წყნარ და მშვიდობიან ბავშვს წაუთქაქა, ეს იმიტომ, რომ გამოაფხიზლოს, ფეხზე ნუ სძინავს, გაიქც-გამოიქცეს, კუნთმაგარი და ჭანმრთელი გახდეს. თუ პირიქითაა, ბავშვი პირალია და დოყლაპია, დედისათვის ეს დიდი სიამოვნებაა, რომ მისი შვილი არავის არ ენებს, კეთილია და ჭამა-სმა უყვარს, ესე იგი ძლიერი და საღსალამათი გაიზრდება.

შვილის ზრდისას ხელახლა იზრდება დედის თვალსაზრისი ადამიანის ავკარგიანობის თაობაზე და როცა მას სხვაგვარად ელაპარაკებიან, ან სხვაგვარად უნდათ დააჯერონ — ისმენს, რაკი

თვითონ ერთია და სხვა ათასი, მაგრამ ისე ზედავს, როგორც მას შეუძლია დაინახოს.

— დედა! — ტუჩი ყურთან მიუტანა მამუქამ და რაც თავი ახსოვს, პირველად იმაზე ხმადაბლა უჩურჩულა, რაც მძინარეს ვაღვიძებდა. ან ეს ახლა იგრძნო, რაკი სხვა დროს მან დაუფიქრებლად იცოდა როგორ უნდა ეხმო, რომ დედა გამოაფხიზლებულიყო.

იგი ისევე დაძახებას აპირებდა, მაგრამ რუსულანს ამ ჩურჩულზეც გაეღვიძა; ის, რამაც აიძულა შვილი ჩვეულებრივზე მეტი სიფრთხილე გამოეჩინა, დედაშიც თავისთავად გაჩენილიყო.

— მამუქა ხარ? რა იყო, რატომ არ გძინავს, ვათენდა?..

— ჰო, თენდებო...

— შერე, სად გეჩქარება?

— მამას...

— რა მოხდა? არ გადარბო ახლა მამაშენი.

— არა, რა ვადარევს...

— მითხარი, სად მიდიხარ ამ დილა-ბნელზე... რად გინდოდა ის გოგო რომ ჩამოიყვანე... რატომ ჰქენი?

— ხომ მოგწერე.

— რომ მომწერე... მამაშენი?..

— ახლა რაღა დროს მავაზე ლაპარაკია.

— წადი, დაწეი... მთელი ღამის უძილო ხარ.

— დედა, სათევზაოდ მივდივარ.

— სად? რა დროს თევზაობაა...

— რა უღრობობაა.

— ფეხი არ გაადგა.

— ერთი წელიწადია არ ვაღამიდგამს ფეხი, რა მოგივიდა დედაჩემო!

— მამაშენს რა ეუთხარა!

— თეკლა...

— ბიჭო! ბიძაშენთან არ მიხვიდე ამ უთენია, ჰკუა არ დაქარგო!

— აინტერესებს, ქალაქში გაზრდილი გოგოა.

— ბიჭო-მეთქი!

— ჩუუ! — მამუქამ ტუჩზე მიიღო თითი და მაღლა აიხედა.

დაბნეული რუსუდანი საწოლზე წამოჯდა და ოდნავ უფრო ხმამაღლა ჩაილაპარაკა:

— რა ვუყო ახლა!..

VII.

ძალმა ღობემდე მიაცილა. ზურგზე ბადე მოგდებულმა ბიჭმა, ალაგებზე რომ გადალაჯა, გაწბილებულმა ბახულამ, მისთვის რომ ისევ არ ეცალათ, დაიწყებუტუნა, უკანა ფეხით ყურისძირი მოიქექა.

— იყავი სახლში, ფეხი არ მოიცივლო! — უკან მიუხედავად დატუქა მამუკამ და მიატოვა.

ნაგაზმა პატრონის ფეხდანადგამ, ნამგაცვენილ წაჭყეულ ბალახებს დახედა, ნელ-ნელა რომ წელში იმართებოდნენ, და უმისამართოდ დაიყეფა.

მამუკა სანამ ბოკონებზე აკოლიცებულ ოდამდე მიღწევდა, კოინდრის ცვარში კოჭებამდე გაიღუმმა და ლოგინის სითბო და სიხანტე ისეთ ხალისად ექცა, სახლამდე ადვილი აღარ რჩებოდა, თორემ ერთი სული ჰქონდა ერბინა, რაღაც გრძელი, უსასრულოდ გრძელი მინდორი გადაერბინა...

სახლის გვერდზე ბელოს ტალავერს თავი შეაფარა და გაიღურსა, მერე ყურდაცქვეტილი წაუტუნებულა, მაგრამ წიფლის ოდა მაღალ ბოკონებზე იდგა და ღია ფანჯარაში ვერ გადაიხედდა, ძლივს მოაგონდა ბადის მხრიდან ჩამოღებია. ხის ძირას დაავდო, მობრუნდა, სულ ერთ მტკაველზე ახტა, რაფაზე ხელებით დაეკიდა და ფეხი საძირკველზე ჩამოსდო; გულმა ისე დაუწყო ფართქალი, თითქოს ბიძამისის სახლის კედელზე კი არა, კლდეზე და შენგებული ციხის გოდოლზე დაკიდებული გარჩენილიყოს და ციხე-სიმაგრის ფარ-შუბოსანი მცველების შიში ჰქონოდა; როგორც კი ოთახში შეიჭყიტა, შიგნიდან, ასევე რაფას ცხვირ-მობჯენილი გოგოს ძილია და სიხარულისაგან გაოგნებულ დიდრონ თვალღებში ჩაიხედა.

— თუ... — წამოცდა ვაჟს, რტყა

ქალიშვილის გაბურღული თმები შებლზე შეეხო.

ოთახში ბნელოდა და გარედან ხევირიანად არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა. ვაჟმა უფრო მაღლა აიწია, რომ თეკლას თავსუემოთ გადაეხედა, მაგრამ ერთბაშად, ქალწულის ლოგინის და თვით თეკლას ყველასგან გამოარჩეული სუნი და სითბო შეისუნთქა, საძირკველზე სეველი ფეხსაცმელი დაუცდა და ისევ რაფაზე ხელებით დაეკიდა.

— მამ... — ახლა გოგოს წამოცდა და თავი ღია ფანჯარაში ისე შეშფოთებულმა გადმოკიდა, თითქოს სატრფო ცადაწვდილ ციხიდან გადაჩენილიყოს; როცა დაინახა, რომ კედელზე ჩაწვართულს მიწამდე ერთი მტკაველი მანძილი აშორებდა, ძილ-მღვიძარესავით გაეღიმა. ფანჯარაზე ჩაბლაუჭებულის გრილ ხელებს, თავისი თბილი, ფუნჩულა ხელები ჩაავლო, რომ ქვევით არ ჩაეარდნილიყო.

— თიკოს ძინავს? — უხმოდ, ტუჩების გამოკვეთილი მოძრაობით ჰკითხა კედელზე აღმა თავაპრობილმა ვაჟმა.

გოგონამ გვერდზე მიიხედა, სადაც ტახტზე ფეხშეჭყვევით მძინარე ეგულუბოდა და თავი ისევ ძილ-მღვიძარე ღიმილით დააქნია.

— სხეებსაც?

ქალიშვილმა ახლა მთელ ოთახში მოატარა მზერა და მხრები აიწურა, ვერ გაეგო ვინ სხეებზე ეკითხებოდნენ.

— ჰო, მანდ თქვენს მეტი არავინაა?

ქალიშვილმა გაბურღული შავი თმის ტერეთ დამძიმებული თავი გააქნია.

— კარგი! — თქვა ბიჭმა, ძლივს მოიფიქრა ძირს ჩახტომა და თავისთავზე გაეღიმა, რატომ ვეკიდე ამდენხანს კედელზე თუ იცო.

თეკლას კი ასეთ გამოხედვაზე და ღიმილზე კინაღამ ხმამაღალი სიცილი წასცდა: მეც რატომ გიჭერდი, ხომ არ იცო!

მამუკამ ბეოლის ძირას მიიბრინა და ათოკილი ბადე დაანახა.

„რააო?“ თავი გააქნია თეკლამ, გაოცებისაგან ტუჩები წამობურცა.

ვაჟმა თითქოს ბადე სჭეროდეს, მკლავები ისე ამომძრავა და მოიქნია, მერე ვითომ წყლიდან ამოქონდა, ხელეში ჰაერი აითოკა, ალტაცებულმა ქალიშვილმა თვალები ნეტარებით მოწყურა, აფორიქებულია თავით ანიშნა: მითხარი, ახლა რა ვქნათ.

„რა ჰქნა და ახლავე აღეჭი და წამოდიო“ — უხმოდ გაეპასუხა მამუკა.

თეკლამ ისევ საფერხულში მძინარეს მიხედა: „ეს არ გაიგებსო?“

ვაჟმა მხრები აიწურა, მაგრამ მაშინვე დაამშვიდა: „გაიგოს მერე, თიკოს ვინ ჰკითხავსო“.

„შენ არა, მაგრამ მე შერიდებ, არ შემძლიაო!“

„მაშინ მე გეტყვი უკეთესსო“ — ორივე ხელი ასწია: „ტანსაცმელი აგერ, ფანჯარაში მომეცი და მერე შენც გადმოდიო“ — და პასუხს არ დაელოდა, მაშინვე აცევდა: „ეს რა კარგი რამ მოვიფიქრეთ“.

თეკლა გაცვირვებული და გაცისკროვნებული დასცქეროდა, „ეს მართლაც კარგი რამ მოიფიქრე, მაგრამ ასე როგორ ავდგე და გადმოვფრინდეთ“.

— ჰო, ჰო! — ხმაყ კი მოიშველია, რომ ქალიშვილს შერყვობა არ დაეწყოს, ასეთი ბრწყინვალე მოფიქრება არ ჩაშლოდათ, პასუხს ისევ არ დაუცადა და მაშინვე მალლა აეტოტა, — კაბა, კაბა მომეცი!

უჩვეულო სიხმარ-სიცხადით გაცონებული თეკლა მთავრებულით დაიხარა და დიდ თეთრგვირილებიანი მწვანე კაბა კედელზე გადმოკიდა. მამუკამ გამოსტაცა, გულში ჩაიკრა და ახლა თავის ფეხებზე ანიშნა: ფეხსაცმელებიცო.

ქალიშვილის შავი თმით გაბურღული თავი ისევ მიიმალა და მალე თეთრი ფეხსაცმელებიც მოაწოდა.

„ახლა შენ, შენ გადმოდიო“ — მაგრამ ქალიშვილი რომ ამოიძარტა და

ფანჯარას მიეყრდნო, მიხედა, თეთრი პერანგის ამარა ყოფილა... ვარა და, ფანჯრიდან თავით კი ვერ გადმოტყუებოდა, არამედ შიშველი ფეხებით უნდა გადმოსულიყო და ვაჟს ხელში აეყვანა.

თეკლა მაშინვე ჩაიკეცა და რაღის მიღმა ცხვირიც კი დამალა, მხოლოდ დიდრონ თვალებს აელვებდა დარცხვენილი და შეცბუნებული.

„გადმოდი, რას უცდი, სანამ ჩემს მეტი არავინააო“ — თავი კინაღამ მოიკლა ბიჟმა, — ახლავე, ჩქარა ჰქენი, აბა როგორ იყო, ქალებს ციხე-ყოშევიდან რომ იტაცებდნენო“.

თეკლა კი უქქეროდა და არც სხვა რამეს მოფიქრებდას აბრებდა, ვერც შემოთავაზებულზე დათანხმებას.

„კარგიო, — უხმო ტაში დასცხო მამუკამ, — მივხედი, მომაგონდაო, — თან მოწონების ნიშნად ჯერ ცერი აფშვიკა, მერე ხელები ქუთუთოებზე დაიფარა — მე არ დაგინახავ, ისე მოგეშველებიო“, — და ისევ არ დაელოდა თანხმობას, კედელს თვალდახუჭული, მკლავებზეწვილილი აეკრა.

კარგა ხანს რომ არავინ ჩამოვიდა, თვალები არ გაუხელიო, ისე დაუწყო ძებნა, ალბათ ჩამოდის და მე ვერ ვხედავო. ამ დროს საცოდავ ბრმასავით ჰქონდა სახე მალლა მიქცეული და ისე მავედრებელი იყო, ისე მომლოდინე და მოუთმენელი, თითქოს ზეციდან ანგელოზის ჩამოფრენას ითხოვდა: მოდი, მიშველე და თვალები ამიხილეო: თეკლას ისევ არ მიუღია არავითარი გადაწყვეტილება, დაუდგურად გადმოსრიალდა ფანჯრიდან და, თითქოს თეთრი ამრეშუმის ფუთა გადმოგდოს, ხელებში ჩაუფარდა.

VIII.

თეკლამ ის იყო ფეხსაცმელში ფეხი წაპყო, რომ სახლის აივანზე ლუკამ ჯერ ხრინწიანად დაახველა, მერე ზედიზედ ხმამალლა ცხვირი დააცემინა, ბოლოს ჯღანების ჩლართუნით კიბისაკენ ნამძინარევი წამობორძიკა.

ელდანაცემი ქალიშვილი ვაჟს თვალბში შეაჩერდა, უკან-უკან დაწია და წელში მოიხარა, რომ იატაკის ქვეშ შემპერალიყო; მამუკა მკლავში ეცა და დაანახვა, ზოკონებზე შემდგარი, ირგვლივ შემოღუშენებული ოდის ქვეშ თუ ვინმე თავს დახრიდა და შეიხედავდა, მაშინვე შეამჩნევდა.

ბიჭმა ცალი ხელით ბადე ზურგზე მოიგდო, და გოგოს მკლავში ჩაფრენილმა ეზოს ბოლოსაკენ მოუსვია, მაგრამ დაბალი დაფნებისა და ხურმის იქით, ეზოს ბოლოსკენ მიმავალი ბილიკი ჩერმასთანაც გადიოდა, კბეზე ნახველის ფურთხებით ჩამოძვავალი ლუკაც ალბათ იქით წალასლანდებოდა. მამუკამ მარცხნივ — ქართისაკენ გაუხვია, ჩელტყვარს რგოლი ააძრო, გამოაღო და თეკლა შეუშვა, თვითონაც შეძვრა და ვითომ თვალს მიეფარნენ, მაგრამ წნელის კარი და ღობე იმდენად მჭიდრო არ იყო, რომ მის მიღმა თუ მოინდომებდნენ, ადამიანი ვერ გაეჩინათ. წელში წახრილნი ქართის ვიწრო შუკას გაუყვნენ.

ავტრიანობაზე, ამ ვიწრო შუკაში საქონელი იმდენად ატლახებდა ვზას, მუხლამდე ლაფი დგება და აქ კაცი-შვილის გავლა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ღობის ძირას, ყოველ ნახევზე ქვები გავლაგებინათ, რაზეც ახლა მამუკა ფეხს შეუცდომლად ადგამდა, მაგრამ თეკლას, ტროტუარზე ნაჩევი, ქუსლიანი ფეხსაცმელებით, ცვარში დასველებაც რომ მოესწრო, გავლა ძალიან გაუჭირდა და ღობის სარეზს მოპოტივებული წინ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევა.

ლუკა ეზოს მეორე მხარეს დაადგა ბილიკს და მამუკამ თეკლას ანიშნა, სარეზს ხელი უშვი და მოეფარე, ღობის ზევით არ გამოჩნდეთ. გოგონა მაშინვე დაიხარა, მაგრამ დასაყრდენი რომ გამოეცალა, ერთადერთ მორჩილა ქვზე დგომა ველარ შეძლო და ზემოდან წაბიძგულ, ნაკელ შეზედილ აყალოს ლაფში ცალი ფეხით წვივამდე ჩაეფლო. ლოგინიდან ახლადგამომძვრა-

ლი, ცივ ლაფში ჩაფლული გოგო ერთხანს სახტად დარჩა, ხელგმრწინა ჩაუუნტული ვაჟისაკენ გაიწევიდა, მაშინ კბუნებულს სიცილი აუტყდა.

— ამ სიცილზე, — მთლად დაბნეულმა მამუკამ ზურგზე მოგდებული ბადის თოკი კბილებით დაიჭირა, ხელები გაინთავისუფლა, ქალიშვილს მკლავებში ეცა და თავისკენ მიიზიდა. თეკლამ თითის სისქე ტალახით გალესილი ფეხი ამოგლიჯა, მაგრამ წინ რომ გადადგა, ისევ ჩამოუცდა და კვლავ ლაფში წაპყო. სამაგიეროდ მეორეს ზუსტად ადგამდა და სანამ შუკიდან არ გააღწიეს, ასე იარა, ცალით — ქვზე და ცალით — ტლაპოში. ეზოს გადაღმა საშვინდობოს რომ გააღწიეს და მინდორზე გავიდნენ, ბიქსაც სიცილი აუტყდა: იმდენად თეთრი ჩანდა ცალი ფეხი და ფეხსაცმელი, რამდენადაც შავი და ერთიანად ამოთხვრილი მეორე.

ვაჟმა გაიცინაო? თეკლას ისეთი ტყვარცალი აუტყდა, თვალეზიდან ცრემლები წაცვივდა: ბიჭმაც, იმ გაქცევის სურვილს, ბიძამისის ჭიშკრიდან სახლამდე რომ გაუჩნდა და მაშინ გზა ვერ უპოვა, ახლა მისცა გზა; ამ ხასხასა ისმა, გაშლილმა მინდორმა, საყვარელი ადამიანის სიცოცხლით და ცეცხლით ამოხეთქილმა ტრციალმა მას ფრთები შეასხა, ქალიშვილს ხელი დაავლო და მოუსვია. ზურგზე მოგდებულ ბადის ტყვიები ფერდებში სცემდა. ცვარით დატუნძლულ ბალახებში მუხლებამდე გაღუმებული შარვალი წვივებზე ეტყალაშუნებოდა და ადევნებულ, ატყვარცალეზულ გოგოსთან ერთად, რომელიც ვერაფერს ხედავდა და რომელსაც არც უნდოდა ამაზე უკეთესის დანახვა, მიზობდნენ, მიჭოდნენ, მიფრინავდნენ, თუ მიაცურებდათ მათ მარგალიტებსა და ბალახის მწვანე მღინარე...

დამრეც მინდორზე, ალაგ-ალაგ დაბალი ქაცვის ჯაგების მეტი არაფერი ჩანდა და ქვევით, როგორც კი შევაყვება იწყებოდა (ჯერ კიდევ მინდორის ბოლო შორს იყო), ამ ვრცელ, მწვანე

ხალიჩაზე ერთადერთი ბებერ პანტა მსხლის დაფულუროებული იმოღენა ხე იდგა, ორი კაცი მკლავებს ძლივს შემოაწვდნენ. მარჯვნივ და მარცხნივ მინდორი ტყესთან თავდებოდა, მაგრამ ამ სოფლის ვოგო-ბიჭები, ალბათ მამუკამდე ასი წლის წინათაც და ასლაც იმ ტყეს ვერც კი ამჩნევდნენ. თავშესაყარი, საჩრდილობელი, ვადასაწვიმი, სანიშნო, ცეცხლის დასანთები და, მგონი, სახლი და კარიც ეს ძველისძველი ველური მსხალი იყო. ეს ხე, ბებიობაბუასავით მზრუნველობდა, მფარველობდა და ზრდიდა მთელი სოფლის ამდენ შვილსა და შვილიშვილს; იმდენს დაცოცავდნენ ზედ, ამტყვევდნენ ტოტებს მშლატე ნაყოფისათვის, დამწიფებას რომ ეს ასი წლის ხე ერთხელაც არ მოსწრებია, თლიდნენ, ჩეხავდნენ და შიშბათ ამინდში მის ღრუში ყველა რომ ვერ თავსდებოდნენ, ისე ახლოს უნთებდნენ ცეცხლს, საცოდავს სულ შეტრუსული და შემეჭვარტლული ჰქონდა ხან ეს გვერდი, ხან ის, გააჩნია ქარი საიდან უბერავდა და რომელი მხრიდან აფარებდნენ თავს ამდენ ნაჯახირებსა და ნაწვალებს, ერთი სიტყვით, იმდენს აწვალებდნენ ამ ხეს, საძირკველი იყო, რისი სული ედგა, რომ ყოველ გაზაფხულზე ისევ გაიკვირებოდა და ისევ ამწვანდებოდა მთელი სოფლის დიდის და პატარას გულგასახარად.

აი, ახლა ამ ხისავე მორბოდა მამუკა და მოსდევდა მკლავში ჩაფრენილი თეკლა, რომელმაც ვერ იქნა და

ამ მიზეზად ატეხილი სიცილით გული ვერ იჭერა.

მორბოდნენ, თუ აღენს ხისი ნახტობ ტბივით მოჰქონდა ისინი ცერისა და ბალახის ზურმუხტ მდინარეს. მოყვებოდნენ მას და თითქოს მათი მოვალეობა იყო ერთმანეთს არ დაშორებოდნენ და არ გამოლოვდათ სიცილი. მოდიოდნენ და ნამით დაბინდულ ბალახებში ხასხასა მწვანე, გრძელ კვალს სტოვებდნენ. წაქცეული ბალახები იმარტებოდნენ, წელში სწორდებოდნენ და უკან ცოცხალი, მოძრავი ბილიკი რჩებოდა.

და როგორც ჩხრიალა ჩქერმა ერთმანეთზე გადაბმული, ორი სხმარტალა კალმახი წყალში გადმოწოლილ ტირიფის კუნძს გადაკიდოს, ისე მოაწყდა ხელიხელ გადასკენილი ვოგო-ბიჭი მსხლის გამოღრუებულ ტანს ერთი ამ მხრიდან, მეორე იმ მხრიდან და ზედ გარჩენენ... და რაკი ხელის გასაშვებად ერთმანეთს ვერ შეელოენ, მათ შორის კი ხის ტანი მოეჭვა, ვაჟს ბადე მხრიდან გადმოუვარდა, მეორე მკლავითაც მსხალს მოეხვია, იქედანაც მიწვდა ქალიშვილის თითებს, სიცილიც სუნთქვასავით თან ახლდათ, ორივე მხრიდან აეტმასნენ, ეს ასი წლის ბებერი, დაფულუროებული ხეც აიყოლიეს, იცინეს და აციინეს, იყისყისეს და არობროხეს, იტყვარცალეს და აბუხუნეს, სანამ განთიადი არ დაადგათ თავზე და ხეც და კაციც გონს არ მოიყვანა.

კლავდიკა კუთკთალი

ილია ლოჭინის ხევი

ცეკლიდან „ბანთეონი“

არის მსოფლიო დუმილის ჟამი,
როცა დღე ღამეს სევდით ეყრება,
დედამიწაზე არ ისმის ჩქამი
და ცას მერცხალი აღარ ესლება.

დამწუხრებულა მიწა ქართული,
ნისლი ფიქრივით მთას ეფინება,
ხევში ნიავის ისმის ფათური,
სტვენა, წნორების გასისინება.

ღამე ერთბაშად დაეშვა მთაში,
ვთქვი: ეგ სამხრეთის ბრალი თუ არი!
და მყის ვასაკამ დადრენილ ლაშით
ლოჭინის ხევში იწყო კრუალი.

არ დამძახოდა სამგორის როჭო,
შეცა ღვიოდა ვარსკვლავოსანი,
უცებ მოიჭრა მაისის ხოჭო
და დამეჯახა, ვით ჯაფშნოსანი.

ლოჭინის ხევში კვლავ მაგონდება
დიდი ილია კოცონთან მჯდარი,
მისი მეურმე გლეხის გოდება,
სახრჩობელა და ზღვა ხალხის ჯარი...

გახსოვთ, გულმართალ გლეხს არ სჯეროდა
ქალაქელთ ფანდი და სახრჩობელა.
ილია მაღალ ზნეს უმღეროდა,
ავის, ბოროტის დასაგმობელად.



ყველაზე ნათლად მან დაგვანახვა
 გლეხი, დღესაც რომ გვესალმუნება,
 ვინც კაცის ტანჯვა, ზურგტა, დალახვრა
 ვერ შეაგუა კაცის ბუნებას.

და რა მიუზღეს სამაგიერო:
 დადნის გვირგვინი, ვარდი და ია?
 ურის დიდებავ, შენ სახიერო,
 შუბლში მოგარტყეს მუხთალი ტყვია.

ის უკუღმართი გათავდა ხანა,
 ხალხს მიენიჭა თავისუფლება,
 სასრჩობელები აღარა დგანან
 და ქართლის ზეცაც არ იღრუბლება.

ვაჟს იბავი

მსურდა გამეგო ვაჟას იგავი,
 მე ჯერ ჭაბუკი როცა ვიყავი,
 მსურდა გამეგო, თუ რისთვის ყრია
 მგოსნის საფლავზე დეკა და ღვია!

ის ბუბუნებდა ნაიალალარ
 ხარივით მთაში უტეხი, კერპი.
 შმაგი ულაცი უჭამდა ლაგამს
 და აგორებდა კლდის ლოდებს ტერფით.

დუმს ცისფერ ნისლით მთა შეფუთვნილი,
 ფით საიდუმლო რამ ამანათი.
 ვიცი ვერ გაუხსნით იმ განძს მანამდი,
 სანამ არ მოვა დრო განკუთვნილი.

დრო კი უღმობლად მიფრინავს, გარბის,
 თვალს ეფინება ჭალარა წარბი
 და კვლავ გრძელდება განძთასაფარის
 გამოუცნობი იგივე ზღაპარი.

ვაჟამ მთის ფიქრად მონათლა ნისლი,
 სურდა გავეგო იგავი მისი.
 თუმცა იცოდა, მთის ტურფა იას
 ბოლოს შეჭამდა სამარის ჭია.

მაინც უმღერა ჰიმნი ცხოვრებას,
 თან მიიჩნია ქართლი ხატადა
 და ჩვენც მარადვამს გვემახსოვრება
 იმ ხატს როგორი ფუნჯით ხატავდა.



სურათი მკვლელები

ქ ვ ა რ ი

უფალმა უწყის —
ფანჯრებს იქით ყვავილობს ნუშა,
თუ ცვივა მტკნარი ფოთლები ჭადრის,
როდესაც დარდი გროვდება სულში,
როგორც სადგურის მინებზე ჭვარტლი, —

დუმს ცისქვეშეთი,
როგორც ბაღი, ბინდით ძლეული,
აღარ გიზიდავს, რა ხდება გარეთ,
ანდა რომელი ათასწლეული
აწვება სულის ჩაარაზულ კარებს.

აღარ გიზიდავს.
ფანჯარასთან დგახარ და გიკვირს:
ამდენი ჭვარტლი საიდან მოდის —
ჩაშაფებული მინების იქით
არ ილანდება არცერთი ტოტი.

არ ილანდება. და მხოლოდ ფიქრი
ისევ ანთია,
ისევ ცდილობს, რომ იკიაფოს —
თითქოს შუკაში მანქანა მიქრის
და ცალი თვალით წყვდიადს მიაპობს...

მე მაშინ ჩავწვდი ცხოვრების მარტივ
ჭეშმარიტებას, ბოლოს და ბოლოს,
როდესაც მივხვდი, — სევდა და დარდი
ფანჯრის მინებზე
დაგროვილი ჭვარტლია მხოლოდ.

მივხვდი და უმალ —
ამეხილა ორივე თვალი,
სამყაროც იქცა მშობლიურ სახლად,
და დილის ნისლში მცურავი ჯვარი,
როგორც იმედი, გაბზრწყინდა მადლა.

ახლა გეგულისხმებ სხვა სინათლეს

ახლა, როდესაც სხვა სინათლეა —
თვალწინ საყვარლად ბრწყინავს
მთა-ბარიც,

არ გვეკადრება თავის მართლებას,
ცოდვის წინაშეც ვართ თანაბარი...

ვის რა გრძნობები ალაპარაკებს,
მე თუ არ ვიცი, თქვენ გამარკვევით;

ვინა თქვა, თითქოს პასუხს არ აგებს
შვილი შერცხვენილ მამის მაგიერ!

მამაც ძვირფასო! შენი სახელი,
როგორც წინაპრის ფარ-მუხარადი,
მრავალ ბრძოლაში შეულახველი,
ჩემი სახელიც იყო მარადის.

შენი უღირსი წაბორძიკებაც,
სულ უმნიშვნელო, თუნდაც პატარა,
ვიცი, უსაზღვროდ მძიმე იქნება —
გამიჭირდება იმ დღის ატანა.

მაინც ოდესმე თუ მოვესწარი —
შენი სახელი შეილახება,
ვერ გავექცევი, მამავ, ვერსაით —
ზურგზე ამკიდებ ცოდვის ნახევარს.

თუ არ დამაგდე თოელში შილიწად
და გული იმედს არ გაეყარა, —
გამოვისყიდი... ღვიძლი შვილი ვარ —
გამოვადგები მშობელ ქვეყანას.

მე სხვა სახელი არც მინატრია,
ასეც მჯეროდა, ასეც ვიცოდი —
ახლა მამულში ის სინათლეა,
სულს რომ წყუროდა, — ის ჰორიზონტი!

დე, ძველი დარდი გაქრეს ჭირსლივით,
გვახსოვდეს, იქნოს ერთი მოაზარის
ძარღვებში ერთი სისხლი გვეყივის
ჭირსა და ლხინშიც ვართ თანაზარი.

მე რასაც ვფიქრობ, იმას ვქადაგებ,
ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს საომარი,
რომ დავგრეთ მხოლოდ იმ ნიადაგზე,
სადაც იხარებს — ნერგი მომავლის;

რომ კვლავ აგვეწიოს იმ შიდავრმა სისხლმა,
გვეამაყება რომლის სმაურიც;
მან ეს სინათლე მრავალჯერ იხსნა,
გამოატარა ცეცხლში მამული.

უბერებელი და მეწამული,
ის წმინდა სისხლი ყველგან გვიშველის,
სანამ იქნება გაუთიშველი
ერთმანეთისგან: მამა — მამული!





ქველი მიზანა

ნიკოლოზ და ქრისტინე აღანიებს.
პირველი — შვილი — დიდ სამამულო
ომში დაიღუპა, მეორე — დედა —
შვილზე ღარჯს შეეწირა.

ლოდინით სავსე,
წუხილით სავსე
ხმა სახსოვარი მე ისევ მესმა,
შუა ქვალონის ხორბლისფერ გზაზე
ისევ გაისმის სიმების კენესა.

დაღლილი ფრთებით ქარს შორს მიჰქონდა
კოლხეთზე თქმული სევდის ზღაპარი
და წყვილი ცრემლი ბრწყინავდა, კრთოდა,
როგორც წყვდიადში წყვილი ლამპარი.

დღეს ნასახლართან,
 იქ, შქერში,
 ახლოს

მზე მუხლმოყრილი ჩუმად ქვითინებს,
დედაო მზეო, იქნებ შენ გახსოვს
ჭიშკართან მდგარი სუსტი ქრისტინე?!

დღეს სხვა ღამეთა სხვაა მთეუარი,
ვისთვის იავდრა,
ვისთვის იდარა,
ვით მოკვეთილი ხელის მტევანი,
კედელს ქვიდია ძველი გიტარა.

ლოდინით სავსე,
წუხილით სავსე
ხმა სახსოვარი მე ისევ მესმის,
ვინ დამისჯულა სიმღერა ასე,
ყოველი სიმი ასე რად კენესის?!

მ ზ ე ნ ი

თეკლათიდან შეენაბადა მოდის მწყემსი,
და ჩქერალში აჩეხილი გდია მთვარე,
სალამურის სევდიანი სტვენა მესმის
და ცრემლები უცაბედად წყდება თვალებს.

ჩამივლის და ჩამორეკავს მწუხრის ზარებს
შუკა-შუკა მოტანტალე ტალიკონი,
თბილი იყო მზერა შენი, ვითარც მზვარე
და ქათქათა მკერდი შენი, ვითარც ფონი.

როგორც ქვრივი, მდინარისპირ ძეწნა ტირის,
სიო ნელა აქანავებს ნისლის ფარდებს
და, როგორც ბრმა წმინდა ფრესკებს, მე სიფრთხილით
ვსინჯავ კოლხურ ლამაზ ზეცის შორ ლავვარდებს.

და სატევარს გულში ორპირ გამიტარებს
მოგონება ჩემთა დღეთა სიყმაწვილის,
ნაკადულში აჩეხილი გდია მთვარე,
ვით წიქარა წარმართ კერპზე შენაწირი.

სამოსელი პირველი

რომანი

ასე დაიწყო ლამაზ-ქალაქში ზამთრის თამაშები. რაღა თქმა უნდა, მხოლოდ გაზაფხულამდე გაგრძელდებოდა ეს, რადგან გაზაფხულს თავისი თამაშები ჰქონდა, ურიალით სავსე. შუადღისას თუ გამოჩნდებოდნენ გაყინულ აუზთან ქალაქელები, თავაზიანად მოიკითხავდნენ ერთერთს, ყლაპავდნენ ჰაერს, ზამთრისას, ჯანმრთელს, დასეირნობდნენ, ანტონიოს სახელოსნოში კი მრავალჯერ გიზგიზებდა ცეცხლი, დიდ ქვაბებში ტანსაცმელს ღებავდა უწყინარი ოსტატი, ვინსენტეს ცალისძმა, თავად ვინსენტე კი ხან ალერსით ეპყრობოდა მწვენიერ ჭელიას, ხანაც კი ძლიერ უწამაწურად — ყოველივე იმაზე იყო დამოკიდებული, საყულო შებენული ჰქონდა თუ არა, ხშირად კი არტუროს დუქანში, ძმაბიკებთან ქეიფობდა და იშათთან ერთად რამდენჯერმე იყო, თვით სერვილიოც, დელიოს ერთადერთი ვაჟი, ვისაც კამორელებთან რაღაც საქმე ჰქონდა და მხოლოდ ზამთრობით ბრუნდებოდა ლამაზ-ქალაქში. სუფრასთან ხშირად იჭდა სულ გამოცვლილი ფერმაკრთალი უცხო, დომენიკო, ფულიანი, და ახლა გაცილებით ხშირად იღიმებო-

და, მხიარულობდა კიდევ, მაგრამ შემთვრალეებს ქალაქის განაპირას, გლახა ქალებთან არ მიჰყვებოდა — სოფლური რიდი... დარბაისლურად, როგორც შეზღვეროდათ, დასეირნობდნენ თეთრ, მიმოხვეულ ქუჩებში ორი ღრმად პატივცემული მოქალაქე — ჯულიო და დუილიო, ყველას თავაზიანად უკრავდნენ თავს, ლამაზ-ქალაქში ვიკად წოდებული ალექსანდროს გარდა, რომელიც დელიოს დანახვისთანავე აუცილებლად შესძახებდა: „ოო, დელიოს სალამი, ხელში — კალამი: ძვირფასი აზრები შთამომავლობას რომ არ დაეკარგოს, და შემცბარ დელიოს დინჯად ამვიდებდა დარბაისელი სენიორ ჯულიო — „ხომ იცი, არანორმალურია...“ კობტა, ცქრილა კონჩეტინა კი, შეყვარებული, დადარდიანებული იჭდა ფანჯარასთან, ხანდახან ვითომ გაციინებდა, ვაცილებით კი უადგილოდ ტირიდა — როგორ არ მიუდგნენ, მაგრამ ეკრაფრით ვაიგეს, თუ ვინ იყო სახელგანთქმული კარასკოების ერთადერთი გასათხოვარი ნაზი ასულის ეგრეთწოდებული გულის ქაბუცი. ყველას თავისი საქმე ჰქონდა, სპილენძის თასებს უკაყუნებდა მიქლე, ლაპარაკისას თბილ წინდებს ქოვდნენ ერთიმეორესთან სტუმრად მისული ქალები; ამზადებდნენ ბრჭყვიალა

ფოლაქებს, ბალთებს, ტყავის ფეხსაცმელს ჰკერავდნენ და მაგიდებს, სკამებს, სკივრებს ყურადღებით აჭედებდნენ ლურსმანს, თავისთვის მუშაობდნენ ლამაზ-ქალაქელი თერძები, დურგლები და მეწაღეები, ფართო, უზარმაზარ კუდებზე აბრეშუმისა და ატლასის ფერად ყვავილებს ამაგრებდნენ ხელმარჯვე ქალები, ღიმილით ამზადებდა თავის კომწონა სათამაშოებს გვიად წოდებული ოსტატოც—აღექსანდრო, ხალიჩებს ქსოვდნენ, მინის ჭურჭელს ბერავდნენ, თინის ფერადი ტოქები ამოკაყვადათ... და ყველაფერი მიჰქონდათ ახლო სოფლებიდან კვირაობით ჩამოსულ გლეზებს, ლამაზ-ქალაქში კომწონა ნივთების სანაცვლოდ საქმელ-სასმელი რომ ჩამოჰქონდათ.

არ მუშაობდნენ მხოლოდ შეძლებული ოჯახის შვილები, ასეთები კი ბევრნი არ იყვნენ — ცილიო, ედმონდო, ტულიო, ვინსენტე, სამიოდ სხვა კიდევ... რიგიან გასამრჯელოს იღებდა ჯუზეპეც, რომელსაც ახირებული დიასახლისების თხოვნით მძიმე ავეჯი წამდაუქუმ ერთი ოთახიდან მეორეში გაჰქონდა. იყო ლატაკი უსაქმურიც — კუმეო, მაგალიათად, რომელიც წვეულებებზე დაუბატოებელი სტუმრობით ირჩენდა თავს, იმ ნეტარ დღეს ხომ ერთი კვირის საქმელ-სანოვაგით ამოიყორავდა მუცელს, მეორე დღეს კი სუფრიდან შეუმჩნევლად წამოღებული ქათმის ბარკალი, ანუ როგორც თვითონ მოფერებით ეძახდა — „ქათმის წიხლი,“ ანდა ხბოს ცივი ხორცი დაანაყრებდა. უსუფთაოსა და უზრდელს, მთელი ქალაქი ერიდებოდა, ხანდახან პანდურს თუ ამოარტყამდნენ მისი ბრიყველი ხემრობით გულმოსული ამპარტავანი ბიჭები. მაგრამ კუმეოს ცოტაოდენი ფული ყოველთვის ეგულებოდა ჯიბეში — ლამაზ-ქალაქელთა მრჩეველი, დულიო ტებილი საუბრით ხშირად შეარბევდა ხოლმე წახიზებულ ცოლ-ქმარს, ან და-ძმას, დედაშვილს და რადგან ქედმაღალი დულიო ხელიდან ხელში გასამრჯელოს არაფრის დიდებით არ აიღებდა, კუმეოს გაატანდ-

ნენ ხოლმე ჰონთარის მადლიერი ლამაზ-ქალაქელები და ამმორებულ მოციქულს სულგრძელი დულიო რამდენიმე გროშს ამაყად მიუთვლიდა ხოლმე. საღამოობით უფრო მკაფიოდ მოისმოდა იმ უკბილო კაცის დახშული ფანჯრიდან საუცხოო დაკვრა, ყოველთვის იდგამის ფანჯარასთან რამდენიმე გრძობებამოილი ლამაზ-ქალაქელი, ოღონდ ვერ არჩევდნენ, რომელი უკრავდა, მამა თუ შვილი, იმ უკბილო კაცს თერმე ქალოშვილიც ჰყავდა, სახელად ანა-მარია, და ისიც მამაზე არანაკლებ უკრავდა თერმე. და თუ ცისფერი ფანჯარა დუმდა, ყველამ იცოდა, რომ სამსიმიან, მარტივ საკრავს სოფლელებისათვის მისაყიდად ამზადებდა უკბილო კაცი — იმასაც სჭირდებოდა საარსებო ფული — ლამაზ-ქალაქში ვის ეყოფოდა მხოლოდ მუსიკა... იმ რამდენიმე ყმაწვილის გარდა, მაგრამ ისინი სულ ვერ უკრავდნენ.

საღამოობით ტერეზას საკრემლს ასცქეროდა დომენიკო, მაგრამ დათქმული ფარანი ჯერ არ ბეჭუტავდა და უქმად დაყიალობდა ლამაზ-ქალაქში, მიმოდირდნენ გვიანი მგზავრები, ბინდებოდა და აკერ, შემცივნებული ლეპოლდინოც მორიდებით დიყვირებდა — „სა-ალამოს რვე საათია და ყველაფერი რიგზეა...“ ქალის სახლთან დაწვრილებდა დომენიკო... და ის ფარანი, დათქმული შუქი... მაღალი კიბე და მაშინვე ზამთრის გრძელი, ვრცელი ღამის თამაშები... საღამოობით დიდ, თბილი წყლით სავსე კასრში იჭდა ხოლმე ქალი, ტერეზა, დასაძნული მხრები უზბინავდა, ახლადდაბანილი, ჯერ კიდევ სველი თმა მაღლა ჰქონდა ხან ნაცრისფერი, ხან ვარდისფერი და ხანაც — ლურჯი თავსაფრით აკრული, მკლავებს იზანდა, ეშმაკური ღიმილით შესცქეროდა სიცივიდან შემოსულ, შიშველი ქალის დანახვაზე დაბნულ ყმაწვილს და რომ გაიღიმებდა, ცალ ლოყაზე უჩნდებოდა პაწია ფოსო — „მა, როგორა ხარ, როგორ, დომენიკო?“ „კარგად“. „ჰეე, — იცინოდა ქა-

ლი და იმ თავის უელზე თითებს ისეამ-
და, — მამ, კარგად, არა?" „კარგად, —
ამბობდა. დომენიკო და უილაჯოდ ილი-
მებოდა, — გაჩერდი, თორე...“ „გაწყენ-
ნინეთ რამე, დომენიკო?“ — შეიცხა-
დებდა ტერეზა, თვალთმაქცი. „არა“. „
მართლა გიყვარვარ?“ მაშინვე თავს
მორჩილად დაიქნევდა დომენიკო —
მართლა უყვარდა. „საბრალო ბიჭი, —
თითქოს გული აუჩუყდებოდა ტერეზას,
ვინ გაუგებდა, ხუმრობდა თუ არა, მით
უმეტეს ახლა, კასრში შიშვლად
მჯდარს, სახეგასაძნულს, ცალთვალ-
მოჭუტული რომ შესცქეროდა — რას
გაუგებდი, — საბრალო ბიჭი, არავინ
ჰყავდა... დღეს ისადილეთ? მიირთვიო
რამე?“ „კი...“ „რა, დოუმენიკო?“ —
უცნაურად წარმოსთქვამდა სახელს.
„სულერთი არაა...“ „არა მპასუხობ?“
— გამკაცრდებოდა ქალი. „წენიანი და
ტოლმა.“ „ოო, ეგ კარგია, კარგია, ყო-
ჩად, — არა, ნამდვილად ემსახარავე-
ბოდა, — მარილის მოყრა ხომ არ და-
გავიწყდა?“ „არა.“ „და იმისი კიდევ...
ეე... — მაღლა იყურებოდა, საფიჭრე-
ბული ისეამდა ხელისგულს მხარზე, —
და ეე... მწვანილი ხომ მიატანა, მწვა-
ნილი, სასარგებლოა ისიც.“ „კარგი რა,
მოდინ...“ „რა დროს მოსვლაა, პირველ-
ში ვზივარ...“ სამი დღი კასრი გვერ-
დიგვერდ იდგა, მეორე კასრში საპირი
უნდა მოეცილებინა, მესამეს — გასა-
ხვანჩალებელს ეძახდა. „ეგება მოსას-
ხამი სკამზე გადაგეფინა, ა, ოღონდ
ფრთხილად, თორე, ასე, აჰ, რა ქამარი
გაქვს, ნამდვილი გმირი ხარ... — და
დროს არ ჰკარგავდა, გამალებული
იხელდა გვერდებს, მაგრამ საპირი
წყალში არაფერი ჩანდა, — არ შემომ-
ხედო!.. იცი, რა გითხრა?“ „რა...“ „რა
და... ეეე... რა და...“ „რა...“ — სული
ელეოდა დომენიკოს. „რა და მიტრიალ-
დი, მეორე კასრში უნდა გადავიდე.“
„გადადი, მერე რა...“ „არ მინდა რომ
შეგხედო...“ „ა, რატომ?“ „იმიტომ.
შენ ახლა კიდევ მეტყვი — რატომ, მე
ისევ გეტყვი — იმიტომ, მერე შენ მე-
ტყვი — რატომ იმიტომ, და ბოლოს მე

მინც გეტყვი იმიტომ და რატომ, მე-
ტრიალდი რაა, დომენიკო...“ „არა...“
„კარგი რა, შენ ხომ დამკვირვებ...“
„მე რომ ვთხოვ... — იატაკზე მოავლებ-
და თვალს დაუცებ ისე შეშინებული
შეჰკივლებდა, — ვაიმე, თავვი!“ „სა-
დაა“, — შეკრთებოდა დომენიკოც.
„აიი, კუთხეში... აიი, იქ, შენც ხომ არ
გეშინია, კაცებს თავვისა არ ეშინიათ,
აი, ეს დაარტყი, აიი, ტაფა.“ და ტა-
ფით ხელში, დომენიკო ბეული კუთ-
ხისკენ დაძახებული გასწევდა, მაგრამ
შუაგზაზე ქალის კისკისი ესმოდა, მოი-
ხედავდა — მეორე კასრში იჯდა ტე-
რეზა, — ჰეე, სულელი... ხომ მოგა-
ტყუე?“ „კარგი, კარგი, — ბრაზდე-
ბოდა დომენიკო, — ახლა მოვალ და...“
„არ მომეკარო, — შემფითდებოდა
ტერეზა, — არ მომეკარომ, თორემ ვი-
კივლებ! — მაშინვე ღრმად შეისუნთ-
ქავდა ჰაერს, თვალებს გამწარებული
დახუჭავდა და პირს ისე დააღებდა, შე-
შინებული დომენიკო უკან იხედდა, —
კარგი, ჰო, კარგი...“ „აიი, ასე... — გა-
მარჯვებული დომენიკო ათვალეირებდა
ქალი, — კარგი ბიჭი ხარ, — თვალთ-
მაქცი იყო, — ძალიან კარგი, — და
მოიწყენდა, — მაგრამ თუ იცი, დღეს
რა საწყენი რაღაც შემემთხვა?“ „რა...“
„რა და დღეს ვიღაც კაცი ამეკიდა, შინ
მოვდიოდი...“ „მერე, რა გითხრა...“
„პირდაპირ თმაში ჩამავლო ხელი.“
„რა... თმაში?“ „ჰო, და მთელი დღე
ჩემს სახლთან იდგა... მერე ამომძახა,
ვივასმებ და ისევ მოვლო, გარეწა-
რი! — ძალიან არ მენადვლებოდა იმის
ვანშამი? ისევ მოვლო... ის წაივდა და
შენც ამოხვედი. ვაითუ ეგება... კამორე-
ლია, აჰ, კიდევ კარგი, ერთმანეთს რომ
არ შეხვდით, — შეშინებული ამბობდა
ქალი, — ალბათ ისევ დგას, არ გაი-
ხედო...“ „როგორ თუ არ...“ „არა რა,
კარგი, ჰეე რომ გვესროლოს?“ გაბრა-
ხებული დომენიკო (ლამაზ-ქალაქში
უკვე რჩეული ძმა-ბიჭები ჰყავდა) ფან-
ჯარასთან მიდიოდა და განრისხებული
იყურებოდა სიბნელეში, ქალბ. კი ეძახ-
და: „დოუმენიკოუუ! ნახე, სადა ვარ?“

ჭყუმალობდა, მესამე კასრში არხეინად იქდა. „მომატყუე, არა?“ — უხაროდა დომენიკოს. „დიდი ძნელი მოსატყუებელიც შენა მყავხარ...“ — ზეიმობდა ქალი. და მერე უცებ ისეთი წრფელი აღერისთ, ისეთი სიყვარულით მიაჩერდებოდა — მაგიტომ მიყვარხარ“. ვინ იცის, რა დაეჭვებოდა... „და მხოლოდ... მაგიტომ, არა?“ — „არა, არა, კარგი ბიჭიც ხარ... მაღალი, თხელი... რაღაც ნაღველით შებოჭილი... დაბნეულიც ხარ... ბოთე კი არა, ისე, უბრალოდ, ცოტათი დაბნეული... გაკვირვებულებიც... და მოწყენილი... რაღაცა გელის... კარგი ბიჭი ხარ...“ — გულით ამბობდა, ისეთი სევდით შესცქეროდა, ისე დარდიანად ლაპარაკობდა, და მყისვე შეიცვლებოდა, გაღიმებული, თვალმოჭოტული უმზერდა, — ახლა კი, რადგან მეოთხე კასრი საუბედროდ აღარ გვაქვს, მოიხურე ეგ შენი სულელური მოსახსამი და წადი.“

„რატომ...“ — გული ეკუმშებოდა დომენიკოს, ყველაფერი იყო ამ ქალისაგან მოსალოდნელი. „რა, წასვლა არ გინდა?“ „არა... არა, რად მინდა!“ „მაშინ, მაშინ... — და შეუწყრებოდა, — გაიხადე ეგ შენი მართლა სულელური ლურჯი სამოსი და ლოგინი გამითბე“.

„შენც ნუ შემომხედავ, — ეუბნებოდა გახარებული დომენიკო და აღარ იცოდა, სად დაედო ფართო ქამარი. „ეგ ჩემი საქმეა, რას ატრიალებ...“ დომენიკო კი ბეჭებზე საბანს მოიხურავდა, ისე იხილდა, „გამკვირვალეა, — იცინოდა ტერეზა. დომენიკო კი ცივ ლოგინში ძაგძაგებდა. მერე თბებოდა და ლოგინსაც ათბობდა შორით მოსული, გამოუცდელი მგზავრი. ტერეზა კი წელამდე ამოიმართებოდა კასრიდან, დიდი პირსახოცით საჩქაროდ იშრალქებდა ზედატანს და, მსუბუქი ბაგაბუგით გამოიბოდა საწოლისკენ. სველი ფეხებიდან წვეთები სცვიოდა, წვიმასავით გამოიბოდა ქალი, ტერეზა და ნახევრად სველი, აყანკალებული, გამთბარ ლოგინში შემოუხტებოდა, ჩახუტებულნი, გასუსულნი იწვნენ და დომენიკო

გრძნობდა, როგორ თბებოდა სხვისი სხეული, დიდი იისფერი საბანს გადაეხურათ თავზე და ერთმანეთის სუნთქვა ათბობდათ, და იმ ნელინელ მოძალეზულ სითბოში იფურჩქნებოდა თითქოს ტერეზა...

ზამთრის თამაშები...

თამაზე უსვამდა ნაზ, მოქნილ თითებს, ეფერებოდა... „დედა არა გყავს? საბრალო ბიჭი... სამი წლის იყავ?... და სულ არ გახსოვს?“ — ნაუტებათევად, წარბზე ჰკოცნიდა. და დომენიკოც, პირთამდე მადლიერი, ჯერ კიდევ გრილ თამში ჩარგავდა სახეს და რა უცნაური იყო ამ შუა ზამთარში მოთიბული ბალახის შორეული სუნი... როგორ უყვარდა!

და სიბრძნის წყარო, ლავიწის ზევით...

ამ ღროს კი მამიდა არიადნა ბებრულ მუხლებზე თავდადებულ ტულის ძალიან ცელქად ეკითხებოდა: — დაა, აამ ფანტის პაატრონმა... რა ქნას?

ზამთრის თამაშები...

მაგრამ ვერაფრით დაადგინეს, თუ ვინ იყო კონჩეტინას „გულის ქაბუკი.“ ვინ არ ახსენეს, რომელი ლამაზ-ქალაქელი გინდა, არ ჩამოეთვალათ, სენიორ ჟულიოსაც კი მიადგინეს, დღიოლისაც, იმისი ვაჟიც — სერვილიო შიშით მოიხსენიეს — იმას ხომ კამორელებთან ჰქონდა საქმე — მაგრამ არა, არა, ვერავითარი შედეგი... „ნუთუ ლამაზ-ქალაქელია?“ — გაკვირვებულნი ეკითხებოდნენ. „კი, კი,“ — ტიროდა კონჩეტინა. „მერედა, გვითხარი, გვითხარი, შევილო...“ „და უარი რომ მიიხრას, ხომ გავგიყდები... თავს არ ვეცოცხლებ!“ „წყალი მოიტანეთ... არიქათ, წყალი...“ საქმე იქამდეც კი მივიდა, ლამის დარავი, ლეპოლდინო ახსენეს, მაგრამ არა, ვაგიყდით, არა, ედმონდო? არა, ლენჩია, ლენჩი, ჟუზეპე? არა, კამბენი, დინო? აჰ, დაბალია, ტულიო? არა, ის არა, ცილიო? რას ამბობთ, სილვიასია, ანტონიო? არა, ბოთეა, ვინსენტე? რას ამბობთ

კოლმეილიანია, არ გამაგივო, მამ, ალექსანდრო? არა, გიყია, და ანტონიო? არა, ეგ ხომ თქვით... ანტონიო კი არა, მთელი ქალაქის მამაკაცები ჩვიდ-მეტ-ჩვიდმეტჯერ ახსენეს, და ბოლოს თავში შემოირტყეს ხელი — ნუ-თუ უგო, ახალგაზრდა გიყი? აჰ, არა, არა, — და, როგორც იქნა, გამოაცხადა: „მე მიყვარს კუმეო, რადგან იგი უშუალოა.“

აქ კი მამიდა არიანდამ ვეღარც თქვა: „წყალი“ — გულაღმა გადაეარდა და თავის სიცოცხლეში დღისით პირველად შეუწუხდა გული.

დღილიომ კი გადასწყვიტა, კარგი ქალის მისეული პორტრეტი შეექმნა, ზოგი რამ — თავად მოიგონა, ზოგიც — სხვისგან გაიგო და დაიმახსოვრა, „კარგი ქალი? — ამბობდა დღილიო, — სადაფივით უნდა იყოს: მთვარეზე — ბზინავდეს, მზეზე — ბრწყინავდეს...“ „სადაფივით კი არა, საარაფივით, — უსწორებდა ალექსანდრო, — ზამთარში — თბილი, ზაფხულში გრილი...“ „შესანიშნავი დისახლისი იყო, — ექსპრომტად ამბობდა დღილიო, — ფქვილიდან, ნახერხიდან და ცოტაოდენი ნიგეზიდან შეეძლო დაემზადებინა... ეე... ერბო-კერცხი. „ოჰ, უნდა დაგსვას კაცმა და გავაძლოს მავით, — ბრახდებოდა ალექსანდრო, — იქნებ ეგ კერძიც, შენი თავიან-ფებებიანა ნათელი პირრვნებისა არ იყოს, აღამიანთა შემდგომი დონის შეუწელებელი ზრდის ამალღება?“ „მე არაფერს გეტყვი, მაგრამ იცოდე, კუმეოს ფეხი ამ საუკეთესო შარავანდელით მოსილ ოჯახში და ჩემი სიკვდილი ერთი იქნება. კიდევ კარგი, რომ ჯერ არ გადაშენებულა ამ ქვეყნად ბასრი სამართებელი... არაფერს ვამბობ, მაგრამ იცოდე, ასე იქნება.“ „მამიდავ, მამიდავ — და მე რომ მიყვარს იგი?“ „რატომ, რისთვის... ნამდვილად გავგაფლდები, რატომ!“ „მე მიყვარს იგი, რადგან იგი — უშუალოა. „ფიზიკურ ნაკლზე მიუთითეთ, — არიგებდა დღილიო დამართხლებულ მამიდა არიანდას, — კონ-

ჩეტინას ბედის უზრუნველი ყოფა მოითხოვს ჩვენს ერთობლივ ძველდინებას, და აი, გირჩევთ — მფუთფუთო გავ მოუტდეღ ქალიშვილს მისი გულის ჰაბუკის რომელიმე ფიზიკურ ნაკლზე, რაც ზემოდდასახელებულ ქაბუკს მრავლად ვაჩინია“ — „ლა-ამის პირველი საათია და...“ — ყვიროდა ლეპოლდინო. ხველა ახრჩობდა შორეულ ოთახში ტერეზას მამას, გატრუნული უღებდა ყურს ქალი... მგზავრს, დომენიკოს, პირქვე ეძინა, ქალი კი კაბაში იჯდა, და ავადმყოფი მამის ოთახში შესვლამდე მოსასახმასაც კი მოიგდებდა მხრებზე, ისე შედიოდა — „ხომ არაფერი...“ „არ მინდა, შეილო...“ „სულ უმიზეზოდ, სულ უმიზეზოდ რომ იკრიჭება, იმას მაინც ვერ ატყობ? რამ დაგაბრმავეა, ჰა, კონჩეტინა...“ „რა კბილები აქვს — რკინასაც გაჰკენეტს...“ „და მერე, მერე, არ გეშინია?“ „რკინა კი არ ვარ, მამიდა არიანდა, — ნახდებოდა კონჩეტინა, — ქალი ვარ, ქალი...“ „პარიჭათ, წყალი“, — ყვიროდა დღილიო. „წადი შეილო, ამხანაგებთან, შინ რად ზიხარ, — ეუბნებოდა ჩაფიქრებულ ედმონდოს დედა, — წადი, ამხანაგებში გაიარ-გამოიარე...“ „სადაა, თორემ კი...“ — უფრო დადარდიანდებოდა ვაფი. „კონჩეტინა, ერთი წუთით მოიხედე კონჩეტინა, ბოდიშს ვიხდი თქვენთან, სენიორ ჯულიო, გამოთქმისათვის, მაგრამ როგორ ქაბს იგი, კონჩეტინა — სწორედ, სწორედ ეს შავგვრემანი სიტყვაა მისთვის შესაბამისი და არა სიტყვა „მოიხრთმევს“ — როგორ ქაბს, რა უსაზიზღრესი ხმაურით, რა ხარბად... ნუთუ ესეც კი არ შეგამჩნევია, კონჩეტინა?“ „შია და რა ქნას... — ცხარობდა ქალიშვილი, — შია და თქვენსაფით კი არაა, მოჩვენებითი თავშეკავებით წაიცოქნოს, რადგან იგი — უშუალოა. „მაგრად საყელოშებნეული ვინსენტე კი, ოჯახის მამა, რბილ სავარჩელში ბუხრის წინ იჯდა და ცეცხლს ამპარტავნად შესცქეროდა, ტებებოდა ცეცხლით, მაგრამ მოყვარული ანტონ-

ნო გვერდით რომ მიუჭდა, ვინსენტემ ერთხანს ითმინა, ითმინა, მერე კი, გაბრაზებულმა, საყელო მოიღელა და ცეცხლში მრისხანედ რომ ჩააფურთხა, წამოდგა და შემკრთალ ანტონიოს ვითომცდა უცაბედად ღონივრად გააკრა ფეხი. „მერე და ადამიანის გაჯავრებაც კარგია განა? — განაგრძო მაჰიდა არიანამ, როცა მოასულერეს, — აი, როზინას უკანიდან ფეხში რომ სტაცა ხელი და ძალღივით შეჰყეფა, კინაღამ გული გაუხეთქა. „რა კარგად აჯავრებს...“ — თქვა აღფრთოვანებულმა კონჩეტინამ, ტაშიც შემოჰკრა ნაზი ხელებით. „რა? — გადაირია მაჰიდა არიანა, — ადამიანის გაჯავრებაც მოგწონს? სისხლისმსმელი გახდი? როგორ თუ კარგად აჯავრებს...“ „არა, ძალღს რა კარგად აჯავრებს-მეთქი, — აუხსნა კონჩეტინამ და თვითონაც სცადა — ჰავ, ჰავ...“ „დავიღუბე ქალი...“ „უშველეთ, წყალი! — წამოვარდა დუილირ, — წყალი საჭიროების შემთხვევაში ძალიან...“ ახალგაზრდა გიცი კი, უკრ. მიფარებულში იღვა და ჩურჩულებდა: „თოვლიან ღამით...“ „შიგ გულში... დანა...“ „სა-აღამოს შეიდი საათია და...“ „წამოდი, შეილო...“ დაკვრა ისმოდა იმ ფანჯრებიდან, წყნარი, მოგუდული... „მამილო უნდა გიყვარდეთ, შეილო, — არიგებდა საღამოობით არტუროს ცოლი, ეულალია, ჯანჯაკომოსა და პატარა ვოვოს, — მამა გაცმევთ, გაკმევთ, შრომობს მამა... აი შენ, შენა, მაგალითად, — ეუბნებოდა ჯანჯაკომოს, — აი, ეგეთი წითელი ლოყები რომ გააქ, ვისი ამბავია თუ იცი ეგა შენა...“ „რა ვიცი აბა, დედი...“ — მოკრცხვად ამბობდა ჯანჯაკომო. „ვისი და შეილოო — მამიშენისა. ის გაკმევს, გაკმევს, ჩაცმა-დახურვავო, მე შენსავით ქალაქში კი არ ეცხოვრობდი, შეილო, სოფელში დავიბადე და შენა... არ იცი, რამდენი მუშაობა უნდა. ავისა, მამილოსა?“ „ღიახა.“ „ბევრი უნდა, დედი?“ „ღიაღ, — ახლა უკვე ქალაქურად უქცევდა დიასახლისი, — შრომობს, იტანჯება, თქვენ რომ კარგი

ადამიანები დადგეთ, დიაღ, — და უცებ შეშინებული ემუდარებოდა ერთს გთხოვ, ჯანჯაკომო, ვინმე ვამარტულმა შემთხვევით ჩვენს ქალაქში რომ გამოიაროს, არ უბასუხო, არ შეხედო, პირდაპირ შინ გამოიქეცი...“ „ეე. — უკვირდა ჯანჯაკომოს, — თუ არ შეეხედავ, როგორ მიხვდები, კამორელია თუ არა.“ „მიხვდები, ჯანჯაკომო, როგორ ვერ მიხვდები — ყოველ კამორელს რაღაც სუსხი დასდევს. „აიი, ჯანდაბას იმათი თავი და ტანი, — დასძენდა კეთხეში მიძღარი არტუროს დედა, ყოჩალი მოხუცი სივილა, — კიდევ კარგი, მთელ ზამთარს არ გამოჩენილან.“ „რად გამოჩნდებოდნენ, — თავს იმშვიდებდა ეულალია, — გადასახად ყველანი დროზე ვუგზავნით და...“ „ის ბიჭი ნეტავ სად დიკარგა ამდენხანს, ა...“ — ამბობდა მოხუცი. „ვინ ბიჭი...“ „არტურო, ვინა...“ „პოო, — ელიმებოდა ეულალიას, — მეც არ გამოიკვირდა?.. თქვენთვის ბიჭია, აბა რა... დუქანში იქნება.“ „ამდენხანს, ქალო?“ „ახლა ზამთარია, დედა,“ აღრე ღამდება, თორემ გვიანი კი არ არის...“

არტურო, რა თქმა უნდა, დუქანში იყო. რჩეული ბიჭები ქეფობდნენ, ზამთრის თამაშები... „ბოლომდე, ბოლომდე, — ამბობდა ტულიო, — ეგრე არ გამოვა...“ „კარგი რა, — იმანუბოდა ცოლი, — რაღაც ჩავარდა.“ „რა ჩავარდა, აბა, არაფერი, — კიქაში იცქირებოდა ტულიო, — მიდი, მიდი... შენსავით ვსვამდე, კიქაში ჩავტოვებ?“ — ეხუმრებოდა, ღამაზ-ქალაქში ტულიოსავით ვერავინ სვამდა, მაგრამ უგონოდ მთვრალი არავის უნახავს, მოლხენა კი, გაგიხარია, იცოდა... „როგორ დაგხვდა, ა, ზეწარგადაფარებული?“ „ზეწარგადაფარებული ედმონდო ვინ იცის, მერამდენელ ახსენდებოდათ, იცინოდნენ... პატროსნად, ბოლომდე სვამდა ანტონიო, იმისი სიძეც, ვინსენტე; დინო ოსტატურად იპარავდა

* ღამაზ-ქალაქში დედამთოს ხანდახან შემოკლებდა: „დედა“-ს უძახდნენ.

ღენოს — არა სვამდა, კუმეოც იპარავდა — ზედმეტსა სვამდა. მთელმა ქალაქმა გაიგო, ნახ კონხეტინას რომ უყვარდა და გაკვირვებულმა ბიჭებმა საქეფოდ დაპატიყცეს, მისი აქამდე მიწალული რაღაც ღირსება რომ აღმოეჩინათ, მაგრამ, ჭრჭვრობით, უშედეგოდ... მაინც ერთგვარი პატივისცემით ექცეოდნენ. ძალიან თავდაპირილად იქცეოდა სერვილიო, ზომიერად სვამდა, ზომიერად მიირთმევდა საქმელს... დამპატიყცებელი კი, შორით მოსული ფერმკრთალი მდიდარი, დომენიკო, თამამად შეექცეოდა სასმელს და წამდაუწყუმ ტერეზა ახსენდებოდა, რომელმაც სამიოდე დღით აუჯრძალა მისგლა — მამა ჰყავდა ავად... სამი დღის შემდეგ კი ახალი წელი აყო, მთელი ქალაქი ეშხადებოდა, და დომენიკომ იმ სოფლის სახელიც გაიგო, საიდანაც საახალწლოდ დაკლული გოჭები, ინდაურები და ქათმები ჩამოჰქონდათ გლეხებს — კალაბრია ერქვა. კალაბრიელებს აგდებულად იხსენიებდნენ, იმათი საქონელი კი ძალიან მოსწონდათ, ახლაც, სუფრაზე, კალაბრიულ გოქსა და ხბოს ხორცს შეექცეოდნენ, „სად დადიხართ დამ-დამობით, ა, — წას-ჩურჩულა არტურომ დომენიკოს, — თუ, თქვე ეშხაკო, თქვენა...“

სამ გრძელ დღეს უნდა მოეთმინა უტერეზობა. ახალ წელიწადს კი ერთად უნდა შეხვედროდნენ და არტუროს საჩუქრად ულამაზესი კაბა აშოვნინა, თორმეტდრაკანიანი, ოქროკედლით ამოქარგული, აბრკყვილებული... ბალიშის ქვეშ ინახავდა, წამდაუწყუმ გაშლიდა და დახედავდა ხოლმე კაბას, რომელიც ნამდვილ ქალს, ტერეზას უნდა შეეცო, ისე საამოდ უნდა გამოებურცა... ორი დღის შემდეგ ნამცხვრების სუნი დატრიალდა ლამაზ-ქალაქში, დიდი ფაცა-ფუცი იყო, ვაშლის ნამცხვარი, ნუშის ნამცხვარი, ღვინო და ქაღა, ათასი რაღაც... დიდხანს ამბობდნენ ეშხადებოდნენ მეკვლეები, სასურფელ — ოჯახში ნიღაბაფარებულნი უნდა მისულყოვნენ, „მისალოცი, — სა-
გ. მნათობი“, № 1.

ზეიმო სიტყვა უნდა წარმოეთქვათ, მე-რე მასპინძლებს უნდა ეტყვიანოთ, ვინ იყო მეკვლე... წესი წესი მისცით, თორემ რაღა თქმა უნდა, ყველაფერი წინასწარ იცოდნენ... ერთ-ერთ მეკვლესთან დაკავშირებით მეორე დღით, დიდი მხიარულების ქაშს, დღეილიოს მხოლოდშობილი ვაჟი — სერვილიო მოსაკლავად დაეძებდა ერთ ლამაზ-ქალაქელს, თუმცა იმას ახრადაც არ მოსვლია დამალვა... მაგრამ სერვილიოს გავუღისება მეორე დღით მოხდა, ახლა კი, სადამოხანს, საოცარი ფასი დაედო ლეპოლდინოს ძახილს: „სა-ალამოს რვა საათია და...“ საათი კი ყველას ჰქონდა, მაგრამ ეს შეძახილი ლამაზ-ქალაქელთათვის რაღაც უფრო ზუსტი, საერთო დრო იყო, ახლა, ამ სადამოს, განსაკუთრებით ეღერდა... და გაამაყებული ლეპოლდინოც სხვა ხმით იძახდა: „სა-ალამოს ცხრა...“ და თერთმეტი საათი რომ გახდა, დომენიკო საუკეთესო ორადგილიანი ლანდოთი გაეშურა ტერეზას სახლისკენ. იქვე, ორიოდ ნაბიჯზე იყო მი-სასვლელი, მაგრამ ლანდოთი რამდენიმე ბოთლი შემსხუნა, ტკბილეული და თავად არტუროს ხელით შემწვარ-მოხარშული ზორავი მიჰქონდა, იდლი-აში ამოედო ფრთხილად დაკეცილი, ლამაზ ქალადღში გახვეული კაბა და სიხარულისგან გაოგნებულ მელანდოეს მუჭში ჩაუდო მთელი დრაკანი. ვიწრო საჩქმელს კი ერთბაშად სამი ფარანი ანათებდა, ცასაწეულ მელანდოეს თვითონ უნდოდა საჩქმების ატანა, მაგრამ დომენიკომ არ დაანება და შალალ კიბეზე ოთხი გზა გააცთა, და, რომ მიუბრუნდა, განრისხებული უმხერდა ქალი — „რაა, ეს რაა...“ დაბალ, პატარა მაგიდაზე მცირე ტკბილეული ელაგა, მოხარშული ქათამი, ყველი, მწვანილი, ორი ბოთლიც — შემსხუნა... „მეორედ არ გაბედო, — უთხრა ტერეზამ, — შენცა და შენი საჩქმები...“ რა განრისხება სცოდნია მაინც, მაგრამ საჩქმებისკენ თითი რომ გაიშვირა, ისე ლამაზად, ისე მშვენიერად

გამოუვიდა — განრისხებული იდგა, თავშემართული, როდესაც უკან გადახრილი, მშვენიერი თვალები უელავდა და გრძელი, მოწინილი, წვეტიანი თითი საჩუქრებისკენ გაეშვირა — ყველზე ლამაზი მრისხანება იყო, ჯერ არანაზი... „რატომ, ტერეზა...“ „იმიტომ, რომ საჩუქარი ყველაფერს აფუძებს, — განრისხებული მიმოდინდა ოთახში ქალი, სწრაფად, ამაყად ტრიალდებოდა კედელთან და აფრიალებული კაბის კალთები წვივებზე მსუბუქად ეხვეოდა, გაბრაზებული, ცალ მკლავს მოხდენილად იქნევდა, ყელზე შეედო მეორე ხელი, — შენი არაფერი მინდა...“ „რატომ, ტერეზა...“ „ისე ვარ შენი, — შედგა ტერეზა, — ისე, უსაჩუქროდ...“ ვერაფერს მიხვდა დომენიკო, მაგრამ ილიაში ამოდებულ კაბას რაღა თქმა უნდა, მანც ვერ აჩენდა — ეს პურ-მარილი ორიოდ დრამკანის თუ იქნებოდა, ლამაზი კაბა — თორმეტი ლირა. დომენიკომოყრილი ტერეზა კი მრისხანედ განაგრძობდა: „ეგ ყველაფერი, გესმის, სულელო, რაგინდ ტუბილი და კარგად შემწვარი იყოს, მანც ფულია, შენი ფული კი რა ჯანდაბად მინდა, გლახა ქალი ვარ?“ განრისხებული, შემართული, შუა ოთახში იდგა, ფარანს დასწვდა და სახესთან მიიტანა; თავი გაინათა და ისევ დაეკითხა: „გლახა ქალი ვარ?“ „კარგი ქალი ხარ...“ — თქვა დომენიკომ და აქ ტერეზას უნებურად გაეცინა, ისე გულით თქვა ეს დომენიკომ, ისე ხმადაბლა და თავდახრილმა, — პო, კარგი, კარგი, ამოალაგე, სხვა დროს კი...“ ხარკის წინ დიდის ამბით ეშხადებოდა დულიო, მთელი ქალაქის საოცნებო მეკვლე, და ლომის ნიღაბი წამდაუწყებ სახესთან მიჰქონდა, მაშიდა არიანდასთან კი საჩქაროდ შეიბრინა ელმონდოს დედამ და ძალიან სთხოვა, იხვეწებოდა: „თქვენი ჭირიმეთ, თქვენთან შეხვედება ახალ წელს ჩემი ვაჟი, ამხანაგი არავინ არ ჰყავს და...“ „რა სათქმელია, ჩემო კარგო, აბა რა სათქმელი ეგ არის, იმიტომ არ შეგატყობინეთ, რომ მისი

სტუმრობა თავისთავად იგულისხმებოდა — მოვიდეს, ველით...“ „ცინსენ...“ ტემ კი საყველო შეიხსნა და ზანწვთან მარტოკა დატოვა თვალცრემლიანი შეუღლე — ჯულია, ხოლო ქუჩაში გამოვიდა თუ არა, ყელი შეიფუთა და დარბაისლურად გაუყვა გზას მაშიდა არიანდას განახიანებული სახლისაკენ, იმას კი, რაღა თქმა უნდა, მოყვარული ანტონიოც კვალდაკვალ აედევნა, გზადაგზა იკრავდა შარვალზე ღილებს და, კიდევ კარგი, ჯულიასთან მშობლები მივიდნენ სტუმრად — გათხოვილ ქალიშვილს მონატრებული სითბო ისე ლამაზად, ისე ბუნებრივად და უთქმელად შეაწიეს... ლამის თორმეტი საათი ახლოვდებოდა, „მაპასთან შევალ, და იქ შევეხვები, — უთხრა ტერეზამ, მხარზე დაადო ხელი, — ხომ არ გეწყინება...“ „არა.“ „ჩქარა გამოვალ...“ „ჩქარა გამოდი...“ მაშიდა არიანდასთან თორმეტის ნახევრისათვის ყველა სტუმარი შეიკრიბა — შეიღბე იყენენ დაბალებს. შუშხუნა-ბოთლები და შუშხუნა-ცეცხლი მოამზადეს, მაშხალები მოიმარჯვეს ხელში... თორმეტი გახდა, ლამის დარაჯი კი ჯერ არ ყვიროდა. მცირედ შეშფოთებულებმა, საათები შეამოწმეს, კი, კი თორმეტი უკვე იყო, და სანატრული დამახილის მოლოდინში ფანჯრებს მიადგნენ, ლამის დარაჯი კი, ლეპოლდინო, ქალაქის მთავარ მოედანთან ავილილით სახეზე, იდგა, იდგა და დამახებას განზრახ აგვიანებდა. ეს ერთადერთი წუთი იყო, როცა ლეპოლდინო თავს კაცად გრძნობდა — ყველას ხელოვდა, ყველა უცლიდა, და ჩამოქნძილი ლამის დარაჯი, წელიწადში ერთხელ მნიშვნელობამინიჭებული, ამაყად გაჯიმული, ყვრიმალედაბერილი, თავის შემახილს აგვიანებდა და ლონიგურად აუღ-ჩაუდიოდა მკერდი; აუზთან იდგა ლეპოლდინო, გატრუნული და მომლოდინე, ლამაზ-ქალაქის წუთიერი განმგებელი და, საკუთარი ღირსებით თრთობა ორიოდ წუთით რომ იგემა, დიდის სიამოვნებით დაიძახა: „ლა-

ამის ზუსტად თორმეტი საათია და ყველაფერი რიგზეა, — შუშუნა ცეცხლი აუშვეს ცაში, სატყაუტუნებლებს ახმაურებდნენ, შუშუნას ბოთლები ხათქახუთქით გახსნეს, „მრავალ ახალ წელს, ჩემო პორტენზია“, „ტუჩებში კოცნიდნენ ლამაზ-ქალაქელები ერთმანეთს, მარტოკა იდგა მგზავრი, დომენიკო, და კონჩეტინამ სტუმრად მიწვეულ კომეოს (მაინც თავისი გაიტანა და...) პირველად აკოცა. კუმეო-მაც დიდის წვლახუნით ჩაპროტნა, მამიდა არიადნამ კინაღამ არ თქვა: „წყალი“, მაგრამ ახალი წლის ხათრით გადაიფიქრა, ბედნიერი, სახელაუწილი კონჩეტინა კი შუშუნათი ხელში სტუმრებში დაფრთხილებდა და მალალ ქიქებს ყველას უფესებდა. ახალი წელი დადგა, ფრთხილად ჰკოცნიდნენ მძინარე ბავშვებს, ბროლის ქიქები წკარუნებდა, ჯერ კიდევ ისროდნენ დავიანებულ შუშუნებს ცაში, „ასე ტყბილად, ტყბილად,“ გაისმოდა ყველგან, „აჰ, ასე ტყბილად,“ — გატაცებით თქვა მამიდა არიადნამ და უეცრად, დაკრეჭილი კუმეო რომ დაინახა, გულს შემოეყარა, მაგრამ ამჯერადაც არა თქვა: „წყალი“ — მეკვლეს ელოდა, და მერე, როგორს... ლამაზი ქიქით ხელში, ისევე მარტოკა იდგა მგზავრი, დომენიკო... სოფელში ახლა სანთლებით ხელში, კარდაკარ დადიოდნენ უხერხულად ვაუღიმებდნენ ერთმანეთს და თიხის ჯამებით სვამდნენ ღვინოს... მამის ხელი გაახსენდა, მხარზე მძიმედ მოალერსე... ჭერს ახედა და... ვიღაც უყურებდა! მუდამ დასცქეროდა ვიღაც — ვისაც უყვარდა... ამ სიბნელეში მარტოკა მდგარი, ვიღაცას უყვარდა! მაგრამ ისეთი იღუმელი იყო ეს სიყვარული, რომ სიხარულზე მეტად შიში ახლდა, ეს მაინც შიში იყო — უცნაური და ახახუნებული, მფრველასადმი შიში... მაგრამ ტერეზა რომ შემოვიდა, დიდი ლამაზი ფარანით ხელში, და მოხდენილად რომ დაიხარა და ფარანი იატაკზე დადო, და დომენიკოს მსუბუქი კოცნით რომ მიულოცა ახა-

ლი წელი, ყოველივე გადავიწყდა და საჩქაროდ გახსნა ცივი შუშუნა... მიიქახუნეს, ბოლომდე გამოსცალეს, ტიქადომენიკომ დაასწრო და თავგადასწულ ქალს მერამდნელ შეუთვალეირა ქათქათა ყელი — რა კარგი იყო, როგორ უყვარდა!.. „მრავალ ახალ წელს, დომენიკო, — გაუღიმა ქალმა და დაბალ სკამზე ჩამოვდა, მუხლებზე მშვიდად დაილაგა ხელები, თვალი მოკუტა, — უბეში რა ვაქვს...“ დიწხად უღიმოდა მამიდა არიადნას სენიორ ჭულიო, ხანდახან თუ აცმაუცუნებდა ტუჩებს, საესე ქიქით ხელში, ლალად კისკისებდნენ მხიარული ქალიშვილები, მამას ეხვეოდა ნორჩი ჯანჯაკომო, ყველგან, ყველანი მხიარულობდნენ, დაღონებული, მხრებჩამოყრილი ღამის დარაჯი კი თავისი ფიცრულისაკენ მიიძურწებოდა — მომავალ ახალ წლამდე... და დიდად რომ შეაქვს უამხანაგებო ედმონდოს საახალწლო საჩუქარი — ფინჯანი და ლამაქი, კუმეომ დრო იხელთა და ქათმის მეორე ბარკალიც უბეში გაიქანა, სწორედ ამ დროს კი მამიდა არიადნას სახლში მეკვლე შემოვიდა — კოტათი ადრე მივიდა, ეტკობა, ველარ მოუთმინა გულმა — დიდის ევილ-ხივილით მიესალმნენ, მაგრამ მეკვლეს ნიღბის ნაცვლად თავზე უზარმაზარი, ქათქათა ზეწარი გადაეფარა, თავითფენამდე დამალული იყო, მხოლოდ ორი პაწიანასკრეტიდან ათვალეირებდა საზოგადოებას, და, რა თქმა უნდა, ალაპარაკდა:

— ახალ წელს გილოცავთ, უძვირფასესო მეგობრებო, და მე იმიტომ არ მოველ თქვენთან ღამის ნიღბით, რადგან ცხოველმყოფელურ სიძლიერეს უკანასკნელ მომენტში ფაქიზი ზეწარი ვარჩიე, სისხლსავსე უმანკოებზისა და დიდმნიშვნელოვანი სასიკეთო ძვრების ფერი...

— ბარაქალა, ბარაქალა, რა კარგადა თქვით, დევი... — და მამიდა არიადნამ დროზე შეიკავა თავი — მეკვლეს სახელი არ უნდა გაემჟღავნებინათ, ვითომც არ იცოდნენ, ასეთი გახლდათ წესი.

— ამ კეთილ, მარადსასურველ დღეს ბევრი კეთილი და უნიჭიერესი სიტყვის თქმა შეიძლება, — განაგრძო მეკლემ, — და ვილაპარაკოთ კარგად, კეთილად, რადგან სიბოროტე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ახლა, როდესაც კარგი მეკლემები ცხოვრების შუაგულში ტრიალებენ, ზოგიერთ უარყოფით ადამიანს არც კი სიამოვნებს ეს, ხოლო ეს — ეს ხომ მისი მხრიდან მორალური ძარცვა-გლეჯის ასპარეზია, დაე, ახალ, მომავალ ნათელ წელს კი მოსახლენ დიდმნიშვნელოვან სასიკეთო ძეგლებს გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს, — შესძახა მამიდა არჩილნამ და სხვებიც აჰყვნენ.

— მაგრამ როგორ დავიცვათ ეს გზები, ეს უფაქიზესი პილიკები, როგორ მივანიჭოთ მათ შეუქცევადი მტკიცე ხასიათი — როგორ? როგორ?... რატომ და ადამიანის შინაგანი ვითარების გაჯანსაღების გზაზე თანმიმდევრული წინსვლა უნდა აღვეტუროთ მთავარი ყურადღებით, რაც ხანდახან არ ხორციელდებოდა გასული წინა წლის განსაკუთრებით მეორე ნახევარში, მაგრამ ახლა, მომავალ ახალ წელს კი, პირობას გაძლევთ, რომ თავდაუზოგველი განსაკუთრებული ადამიანების ზრუნვის მეშვეობით — გან-ხორ-ცი-ე-ლ-დ-ე-ბა!

— ვაშა, დეილიო! — შესძახა მამიდა არჩილნამ, ველარ მოითინა, — ისეთ მჭევრმეტყველ კაცსაც კი, როგორც ეს თქვენა ხართ, ჯერ არ ულაპარაკნია ასე კარგად, ასე ბრწყინვალედ, ოპ, მეკლემე, გმადლობთ...

— არ იფიქროთ, რომ ეს არაა ღველი, ესაა შემხვედრი მიზნები ადამიანთა გაკეთილშობილების ვარდფენილ გზაზე, ხოლო რა არის აუცილებელი დადებითი თვისებებით ადამიანის აღჭურვისათვის? — საამო სიტყვა... და თუ არ თვით საამო სიტყვა, სხვა რა დააჩქარებს ადამიანის ერთბაოვნული სიკეთის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს? მე კი მოგიგებთ: — სტევა? — არაფერი...

— რა კარგი იყო, რა კარგი, — ამბობდა სახეგაბრწყინებულნი მამიდა არჩილნა.

— რა მნიშვნელოვნად ჩაახვია თამამი ახრი...

— რაც შეეხება...

„უბეში რა გაქვს... რამდენჯერ გითხო...“ „არა, არაფერი ისეთი... — აირია დომენიკო, — რაღაც მინდოდა მერუქებინა...“ „მართლა?.. თუმცა, კარგად იქცევი, რომ არ მაჩვენებ... აი, როდესმე, რომ მოგებზრდები, — სიოცრად გამართული იქნა, — გლახა ქალებში წახვალ და იმათ აჩუქე სიზარულისგან სულ აგლოკავენ...“ „არ წავალ, არა,“ — თქვა დომენიკომ. „მართლა?“ — შეაკერდა ქალი, — აბა, შემომხედე... მართლა არ წახვალ?“

— ხოლო რაც შეეხება საკითხს, თუ როგორ უნდა შესრულდეს ადამიანთა გულეში ჯანსაღი ატმოსფეროს მყარად დასადგურება, ჩვენ ამთავითვე უნდა დავსვათ საკითხი, რას უნდა მიექცეს მთავარ ყურადღება. მალაქნიშვნელოვანი საქმე ისე უნდა წარემართოს, რომ განვიცადოთ ბედნიერებისაგან გამომავალი არსებითი ცვლილებები.

— რა მშვენიერად ლაპარაკობთ, აპ, რა მშვენიერად... დღეს თქვენ თავის თავს გლდაპირბეთ, ძვარდასო მეკლემე...

— ახლა კი, ახლა, როდესაც ჩემი დადებითი სიტყვების მეშვეობით დაჩქარებული ტემპით ვითარდება...

„ვის აშოვნივ...“ „არტუროს.“ „საიდან მოგართვა...“ — დავემოვნებით სვამდა შუშუნას, ნელა წრებვდა. „არ ვიცი.“ „რა გამოგართვა...“ „თორმეტი დრამკანია.“ „რაო? — შეიცხადა ქალმა, — რამდენი... სამკაულია?“ „არა, არა, კაბაა რაღაც...“

— ... დაჩქარებული ტემპით ვითარდება და შემდგომი ამალღების ზრუნვით არის განმსჭვალული ჩემი ამჟამად განვითარებული ენა და ამასთანავე ამ კეთილშობილურ მიზანში ჩაბმულია და ასევე შემდგომ ვითარდება ჩემი საქციელი — ეს თქვენ-

თვის, თქვენთვის ვლამარაკობ მე — მოამაგე, წყაროდან ჭიქას — ნუ წამოიღებთ, წყარო — ჩვენია!

— ჩვენია, ჩვენი!!

— რა დიდებულად ლამარაკობს, რა დიდებულად...

— კარგია, კარგი!

— ძალიან კარგი!!

— თამამი აზრი რა მნიშვნელოვნად ჩაახუჭუჭა!..

— და არსებითი ცვლილებები რომ განვიცადოთ...

„როგორ მოუტყუებინარ... — ნაღვლიანად შეაქცერდა ქალი, — ყველამ შენ უნდა მოგატყუოს...“ „რა იცი, ხომ არ გინახავს...“ „არ შეიძლება, კაბა თორმეტი დრამკანი ღირდეს...“ სამოსელი პირველი! — ექვსი ათასი დრამკანი ღირდა... სოფელში ახლა თიხის ჯამებით, თიხის დოქებით სვამდნენ კამკამა ლეინოს, და პირს დიდი მაჯებით იმშრალებდნენ... „რამ ჩაგაფიქრა... მაჩვენე აბა...“

— ... მაშინ ღრმად უნდა გვქონდეს შეგნებული ბევრი სასიხარულო სიახლე და თვალსაჩინო წარმატებებს რომ მივალწიოთ, განსაკუთრებით დიდია აღამიანთა გონების გავარჯიშების როლი, და აბა, სანამ მე ვლამარაკობ, ჩემო ანტონიო, აიღე ბატის ფრთა და ქლაღდი, და დაიანგარიშე, რამდენი იქნება 511-ს რომ გამოვავლოთ 42... ტენი, გონება უნდა გავეფარჯიშოთ... თორემ დავკარგავთ წყაროსთან ჭიქას!

— აჰ, რა კარგად თქვა...

რა კაბა იყო! ორივე ხელზე გადაეფინა, და ფარნის შუქზე აბრწყვილებულ კაბას ალაგ-ალაგ აფეთქებული ზოლი ჩამოსდევდა, მოულოდნელად აკაფდებოდა რომელიმე ნამცეცი, ხელებზე ტალღები გადასდიოდა ტერეზას, ოქრომკედლი მოქარგულ კაბას დასცქეროდა ქალი... მერე თქვა: „კარგი, ერთხელ ჩავიცვამ...“ და მერე ოთახში გავიდა.

— და სანამ ჩვენი გულითადი, სიძის მოყვარული ანტონიო დაიანგარი-

შეგს, კიდეც ერთ რამეს მიგანიშნებთ: ჯერ ასეთი სახის შეკითხვას დგვს წამი ვინაა ბედნიერი?.. ის, ვინც... რატომ იცინის? — ბედნიერია, და, მეგობრებო, ერთად რომ შევსვათ სიამის თასი, მოდიოთ, ვიცინოთ... ერთი, ორი და...

აჰ, იცინოდნენ... კისკისებდა კონჩეტინა, მართლაც ბედნიერი, ხითხითებდა ცილიო, ფანჯარასთან მდგარი, თავშეკავებულად იღიმებოდა დარბაისელი სენიორ ჯულიო და ედმონდომაც დააშორიშორა მიწებებული ტუჩები, ხარხარებდა ტულიო, მუდამ უღარდელი და ჭიხვივებდა კუმეოც, გამძლარი და ორი ღლით მაინც დანაყრებული, მხიარული ქალიშვილები ხომ სულ გადაფიჩინდნენ.

ტერეზა შემობრუნდა ოთახში, ნელა, კრიალით გაიღო კარი, თმაც სულ სხვაგვარად დაეფარცხნა, ნელა გადმოდგა ნაბიჯი და მთელი ფეხის ჩაყოლებზე აფეთქდა მზინავი კაბა; მეორე ფეხი გადმოდგა მერე, და იმ ტალღამაც გადაინაცვლა... მკერდზე უწყსრიგოდ ფეთქებოდა სინათლისხლეტილი ნამცეცები; და, ერთიანად ასაფეთქებლად გამზადებული, თავით ფეხამდე ბუტბუტდა ქალი... ისევე, როგორც ყოველ ნამდგრდ ქალს, კარგად ახსოვდა, რა კაბა ეცვა... მუდამ ახსოვდა ყოველი კაბის ფერი, კომლები, და მისი ყოველი მოძრაობაც საოცრად ეხამებოდა იმ ფერს, იმ კომლებს... მწვანე, უბრალო კაბას თუ ჩაიცვამდა, სიმწვანის ნიშნის ქვეშ ხდებოდა ხელის აქნევა, ღიმილი, სიარული, თუ ლურჯი ეცვა, თავით ფეხამდე სილურჯისა იყო და ახლა, ამ დედოფლურ კაბაში, დომენიკოს უცებ ისე დიდებულად უცხო, ისე შორეულად, მიუწვდომელი ეჩვენა ქალი; მაგრამ ის ქედმაღლურად მიუახლოვდა თუ არა, მუხლებზე დაუჯდა, კისერზე აუჩქარებლად შემოხვია ხელი, ლოყაზე აკოცა, უთხრა: „მართლა კარგია... მადლობთ, დომენიკო“.

— და ერთმანეთი უნდა გვრყვარდეს... უნდა გვიყვარდეს ის უგოც, გი-

ერ, და მეორე გიყმა, უტიფარმა ალექსანდროსაც რა დააშავა — თავისი უბედურებაც ეყოფა, ხომ გიყვართ, ხომ გიყვართ-მეთქი ერთმანეთი!

— კი, გიყვარს, გიყვარს, ძალიან გიყვარს, — შესძახა ცილიომ და როზინას გადახვია ხელი.

— ხელი აიღე! — შესძახა მეკვლემ, — ეგ სხვანაირი სიყვარულია, — ფაქიზ სიყვარულს ვგულისხმობ მხოლოდ, და რომ ამის ბრწყინვალე მაგალითიც მოგცეთ, აბა, კუმეო, სკამზე შედექი!

— ასე?

— მო, ასე. ახლა კი თქვენ, ჩვენო უსაყვარლესო, უფაქიზესო ქალბატონო არიანდავ, ჩვენო კეთილო, ხომ ვიცი, რომ გულის უკუნეულს სიღრმეებში არ გიყვართ კუმეო, მაგრამ სიყვარულის, ერთიანი სიყვარულის სახელით მუხლმოდრეკილნი გთხოვთ, თქვენც შედგეთ სკამზე... იქვე, მის გვერდით!

— თქვენ ისე მნიშვნელოვნად ლაპარაკობთ, დღილიო... ისე საამოდ. აი, შევდგები — გთხოვთ მომეხმაროთ, სენიორ ჯულიო...

— ახლა კი, ერთიანი სიყვარულის სახელით, გთხოვთ ჩვენსკენ გადმოისროლოთ თავით-ფეხამდე შეიარაღებული თქვენი ძალუმი სიყვარული და კუმეოს აუციუცი! ჩქარა, ჩქარა, სანამ ანტონიო დაიანგარიშებს...

— აბაო, მე გკონი! — შესძახა მამიდა არიანდამ და გაკრეპილ კუმეოს ლოყაზე ეამბორა.

— ეს ყველაფერი ამ ფერმა შექმნა, — განაგრძო მეკვლემ, — ვადაზე ადრე იმიტომ მოველ, რაც შეიძლება უფრო ადრე რომ გამეღვიძებინა თქვენში სიყვარული, და რა კარგი ვქმენ, ლომის ნიღბის ნაცვლად ეს ზეწარი რომ გადავიფარე — სისხლსავსე უმანკობის ფერი...

— კი, კარგი ჰქენით, აპ, და რა კარგი!

— ხოლო ეს ზეწარი უბრალო არ გეგონოთ, ადამიანებო, სასწაულმოქმედი, აბაა, ზეწარო, თეთრო, ქათქათავ,

ბრწე, შშ-ში... — ამამალე! ამამალე-მეთქი!

და, საოცრებავე, მეკვლე ამამალდას...

— ხომ ვილაპარაკე დღეს ყველაზე კარგად! — იძახდა ამალეებული მეკვლე, — ჩემს საკუთარ თავს დღეს ხომ თვითონვე გადავაქარბე!

— კი, როგორ არა!.. ვადაჭარბეთ!.. დიახ, როგორ არა!.. — შესძახა გაოცებულმა საზოგადოებამ.

— ხოლო ბოლოს იმასაც დავსძენ, რომ ამ სასწაულმოქმედ ზეწარს ისიც კი შეუძლია, რომ მე, კეთილმოაზროვნე დღილიო, უბრალო გიყად ვადამაქციოს, აბა, ვადაშხადეთ! შენ ვადაშხადე, ბიჭო, კუმეო!

კუმეო სკამიდან ჩამოხტა, ზეწარი გადახადა და

ალექსანდრო იდგა!

ყველანი გაშრნენ... მხოლოდ მამიდა არიანდამ, რომელიც ისევ სკამზე იდგა, არ გაიტეხა იხტიბარი:

— რანაირი ხართ, იცი, დღილიო? ისევ დაბრუნდითა. თავს დაუბრუნდით...

— აღარ გამოდის, — თქვა ალექსანდრომ, — ვადავიხადე.

— მაგ თეთრი ზეწარით თუ არ გამოდის... ანტონიო, შეავად შელებილი ზეწარი ხომ არ გაქვს? შენ გეუბნები, ანტონიო, რა მოგივიდა!

ანტონიო გამოერყვა და თქვა:

— სამას სამოცდა ცხრა.

— მაგდენი რად გვირდა, ერთიც გვეყოფა...

— არა, სამას სამოცდა ცხრაა, 511-ს რომ გამოეყოლოთ 42.

— ვგოედები... მგონი...

ხოლო აქ კარი გაიღო და ვილაც ლომის ნიღბიანი შემოვიდა: — ახალ, წილს გალობავთ, უძვირფასესო მგობრებო...

— ვაიმე, მგონი, მართლა ვგიყდები, — თქვა მამიდა არიანდამ, — რომელი რომელი ხართ...

— მე — მე ვარ, — დაამშვიდა ალექსანდრომ, — ეს კიდეც — ის... ვიხუმრე, რა მოხდა...

— პატარა რომ ჩანდა! — იყვირა ცილიომ.

— მოკუნტული ვიდები.

— და ხმა... როგორ მიამგვანეთ ხმა, ლაპარაკი!

— აჰ, არტიტიზმი... — თქვა ალექსანდრომ, — ძლიერ კარგია. და რაც მთავარია, ხომ მშვენიერად ვილაპარაკე? — წყაროდან ჭიქას ნუ წამოიღებთ!

— ჯერ ეს ეგ ერთი, — თქვა ლომის ნილბანმა, — ეგ ჩემი სიტყვებია...

და უცებ მამიდა არიადნამ შუბლზე იტყია ხელი:

— კუმეოზედაც რომ მავოცინინა...

— დიდი ამბავი...

აქ კი მამიდა არიადნა სკამიდან ფრთხილად ჩამოვიდა, სეარძელში მივსვენა და მერედა თქვა:

— ვარდისფერი წყალი...

* * *

ზამთარი იდგა ლამაზ — ქალაქში, დიდი იანვრის თვე. ნატრისფერ ღრუბლებს მიღმა მიკარგულიყო მზე, თოვლი ანათებდა ქალაქს. საღამოობით ბუხართან ისხდნენ, ნიკაპთან საბანოკეცილებს, რალა თქმა უნდა, ეძინათ ღამით. შემცივებულნი დგებოდნენ დილით, ხელუბს იქნევდნენ, და ეკლიან წყალს ისხამდნენ პირზე. შუადღისას კი სუფთა, გემრიაელი ჰაერი და ერთმანეთი ენატრებოდათ, შეფუთვნილნი გამოდიოდნენ ვარეთ, თბილი მოსასხამის კალთები რბილად მისრიალებდა თოვლზე, ისევ ისმოდა ნავიანევი „მრავალ ახალ წელს, აჰ, მრავალ, მრავალ“, საღამოხანს კი, იისფერ ბინდში, ისე ლამაზად თოვდა და თოვდა... დათვის დიდ ტყავზე, ბუხართან მხარ-თეძოზე იწვა ქალი, ტერეზა, მკლავებზე მუთაქამოდებული, და მერე ხელის ნაზი, წვეტიანი თითებით მის კალთაში თავმიღებულ მგზავრს, ღომენიკოსს, თმას უფარკხნიდა — „როგორ გავაფუქე...“ მამამისის ფულით მოზიდულ სურსათ-სანოვაგეს მამისადმი პატივისცემის ურღვევი გრძობით შეაქცეო-

და ლოყებლავდა ჯანჯაკომო, ღრუბლდ მარცვლავდა კრიალოსინსა დაზბინსელი სენიორ ჯულიო, სიცივეში რადაცნობრად მფრთხლად კისკისებდნენ მხიარული ქალიშვილები და უფო, ახალგაზრდა გივი, ნატრისფერი დონდლო თევზებით თვალში, ჩურჩულებდა: „სუყველას სისხლი... ყველასი, თოვლზე...“ ლამაზ-ქალაქელთა ცნობილი მრჩეველი, დულიო კი ისევ დაეძებდა მოხდენილ გამოთქმებს ძალიან კარგი ქალის თაობაზე და ერთხელ, აუზთან, ასე წარმოსთქვა: „მე სულაც არ მკერა ადამისა და ევას შეთითხნილი ამბავი, მაგრამ უმწიკვლო ქალმა ყოველი შემთხვევისათვის მაინც არ უნდა ჰამოს ვაშლი. რამდენი ხილია სხვა — ატამი, მხალი, ქლიავი მაგალითად, ალუჩა...“ კონჩეტინას ქორწილი ახლოვდებოდა. დიდად ღელავდნენ ლამაზ-ქალაქში — ვის დაპატიებდნენ და რომელს — არა, რამდენიმე ღირსეულსა და შეძლებულ მოქალაქეს კი თავი ქულში ჰქონდა — იგივე დულიოს, მაგალითად. ასევე ღრმად იყო დარწმუნებული, ოლოდ დაუპატიებლობაში, თვითმარქვია მეკელე, ალექსანდრო, მაგრამ მაინცდამაინც არც ედარდებოდა — „მთვრალეს რა უნდა გავაგებინო...“ ქორწილის ზედ წინადღეს კი კონჩეტინამ აიხირა — „უღვივრფასესი შარვალ-ხალათი უნდა შევუპეროთ!“ „პირველსავე ღამით მაინც გაეყრები და რად გინდა, შეილო“, — არწმუნებდა თვალცრემლიანი მამიდა არიადნა, კონჩეტინამ კი: „გავეყრებო? როგორ შეიძლება გაეყარო გულსა და სულს!...“ „რა ნახე შეილო, მაინც რა ნახე ასეთი...“ — უშუალოა იგი, — თქვა კონჩეტინამ, სარკეში დაძაბული იტყირებოდა, — ვაითუ, სხვა ქალი შეიყვაროს... ჩემზე ლამაზი!“ ოთხი ცნობილი მკერავი დაეხვია იმავ საღამოს ფართო საწოლზე გამსხლართულ კუმეოს, ტანფუხის ზომას უღებდნენ საკუჭნოდან ათასნაირი შემწვარი-მოხარჯულის სუნით ნერწყვმომდგარი თერძები. მთელ ლამაზ-ქალაქს აინტერესებდა, თავს გა-

ართმევდნენ თუ არა ასეთ ძნელ სამუშაოს — უძვირფასესი შარვალ-ხალათის ერთ ღამეში შეკერვას, ხოლო მეორე დღეს, დიდი ქორწილის დღეს ყვავილებით, ძვირფასი ფიჩქან-ღამბაქებით, ვერცხლეულით, ქსოვილებითა და მზა-ტანსაცმლით მისულმა სტუმრებმა დაასვენეს — ვერ მოუწერიათ... მაგრამ ცდებოდნენ — პირიქით, თერძებმა გათენებისთვის მოასწარეს ახალი სამოსის შეკერვა, საუბედუროდ, ვადამდე ხუთიოდ საათით აღრეც, რადგან გამოწყობილი კუმეო ამ დროის განმავლობაში ჯერ იყო და, უცაბედად ვაშლის ნამცხვარზე დაჭდა, მერე მუხლებზე უნებურად დაიქცია ვარდისფერი წყალი, პატარა ხანში ცხარე საწებელამოველებული „ქათმის წიხლიც“ შეერღზე დაუვარდა, მერე კი ძვირფასი ხალათის კალთებზე შეიწმინდა ღორისქონიანი თითები, „უშუალოა, — იძახდა გახარებული კონჩეტინა, — ტანსაცმელს არად აგდებს, სხვა კი, სხვა მაგის ადვილას, დაჰკანკალებოდა იქნება, ეგ კი — უშუალოა“. მაგრამ უძვირფასეს შარვალ-ხალათთან დაკავშირებული ფაფურაკები ავით არ დამთავრებულა — იგივე ხუთ საათში მეორე სატუზმისას კუმეო თაფლიან ღამბაქს დაეყრდნო იდაყვით, ხოლო ამ წუბოვანი ღაქის მოცილება ფქვილიანი თითებით სცადა. შემდგომ ძველი ჩვეულების თანახმად გულის ჯიბეში იტყუა მუავე კიტრი და პამიდორი, რომლებიდანაც სითხემ გარეთ, ზედ გულზე მიბნეულ მიხაკთან გამოჰყონა. დროდადრო ყოველივე ეს განელებული იყო წვრილ-წვრილი ფაფურაკებით, როგორცაა ორიოდ წვეთი მომწვანო და მოყვითალო წყალი, კირიან კედელზე მხრის გახახუნება, ვარდისფერი წყლით გაჰყვებოლს, შარვლის ღილებს შეკვრის დაეწყება და ასე. ასე რომ, თუმცა საზეიმო სუფრასთან შეკრებილ ღამაშ-ქალაქელებს ეგონათ, რომ თერძებმა თავი ვერ გაართვეს საქმეს, სინამდვილეში კუმეო ახალ, უძვირფასეს შარვალ-ხალათში გამოწყობილი იჭდა,

ამბობდა: „მადლობა, მადლობა, დიდი მადლობა“, და საჩუქრებს უფრფრე კაღის ქვეშ, სინათლეზე ათვალტრეკდნენ... სუფრის ხელმძღვანელად შვილიანი ახალგაზრდა კაცის არჩევა სიმბოლურად განიზრახეს — ვინსენტესი, ხოლო საპატიო ხელმძღვანელად დარბაისელი სენიორ ჯულიო დასახელეს, რომელსაც ვინსენტეს ნათქვამი სადღეგრძელო ზიარველს უნდა გაემეორებინა — ასეთი იყო წესი, სულ ბოლოს კი ჭიქა უნდა აეწია დუილიოს — დამაგვირგვინებელს — ვერ დააგვირგვინებდა, თუ რა. აჰ, რა არ გახლდათ — კალაბრიული ხბო და გოჭები, ძროხა და ცხვარი, ათასნაირად დამზადებული, შემწვარი მოშუშულ-მოხარშული, მრავალგვარი საწებლით, ღვინო და შუშხუნა, ნაირ-ნაირი ფერადი წყალი. და რა ნამცხვრები — ოთხი სახელოებაკამიწებული, ამ საქმეში სახელგანთქმული დედაკაცის ხელით მოზეილლ ათქვეფილი, შემკულ-შელამაზებული, ზედ კრემით გამოყვანილი კონჩეტინასა და მისი გულის ჭაბუკის პროფილით, „პატონებო და ქალბატონებო, ეს გაუმარჯოს...“ — ამბობდა ვინსენტე. პირველი სადღეგრძელო — ახალდაგებდნიერებულთა — საყელოშენებულმა სუფრის ხელმძღვანელმა თანაბარი რიხითა და მოწინებით შესვა, და საპატიო ხელმძღვანელთან დიდ სასმისს ამ სიტყვებით გადავიდა: „უმორჩილესად გთხოვთ, მიირთვათ თქვენ, ჩვენო უბატოვისმცემლესო, დარბაისელო სენიორ ჯულიო“. სუყველამ შესვა, რაღა თქმა უნდა, დუილიოშაც, როგორც იყო, დააგვირგვინა. მეორე სასმისით მარადუბერებელი ქალბატონის სადღეგრძელო ასწიეს, და, თვალტრემლიანს, მაინც ძალიან ესიამოვნა იმდენი ჭება, ხოლო ვინსენტემ ასე მიმართა საპატიო ხელმძღვანელს: „უმორჩილესად გთხოვთ, თქვენ, ჩვენო პატიუცემულო სენიორ ჯულიო“. სახელეწილი კონჩეტინა ბედნიერად უდიობდა ყველას, და შეყვარებულ მზერას დროდადრო გულის ჭაბუკისაგან გააპარებდა ხოლმე,

რომელიც, თავის მხრივ, ღიმილსა და თავის ქნევას არ ჰკარგავდა დროს — ჰამდა. მხიარულობდა ტულიო, ოხუნჯობდა, მთელ სუფრას აცინებდა. დაღონებული იღეპებოდა ედმონდო, ბოლოჯე მზერამიწებულთ. ნაზად წიწკნიდნენ ვარიებს მხიარული ქალიშვილები, სიღვიას ვერდით მოკალათებული ცილიო როზინასაკენ (აი იმისკენ, ჰალაში რომ იყო) აპარებდა თვალს, სტუმრებს ათვალეერებდა მგზავრი, დომენიო. დუილიო კი, ჰქუხდა... ახლადგაბედიერებულთ დროდადრო ამ შუა იანვარში დანასისხლად ნამოვენ ვარდებსა და მიხაკებს აყრიდნენ, თავზე, მაგრამ კონჩეტინამ შეშინებულმა წამოიძახა: „ვარდები მხოლოდ მე დამაყარეთ, ამას — მიხაკები!“ „რატომ, კონჩეტინა...“ — შეკრთა მამიდა არიანა. „იმიტომ, რომ ვარდი — ეკლიანია, და სახე რომ არ გაეკაწროს!“ კონჩეტინას არწმუნებდნენ, რომ არ შეიძლებოდა ეს, რომ ასეთი იყო წესი, რომ „შეუძლებელია,“ რომ „ეს ჯავშანს რას დააკლებს პაწია ეკალი“, მაგრამ კონჩეტინამ მაინც თავისი გაიტანა, კუმეომ კი არეულობით ისარგებლა და ხბოს ხორცი გაიტანა უბეში, მესამე სადღეგრძელოს შემდეგ ვინსენტეს წინადადებაში სიტყვა „უმორჩილესად“ შეიცვალა სიტყვით „ძალიან“ — „ძალიან გთხოვთ, თქვენ, ჩვენო პატრიცემული სენიორ ჯულიო...“ მეთთხე მამართვამში ამოვარდა სიტყვა „სენიორ“ — „გთხოვთ, თქვენ, ჩვენო პატრიცემული ჯულიო...“ მეხუთე სადღეგრძელო ტულიოს სიმღერამ „ნეტავი ჩიტად მაქცია“ — დამშვენა, მეშვიდე სადღეგრძელოს წარმოთქმისთანავე სკამზე იცეკვა თვალბამღვრეულმა ანტონიომ, კბილებში დანაგაჩრილმა, ვინსენტე კი მერვედ ასე გადავიდა სასმისს — „გთხოვთ, თქვენ, ჩემო ჯულიო...“ მეცხრე სადღეგრძელოში დიდის მოწიწებით მოიხსენიეს კარრასკოთა მთელს სახელგანთქმულ გვარში გარდაცვლილთა ხსოვნა, მაგრამ დააყოლეს შეუფერებელი სიმღერა: „გო-

გო მიდის მოხვეულში...“ საყელოგადელილმა ვინსენტემ მეათედღეუფერებდა: „აბა, ჯულიო, თქვენ ჩემს...“ მეთორმეტეზედ კი პერანგი ჰიამდე ჩაიხსნა და, სასმისი დიდის წვალებით რომ გამოსცალა, საპატო ხელმძღვანელისკენ ისროლა, კინაღამ თავში მოახვედრა დიდი ფილა და შეუძახა: — ვოეე, ჯულიო! შე ჩემა! — მერე კი ვინმე გრაციოზა მატირელის ძალიან უბწყინა. სუფრა აირია. იქვე, მაგიდაზე ეძინა კბილებში დანაგაჩრილ ანტონიოს, ედმონდო კი ყურში ჩასჩურჩულებდა — ვიამხანავოთ, მოდი, ვიამხანავოთ, რა... ერთმანეთს ჰკოცნიდნენ აბარბაცებული მამაკაცები, ყველა მღეროდა თითქმის, ვისაც როგორ შეეძლო და გალის კედლებს აწყდებოდნენ მამიდა არიანას დამფრთხალი იაღონები. კუმეომ პატარაძალს დიდი კალათა მოატანინა, ხარბად მოათვალეერა სუფრა... ცილიომ დრო იხელთა და როზინას (აი იმას, ჰალაში რომ იყო. არ გაუეჭირეთ საქმე ამ ერთი ჰალაში ყოფნით?), წასჩურჩულა — „რატომ აყოვნებ, აი, ხომ ხედავ, იანვარიც დადგა, ეამთასვლის ყველაზე ცივი დრო...“ ვილაც უტვლად გახდა, სასწრაფოდ გაიყვანეს, უშუალო კუმეო კი ეღვისებურად ალაგებდა საუკეთესო ნაჭრებს კალათში, ჰალათაშუა დაბორიალებდა ვინსენტე, რომელილაც ჰედმაძალმა სილაკ კი გაულაწუნა, მაგრამ ვინსენტე ვერაფერს მიხვდა, დაილოცა და სააწებდა მიყუდა პირზე. მერე ტურჩები ცოტათი შეეკვებულმა მოიწმინდა და მძინარე ცოლისძმის — ანტონიოს თმაზე შეიხოცა თითები — აჰ, დიდებული ქორწილი იყო, და, მასპინძელთა სასახელოდ, სუყველა დათერა დუილიოც კი ვეღარ აბამდა ურთულეს წინადადებებს თავს, მხოლოდ იძახდა: „წყაროდან ჰიქას... ჰიქას... დაამტვრიეთ, მაგის ოხერი...“ ვილაც სულწასული დაუპატიეებლად შემოეხეტა და იკითხა: „ბოდიში ხომ არ იცით რომელი საათია? უჰ, ქორწილი ყოფილა? წავალ, წავალ...“ „აჰ, არა,

არა, დაბრძანდით, დაბრძანდით, სად იყავით აქამდე..." „ჯარიმა მაგას!“ — ჰქუხდა ვინსენტე. „იცი, რა კარგი ამბავი მოგიყვებ? თურმე ერთმა... — ერთრჩულებოდა მძინარე ანტონიოს გამოცოცხლებული ედმონდო, — ხოლო იგი სულ გადაიკარგა... გვიგე? ხედავ? წარმოგიდგენია?“ ვილაცა მთვრალმა დომენიკოს ქონიანი ტუჩებით ყელზე აკოცა და მერე მდიდრულ, ძველებურ, უზარმაზარ კარადაში შევიდა — კარებში აერია და, შარვლის დიღებზე ხელწატანებული, დროით გამთათრის. ხოლო როცა რომელიღაც პატივცემულ ლამაზ-ქალაქელს მარადუბერებელმა ქალბატონმა ჰკითხა: „არაფერი გადაგლიათ... მშვენი დარჩით, არა?“ — იმან ხეზრდილობიანი აღშფოთებით პასუხის გაცემა სცადა, რაც სიტყვებით ასე გამოიხატა: „როგორ გეკადრებათ, ჰეი... როგორ არ გადავიღე, რას მიჰქარავთ, ქალბატონო...“ ბევრმა თვალგელამებულმა ლამაზ-ქალაქელმა გაკვირვებით აღმოაჩინა, რომ კუმეოს ტყუპის ცალი ჰყოლია, და, ჰოი, სიბთვრალის დენე საკვირველებავ — ყველას ჰყოლია თურმე ტყუპისცალი — მერე რა, დიდი ამბავი... და როცა ახლადგაბენდიერებულთა განმარტოების უამრავ მოაღწია — „სა-აღამოს თერთმეტი საათია და...“ — უბედნიერესი კონჩეტინა გულის ჰაბუკის მარცხენა მკლავს დაეყრდნო, მეორე ხელით კი ნეფეს საწოლ ოთახში ხორავით სავსე კალათა მიჰქონდა. და როცა კარი მიიხურა, მამიდა არიანამ თავში ფრთხილად შემოირტყა ხელი და წარმოსთქვა: — ჰოი, განგებავს ეს უპირატყვესთავანი — თვით დიდი ბენჯამინო კარრასკოს სარეცელზე!

ქორწილი დამთავრდა.

იმავე ღამით დომენიკო ტერეზას სახლთან მიმარბაცდა, დიდხანს აბრაზუნდა, მაგრამ ქალმა მაინც არ გაუღო კარი. მთვრალმა, არტუროს სახლისკენ ქანაობით გასწია, დღისით — ბევრი არაფერი ახსოვდა, მხოლოდ ცოტათი

ტკიოდა მხარი. გაბრუებულმა, წყალი შეისხა პირზე, გააქრკოლა, „ჩემილომა, რამე თუ მოუნდეს, უკვე დუქნაში ვაბრო,“ — გადასცა ჩანჯაკომომ. ჩამწვარ ყელს ისე მოუნდა შეშხუნა, სურვილისაგან დაბურჭვლა კიდეც მაშინვე მხრებზე მოიგდო ლურჯი მოსასხამი, ტულისკენ გაემართა, ის კი გზად შეხვდა, „კარგია, არა, ახლა შეშხუნა? — ჰკითხა ტულომ, — ფული რომ არ მაქვს.“ „შე მაქვს, წამოდი...“ „ოოო, ოო... — ხელები მოიფშენიტა ტულომ, — წავიღეთ, ჩქარა...“ ამ ზამთრის დილით, დილაადრიან, სუსხიანი ქარი დაეხეტებოდა ლამაზ-ქალაქის დაკლავნილ ქუჩებში, თვალმოკუტუნნი, გამალეებით მიაბიჯებდნენ არტუროს დუქნისაკენ, მაგრამ უცერად წინ ვილაც გადაუხტათ:

— გამარჯობათ, აღამიანო...

თავი ასწიეს — ალექსანდრო ვახლდათ. „იპ,“ — ხელი ჩაიქნია ტულომ და აუარა, მაგრამ ალექსანდრომ მაშინვე დაადგინა:

— ამ ქუჩის ბოლოს სამი კამორელი დგას.

— ვინ? — მკისე შედგა ტულით და დომენიკოსაც ხელი სტაცა.

— კამორელებია. ერთი — მასიმო, ორი კიდეც სხვა.

— ფუი, მაგათი... — ძალიან ხმადაბლა, ფრთხილად ჩაილაპარაკა ტულომ, — სად მივფვაროთ.

— აგერ, აქ დადგეთ, აღამიანებო, — ურჩია ალექსანდრომ — ათიოდ წუთში სერვილით შეგროვილ ფულს მიუბრუნებებს და წაელენ.

— როგორ გავივოთ... რა დროს ეგვნი იყვნენ!

— რა იყო, გეჩქარებოდა სადმე?

— შეშხუნა უნდა დაგველია.

— ნუ გეშინია, მაგასაც მოესწრებო. იმათ წასვლასაც მაშინვე გავიგებთ — ლანდოთი არიან.

— ჰო, მართლა, — გაეხარდა ტულის, — თუ აქვე დგანან, ლანდოს ხმას მაშინვე გავიგებთ.

— ჰოოო, იდექი... იცი, ტულო,

რაა საჭირო? — პირდაპირ საქმეზე ვადვიდა ალექსანდრო, — თუ გინდა, ვინმე ძნელ პიროვნებასთან რაიმეს მივალწით, მესამე კაცია საჭირო.

— ვინ მესამე...

— ამ შემთხვევაში — შენ.

ტულიომ აღმაცერად ახედა.

— ჰო, ჰო, რას მიყურებ, მესამე კაცია საჭირო. შენ და ეს ბიჭი, ასე თუ ისე, ძალიან საშიშარნი არ ხართ, და მესამე კაცად კი იმიტომა ხარ საჭირო, ვინმე ხნელ პიროვნებას შენი მეშვეობით ის დიდი ამბავი რომ ვუამბო. თქვენ კი ყური უნდა დამიგდოთ, იმასთან ერთად — არც თქვენ არ გაწყენთ.

— მომეშვი ერთი, თუ კაცი ხარ... ფუჰ, როგორ ცივა.

— ყურს თუ არ დამიგდებ, ისეთ ყვირილს გავაბამ, ისეთს, სამივე აქ გაჩნდება, — დაეშუქრა ალექსანდრო, — ახლა ხომ მაინც გამოგვიჩივ. ჰოოდა, მაშინ, რომელიმე ძნელი პიროვნება დამისახელე.

— რინალდო გამოგადგება?

— დიახ.

— რინალდო!

— კი ბატონო, რინალდო იყოს — მაგაზე კარგს, ესე იგი — ოხერს, სხვას ვის მეტყობდი, ნამდვილად დასალაპარაკებელია, გაფუჭებულ-გათახსირებულნი. ახლა აღბათ ისიც ჩვენსავეითა გეტრუნული სადმე, მაგრამ მერე, ლანდო რომ წავა, ოჰოჰო, როგორ გაიბღინებ? — ოხერი კია, დიდი ოხერი... ჰოდა, ვცხოვრობთ მე და რინალდო ერთდროულად, ამ მრავლისმომსწრე დედამიწის ზურგზე და რამდენიც არ უნდა ვეჩიხინო, ის მაინც ისეთი აჩნება, როგორც არის ქალაქის მოთამაშე, ქალეხის მუსუსი, ორპირი და გაიძვერა, თანაც გაბღენძილი. როგორც არ უნდა ვეჭაქანო, ჩემს დარიგებას ერთ ყურში შეუშვებს და მეორეში გამოუშვებს — წავა, ითამაშებს, ან მოიგებს, უფრო, რა თქმა უნდა, მოიგებს — გაქნილია, ოხერი — და კერძო გაისვირ-გამოისვირებს გლახა ქალებში. ახლა, ვთქვათ, შეგხვდით მე

რინალდოს და ვეუბნები, როგორც წესი და რიგია: გამარჯობა, რინალდო. იგი დამცინავად ამთვალეერებს და მეტყვის — ობატონ ალექსანდრო ბიძიას სალაში და გამარჯვება, ქეიფში როგორ ბრძანდებით? მე ცოტათი ნაწყენ სახეს მივიღებ და ვეტყვი: გაჩერდი, რინალდო, ხომ იცი, რომ არა ესვამ... ოჰ! — გაიცინებს იგი — პატარა დალიე, არაფერი ვიჭირს, ქვეყანა სვამს და შენ რა დაგემართა, ცოტა სასმელი მარგებელია. წარმოგიდგენიათ, ტულიო და ეე... დომენიკო? აქეთ დამიწყებს ჰეუს დარიგებას, ნუ, მოვიყრებ და ვეტყვი — მოოდი, რინალდო, ბაღში შევიდეთ, ვილაპარაკოთ, ვისაუბროთ, წავიბაასოთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ვიქუეკუეკოთ, წამოდი რაა?! — შეგხვებუნება. იგი კი მეტყვის — ოჰ, ალექსანდრო ბიძია, რომ არა მცალია? ქალს უნდა შეგხვდე და ქალაქში გავსაეირნო, რომ არ მივიდე, ქვეყანას დააქცევს ტირილით... წამოდი, წამოდი, რინალდო, დაუჩემებ მე, შენ ისეთი ყაიღის ადამიანი ხარ, დღისით ქალს ქუჩაში არ გასაეირნებ, ღამე რომ იყოს და ბნელ ოთახში შეიყვანო, იცოცხლე, დაგიჩერებ, მაგრამ ახლა... წამოდი, რინალდო, წამოდი... არ მოგებურდა ამდენი ფულზე თამაში? გაეთრიე აქედან შე ვირო ვირიშვილო, — მომიგებს ამაზე გაცხარებული იგი, — ჩქარა გამეცალე, მინამ ლამაზი ხარ... და თვითონვე წავამე კი აღგიღზე მყარად დავჩრები და მივაქახებ — ნუ მიდიხარ, ნუ-უ, რინალდო, რად გინდა სხვისი ფული... რინალდო მომიყრებებს, ძალიან გაბრაზდება და მერე მაინც ღიმილით გაიფიქრებს — თქვა რა! — ფული ყველა სხვისია... და თვალს მიეფარება. ისე კი, სიმაართლე რომ იფიქვას, ამ ბრუნდე, და გამოსასწორებელ ქვეყანაზე ჩერ არ გამოუგონიათ ისეთი ფული, რომელიც ვინმესი იყოს. და, მითუმეტეს, გათამაშებულნი: მოიგებ — სხვისია, წააგებ და — ხომ სხვისია და სხვისი. და, საერთოდაც, ქვეყნად არსებულ ხელშესახები ნივთებიდან ძალიან ცოტა,

შეძლება ითქვას სულ არაფერია ისეთი რამ, ვინმესი იყოს... მაგრამ ძააა-ლიან ცოტამ ვიცით ეს. დიდი ბოდნიში, რომ გადავუსხვიე, ახლა კი, ტულოი ჩემო, ვთქვათ, სწორედ შენა ხარ შემო-აღნიშნული მესამე. დიდხანს ვიფიქრე და დავასკენი, რომ მესამე კაცი აუცი-ლებელია. შენ ახალგაზრდა ხარ, ლამაზი, მოქნილი, წარმოსადგეგი, ადამიანმა რომ შეგხედოს, — გეხარდება, სუფ-რანზე კოხტა სიმღერა იცი, სიტყვა ვი-ჭრის, ფულიც გაქვს ჭერჭერობით და ყოველივე ამ სისულელებების გამო ლა-მაზ-ქალაქში დიდად გაფასებენ. შენ ახლოსა ხარ რინალდოსთან, ყური და-მიგდე — მიხვალ იმასთან და ეტყვი: წამოდი, რინალდო, დიდ ბაღში, შემწ-ვარი წაბლი ექამოთ. სწორედ ავრე უთხარ, მარტივი დაკვირვების შედე-გად მე შევამჩნიე, რომ რინალდოს უყვარს შემწვარი წაბლი. იგი წამოიყ-ვება, ბაღში გრძელ მერხზე დასხდე-ბით, მუხლს გაშლით, სუფთა პაე-რით ისუნთქებთ, შემწვარ წაბლს მი-ირთმევთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, კარგ ხასიათზე დადგებით, და სწო-რედ ამ დროს გამოუჩნდები მე — ვიითომ სულ სხვაგან მივდივარ, შენ კი თითქოსდა უნებურად თვალს მომკრავ და დამიძახებ, მე თქვენსავე წამოვალ, რინალდო კი გეტყვის — გა-დაგდე აქედან, მაგისი ოხერი... შენ მსწრაფლ მიუგე — რა მოხდა, მოვი-დეს, ნუ ვაუწყრები, თავისი გაჭი-რებაც ეყოფა... სხვათაშორის, ეგ გა-მოთქმა ძალიან ურბილებს ადამიანებს გულს — „თავისი გაჭირვება ეყოფა...“ მე მოვალ, თავაზიანად მოგესალმებით, როგორც წესი და რიგია მერე კი შენ მკითხე: რას გვეტყვი ახალს? მე იქვე მოვიგებ — ახალი არაფერი ვიცი, თუ გინდა, ძველს გეტყვი... მიდი აბა, ვის-მენათ, დაცხე, მითხარი შენ და მაშინვე დავიწყებ... თუ გინდა, დროდადრო თვალიც ჩაუყარი, ასე ინტერესი უფრო გაუღვივდება. შევეთანხმდით, ტულოი? ა, მესამე კაცი...

— თავი გამანებივრე ერთი...

— ჩვენში ესე? — გული დასწყდა ალექსანდროს.

— „ჩვენში“ რა — რომელს ეხება ები ვართ შენ და მე.

— ძმაკაცებზე მეტი არა ვართ? — ადამიანები ვართ... ეეჰ, ტულოი, ტუ-ლიო, — თავის კანტურს მოჰყვა ალექ-სანდრო, — ოღონდ ეს საქმე გამოიკეთე და აი, ამას გაჩუქებ.

— ოჰ, ვისია? — აოელდა ტულოი.

— ჩემია, ვისი იქნება.

საოცრად ლამაზი სათამაშო გახლდათ — მინის მუშტისოდენა ბურთში პა-წია ირემი, შველი და სამი ნაძვი იდგა. ბურთს ოდნევე თუ შეარხვედი, ფსკერ-ზე დაღეჭილი თეთრი ნამცეცები ზე-მით აიჭრებოდნენ. მერე კი ძალიან ნელა ეშვებოდნენ დაბლა და ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს ლამაზად თოვდა.

— ზაფხულში მეტი ფასი ექნება, — შეაგულიანა ალექსანდრომ, — აბა, აიღე, ვინმეს აჩუქებ. რინალდოსთან ხომ მალაპარაკებ...

— კი.

— ეჰ, მოულოდნელად მოიწყინა ალექსანდრომ, — შენისთანა მესამე რა ვთქვი, მაგრამ რა ვნა მაქვს... ისე კი, ნამდვილად არასწორი გამოთქმაა, რომ მითხარი ვინაა შენდამხანაგი და...

სანამ ტულოი ნათქვამს გაიზიარებდა, ალექსანდრომ თქვა:

— აიი, ის რომ აქ იყოს, ჩემი უფრო-სი ძმა, ო... იმისთანა მესამე საერთოდ არ დაბადებულა. მე რომ ასეთი დადე-ბითი ვარ, მერე საღ — თქვეენში, სულ იმისი დამსახურებაა, მე არაფერ შეუძლია ვარ. ისე კი, ერთი სული მაქვს, ახლავე გიამბოთ ის ამბავი, მაგრამ მე-რე სჯობს, რინალდოსთან ერთად რომ იქნები... უნდა მოვითმინო, რა ვქნა მო-თმინება წარმატების დედაო და... ეს თუმცა საკმაოდ ბრიყვეული გამოხატუ-ვაშია, მაგრამ მაინც ასეა... ხანდახან. ოჰ, დომენიკო, — და თეთრი ძაფი ააკილა მხრიდან, — ვიდაც თოვლას-ფერი გოგო დაგდევს, ფრთხილად იყა-ვი, ბიჭი-კო...

* * *

კალაბრიელ გლეს დიდი ტომარა ვედო მზარზე და მძიმედ მიბიჯებდა. სუთიოდე წლის ბიჭი მისდევდა. შვილი თუ შვილიშვილი, თავისთვის მიდიოდნენ, მაგრამ ჭეჩის თავში სამი კაცი ატუშულიყო. ცოტათი ნახვამები იყვნენ, ორ დაბალ კაცს უფრო დასტუბოდა სასმელი, მესამე კი, საოცრად ღამაზი, ახალგაზრდა კაცი, ფეხზე მყარად იდგა. კალაბრიელი გლესი შეჩერდა, მაგრამ ისინი მაშინვე ფეხაერეფით წამოვიდნენ მისკენ სოფელს რომ გაუსწორდნენ. ერთ-ერთი დაბალი ტომარას სწედა და შეაჯანჯლარა. ვაკვირებულნი სოფლელი უცნობს შესცქეროდა, იმან კი აიღო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაარტყა. სოფლელი დამარბაცდა, შემერთაღმა, ბავშვს მოხვია ხელი, ვაცლა დააპირა, მაგრამ მეორე დაბალმა სოფლელი გააჩერა და მრისხანედ შეაქტერდა პირველს:

— რა გინდოდა, რას ერჩოდო, მიდის კაცი თავისთვის, თავის გზაზე...

სოფლელი მადლიერი სახით შესცქეროდა.

— ასეთი მძიმე ტვირთი მიაქვს და... ტომარაში რა გაქვს? ბაზა? სხვა არაფერი?.. ჰოდა, რას ერჩოდო, მიდის კაცი თავის გზაზე და შენ რაღაც ორი ჰქვამ დალიე და ვერ მოგინელბია. იცნობ, გიცნობს, თუ რა? მაინც რა დაგიშავა, ასე უმიზეზოდ რომ... — და უცებ მოლაპარაკე მკვეთრად შეტრიალდა, ხელი ღონიერად გააქნია და სოფელს გაარტყა. დარტყმა ძალიან მოულოდნელი და ძლიერი აღმოჩნდა, სოფელელმა თავი მიანარცხა კედელს და იქვე ჩაიკეცა. ბავშვი ღრიალით გადაეშინო, საბრძოლბლად ტიროდა და დროდადრო ამოხედავდა სამთავეს. ღამაზი ახალგაზრდა კი ვაფითოდა. ცხვირსახოცი წყალს შეუშვირა და სახე დაუხილა სოფლელს. თვალი გაახელინა თუ არა, ახალგაზრდა დამშვიდდა, სული მოთქვა, მერე მეორე დაბალ კაცთან მივიდა და სველღოში ისე მაგრად ჩასჭიდა თითები, დიღები დააწყვიტა.

— ნაგავო! — უთხრა ახალგაზრდა და საოცრად მოუხდა, ძალიან რომ გავფითრდა, — ყველაფრის, ნება გაქვს, იცოდე, ყველაფრის, მაგრამ აღამიანს შეილა რომ ახლავს, ისიც მცარეწლოვანი, მართლა მზეცი უნდა იყო, ასე მუხანათურად რომ გაარტყა. თანაც უმიზეზოდ...

სოფლელი კედელს მიყრდნობოდა და თვლებს თუმცა უაზროდ ახამამებდა, მაინც შეეცყო, ახალგაზრდის ნათქვამი რომ ესიაოცნა.

— ის კაცი შევარცხენე, ვინც თქვენთან ერთად კიდევ დალიოს, თქვე... — და, საჭირო სიტყვა რომ ვეღარ მოქებნა, დიხარა, ვაცრეცილო, ღარიბული ჭედი აიღო და თავზე დაადო სოფლელს.

— ეჰ, ბიძაჩემო, ეს თითისტოლა ბავშვი ამოდენა გზაზე რატომ წამოიყვანე...

— ცოლი ავად მყავს... ვერაფის დავუტოვე... კვდება... — ძლივს თქვა სოფლელმა.

— რას ამბობ, კაცო, და ნუთუ ვერაფის დავუტოვე? არაფინა გყავს? და ამ ქალაქში რაღა გინდოდა, ხომ იცი, აქეთ რა ხალხია — ათასი ოხერი... ყველაფერს უნდა მოელოდე აღამიანი ქალაქელების ხელში...

და უცებ იმანაც გაარტყა.

სოფლელი გულაღმა გადავარდა, დაბლებმა ტაში შემოჰკერეს და წაქცეულს ინტერესით რომ დააჩერდნენ, ახალგაზრდა კაცმა ისარგებლა და თითებიდან შეუმჩნეველად წაიძრო ნახერტებიანი რკინა. სოფლელს ღოყა გაპოხილი ჰქონდა, სისხლი სდიოდა.

— მართლა მავარი ხელი გქონია, მზაო, — თქვა მეორე დაბალმა.

— რა, აქამდე არ იცოდო? — ხმამაღლა ჰკითხა პირველმა, — ჩემ მტერს მოხვდა ამისი ხელი.

ახალგაზრდა თავშეკავებულად იღიმებოდა. მერე სამთავე წავიდა, ისევ ჭეჩის თავში დადგნენ.

პატარა ბიჭმა ჭედი წყლით აავსო და

მამას სახეზე დაასხა. სოფელელმა ძლივს გაახილა თვალი. ვაჭირვებით წამოჭდა, ხელისგული მიიღო ლოყაზე და თვალდახუტული აეცნესდა. პატარა ბიჭმა ისევ მიუტანა წყალი, ჩემად ზღუტუნებდა და მხრები უძიგძიგებდა. სოფელი კარგა ხნის შემდეგ რის ვაი-ვაგლახით წამოდგა და გაბრუებულმა, დასისხლიანებულმა განაგრძო გზა, მხრებზე ისევ დიდი ტომარა ედო. პატარა ბიჭი ერთიანად კანკალებდა და დროდადრო შიშით იხედებოდა.

ლამაზ, მაღალ ახალგაზრდა კაცს მასიმო ერჭვა.

კამორელები იყვნენ.

— ისე კი, ამ სათამაშოს მერე მიიღებ, — გადაიფიქრა ალექსანდრომ, — ჯერ რინალდოს დამალაპარაკე და...

— რა, არა გჯერა ჩემი?

— რა თქმა უნდა — არა. მერე კი აუცილებლად მიიღებ...

— კი მაგრამ, ამ შუა ზამთარში ბაღში რა დამსვენებ...

— ახლა გაგახსენდა, არა, სათამაშო რომ გამოგართვი... თბილი დღე შევარჩიოთ, ახლავე დაეტქვათ — პირველსავე თბილ დღეს, ზუსტად ორ საათზე, ბაღთან... მოვიდა?

— კარგი, — თქვა ტულიომ და ყურები დაეჭვიტა, — აი, მიდიან!

სადღაც აგრუხუნდა ლანდო, მერე კი თანდათან მიწყდა.

— ძლივს არ წაუვიდნენ? აიი, ჯანდაბას მაგათი თავი და ტანი — სულ გადამეწევა ყელი. წამო, დომენიკო... ოჰ, სერვილიო, რა ქენი, ვაისტუმრე?

— კი.

— ისევ ხომ არ მობრუნდებიან?..

— არა, ჯერ არა — გაზაფხულამდე.

— მართლა? თუმცა, რაღა დარჩა...

წამო სერვილიო, შუშხუნაზე დაგვეწვიე.

— სიამოვნებით... თქვენი სამი დრაჰკანი არტურომ გადაიხადა.

— ჩემი? — გაოცდა დომენიკო.

— დიახ.

— ჩემი... მე რატომ... რა შუაში ვარ... არა, ფული კი არ მენანებ... მამაკაცმა რაღაც შეცდომაა.

— აჰ, ჯერ არ იცის?

— არა, არ იცის, დუქანში აფუხსნათ... წავიდეთ, მოგვედი... — თქვა ტულიომ და აფორიაქდა, — რაღას ვუდგავართ, წავედით, რაღა...

ხანდახან თოვდა ლამაზ-ქალაქში, და ფარნის შუქზე ავეცხებულ ფიჭვებს დაუდევრად ათვლიერებდა დომენიკო. დაფიქრებული, ამ უცხო სახლში, უცხო ქალაქში, ფანჯარასთან იდგა... მკრთალად ბეუტავდა ვიწრო ფანჯრები, საკვამურიდან ცისკენ ხრჩოლავდა, საღამოობით მსუბუქდებოდა ცისფერი ბოლი... საღამოობით, დიდი ბუნჩის წინ იჭდა, ცეცხლისკენ გადახრილი, და ცეცხლმოდებულ, სიმსურვალით გაყრიანებულ ტოტს შესცქეროდა, და ნაკვერჩხლებიც დროდადრო იშუშუნებოდნენ აღში. ამ გრძელ, გაჭიმულ საღამოობით, რაღაც უნდოდა, რაღაცა სურდა, იმ ტერეზაზე ვრცელი და მეტი... და არ იცოდა. ფარნის მკრთალ შუქზე იმ ბუნდოვანი სურვილის გამო ერთხელ დოქი გადაადგოდა, თავდაყირა დადგა კიჭა, წყალი დაღვარა თეთრ სუფრაზე, უღიმვამო ნაცრისფერი ლაქა, მაგრამ ისიც კი, ისიც, რაღაცას ჰვავდა... დილდოობით, ნათელი იდგა. ნორჩ ჯანჯაკომოს ამოჭონდა შუშა, ხმელი ტოტებით ცეცხლს აჩაღებდა, სითბო დატრიალდებოდა ოთახში, ცეცხლზე ტანსაცმელს უთბობდა ჯანჯაკომო, ცოტათი რცხვენოდა, დომენიკოსაც რცხვენოდა ცოტა, მაგრამ ლოგინში ჩამთბარ ბეჭებზე იმ გაყინულ ხალათს რა ჩააცმევდა... ხანდახან ქალაქგარეთ, მდინარისპირა ვალაშა ქუჩადულად მიიპარებოდა, მომცრო ნიჩბით ხელში, და დრაჰკანებით ივსებდა ჯიბეს. ქორწილსა თუ დღეობებში, ბუნდოვან სიამაყეს ვრჩანობდა — საჩუქრად მუდამ ჰქონდა დრაჰკანი. სასურველი სტუმარი იყო, რჯახში შესულს, თავაზიანად უღიმოდნენ,

ტულიო ყველგან დაატარებდა. მაგრამ რაღაცის მძაფრი სურვილი, დროდადრო ამაფორიაქებელი, დაობებული ზედაპირის მოშორებას ცდილობდა და ზამთრის გრძელ, ბნელ სადამოობით უფრო აწვალებდა. რაღას ჰგავდა — თიხისგან ცხვისა თუ ცხენის გამოძერწვას, რაღაც უცხო ხმებს, თუ არ მსგავს სიტყვას, მღვრიე დინებას, რაღაცას ჰგავდა... და იმ მხიარულ ღვინის სმაშიაც მოწყენილი იქნა, რაღაც უცხოდ გარიყული, გრილი სიმარტოვის დამლით, და კიდევ კარგი. ტერეზა ჰყავდა, ასე, სამიოდ ღღეში ერთხელ, ისე ღონივრად, ისე ძლიერად ბღღვილებდა სუსტი ფარანი. იმ მაღალ კიბეს აივლიდა, „მოდი, ცილიო, მოდი, — ამბობდა ქალი, სარკის წინ ივარცხნიდა გრძელ, ჩანჩქერივით თმას, — როდნ ჭერ საჩემლის ფარანი ჩააჭრე, იბიჭიც არ მოვიდეს, სოფლელი, დომენიკო...“ ეღღანაცემი, ღია კართან შეჩერდებოდა და გაოგნებული შესტყუროდა ზურგშეკცეულ ქალს, „წუხელ ისევ სილვიასთან დავინახე, რანაირი ხარ ცილიო, იცი? აკი მხოლოდ მენო, რად არა მკოცნი...“ გაშტერებული, ყურს არ უჯერებდა. „სილვიას თავს თუ არ დაანებებ, აღარ მოგიშვებ, იცოდე, მართლა: ჰო, მართლა, სადღაც კუთხეში უშუშუნები დგას, სოფლელმა მომართვა, გახსენი ერთი... და არც გამოიხედავდა, ისე დააყოლებდა, — გახსენი, ჰო, ჰო, გახსენო, შენ გუებუნებთან, შტერო, დომენიკო...“ და შემობრუნდებოდა, სკამზე ერთს კი შეიფრთხილებდა, სწრაფი, მსუბუქი ნაბიჯით მიაფრინდებოდა, კისერზე ჩამოეკიდებოდა, აკოცებდა და თან კისკისებდა: „ხომ გაგაგიფე, ბიჭო, დომენიკო...“ ჭერ კიდევ გაოგნებულს, თვალეზში კოცნიდა, ქუდს გადაუდგებდა თავიდან, რბილ თმას უწეწდა — „სულელი, შტერი...“ და საბოლოოდ მიმხვდარი დომენიკო გაღიმებულ ქალს, იმ საოცარი ღიმილისას მხოლოდ ცალ ლო-

ყაზე რომ უჩნდებოდა პაწია ფოსო, უბედნიერესი საყვედურით, მიაჭერდებოდა — ქალი, ტერეზა, თვალეზშიცა გახლდათ.

„ღამის ორი საათია და...“

ჩელი ბეშვეები ნაშუადღევს საყვიროდ გამოჰყავდათ, სეირნობდა უგოც, ხის მოკლე დანით ხელში, ისეც მზერაამღვრეული, აბუტბუტებული, თბილ დღეს უცდიდა ტულიო და წამდაუწყუმ ის მშვენიერი სათამაშო ასხენდებოდა, ხოლო კარასკოების ოჯახში მისული სტუმრები კემეოს რომ მოიკითხავდნენ, მაშიდა არიანდა ამბობდა: „ისვენებს, ისვენებს, ახლაცე გამოვა...“ ლოყებზე ხელისგულემიხუტებული კონჩეტინა კი ყავისფერ ოცნებებში წასულ მხიარულ ქალიშვილებს ასე ეუბნებოდა: „აჰ, სიყვარული!.. ეს რა ყოფილა... გათხოვდით, გათხოვდით, გათხოვდით, ჩქარა!“ და მხიარული ქალიშვილებიც ისე ძალიან დაინტერესდნენ, რომ ანტონიოს მშობლებმა მდგომარეობით ისარგებლეს და თავიანთ ერთადერთ ვაჟიშვილს ორიოდ კვირამი შერთეს ერთ-ერთი მხიარული ქალიშვილი.

კალაბრიული გოჭი და ცხვარი, ხბო, თხა, წიწილა... და ნათესაური გრძნობით აღვსილმა ვინსენტემ საყელო კარვალ შეიბნია, ზედ კარებთანვე ხვდებოდა სტუმრებს. თითო ფინჯანი, ჰიჭა, ლამბაჭი, ვერცხლის თასი და ქუდი — საჩუქრად. ხუთი დრაჰკანიც! მთელი ქონება — ტულიოსა და დომენიკოს გან.

მილოცვისას მამაკაცები უფრო პატარძლის კოცნას ლამობდნენ, მხოლოდ ედმონდო ემთხვია გრძელი, წებოვანი კოცნით ნეფეს. მეხუთე სასმისზე „ნეტავი ჩი-ტად მაქცია“ დასტეკეს და ძია დუილიოს გრძელი, ვრცელი, მრავალაზროვანი დალოცვა „ახლად შესალები“ ცხოვრების კართან აავგუ-

ნეს... იმდენ ხალხში მხოლოდ ნეფე, დუილიო და ვინსენტე არ სვამდნენ. ერთი პირობა ჯუზეპემ აურია ცოტა. მაგრამ დინომ შეხედა თვალში. სხვები კი დათვრნენ, ალიაქოთი, აურზაური შეიქმნა, ედმონდოსაც კი ორჯერ აკოცეს, ძვლებს თვალდახუჭული ღრღინი და ეუმეო, გოკის თავს კბილებით ჩაფრენილი, კონჩეტინა კი წამდაუწყემ უვსებდა ჭიქას ვარდისფერი წყალით. თეთრ ხორცს ციკქნიდა მამიდა არიადნა, უბერებელი, ხოლო როდესაც ვასკო გაახსენდა, ცხარე საწებელა გადაიღო თეფშზე, რაღაცას ჩალიჩობდნენ ერთმანეთს მიკრული სიღვია და ცილიო, თავშეკავებულად იღიმებოდა გალიზიანებული ვინსენტე, „რატომ არავინ არ გასინჯეთ ფხალი,“ დაუსრულებრივ გაიძახოდა დიასახლსი — ანტონიოს დედა, შემთვრალ სტუმრებს კი შეუმჩნეველად გაეპარა დარბაისელი სენიორ ჯულიო, რომელიც დიდის მოწიწებით გააცილა ვინსენტემ, ოჯახის ახლო ნათესავმა, სიძემ. ყაყანი იღვა, ხოლო როცა ახლადგამდნეირებულნი, საწოლი ოთახისაკენ გაეშურნენ, ქეიფის ბოლო მონაკვეთში ორიოდ ჭიქით ოდნავ, სულ ოდნავ შემთვრალმა დუილიომ, როგორც იყო, ნეფეს მკლავში გამოსდო მკლავი, შეაჩერა, თავი დაახრევინა, ფეხისწვერებზე აიწია და რაღაცა უთხრა ყურში. თავდახრილი ანტონიო დიდის გულისყურით უსმენდა, მერე უცებ გაიშარა და აღუთქვა: „არა, არა, დუილიო ბიძია, მხეცი კი არ ვარ...“ „ჰოო, ეგ ერთი, და სავსებით მოულოდნელად თუ...“ — განაგრძო მრჩეველმა, ანტონიომ ისევ დახარა თავი, დუილიო კი კვლავ ფეხისწვერებზე შედგა. რაღაცას ეჩურჩულებოდა ყურში, დაძაბული ანტონიო სრულებით

ვერ აღიქვამდა სკამზე მიყუდებულ ელაციეს ჭრელ ქოლგას, მოხრილი თავსაღებგაფართოვებელი, უნებურად რომ მიჩერებოდა, თავით-ფეხამდე — ყურადღება იყო და უცებ მაღლა ასწიეს თავი, ერთმანეთს შეხედეს: „აჰ, არა, არა, პირუტყვი კი არა ვარ...“ „დაიცა, კიდევ...“ — განაგრძო წინასასარეცლო დარიგება სენიორ დუილიომ. ისევ დაახრევინა თავი. „აჰ, არა, არა, რა თქმა უნდა, არა, — იძახდა ანტონიო, მაგას როგორ ვიზამ, ნადირი კი არა ვარ...“ „ჰო, მართლა, და აი კიდევ როცა... ვთქვათ, მოულოდნელად...“ და ისევ უნებურად შესცქეროდა ქოლგას ანტონიო. ისევ ფეხისწვერებზე შემდგარი ჩასჩურჩულებდა რომელიღაც საწინასარეცლო დარიგებას დუილიო, და უცებ რაღაც ისეთი უთხრა, ანტონიო მშვილდვით გაიშარა და თითქოს ოდნავ შეხტა კიდევ. — „აჰ, არა, არა, როგორ გეკადრებათ, დუილიო ბიძია, ცხოველი კი არ ვარ...“ მაგრამ აქ პატარძალი მაინც შეშინდა, გაფითრებული იღვა ერთხანს, მერე კი ისკუპა და სულ სხვა კარისაკენ — ქუჩაში გასასვლელ კარისკენ თავგვირგვინმოგლეჯილი გაიქცა. მაგრამ ნათესავეები დროულად გადაელოზნენ, იმ ვაწამაწიაში ღილაწყვეტილმა ვინსენტემ თმაში სტაცა ხელი... ზამთრის თამაშები... დიდი ზამთარი იწურებოდა.

და აფორიაქებულმა დომენიკომ როგორც იყო და რომ მოახერხა, ტერეზას უთხრა: „ცოლად წამომყვევი, კარგი?“ ის კი დომენიკოსკენ შემობრუნდა, ცალი ხელით დომიჩი შემოიყარა, უკან გადაიხარა, მეორე ხელი კი განცვიფრებულმა მიაშვირა და შიშითაც კი წამოიძახა: — გაგიღვი? ძალიან გინდა, ერთმანეთი დაკვარვით, ბიჭო?!

თ ა ვ ი I I I

გაზაფხულის თამაშები

ამბავი თერთმეტი წლის მკვლელზე



— ხანდახან დიდი უცნაური ამბები ხდება, რინალდო-ჩემო, დიდი უცნაური... — თქვე ალექსანდრომ, პირველი თბილი დღე იყო, ბაღში, გრძელ მერხზე ისხდნენ, ალექსანდრო კი იღვა, საუბრობდა, და მთქნარებაატეხილი ტულის დასანახად დროდადრო ჯიბეზე მიიტყაპუნებდა ხელს, რომელშიაც ის სათამაშო იღო.

დომენიკო პირველად ხედადა ამ ყმაწვილს — რინალდოს. გარეგნობით თითქოს არა უშავდა რა: კობტად გადავარცხნილი ქოჩორი, სწორი ნაკვები, პირის კუთხეებთან ოღნავ ჩამოგრძელებული წვრილი უღვაში, საშუალოზე მაღალი ტანისა გახლდათ, გაქათქათებულისა მოსი ეცვა, მზეზე კრიალი გაქქონდა ჩექმებს, მაგრამ თვალები... რა გამოხედდა, როგორი დაუნდობელი გულგრილობა ჩამდგარიყო რინალდოს თვალებში, ასეთი თვალების პატრონს არავინ და არაფერი უყვარდა აღბათ, სხვისი ფულის გარდა, შეხედავდი და... შეგცივდებოდა. საკუთარი თავი კომთელ იმ გულგრილობას უნაზღაურებდა — აჰ, საკუთარი თავი ძლიერ უყვარდა. პეწიან ტანსაცმელზეც ეტყობოდა ეს, ერთი ხელის თითებით მეორე ხელს ეფერებოდა, დროდადრო ხელისგულს ნაზად ჩამოისკვამდა ლოყაზე — ამ სულელურ ლაპარაკში წვერი ხომ არ ამოუვიდა; მზრუნველად ისწორებდა უღვაშს, მერხზე დაფენილ ცხვირსახოცზე იჯდა.

— იმას ვამბობდი, — განაგრძო ალექსანდრომ, — ხანდახან დიდი უცნაური ამბები ხდება-მეთქი, რინალდო, საოცრად მოულოდნელი, დაუჭერებელი ამბები, რომელთაც კიდევ უფრო საკვირველი შედეგი მოსდევს ხოლმე. მაგრამ კაცმა არ იცის — ის, რაც მოხდა,

კარგია თუ არა... სინამდვილეში, რაღა თქმა უნდა, ის ყოველივე, რაც კი მოხდება, ზოგიერთისთვის კარგია, ზოგიერთათათვის — ცუდი, მაგრამ უფრო რომელია, ჰე, ვინ იცის... ხანდახან, გგონია, რომ კარგი მოხდა, სავსებით შესაძლოა სინამდვილეში ცუდი აღმოჩნდეს, ხანდახან — პირიქით... გაუგებრად ხომ არ ვლაპარაკობ?

— ძალიან, — შეიკმუნხა რინალდო, — თუმცა, სულერთია...

— გიჟი თავისუფალია, არა? — საყვედური დაეკითხა ალექსანდრო, — ეჰ, თქვენთან მაგალითის მოყვანის გარეშე, ესე იგი — უმაგალითოდ, შორს ვერ წავალ... აი ვთქვათ, რინალდო, შენ მოიგე ოცი დრაკჯანი. განა ეს კარგია?

— ჰე! — ჩაიციხა რინალდომ, — აბა ცუდია?

— არა, პასუხი გამეც — მე გვეითხები, კარგია?

— შენზე უარესი სულელი ვარ, ფუჰ!.. რას გელაპარაკები, ადე, წავიდეთ სადმე, ტულო.

— არა, დაიცათ, დაიცათ, კარგი, მაგას თავი დავანებოთ, საერთო ჯამში ცუდია თუ არა ფულის მოგება. სხვას გეტყვი — აგერ ერთმა ჩემმა ნაცნობმა მართლა მოიგო ერთხელ ოცი დრაკჯანი, მოგებული ფულის ნაწილით დათვრა, მაგრად შეხურდა, გაგრილება მოუნდა და ტბაში გადაეშვა. ზამთარი იყო* და ცივ წყალში გული გაუსკდა, ახლა თქვენ გვეითხებით — განა არ ერჩია, სულაც რომ არ მოეგო ის ფული? არა? ეს ძალიან ძალიან სულელური მაგალითი იყო, მაგრამ თქვენისთანებზე ასეთები უფრო ჭრის ხოლმე, მაგრამ მე

* ლამაზ-ქალაქის მიდამოებში ზამთრობით ტბები ხანდახან არ იყინება.

ერთი ამბავი ვიცა, ჰეე, ის კი მართლაც წარმოუდგენლად საინტერესოა — არა, არა, მაინც ვინ იფიქრებდა, ის ამბავი ასე თუ შეტრიალდებოდა, რა უცნაური დამთხვევაა, აჰ... ბევრი ღირსშესანიშნაობანი გამოვიდა, მაგრამ ეგეთი? აჰ, არა, არა...

— წამოდი, კაცო, წავიდეთ ერთი...

— დაიცა რა, რინალო, — უთხრა ტულომ, ალექსანდროს გამობერილ ჯიბეს უყურებდა, — ვინსენტემ უნდა გამოიაროს, გადაუდებელი საქმე მაქვს, მანამდე კი, რა გენაღვლება, მოჰყვეს იმ ამბავს, თავისი გაჰირევათ ეყოფა.

— ჯანდაბას, მოჰყვეს.

— კი ბატონო, სიამოვნებით, რახან ასე გსურთ... — და საზეიმოდ გამოაცხადა, — ნამდვილი ამბავი.

მერე ძალიან მოიწყინა, დაფიქრებულ მიმოდინდა გრძელი მერხის წინ, წუბი ხმით მოჰყვა:

— ერთი საბრალო ქალი დაქვრივდა და ექვსი წლის ბიჭი დარჩა. ქალი შრომობდა, როგორც შეეძლო — მთელი დღე სხვის თეთრეულს რეცხავდა, ხელები ერთთავად საპნიან წყალში ჰქონდა და მხრით იწმენდა ხოლმე თვალის უბეებში ჩამდგარ ოფლს... ძალიან იღლებოდა, მაგრამ მაინც ქალი იყო და ერთი კაცი, ეე, როგორ გამოეთქვა... დაიხსოვია. ის კაცი დიდი უხეში ვინმე ყოფილა, აყლაყუდა და ტლანქი, ხშირადაც სვამდა, ქალს ფულსა სთხოვდა, სად ექნებოდა იმ გაჰირებულ დედას ფული, უყვიროდა, ემუქრებოდა და ქერივის ბავშვს ძალიან სძულდა იგი. ბიჭი თერთმეტი წლის რომ გახდა, უკვე მშვენივრად აპობდა შეშას, დედას წყალს უზიდავდა, ყოველნაირად ეხმარებოდა დედას, მოწყენილი შესცქეროდა აქაფებულ წყალში ნაღვლიანად ჩაქვრებულ ქალს და, რა თქმა უნდა, მშვენივრად ხედებოდა, ლუკმა-პურისთვის როგორ შრომობდა და იტანჯებოდა რღვა-ერთადერთი ადამიანი, ვინც ეფერებოდა ხოლმე. ერთ მშვენიერ დღეს კი, თუმცა, რაღა მშვენიერს, შეშას რომ ჩეხავდა, შინიდან კხვილი მო-

ესმა და საჩქაროდ შევარდა ოთახში — იმ კაცს იატაკზე წაექცია დედამისი ნარეცი წყალი თავზე გადაეცქია ქალი-სათვის და ახლა წიხლებით სცემდა როგორც იმ ბავშვმა დიდი ხნის შემდეგ თქვა, თვითონ არაფერ შუაში იყო — არც არაფერი დაუბირებია, არც განუზრახავს, მაგრამ ჩაწიხლული დედის და ნახვაზე თითებს მაგრად ჩაუბღუჭიათ ოთახში შეყოლილი მძიმე ნაჯახი და ხელბს ღონივრად მოუქნევიათ. ამას თურმე საშინელი ხმა მოჰყვა — ყრუ, დაკუდული, თანაც, თითქოს რაღაცამ გაილრქიალა და ექვაგადახსნილი კაცი იქვე ჩაიკეცა და ვერაღინ მიხვდებოდა, მანამდე საპნიანი წყალი თუ იყო დაქცეული იატაკზე — სულ სხვაფრად შეღებილა თურმე იატაკი. შეძრწუნებული ქალი მალე გამოერკვა, რადგან მის შვილს ნაღვად არ შეარჩენდნენ მოკლულის ნათესაები — იმ ადგილებში, სადაც ეს ნამდვილი ამბავი მოხდა, სისხლის ადგმა, ეს უგუნური წესი, აუცილებლობად და ვაჟკაცობადაც კი ითვლებოდა — ბავშვს ხელი ჩასჭიდა და მაშინვე დატოვა სოფელი. წასვლისას კარი გამოიკეტა, ასე რომ, იმ კაცს ერთი კვირას შემდეგ თუ მოიკითხავდნენ — ნასვამი, ხშირად იკარგებოდა ხუთი-ოდე დღით. დედა ერთხანს მარჯვედ მიდიოდა, მაგრამ უცებ დაიღალა — ფეხმძიმედ იყო. აღბათ მიხვლით, იმ კაცისაგან. აღარ იცოდა, რა ექნა, თანაც ახალგაზრდა მკვლელი აღიზიანებდა, რადგან იგი გაუბედავი ღიმილით ერთთავად შესცქეროდა დედას — წარმოდგენა არა ჰქონდა, რა ჩაიღინა, შეძრწუნებული ქალი კი ვეღარ უბრუნებდა ღიმილს. ტყვეში შემოაღამდათ, ქალმა ბილიკიდან გადაუხვია, მიწაზე დაჯდა და გრილ ხეს ზურგით მიეყარდნო. ბავშვი იქვე, მის ფერხითი წამოწვა და კალთაში ჩაუღოს თავი, სუსტად გაიღიმა და მაშინვე ჩაიძინა. არასოდეს ისე არ დაბნეულა საბრალო ქალი, აღარ იცოდა, რა ექნა, როგორ მოქცეულიყო — ხან სიბრაღულით დასცქეროდა დაღლილ, მოჩვარულ ბავშვს, რომელსაც

ხუთიოდ დღეში მოსაკლავად დაუწყებდნენ ძებნას დიდი და ტლანქი, დაუნდობელი კაცები; ხან ზიზღით მიატრიალებდა სახეს, გაპობილი სახის გახსენებაზე, მერე ისევ დედასავით დასცქეროდა, მერე კი სხეულს უწევავდა ახალგაზრდა მკვლელის კეფა და სწორედ ამ დროს, თქვენ შეიძლება არც დაიჯეროთ, სწორედ ამ დროს მეორე ბავშვმა მუცელში პირველად გაიფაჩუნა... ის წელა და რალაცნაირად მხიარულად უჯაკუნებდა დედას, შეშფოთებული ქალი დაწყყნარდა, თან სასიამოვნოდ აფორიაქდა და, გაღიმებული უგდებდა ყურს... მეორე დილით ვიღაცის ეტლი წამოეწიათ. დედამ შეეტლეს მისცა მთელი თავისი მცირე ქონება, ბოდჩაში გამოკრული: ბეჭედიც წაიძრო და იმ შორ გზაზე დამღვარმა კაცმა ერთი კვირის შემდეგ მგზავრები ისეთ ქვეყანაში ჩაიყვანა, სადაც სუულ სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. და კიდევ კარგი, სარეცხი ყველგან რომ ირეცხება — ქალი ყოველდღე მოულობდა იმდენს შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, მერე კი მეორე ვაჟი შეეძინა. დედა თითქმის მთელი დღე რეცხავდა, ბავშვს უფროსი ბიჭი კარგად უვლიდა, ეფერებოდა, უყვარდა როგორ, და თითქოს გადაავიწყდა, რაც ჩაიღინა, მაგრამ ძალიან დადარდიანდებოდა, როცა ერთადერთი მესაიდუმლის—დედის ციფ მზერას რომ წაიწყდებოდა ხოლმე. ყოველდღე, როცა დედის რომელიმე დავალებას პირნათლად შეასრულებდა, გახარებული ბრუნდებოდა შინ და, დაძაბული, გასაღიმებლად მომზადებული შეაკვირდებოდა დედას, მაგრამ ბავშვის დაძაბულ, მომლოდინე და სევდიან ნაკეთებში დედას მკვლელი ახსენდებოდა და ცივად არიდებდა თავს. არადა, როგორ გავბედო ამის თქმა, მაგრამ ბიჭი იმ დროს რომ არ შევარდნილიყო ოთახში, ნაჭახით ხელში, ის კაცი ატყობებლად მოჰკლავდა დედას, თანაც, დედა მამინ ორი იყო.

— როგორ თუ ორი? — გაიკვირვა რინალდომ და იქვე მიხვდა, — აა...

— უფროსი ბიჭი თვრამეტისა რომ

გახდა, ვეღარაფერზე ფიქრობდა, იმ საბედისწერა შემთხვევის გარდა. ვთქვათ, ვინმე ჩამოსულს რომ ეკითხა: „შეძარევენებისკენ როგორ წავიდე?“ — გზას, რა თქმა უნდა, მისაწავლიდა და მერე, თვალს რომ გააყოლებდა, ასე ეგონა, ჩამოსულს მისი წარსული რომ სცოდნოდა, ალბათ არც ჰკითხავდა არაფერს. ამგვარ წუხილებს კიდევ არა უშავდა რა მაგრამ ერთ ღამით უცებ ის კაცი დაეწიზმრა — თვალემაღვრეული, წვერ-მომშვებელი და სისხლში ამოთხვრილი. ლაპლაპა დანით ხელში, მისკენ მიიწვევდა და კბილებს აღრქიალებდა. ბიჭს გაქცევა მოუენდა, მაგრამ ადგილზევე უსხლტებოდა ფეხი, კაცი კი მოდიოდა, მოდიოდა, უახლოვდებოდა... შეძარწუნებულს გამოეღვიძა, საწოლზე წამოჯდა და გაათენებამდე ვეღარ დაიძინა, იჯდა, სიბნელეში იჯდა და ეშინოდა... მერე, ნაცნობი ნივთები რომ განათდა, ცოტათი გული მოეცა და თითქოს ყველაფერი გადაავიწყდა, მაგრამ შებინდებისას ისევ მოიწყინა, დადარდიანდა, დედაც — არიდებდა თავს... ერთხანს მშვიდად ეძინა, მერე კი ისევ დაეწიზმრა კაცი — ტლანქი და მოუქნელი, დანაძაბულჯული მოიწვედა მისკენ, მეორე ხელი კი, ნიჩაბივით ფართო ხელისგულთ, ერთხანს ნება-ნება ქანაობდა, მერე კი თითქოს კბილთა ღრვილს აპყვავო, ისე აქანავდა; ბიჭი გაქცევას ლამობდა ამ საზარელი, გადახსნილი, წითლად ამოფურჩქვნილი ჭრილობისა და დაუნდობელი მზერის დანახვაზე, მაგრამ სისხლში უსხლტებოდა ფეხი, კაცი კი უახლოვდებოდა, უახლოვდებოდა... უახლოვდებოდა ოფლში გაწურულს გამოეღვიძა, იმ სიბნელეში გარეთ გავარდა, მომცრო ღელესთან ჩაიბრინა და იქლა იტირა, ფუმფულა ხავსში ცხვირპირ-ჩარგულმა... მერე კი, გული რომ იჯერა, წამოდგა და შინისკენ გაემართა... უცნაური შესახედი იყო — თუმცა ტირილი ადამიანს ამშვიდებს ხოლმე, იმას — პირიქით, ქვა-ბოროტება შიგანში გაუჯდა და, ამ უცნაურ, პირქუში გრძნობით გატრუნულს, თვალემაღვრეული

ყინა. სახეზედაც რაღაც უცხო კმაყოფილებამ გადაურბინა, მერე ყველაფერი გადაივიწყა თითქოს, სანამ უმცროსი ძმის მიამიტი სახე არ ეცა თვალში. ნაცნობი საქულველი ნაკეთები — დანახაბლუჯული კაცის ნაკეთები ამოიცირო მისივე შეილის სახეზე, დიდხანს უყურა, რაღაცეები აწონ-დაწონა გუნებაში და მერე ხელი ღონიერად შემართა და, გაარტყა. გაოცებულ ბავშვს ენა ჩაუვარდა, მაგრამ მეორედაც რომ გაარტყეს, აღრიალდა. იმან კი, უფროსმა ძმამ, ერთი წიხლიც მიაყოლა გვერდებში და ცუდად, ძალიან ცუდად ჩაიღიმა. შებინდებამდე კმაყოფილი და მოსვენებული იყო ამ უცნაურ შურისძიებით, მერე კი შებინდებისთანავე, შიშად გადაექცა ეს კმაყოფილება და ისევ მოვიდა სიხმრად ის კაცი, უწინდებურად გაცოფებული და დაუნდობელი, უფრო კი, უფრო... ის კი ყოველდღე დამინდელ ჭაერს უმცროს ძმასზე იყრიდა, ვისი სახეც ისე აგონებდა იმ კაცის სისხლით გათხანნილ სახეს... ყოველდღე მთელი ძალით ურტყამდა და ხელისგულები რომ ატკივდა, მერე, წაქცეულს, წიხლებით სცემდა, მშვიდად, გულგრილად, ჯიბეებში ხელეზნაწყობილი... ჰო, იმ დროს დედა აღარა ჰყავდათ... უმცროსი ძმა ემალებოდა და მთელ ჭალაში დაეძებდა, რომ იპოვნოდა, გატრუნულსა და ხეს ამოფარებულს, გულს იჭრებდა იმისი ცემით. შიბრუნდებოდა, მაგრამ ისევ ბოლომანად ენატრებოდა ხოლმე ძმა და ჭიუტად დაეძებდა. კარჯახანს გრძელდებოდა ასე, და ყოველდღე ბოროტების წვეთი ემატებოდა სულში, და თვით უმცროსი ძმა, სულ რვა წლის ბავშვი, გაუთავებელი ცემის, შიშისა და შურისძიების წყურვილის გამო, არანაკლებ გაბოროტდა... ახლა აღარც ტიროდა, როცა ურტყამდნენ, თვალანთებული, ტუნმოკუმული შესიქეროდა და შურისძიების ველურად გამყინავი, წივანა სიმღერა არ ასვენებდა. მხოლოდ ერთხელ მოიოხა გული, ისიც ცოტა ხნით — ძველი შენობის ნანგრევებში დამურას წააწყდა და ფრთები აახლიჩა,

აწრიბინებულს, ქვით გაუსრისა თავი ამასობაში უფროსი ძმაც თავზე დაადგა და იმასაც მოუნდა დამურას მუცელზე დაეჭრა, ეძება, ტყუილებურაოდ ვისისარჯად, გაბრაზებული, ძმას მიუბრუნდა და ხელი გაარტყა — სულ დაავიწყდა, ძალიან რომ ტკიოდა. გამწარებულმა, ფეხი ამოარტყა მუცელში და წაქცეულ ძმას წიხლებით შედგა. და როდის როდის, ძლივს დაიღალა, შინისაკენ გაემართა ოფლში გაღვრილი — უკვე ბინდებოდა. და სწორედ იმ დღეს, გამთენიისას, ისევ ესიზმრა ის ტლანქი კაცი ოღონდ... მომლიმარე. სახეგანათებული, მშვიდი და უწყინარი, კეთილი ღიმილით ბავშვზე, თავშეხვეული, ალერსით უმზერდა და შერიგებას სთავაზობდა თითქოს — გაოცებული შესიქეროდა ამ უცნაურად გამოცვლილ სახეს და ერთხანს მაინც დაეკვებულ მიჩერებოდა. მერე კი, აშკარად გულწრფელი ღიმილი რომ შეიცირო, სიხარულისგან გამოვლენიდა... აფორიაქებული გავიდა გარეთ, ეზოში, და თავის ცხოვრებაში პირველად შეიცირო გათენიანს ნელი, ჩუმად გაწყელილი სილამაზე, მთელი დღე წრიალებდა, გაბრუებული მიდიოდა ჭალაში, ერთხელ ხეზეც კი აძვრა და მოუთმენლად უედიდა დადამებას, კიდევ რომ ენახა ის მომლიმარი, სათაყვანო, გაძვირფასებული სახე. და როგორც კი თავი დაღო ბალიშზე, ჭერ — დამძიმდა და მერე ამსუბუქდა, ძილშიაც იმ კაცის მომლიმარი სახის დანახვის სურვილმა შეიპყრო და გათენებამდე ასე ეძინა, მოლოდინში. და როგორც კი ოღნავ გაბაცდა ღამე, ის კაცი დაესიზმრა, ისევ ალერსიანი, მომლიმარე... გახარებულმა ჩაიცივა და გარეთ გამოვიდა, მდინარესთან ჩავიდა, სილაზე პირქვე გაწვა და როცა მზეც ამოვიდა და გაათბო, მადიანი ზმორება აუტყდა, სილაში სახეჩარგულს, მერე კი, ძალიან რომ დაეცხა, მდინარეში თავით გადაეშვა და გავრილდა. შინ რომ დაბრუნდა, სველი თმითა და მხიარული, ბედნიერი სახით, უმცროს ძმას კარებში შეეჩეხა და განცვიფრდა — იმან გარტყმის მოლო-

დინში ბორტად შეანათა თვალები. მაგრამ უფროსმა ძმამ გაუღიმა და უმცროსს ერთხანს ეჭვი შეებარა იმის ღიმილში, მერე კი, კარგად რომ დააკვირდა, თავადაც შეეცვალა სახე — წრფელი ღიმილი ყველაფერზე მეტად გადამდებია, მთქნარებაზეც კი... ერთხანს შორიშორ იდგნენ და ოდნავი შერხვევისაც კი ეშინოდათ, რადგან აშკარად გრძობდნენ; გატრუნულნი, როგორ ამოდინოდა მათ სხეულში უცნაური, მხველვები მცენარე — სიყვარულის კაქტუსი.

— სულ ეგ იყო? — იკითხა რინალდომ მცირე ღუმლის შემდეგ.

— არ მოგეწონა? ცოტათი დაკვირვებაც უნდა, აღამიანებო...

— არა უშავს რა, მაგრამ ტყუილია.

— ტყუილიაო... ვინ მოგახსენა.

— ეტყობა ამბავს.

— ერთ-ერთი ძმა რომ პირზე დაგაყენო, მაშინ რაღას იტყვი?

— ვერ დამაყენებ.

— რატომ.

— რატომ და ტყუილია.

— აქა ვარ! — წარსდგა ალექსანდრო.

— დიდი ამბავი. მერე რა...

— როგორ თუ რა — ერთ-ერთი ძმა-თავანი ვარ. — საზეიმოდ გამოაცხადა ალექსანდრომ.

— თქვენა? თქვენ რომელი ხართ... — გაოცდა დომენიკო.

— აბა, თუ მიხედვებით... — თქვა ალექსანდრომ და ტულის ის ღამაზი სათამაშო მისცა.

— ისაა... ე... უფროსი.

— აჰ, — იწყინა ალექსანდრომ, გულზე მიიდო ხელი და საყვედურით მიაჩერდა, — კაცისმკვლელს რა მიგავს, ა, დომენიკო?

შეხვეობა

ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი ქალაქი, ოღონდ ხანდახან არც ვიცით ხოლმე... თვალზე ჭულჩამოფხატულნი, მხრებ-აწურულნი მივიპარებით — ვინმემ არ გვიცნოს... ჩვენი ქალაქის, ღამაზ-ქალა-

ქის მოცისფრო და ვარდისფერი სახლები, ჯერ კიდევ ნედლი, მზებზე-ორთქლად დანილი კრამიტის სახურავებზე... ღიმილი რომ დნება... ნაუცბათევი გაზაფხულის აძლერეული სითბო, და მსუბუქად თავბრულდახვეული ღამაზქალაქელები... უჩვეულოდ აფორიაქებული დარბაისი-ლი სენიორ ჯულოცო კი, და უფო, ახალგაზრდა გიეი, კედელს მიყრდნობილი, ლოყამიშვერილი გაზაფხულის მზეს... უმიზნოდ აღრენილი ვინსენტე, გაოგნებული ახმახი — ჯუზეპე და იმას საყვედურით მიჩერებული ალექსანდრო — „ეჰ, ახლა ხეთოყიან თოხს უნდა იქნედე საღმე, სოფელში, შენ კი სადა ხარ...“ იმ დღით მადადაკარგული კუმეო, „ავად ხომ არ ვამიხიდი... მეც მტკიოვა თავი,“ — მზრუნველი მეუღლე კონჩეტინა... გატრუნული და მიყრჩეული ხეები მზეში... საოცრად აბზინებული, გამოცოცხლებული ქერქი... ჩრდილში, საბლსუკან ჩარჩენილი დაუმდნარი თოვლი, ჭუჭყიანი ნამცეცებით დაჭორფილი... ჩვენი ქალაქი, პირველი თბილი დღით არეული, დარეტიანებული ქალაქელები — ლანდოს კოფოზე ჩაბინებული უღვაშა კაცი, „აი, გაზაფხულიც მოვიდა, წელიწადის მთავარი დრო, — ცილით ფიქრობს, — რას მოვაცოლე...“ — აღარც კი ახსოვს, მთელი ქალაქი — არეულია, და ჩაცმულობას ხომ ნულარ იკითხავთ, ზოგი — ისევ თბილი მოსასხამითაა გამოსული, ზოგი — ხალათით, და ორიოდ უზომოდ შეხურებული მოქალაქე — თეთრი პერანგისამარაა... ქვეფენილზე... კი ისე მძიმედ დაიარებინან, თითქოს გადახნულ მიწაზე მიაბიჯებდნენ, მიწის სუნი დგას, რა უცებ დათბა... ასეთ სითბოში სოფლად პირველი ბანაობდა ბიჭი, შემცივნებულს, ნაძალადევი ღიმილისას ღრძობები რომ მოუჩანდა, და ხეებს ლოკავდა და მკვლევებული საქონელი... ქალებს ტურნები გამოებურცათ. სარკის წინ ისხდნენ, მაგრამ დაუდევრად იცქირებოდნენ იქით, სარკის მიღმა, და ფანჯარაში... „წყაროდან ჭიქას ნუ წამოვიღებთ... თუ წამოვიღებთ?!“

ის ედმონდო კი, საბრალო ჩვენი, მთლად გზააბნეული დაბოტებდა ლამაზ-ქალაქში, ჩექმა ჩაავლო შესაღებად ქვაბში ანტონიომ, ფეხზე კი ვიღაც ლამაზი მუშტრის კაბა შემოიხვია, — რა უცებ დათბა, ეს რა ხდებოდა... სულ მიეზინა სახე როზინას, ნორჩი ჯანჯაკომო კი მთლად გადაეღებდა, სულმეხუთული, ტახტზე გორავდა. და ერთადერთი ქალი, ტერეზა, ლაღად, მსუბუქად იარებოდა ლამაზ-ქალაქში, რადგანაც თავად ვაზაფხულს ჰგავდა. თვლემამორეულ რინალდოს ფულისადმიც კი გაუქრა ეშხი, ტულიო კი, თავისი უცარი უმძრახობით შემკრთალი, ძალისძალათ ისეთ, ისეთ სისულელეს მოჰყვია... მორცხვად მიიძურწებოდა სადღაც დაბალი მაწანწალა ძაღლი... ეს უცნაური, ეს გიჟი მარტი — ავი ვაზაფხულის თამაშობანი იწყებოდა, მოსარიდებელი, უნდა...

იქვე, მომცრო დუქნის წინ, ხეს ზურვით მიყრდნობოდა დომენიკო. გამვლელებს ათვლიერებდა; ბევრს უცვებ იცნობდა და ესალმებოდა — კაცებს მეგობრულად უწევდა ხელს, ქალებს დანახვაზე — თავს დახრიდა და ყოჩაღად მიიბაკუნებდა ქუსლზე ქუსლს. ჯუხებზე ჩამოიარა — სახელოები ძალიან მაღლა, თითქმის მხრებამდე აეკაბიწებინა და კუნთებდაბერილი, სუნთქვაშეკრული მოდიოდა. ისეთი შთაბეჭდილება იყო, სადმე ნემსი რომ გეჩხვლიტათ, მაშინვე დაიჩუტებოდა და საწყალი კაცი შეგრჩებოდათ ხელში, მაგრამ ჩხლეტას ვინ გაუბედავდა. დომენიკოს ისე მძიმედ აუწია ხელი, თითქოს ორფუთიანი სვეროოდეს. დომენიკო თავაზიანად მიესალმა, და ძალაუნებურად სიყვარულითაც გაუღიმა — როგორი ხეპრეც არ უნდა ყოფილიყო, საშიში კაცი გახლდათ, ლონიერი, და იმასთან „სიყვარულობანა“ და „პატივცემულობანა“ უფრო გამოადგებოდა. დომენიკოს შიოდა, მაგრამ დუქანში ეულად შესვლისა ერთდებოდა — მარტოკა კაცის სადილობა უადრეს

სირცხვილად ითვლებოდა ლამაზ-ქალაქში.

— დომენიკო, — დაუძახა ვიღაცამ.

— ტულიო ხომ არ გინახავს.

— არა.

— რომ ნახო, მოედანზე ჩამოდი-თქო, კარგი?

— კარგი.

თვალი გააყოლა და რატომღაც, უცებ, ძალიან აღელდა. თითები მომუშტა, ღრმად შეისუნთქა ჰაერი, მერე ისე ღონივრად ამოისუნთქა, თითქოს სანთლის ჩაქრობა სურდა. დიდმა საათმა ნახად ჩამოჰკრა ექვსჯერ, რეკვა რომ შეწყდა, გაღიზიანდა, და, დაძაბულმა, თვალი მოავლი იქაურობას, ტულიო გაღიმებული მიუახლოვდა, მაგრამ დომენიკოს იმისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ისევ ვიღაცას გააყოლა მხერა, და ისიც რომ თვალს მიეფარა, მერეღა შეკრთა — არავინ ჩანდა, მაინც შემკრთალი მიჩერებოდა ქუჩის იმ კუთხეს, გააქროლა — ისე იცდიდა, და ის გამოჩნდა — გრძელ, თეთრ კაბაში ჩამული ქალი. გამართული მოდიოდა, და მაინც ფრთხილად; ოდნავ მომღიმარე, დაფიქრებული სახე ჰქონდა, თითქოს რალაციისა უშინოდა. ერთხანს გაოგებული შესცქეროდა ამ უცნაური სიამაყით დამფრთხალ ქალს, რალაციანიარად, უმწყო ჩანდა ეს ნახი ქალი, და მაინც უცხო, შორეული სიამაყით სავსე; რალაც ეტკინა თითქოს დომენიკოს, შეპრწუნებული, გაოგებული, კინაღამ არ აედევნა, მაგრამ ვახსენდა, პირველად რომ ხედავდა, თუმც არა, არა, საღლაც ენახა... თანაც, ტულიომ მკლავზე წაავლო ხელი, ის კი ისევ აფორიკებული, ქალს შესცქეროდა, ვისი სითეთრეც ისე ნათლად გამოიჩინოდა ნაცრისფერ კედელზე. სული მოითქვა:

— ვინაა ეს ქალი...

— ესა? ერთია რა... აქაურიია, ანტონიო ხომ არ გინახავს.

— კი, რა ჰქვია?

— ვისა...

— ამ ქალს — ვისა...

— მავას? ანა-მარია, სადა ნახე?

— აქ არ ჩამოიარა?
 — არა, ანტონიო სადა ნახე...
 — ვინა?
 — ანტონიო.
 — ჰო, მოედინსკენ მიდიოდა, რამდენი წლისაა, ხომ არ იცო...
 — რა ვიცი აბა, ხომ არაფერი უთქვამს.
 — ვის, ანტონიოს?
 — ჰო.
 — ჩამოვიდესო.
 — სადო...
 — მოედანზეო... დმერთო ვინ იყო.
 — მარტო იყო?
 — არა, ვიღაცა ახლდა... — სად ცხოვრობს, ხომ არ იცი?
 — ვინ, ანტონიო?
 — არა, ეს... — და პირველად თქვა:
 — ანა... მარია...
 — აიი, იქით... იმ კაცის შვილია, კარგად რომ უკრავს... და მეორე ქერა კაცი ხომ არ იყო, დაბალ-დაბალი?
 — არა.
 — შავგვრემანი კაცი ხომ არ იყო, დაბალ-დაბალი?
 — არა. გათხოვილია?
 — მოგეწონა? — ახლალა მიუბრუნდა ტულიო, აქამდე გან-გან იცქირებოდნენ,
 — მართლა მოგეწონა?
 — მართლა.
 — ძალიან?
 — ძალიან.
 — ძალიან-ძალიან?
 — მეტი რომ არ იქნება, — თითქოს ხუმრობით იღიმებოდა დომენიკო, მაგრამ საოცრად სიამოვნებდა, ისე აშკარად რომ ამბობდა იმას რაც წესით თითქოს უნდა დაემალა... მერე კი ეს თქვა:
 — ხომ არ გავაყდი, ისე ვიკითხე.
 — არა, გაუთხოვარია. ზოგი იძახის მამამისზე უკეთ უკრავსო. ისე, ზოგს მოსწონს, მაგრამ მე არა...
 — ეგ არაფერი... — თქვა დომენიკომ.
 — ხომ არ უთქვამს რამე?
 — რა უნდა ეთქვა...
 — რა ვიცი, შემთხვევით...
 — რატომ მეტყუადა, ჯერ ხომ არ ვიცნობ...
 — ვინ, ანტონიოს? არ ვამაგიყო, ანტონიოს არ იცნობ?

— აჰ, ანტონიოს? მოედანზე ჩამოვიდესო...
 რის გაზაფხული, რა გაზაფხული, ისეე ზამთრის პირი იდგა. მაგრად შეიფუთნა მოსასხამში, და ქალაქგარეთ წავიდა, რაღაც ტკბილ-მომწარო სუნი სცემდა — ხმელ ფოთლებს სწვავდნენ, საღდაც სხეულში კი უცნაური, მჩხვლეტავი მცენარე იფურჩქნებოდა, ოპო — კაქტუსი! ბინდდებოდა და ფართო ქუდი წარბებამდე ჩამოიფხატა, ყველას, ყველაფერს ემალებოდა, რომ ვეღარ ეცნოთ — ტრიალ მინდორში! — ქარის შრიალზე მაგრად ბლუჯავდა დაშნას. უცხოლ სისინებდნენ ქარით შემკრთალი წოწოლა ძნები — შებინდების ეამს, უცნაური ძილ-ღვიძილი იდგა და სულ უფრო მცირედ გამოირჩებოდა ლურჯი პარიზონტისაგან დომენიკოს მეტი სილუეტო. შეთქმულივით ფრთხილი, გარინდული, მაინც ცდილობდა ლამაზად გადაედგა ფეხი — ეამაყებოდა თავისი თხელი, მოქნილი ტანი და ჩუმად ხშიანობდა დაძაბულ სხეულში ეს სიხარული. ძნას მხარი ვაჰკრა, შეშინებულმა ააყოლა, თვალი, წინ გაიხედა, ნახევრად დანგრეულ, პირქუშ შენობას მოჰკრა თვალი; იმ მომცრო ქვის კიბეს სულ სამი საფეხური ჰქონდა, მაგრამ პირველ საფეხურზე გველი იწვა და ძალიან ღონივრად, მაგრამ რაღაცნაირად შებოჭილი იკლავებოდა — იზმორებოდა ალბათ. დომენიკომ გადააბიჯა, მძიმე კარს ფეხი ჰკრა და ბნელ შენობაში შევიდა. ხელგამვერილი, ფრთხილად მიაბიჯებდა, მეორე ხელით დაშნა ამოაცურა ქარქაშიდან და დაძაბული მიიწვევდა, ხელგამვერილი, ყრულ გაისმოდა ჩაბნელებულ შენობაში მისი ფეხისხმა. და უცებ დაჭიმული თითებით რაღაც მკვრივს, გლუვსა და ცივს წაებოტინა. წყვილიადში ერთხანს გაშეშებული იდგა და თითებით იწოვდა იმ გლუვ სიცივეს, მერე ლურჯ-წითელი მინით აჭრელბუღი სარკმელი ოღნავ, ბუნდოვნად განათდა — ყვითელი, ვაცრეცილი დისკო

გარედან მოადგა სარკმელს. ლურჯი, იღუმალარ სინათლე მძიმედ, საღებავივით ჩამოიღვარა სარკმიდან, წითელი სინათლე კი, საოცრად მსუბუქი, პაერში მოტივტივე, შენობაში ფარფატივით გაიფლანკა და დომენიკომ გააჩრია, რომ თითებში მარმარილოს სვეტს ეხებოდა. უცხო მცენარე, უცხო მჩხვლეტავი — ოპო, კაქტუსი ვაეშალა და ამ დიდებულ განათებაში, ისედაც უჩვეულო, მჩხვლეტავი სიხარულით აღესილა, მაგრად შემოხვია მარმარილოს სვეტს მარცხენა ხელი, მარჯვენაც, დაშინანი ხელიც შემოაკლო, მაგრად მიეხუტა, ლოყაც მიადო და, ათრთოლებულმა, გაიმეორა: ანა-მარია... ანა-მარია...ა...

— ა...
 — დიდი ხანია?
 — რა... რა — დიდი ხანია...
 — რაც ჩაიარა.
 — ვინ...
 — ვინ — ანტონიომ!
 — ჰო... იქნება ასე... არა, არ ვიცი...
 — საათზე მეტი ხომ არ იქნება...
 — არა, საათზე მეტი არა... — და გულში ისევ დინჯად, მძიმედ გაიმეორა: „ანა-მარია, ანა-მარია... ანა... მარია...“

ანა-მარია ქალი იყო, მაგრამ შეელს მკვადა.

ახირებული გახირება

ჩემო მოცილილ, როგორც ერთმა თქვა, და მოწყენილო...?!?! — ხომ არ შეგეშინდა... აი, ასეთი უნიკო ხუმრობაც კი ვიცი. ძალიან მიმიძიშს, ხელი რომ არ ჩაეჭიდო და კარგად არ გიგრძნო, შენ მუდამ მხედვე, მუდამ მიყურებ, მე კი არ ვიცი ვინ ხარ, სადა ხარ, ისე კი ადვილად რომ დაგიყოლიო, ვის არ შეუხვავს ორიოდ ქიქა და დაგლიოთ ერთი ჩვენც! ჩვენ რა დავაშავეთ ვითომ... რა მოუურიდებლად გელაპარაკები, არა? აღარ იქნება... მოდი ჩემო კარგო და, არა — მოდი, ჩემო ბატონო და დაგლიოთ ეს პირველი სიჩუმის დიდი კი-

ქით, ავერ ა, მანდეთაა, გამორთე ეს ოხერი, გამოთიშეთ, თუ... მერმულედა... მიირთვი, ეს — ერთი. ახლა, ჩემო ქა... არგო მეგობაროო, ფუპ, ისევ ვხუმრობ, მე არ შევინებოდეს, მეტი არაა... ახლა კი, ბოდიში და მეორეც დაეურტყათ, მარტოობის უზარმაზარი ჯამით, რალაცა ახატია ფსკერზე — მარტოები ვართ ახლა შენ და მე... თქვენობით იმიტომ არ მოგმართავთ ახლა, მარტოვინა ხარ ჩემთვის და ისე, თუ გნებავს, აუროთ ეს შენ-თქვენობითი — შენ ბრძანეთ მაშინ, რაც გინდათ შენ — მაინც და მაინც, თუ არ გნებავთ, გნებავთ კი არა, ასეა თითქოს ეს მიღებული და ხანდახან მოვიშველიებ გამოთქმას „ჩვენ“ — მეცა ვარ შეგნით და თქვენ ხომ ორმაგად — შენც და თქვენც... ხომ სიჩუმეა... და მარტოობა... პატარა შევთვრეთ... შენი ჭირიმე, არ დაიყვირო, ჩვენ არ ვიყვირებთ, არსად, არასდროს, შევთანხმდით, არა? ყური მომეციო, რალაცას გეტყვი... თითოც დაგლიოთ, მგონი, დაგვათრობს, მისაყოლებელი მაინც არ გვაქვს და... ეს წახემსება ხომ არ ითვლება... ახლა კვლავ ჯამით, მარტოვინობის... შენი არ ვიცი, მე კი ვბანცალებ... ჩემსავით სწრაფად არავინ თვრება... დიდი ამბავი, ენა და სახე თუ არ მერევა, და ნაფხებურზეც ვერავინ მატყობს... აქამდე მაინც... ყური დამიგდე, რალაცას გეტყვი: ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი ქალაქი, ოლონდ ხანდახან არც ვიცით ხოლმე და თუ არ გამოთქვამთ ბატონო ჩემო, შედამებისას ეამს ამ ჩვენს ქალაქში ერთი გავიარ-გამოვი-ართ... ოლონდ სუ, ჩუმად, და ფეხაკრეფით, აპ — ფრთხილად; ფრთხილად; ქუჩებში როგორ მივიძრწვებით — ჩვენი ქალაქი არ იყოს თითქოს... ეგებ არ გნებავთ, ან არ გცალიათ, ვერ დაგიჩემებთ, სხუმის ვიაროთ, და თუ წამოხვალთ, მოდიხართ, არა, ტყუილბრალოდ კი არ გაკადრეთ, მოცილილო-მეთქი, თუ წამოხვალ ხომ — ძალიან კარგი... ოლონდ ჩუუ, ფრთხილად, მაინც რანი ვართ — არავინ გვინდა, რომ დაგვინახოს, გვინდა, არავინ არ დაგვინა-

ხოს, რომ დავეინახოს არავინ, გვინდა, გვინდა რომ არავინ დავეინახოს და ჩვენ კი, თავებდნი, ცნობისმოყვარე, მხრებ-აწურულნი დავიპარებთ... ფანჯარას ხედავთ? ხედავთ ფანჯარა როგორ ლიც-ლიცებს, გაინტრესებთ, იქ ვინა ცხოვრობს, გაინტრესებთ? კიბე არ გვაქვსო — რად გინდა კიბე, აგერ არა ვარ, მოდი, მობრძანდით, ჩემი თავი და თქვენი ფეხები — ჯერ აქ დამადგით ეგ თქვენი ლანჩა — ხომ ასე ჰქვია — ოო, სწორედ აქ, ხელისგულეებზე, ახლა კი თმაში ჩამ-ქიდეთ ხელი, მხრებზე დამადექით ტალახიანი ტერფებით, ნუ გერიდებათ, რაა სასიარტხოვო, შეჩვეული ვარ მტვერსა და ტალახს, ახლა კი კედელს მიეყრდენით, და გაიმართეთ. ფანჯარას მისწუ-ლი? ცოტა გაკლიათ? ო, კი ბატონო, თავზე დამადგით ეგ თქვენი ფეხი, ეგ არაფერი — ოღონდ კი რამით მომიხმარეთ და... ხანდახან მინდა, მარტო არ ვიყო... და მარტოობის დიდ-ჟამით შეესვი... სწორედ ამიტომ — უცნაურია? აჰ, სულაც რა დამადგი ფეხი... ახლა კი კედელს ხომ მიეყრდენით, და გაიმართეთ... თქვენც გიჭირთ ცოტა, ფეხის-წვერებზე... აჰ, მარტოობის უძირო ფასია... მე — ქუჩისაკენ პირითა ვდგავარ, თქვენ კი ჩემს თავზე და ფანჯარაში ხომ იცქირებით — დუნედ თუ ხარბად? ნუ გეშინიათ, ვერვინ შევაძინევთ — მე ხომ ქუჩისკენ პირითა ვდგავარ, მი-დით, იყურეთ, და თუ ვიღაცა გამოჩნ-და შორით, ხელს მაღლა აეწეე და კოჭ-ზე ორჯერ მსუბუქად მოგიკაკუნებთ — მშვიდად იყურეთ... მშვიდად კი არა, ეს რა ეთქვი, დემერო, დე, ყოველივე და-გუფლებოდეთ, სიმშვიდის გარდა, აფორიაქდით? ეგ ტუღიო, ლხინის ყმაწვი-ლი, როგორ იციანის, იციანის როგორ... ხომ არ შეგშურდათ? აჰ, არა, არა... აგერ, თუ გნებავთ, ედმონდო ვნახოთ, ამხანაგს ეძებს... მოწყენილია, შეგეცო-დათ, ხომ? ხომ შეგეცოდათ, მოწყენი-ლია, ეგ არაფერი, ეგებ... ეგრე სჯობს... ეგრე სჯობს ეგებ... ცოტათი აქეთ გავი-სეირნოთ, აჰ, არა, არა, თქვენ ნუ ჩამო-ხვალთ, იდექით თავზე, ეს — მე წავი-

ყვანთ, ო, რა მიძიმე ხართ, თან რა მსუ-ბუქი, მსუბუქი როგორ, ამეკაცე ხომ ჰხედავთ, გიცი არაა, არა, რაა მტკანდემთ, უბრალოდ, საკუთარ სხეულს მიხრა-მობრას ასწავლის და სარკეში სწორედ ამიტომ იქნევს ხელებს და საუკეთესოდ იღიმება — დუილიოა, მათი მრჩეველი... რა უნდა უთხრას? რა ვიცი, ამა. იმათ მოსწონთ და, ფუტ, მომეცია, ძან დი-ღია ის საესე ჯამი, ხედავთ ჟულიოს? ჟულიოს ხედავთ? დარბაისელია, ამაყი, დინჯი, მაგრამ ხანდახან მაინც ბითურ-დება, ცხოვრება რაა... რაა ცხოვრება?! ცოტა — ფანჯრები... ეს ვინსენტია, რას ლაპარაკობს? დამიხსოვრეთ, საყელო შეზნეული აქვს თუ არა, და მერე გეტ-ყვით თავ-თავის დროზე... ეგ ტერზია, ვიღაცას უცდის? არა, არ მივა — ცლი-ლებებია... ისე, ხომ მოგწონთ? აჰ, რა ქალია, ეჰ, მეც კი მომწონს... აქეთ წავი-დეთ, იმ ფანჯრისაკენ, გესმით ეგ ხმები? გესმით, უკრავენ... გესმით? ხედავთ, ვინ უკრავს... ხედავთ? — სხვისია... ხმათა მეუფის, შეხედეთ ხელებს, სი-მებს კენკავენ, შეხედეთ სახეს, გაქვავე-ბაში ამოდრავებულს — მეუფისაა. ვისია მაინც, ნახად უხეში ქალი დაკვრის ყამს, აღზევებული, თუკი უკრავს და სხვაფ-რიც — უმწეო... ისე, თუ გიყვართ? ეეჰ, მეც მიყვარს, თქვენ ვესმით? — ვტრია... აი ეს ქალი მეც კი მიყვარდა და იმას კიდევ, მგზავრს, დომენიკოს, იმას ნუ ვნახავთ, ნუ ვნახავთ იმას, არა აქვს აზ-რი, აქ, ამ ხალხიდან, სუყველასა აქვს თავისი სახე, მხრები, ხელები, მზერა, საყელო, და ამა თუ იმ საგანზე აზრი, ამას კი, ჩემს მგზავრს, მგზავრს — დო-მენიკოსს, ჯერ არაფერი ხომ არ ეტყობა? ხომ არ ეტყობა ჯერ არაფერი... არაფე-რი ხომ არ ეტყობა ჯერ, რადგან ასე მსურს — ცოშია, ცოში, როგორ დავ-თვერი... მაგრამ მოივლის კიდევ ქვეყ-ნას, ნახავს კამორას, კანუდოსს ნახავს და მერე, მერე — ვიცი ყოველი, წინას-წარ ვიცი, ხომ არ ვლრიალებ?... დიდი ბოდინი, გავერთე ცოტა, დიდ ბოდინს ვიხდი... მაგრამ იმას ჯერ ნუ, ნუ შეხე-დავთ, აგერ ეს სახლი, სახლი ცისფერი,

რა იყვია, რა ქურქლეული, აქეთ მობრძანდით, არა, მივიყვანთ, შესწვდით ფანჯარას? რაიმეს ხედავთ? არა, ეგენი ცოლ-ქმარი არ არიან, როგორ გეკადრებთ, ეს ქალი — ცოლის მამიდაა მისი, ძმისშვილი შეუძლოდა ჰყავს, მიზეზობს ცოტას და ძმისშვილისავე თხოვნით სიძეს ზურგსა ჰბანს — რას არ შესწვდება ქურდული თვალი, რა და რა ჰქვიათ? კუმეო და მამიდა არიან. და ამ გვილის ცოლიც თუ გაინტერესებთ, აქეთ წავიდეთ, ამ ფანჯრისაკენ, მობრძანდით აქეთ, ეს მშვენიერი ახალგაზრდა კი სწორედ ცქრიალა კონჩეტინაა, მკავეს რომა სჭამს... ხომ არ დაიძალეთ ამდენი ფეხზე ღვომით, თანაც, ვიწროდ ხართ — სულაც არა მაქვს ვეება თავი... კიდევ კარგი რომ, ტალახი გახმა — ნაკლებად გიცურთ ფეხები, არა? ეს კი ცილიოს ოთახია, და, თუმცა ბნელა, ორნი არიან, აჰ, არა, არა, ახლა მანდ ცქერა არ შეიძლება, საინტერესოა ვია, იცოცხლე, და უხერხულია მანაც... ერთხელ ხომ ვიყავით უკვე, ოღონდ სულ სხვაგან, გახსოვთ, ვიყავით?... იმ ორთან, ორნი... იმ ნამდვილ ქალთან... სხვაგან წავიდეთ, ვიბოდილაოთ, ჩვენ ხომ, მოცილილებს, სხვა საქმე რა გვაქვს... ისე კი გეტყვით, თუ არსად გამოქვამთ, მგზავრს, დომენიკოს, დრაჰკანებიანს, დამკვრელი ქალი მე შევაყვარე, ქუჩაში იდგა, მე კი, ბატონო, მონა-მორჩილმა, ანა-მარია ჩამოვატარე... რა ძალა მადგა, ერთი ხომ ჰყავდა — ტერეზა, ქალი... ასეა, ასე, ჩვენით ვირთულეობ მუდამ ყველაფერს და წარმოვიდგენიათ, ბატონო ჩემო, ასე განსაჯეთ, რომ შეიძლება, შეიძლება რომ მესამეც მოჰყვეს... ძირითადგანი, თორემ ისე კი, იცოცხლე: პრელა-პრულაებს ბევრს შეეახვედრებ... კამორას ნახავს, ნახავს კანულოს... რა მატლიკინებს, ხელს ხომ არ გიშლათ? აჰ, ანტონიოც, ჩვენი მღვდელი, და მხიარული ქალიშვილები — ორნიღა დარჩნენ, გაუთხოვარნი, ეს მესამე კი ცოლია მისი, ველარ იტინის კვლავინდებურად, რა სხაპასტუბით მოგაყარეთ, ხომ? ხანდახან აზრი ვადამცდება და აბიტომია,

რომ სხაპასტუბით... ეგ არაფერი, თქვენ, თქვენ — იყურეთ... ოღონდ იყურეთ — თქვენი თვალები და ჩემი თავი — ოღონდ იყურეთ და თუ მოგწყინდათ — თქვენი ხმალი და ჩემი კისერი — აგვრ არა ვარ, წამსვე დამბურეთ... მე კი, მანამდე, შევეითამაშებ, არ ჩამოვარდეთ, ჰქვი — მხიარული მეომარი, მანულო კოსტა! ჰომი ხომ არ ტორტმანებთ, ისიც დაგვიცდის, იის, მიჩინიო... და დონ დიეგო, ვჩურჩულე გესმით, ამ უცხოური სახელებისა ნუ გერიდებათ — დიდი ამბავი! დონ დიეგო, დონ... და ვაკეირო, გულადი მწყემსი ძლიერ უბრალო სახელით — ზე ერქვა მხოლოდ... ცოლ-შვილი ჰყავდა... ცოტა დავლიე, არა მიკირს რა, თქვენც ყლუნწეთ, არა? საკვირველია, ასე ნასუამნი, ფეხზე რომ ვდგავართ, თანაც თქვენ — თავზე... ეს ყველაფერი ძალიანა გთხოვ, ზუმრობაში ჩამომართვათ მხოლოდ და ახლა — დროებით, ჩვენ-ჩვენი გზა გვაქვს, გვაქვს ჩვენ-ჩვენი გზა, გზა გვაქვს ჩვენ-ჩვენი და არ გეწყინოთ კი, რომ მე უთქვენოდაც შემიძლია ფანჯრებში ცქერა... რაღაც უხეში გაკადრეთ, მგონი — ხომ არ გეწყინათ, ჩემთვის რომ საჭირო არაა თქვენს თავზე ფეხის შედგმა... ცოტას კი ვნანობ, რაღაცეები რომ წამომცდა და, რა ვუყრთ მერე... ორი სასმისით ნასუამი გახლდით, თანაც, საღამო, მოგვხსენებთ, საღამო ეამი და თუ არ გჯერათ, რომ საღამოა, აქვე ვიყვირებ: „სა-ალამოს რვა საათია და ყველაფერი...“ ყველაფერი კი, ვითომ?

აჰ, ცვლილებაანი...

ანა-მარია!
და ფიქრი, ფიქრი, სათაურით —
„ეთქვათ...“
ანა-მარია, ეთქვათ, ქუჩაში მიდის, უმწეოდ იღიმება... ის თეთრი კაბა, სადა კაბა აცვია თეთრი, ქუჩაში მიდის, ფეხს ფრთხილად ღვამს, ნაფეხურები — ეთქვათ და თოვლია... არა, თუკი თოვს,

მზინაე მოსასხამში შეფუთვინის, შვი თვალ-წარბი მოუჩანს მხოლოდ, და, შე- მცოცნებულს, ნიკაბი მკერდზე დაუბ- ჩენია, თბილ ყელსახვევში სუნთქავს და სუნთქავს, თბილი ჰაერით ნოტივდება გრილი ტუჩები, სპეტაკ სახეზე ისე ვარ- დისფრად გამოხაზული, თავდახრილს, ათოვს, გათენებულა... არა, არ უნდა მგზავრს, დომენიკოს, წამოდგომა და პირის დაბანა, გამოფხიზლება არა სურს, არა, ასე სჯობს, ასე, ზარმაც თელემში ფიქრი და ფიქრი, ის ჯიუტი „ვთქვათ“ — ეს რა სიტყვაა, ყველაფრის შემძლე, ყოვლისმომცველი...

— ხომ არ ისაუბ...
— არა, არა.

— კეთილი, სენიორ.

ფუპ, ჩაუშალა... რას შემოეთრა, ვინ- მე თუ მოვა, ასე ცოცხალი, წითელლო- ყება, მერე ძნელია, ძნელი — უკარებაა ვთქვათ... უხ, ეს ნივთებიც, ასე ნამდვი- ლი, ისეთი ცრუ... საბანი წაიფარა თავ- ზე, მოიკუნტა, და წელა, მძიმედ ატივ- ტივდა იმ გამთბარ სიბნელეში მისი უსა- სწაულმომქმედებულესობა — ვთქვათ — ანა-მარია დიდ ველზე მიჰყავს, რალა თქმა უნდა, ველი მწვანეა, თუმცაღა — არა, არა, ვინ მოგვიანაჟა ველთა სიმწვანე — ისფერ ველზე ორნი მიდიან... სულ სხვა ფერები: ლურჯ მდინარეზე — ყვი- თელი ხიდი, ამოზნექილი, და მოქანავე, გადასასვლელი, ხელზე ეყრდნობა მშვი- დად დამფრთხალი, უმწეო ქალი...

ამ დროს ედმონდოც თავის ოთახში ტანტზე იწვა და მუცელში რაღაც ჯიუ- ტად, მოუჩრდებლად ღრღნიდა. იმანაც რამდენჯერმე დააპირა წამოდგომა, მაგ- რამ გადაიფიქრა. მერე მაინც წამოჯდა, მსუბუქად დაეხვა თავბრუ, გაკვირე- ბულმა, მუცელზე მიიღო ხელები — დანა ატავს... მოეჩვენა, რა თქმა უნდა, ნამდვილად კი არა — ესეც „ვთქვათ“ გახლდათ — ოთახში მარტოდმარტო იყო, ისე კი, დანის ტაკებას ძალიანა ჰგავდა. ტკივილმა რომ გადაუარა, სქე- ლი წინდები ჩაიცვან, ჩექმაში ჩაყოფე- ხი, ისევ დაეხვა თავბრუ, ფეხებშიაც ღრღნიდა, წელათრეული, ფანჯარასთან

მივიდა. გაზაფხულის ძალიან თბილი დღე იდგა, ქუჩებში გამოფხიზლიყო ხალხი... მოლონივრებული მზისკენ გაე- შვირაოთ სახე, ილიმებოდნენ. ვიწრო ოთახისა შეემინდა ედმონდოს, ქუჩა მოუნდა. წვალებით შეიკრა თეთრი ხა- ლათის ლილები, თავბრუ დაეხვა...

დომენიკო კი ისევ იწვა. იწვა — ნე- ბიერობდა — ანა-მარია წვიმაში მოხე- და, ვთქვათ. უტევ რომ დასცხებს, მზია- რული შხაპუნით, ისეთში... ხისკენ მია- შურებს, ოღონდ სირბილის რატომდაც რცხვენია და ოდნავ აჩქარებული ნაბი- ჯით, სახელაუწილი, გაფოთლილ ტოტე- ბქვეშ შეაფარებს თავს, სახელაუწილი — დომენიკოც იქვე დგას რადგან... თავის მოსასხამს მოარგებს მხრებზე, თვალბში შეხედავს, გახე და დაბლა იყურება ფერმკრთალი ქალი, ერთიანად აკრეფილი, და თხელი, ჯიშინი ნესტო- ები უთრთის, ლამაზად ონაცვლებს ფეხს, ლამაზია და აშოლტილი, სუსტიც, უმწეო, უნებური სიამაყითა და სევდი- თაც საესე — ანა-მარია ქალი იყო, მაგ- რამ შველს ჰგავდა...

— ეე, ბოდიში... ავად ხომ არ ხართ.

— არა. არა, კაცო, არა, „შემიკლა ხელში მაინც არ მომასვენებს... ქუჩა- ში ხომ არ გავსულიყავი... ეგება შემხვ- დეს!“

ათიოდ სახლს იქით, არც თუ ისე შორს, ედმონდო კიბეზე ჩამოდიო- და. სახელურისთვის ჩაეჭიდა ხელი, ფრთხილად ჩადიოდა, მაგრამ ტკივილ- მა ორად მოხარა. ხელები ისევ მუცელ- ზე იტაცა. მოიკაცვა, ძლივს ამოისუნთქა, ოდნავ ეშველა, ორივენი გაუჩინდნენ, ისიცა და ჩასაფრებული ტკივილიც თითქოს დონეს იკრებდა, ხელის ზურ- გით მოიწმინდა ოფლით დაცვარული შუბლი, კიბე ჩაიარა, კედელს გაუყვა. თავბრუ რომ დაეხვეოდა, მხრით ეყრდ- ნობოდა კედელს, და ასე იდგა, თვალს არიდებდნენ... და მწვანე, მრგვალი ქიანველები...

ის ოხერი არტურო მაინც არ მო- სვენებდა, გაბრაზებულმა, ფეხი ჰკრა საბანს, იატაკზე გადმოაგდო, ხალათს

დასწვდა და ისე ღონივრად ჩამოაცვა ტანზე, კინალამ გაფხრიწა. „ეგება შემხედეს...“ და ამაყად ჩაირბინა კიბე, ანამარიანზე ფიქრისას რატომღაც მოუნდა, ლამაზად ემოძრავა, ამაყად და კოხტად, ვიღაც ჭიუტად უთვალთვალებდა და დახვეწილ მოძრაობებსა სთხოვდა, რა იყო მაინც, ეს რა ხდებოდა... ეზოში დოქს წაბანა ხელი, და წყალი ცალი პეშვით სამჭერ იჭურა... ლამაზ-ქალაქის ბინადარნი ქუჩა-ქუჩად გამოფენილიყვნენ, დიდიან-პატარიანად, და, გზაფხულით გაბრუებული, უგოც კი აღარ იმუქრებოდა, მაგრამ დომენიკოს მოჰკრა თუ არ თვალი, ისე შეშინდა, გაფითრდა კიდევ და თვალს მიეფარა. „რა ემართება ჩემს დანახვაზე... უცნაურია...“

ედმონდო კი მხრით მიყრდნობოდა კედელს, ცისფერი საღებავით ამოთხვრილიყო. თვალს არიდებდნენ, მაგრამ იმას მაინც არავისი დარდი არა ჰქონდა — გაღონივრებულ გულისცემას ყურს უვადებდა, გაკვირვებული. რაღაცას იმუქრებოდა განრისხებული გული, ჭერ სხაპასუხებით ამორავდებოდა, მიწოდებოდა მერე, მაგრამ ეს გატრუნვა უფრო საშიში იყო და ამაზრზენი, გულისა ისევ შეჭრა სჯობდა და ედმონდო, გაკვირვებული, აუზისაკენ მივიკვლევდა გზას და გული რომ არა, არც გაუძნელდებოდა მისვლა — გზიდან ყველანი ეცლებოდნენ. მუდლიანა სასიეროდ გამოსულმა ანტონიომაც საჩქაროდ აარიდა თვალი, ცილიომ წამით ზიზღიანად შეავლო მხერა და პირი იქცია. „აუჰ, გამობრძანებულა ესეც, — მხიარულად გაიფიქრა ტულიომ, მიმოიხედა და შორს დომენიკოს მოჰკრა თვალი, — ოჰო, ვინ მოდის... ორი შუშუნა...“ ედმონდო კი აუზთან მივიდა, ძალიან მოუნდა თავისი ქალაქის წყალი, მაგრამ ქვის ლამთან თვით დუღილი და დარბაისელი სენიორ გულით იდგნენ, თავაზიანად უსმენდნენ აღშფოთებულ მამიდა არიადნას:

— გაივით? წუხელის თურმე ვიღაც ორი სალახანა დაიარებოდა ლამაზ-ქა-

ლაქში, ერთი მეორის თავზე იდგა და ფანჯრებში ჩუმად იცქირებოდნენ... ვინ იყვნენ მაინც, კაცმა არც კი... ცხელაინებზე და ამისხენით — ეს რა წესია? სალახანები!...

— ქურდულად ცქერა — გაიძვრობის საწინდარია...

შიგ ყელში მძლავრად ურტყამდა გული. ერთი წაქცევა ქვეყანას ერჩია, მაგრამ აქ, ხალხში, მისთვის უკარგება ხალხში, ერიდებოდა. და ქალისაკენ დაადო თავი, აბარბაცებულს, სუნთქვა ეკვროდა, რკინად ქცეული ჰაერის ჩაბეჭა სურდა... მთელ თავის მოკლე ცხოვრებაში ამხანაგთმამებელს, აღარავისი დანახვა სურდა... სადმე შორს მარტო... დომენიკომ კი უხეშად მოიცილა ტულით და თეთრხალათიანს აედევნა, ზედ ქალის პირთან დაეწია, აჰ, სხვა ყოფილა, მაგრამ ნაბიჯი, ასე უზომო, და არეული... რა დაგეშართათ... შენ ხარ, ედმონდო? ედმონდო, გესმის?... იმან კი ხელისგული აჩვენა, სუსტი ბრძანებით გააქვავა აღვილზე, რა იღუმალი ძალა ჰქონდა მაინც თვალებში — მწვანედ უკიაფებდა მხერა, უცნაურად განათებული მწვანე იყო — ჭაობისფერი, მზე რომ ყვითლად აკიაფებს, და სწორედ იმ გადაჭრილ ხესთან წამით ჩამოჭდა თუ არა, მაშინვე წამოიჭრა ზეზე, იმ ვადაჭრილ ხეს გაეცალა და აღტაცებული, გაბევებული, რაღაც შორეულს, რაღაც შორეულს და მიუწვდომელს, ყურით კი არა, მთელი თავისი სხეულით უსმენდა ედმონდო, ცალხელგაშვრილი, მეორე კი ყელზე მიედო, გამწარებისგან გადაქანცულ, ამორავებულ გულთან, ორიოდ წამს ასე იდგა, ისმენდა იმას, როდესაც თურმე მთელი ცხოვრება გააცხენდებდა — ორიოდ წამში — დაეცა მერე... ვერ ჩაიჩოქა, პირქვე დაემხო... ფხვიერ მიწაში თითებჩასობილს, ზურგზე დაეტყო, მაღიანად იზმორებოდა...

და აცახცახებული, არეული დომენიკოს სიტყვების გავგონებისთანავე ლამაზ-ქალაქელები ქალაში რომ მიცვიდნენ და ედმონდო პირადმა გადმოაბ-

რუნეს, გაშრენ — ამაცი იწვა, არვინ უნდოდა...

და მაინც, ტახტზე რომ დაასვენეს, ვერაინ სცნობდა — ყველასათვის უცხო, ამადლეველები, თავისუფალი იწვა — არავინ სურდა!

დღეს კი თუმცა არ უყვარია, არც ჭაღარა არ დაუგლეჯია, ლოყებიც არ ჩამოუხოკავს და თავშიც არ წაუშენია ხელი — ყველანი მხვდნენ, როგორი ყოფილა ჭეშმარიტი გლოვა: იმან, მოხუცმა, უბედურებით გაკაყებულმა, ცივ ხელზე დაადო ხელი და, დიდებულს, ამაცს, უსაყვარლესს, მხოლოდ ეს უთხრა, ვოცებულმა ესა თქვა მხოლოდ:

— რად არ უყვარდი არავის, შვილო. ეპ, სხვისი ქირი...

პატრიცია, სასაცილო ძალი

ჭალაში, ფერად ნოხებზე ისხდნენ. ლამაზ-ქალაქის რჩეული ახალგაზრდობა, შუახნის კაცთან — მიტმასნილ ალექსანდროსთან ერთად, ვაზაფხულის თბილ, მზიან დღეს ქალაქის განაპირას, ჭალაში ატარებდა, და თუმცა მხიარულ ქალიშვილებს ერთი სულა ჰქონდათ, აკისკისებულებიყვნენ, დროსტარება ვერ აეწყო რადიკ, დაღვრემილები ისხდნენ. რა მოხდებოდა, ანამარიც რომ ყოფილიყო, მხოლოდ იქ მოკრა გუშინწინ თვალი, ლამაზ-ქალაქის სასაფლაოზე.

— შენ მაინც რამ დაგაღონა, ალექსანდრო?

— თქვენს ხელში... რა ვიცი, აბა, ცილიო-ჩემო.

— ტულიოს ბრაღია, ოტოტათი გაიბუტა კონჩეტინა, — ეგ რომ მოიწყენს, ყველაზე გადადის ხოლმე.

ტულიოს ესიამოვნა, მაგრამ არ კი შეიმჩნია.

— კი ბატონო, — გაკაპასდა კონჩეტინა, — ვიჯდეთ ასე და... ოო, ვინ მოდის!

— ვინ? — თავი ასწია ანტონიომ.

— პატრიცია, ტიბუსი. ახლა კი ვი-

ცინებთ, იცოცხლე — შტერი, შტერი, მეთი რომ არ შეიძლება. ახლანაჲ ქმარს გაპყრია, კუმეო, ცხვილსანსოტ არ ამოგვიარდეს, ცუნ-ცულა, და ნახეთ, რეებს მოვაყოლებ.

— რეებს? — დაინტერესდა ტულიო, — ახალგაზრდა ქალი ძალიან მიმხიდველი ჩანდა, — ჩვენთან მაინც არ გადავიშლის გულს, მე, მაგალითად, სავროთოდ არ ვიცნობ.

— არც მე.

— არც...

— მაგრამ არა აქვს მნიშვნელობა, ეგ ისეთი სასაცილოა, ისეთი მიმნდობი. საწყალი, ასე გაზარდეს და რა ქნას, ახლა კი, ნახავთ, ნახავთ. რა იქნება, კარგი რა, კუმეო, სირცხვილია... პატრიცია!

ქალი შეჩერდა და ერთხანს დიდის გაკვირვებით შეაქერდა კონჩეტინას, მერე კი ღიმილმა გაუნათა სახე: — ოპ, შენ?

— ხალამი, ხალამი, გამარჯობა გენაცვალე, — გადაკოცნა კონჩეტინამ, პატრიციაშეც თვალები დახუტა და ისე აყოცა, — როგორა ხარ?

— ეეპ, ცუდად, ცუდად, ჩემო... იცი, შენი სახელი დამავიწყდა.

— კონჩეტინა.

— ცუდად ვარ, ცუდად, ჩემო კონჩეტინა, ეეპ, რა ცუდად გაუთხოვდი.

კონჩეტინამ გამარჯვებული მზერა მოაგლო საზოგადოებას:

— რას ამბობ, მართლა? — აპ, რა ცუდია, ჩამოვჭეკი, ჩემო პატრიცია, აგერ დაჭეკი და გვიამბე.

ყველანი შესტკეოროდნენ ქალს — ძალიან ლამაზი იყო, ოღონდ სახეზე უმკუობის დამლა აჩნდა.

— ეეპ, რა ცუდად გაუთხოვდი, — დაიწყო პატრიცია, — მე კი იგი ინტელიგენტი მეგონა. ხომ იცით, განათლებული კაცი, ნაკითხი, და მე, გამოუცდელი გოგო, ისე მომბაჯლოვა. ერთხელ დიდ ბაღში დავუნახივარ, ვარდების ბუჩქთან და ასე უთქვამს თავისი მეგობრისთვის: „ვინ არის ნეტავ ეს გოგო?“ — მე მას თავიდან მოვეწონე,

მეგრამ რათ გინდა... შენ მაინც ხომ იცი, კონჩეტინა, თუ როგორი ოჯახია ჩვენი, დედა როგორია, მამა... თავიდანვე ისე იქცეოდა, ჩვენს ოჯახში რომ შემოვიდა, რომ... როცა სადილად მოდიოდა, ყველანი გვანაკლებდით. მაგიდაზე აბრეშუმის ხელსახოცები უნდა ყოფილიყო, თორმეტი ცალი, და ძვირფასი სუფრა, ამოქარგული, იძახდა, ინტელიგენტი ვარო. მეც ასე მეგონა... რომ ისადილებდა, სუფრაზე შავ ღვინოს აკურებდა, ვახშადაც ეს სუფრა არ შემომამართო... მოგვკვდი რეცხვით, კონჩეტინა, მოგვკვდი... ბალიშისპირზე ერთხელ თუ დადებდა თავს, მეორე დღეს როგორ იკადრებდა. ის კი არა, ღამით თუ გაეღვიძებოდა, გვერდით ახალი ბალიში ეღო და იმას იღებდა თავიქვეშ — სახზე შენოვები აღარ გამიჩნდებო. შენ მაინც იცი, კონჩეტინა, როგორ მზრდიდნენ, დიდებდა განა რამეს დამავალებდა? გაგიქებულნი მიყურებდა და მეუბნებოდა, ო, პატრიცია, შენ უნდა დადგე და აუთოვო? განა ამისთვის ისწავლე ღირაზედ დაკვრა? არა, ის ნამდვილად დესპოტი იყო და სადისტი, ფული... ფულზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. უმადლეს საზოგადოებას ხომ ვერ ჩამორჩებოდა — ქაღალდს თამაშობდა, წარმოგიდგენიათ? ვალი როცა ჰქონდა, ჩემი ზურმუხტის ბეჭდებს ვყიდდი და ფულს ვაძლევდი, აბა რა შექნა. პურის ფული რომ პურის ფულია, ისიც კი არ მოუცია თავის სიცოცხლეში. არა, უბრალოდ ბოროტი ადამიანი იყო, მე კი იგი ინტელიგენტი მეგონა. როცა ფეხშიმედ ვიყავი და ვთქვათ, სამზარეულოში დევს ყურძენი და ძალიან მომინდა, არა? — მე ხომ ფეხშიმედ ვიყავი — არ შემეძლო ამის თქმა, ვერ გაგებდავდი.

— რატომ.

— რა ვიცი, რატომ. აი, ვერც კი გაგებდავდი ამის თქმას — ოთახიდან სამზარეულოში ვერ გავიდლოდი.

— რატომ, პატრიცია?

— აი რა ვიცი, რატომ. უბრალოდ,

ისე იქცეოდა... მე კი იგი ინტელიგენტი მეგონა. იმან ნამდვილად თავგაბი ამიზნია, თორემ სულაც არ ვაპირებდი გათხოვებას. აი, ახლაც სადმე რომ შემხვდება, მაჯადოებს და სასწრაფოდ გავეცლები ხოლმე, კიდევ რომ არ მომაჯადოვოს და არ შემირიგოს. იმისი ცოლობა კი საშინელება იყო — კვირასი რამდენიმე ღამეს სულაც არ მოდიოდა სახლში, მეუბნებოდა, დედაჩემი უჩემოდ ვერ იძინებსო. დღეს დედასთან უნდა დავრჩეო და ისე კი, როგორც წესი, ღამის ორ საათამდე არ ძოდიოდა, რომ ვკითხავდი, სად იყავმეთქი, დედას ვაძინებდი, დედიკო ისე არ დაიძინებდა, ხელზე თუ არ ვეამორებოდიო. ისე კი, სინამდვილეში, თურმე გლახა ქალებში დადიოდა, წარმოგიდგენიათ, როგორი საზიზღრობა?

ტულიომ ამაყად გაიღიმა და, ხალჩაზე წამოწოლილმა, თითები აითამაშა მუხსზე.

— მაშინ ვერაფერს ვხელებოდა, ბავშვი ვიყავი, და თურმე ისე სასტიკად მატყუებდა, მე კი, სულელს, ინტელიგენტი მეგონა. თანაც, ხომ იცი, ქალებს რატომღაც მოსწონთ ასეთი ტიპები, წარმოგიდგენიათ? თუმცა, რაღა შორს წავიდე, მეც ხომ მომწონდა მართლა, წლოვანებას აღარ იკითხავ? ახლაც არ ვიცი, ზუსტად რამდენისაა. როცა შევეცი და მივთხოვედი, ასე ამბობდა, ოცდათორმეტისა ვარო, მოწმეებს ხომ არ მოვთხოვედი, სიტყვაზე ვენდე, სინამდვილეში კი ორმოცდაერთი წლისა ყოფილა, ორმოცდაერთისი, მე კი იგი ინტელიგენტი მეგონა. არა, ნამდვილად მომაჯადოვა, რაღაც ჯადო იხმარა, თორემ როგორ გავეკვებოდი, მე სულაც არ ვაპირებდი გათხოვებას და, წარმოგიდგენია, ჩემო, ეე...

— კონჩეტინა.

— წარმოგიდგენია, კონჩეტინა, რა დღეში ჩამავლო?

— ასეთი საზიზღარი კაცი იყო? კმ, საზიზღარი...

— სწორედ ასეთი, ჩემო კონჩეტინა, მე კი იგი...

„ქალი სულელი უნდა იყოს, — ფიქრობდა აღფრთოვანებული ტულო, — ისე არაფერი უხდება, როგორც სისულელი, ღმერთო, რა მშვენიერია...“

— ახლა კი წავალ, ჩემო კონჩეტინა, ბავშვი ჰაერზე უნდა გაეფიფანო, გაიღვიძებდა.

— გაჯავს ბავშვი?

— კი, სამი წლის გოგო, ისეთი კარგია, — პატრიციას თვალები აუცრემლდა.

— კარგად იყავი, ჩემო კეთილო.

— ბოდიში, თუ შეიძლება, ერთის წუთით, — წამოდგა ცილიო, — ნუთუ ის მართლა ისეთი საზოლარი მხეცი იყო, რომ ქარვისფერ ყურძენსაც კი ვერ მიირთმევდით თქვენ — ასეთი შესანიშნავი არსება, და თანაც, თა-ანაც, თქვენს იმ მდგომარეობაში?

— რა მდგომარეობაში.

— აი... — თქვა ცილიომ და თვალები ერთბაშად აუციმციმდა, — ფეხმძიმედ რომ ბრძანდებოდით... აჰ!

— აბა?! იმ მდგომარეობაშიც კი...

— თქვა პატრიციამ და კონჩეტინას მიუბრუნდა, — რა კარგი ბიჭი ჩანს, მშვენიერი ყმაწვილია, რა ჰქვია?

— ცილიო.

— კარგი სახელია.

მაგრამ ყოველივე ეს ისე გულგრილად, ისე დაუდევრად თქვა, ცილიოს ერჩია, მკლავზე მსუბუქად, ოდნავ ვერაგულად რომ შეხებოდა და იმას კი სილა გაეწნა. იქვე ჩაჯდა, ახლა უკვე სისულელი იყო გაცილებაც ფიქრი.

— ეგება დარჩე?

— არა, კონჩეტინა, ბავშვი ჰაერზე უნდა გაეფიფანო. ერთი დღეც რომ გავუტდინო, მაშინვე ფერს ჰკარგავს. ნახვამდის, კონჩეტინა, — და ლამაზად წავიდა.

ტულიომ კი თვალი გააყოლა და მტკიცედ გადასწყვიტა ერთი რამ.

პატარა ხანს ჩუმად იყვნენ, კონჩეტინა გამარჯვებული შესცქეროდა ყველას.

— ვა, რა მახლო ტიპი იყო, არა! —

დაიყვირა კუმეომ და მხიარული ქალიშვილები წამსვე აკისკისდნენ.

— ხომ გითხარი, ცუნ-ცუნა, აკი გეუბნებოდი.

აქ კი ალექსანდრომ ველარ მოითმინა და სიტყვა აიღო:

— რაღაც უნდა ვითხრა, კონჩეტინა. რომელი ყოფილხართ კალაბრიაში? თურმე, არცერთი.

— კალაბრიაში კლდოვანი, ძალიან ძნელად, უუძნელესად დასამუშავებელი მიწაა, — შორიდან წამოიწყო ალექსანდრომ, — რკინის მძიმე, წვეტიანი ლომი უნდა ურტყა, დამუშავებას თუ მოისურვებ. ყოველი გოჭი — ეს წამებაა, შენ კი, კონჩეტინა, ახლა რომ ვიყურებ, აბა, ცოტათი შეატრიულე თავი... პო, აბ ასე — შენს თავს რომ ვაკვირდები, მიუხედავად აფუებული ვარცხნილობისა, მაინცა ვხედავ, შიგნით რა ხდება. შენ ნაზი ტვინი გაქვს, კონჩეტინა, აქა-იქ ნაოჭებით მკრთალად გადახაზული, მაგრამ შენი თოთო ტვინი გაცილებით უფრო ძნელი დასამუშავებელია, ვიდრე კალაბრიის მიწა!

ასეთი გაბრაზებული იქამდე არავის უნახავს.

— ერთი ბეწო რაიმე ადამიანური რომ შეგაგენებინოთ, რკინის ლომიც კი არ მიშველის, აგერ, გრძნობაც ხართ და შენ კი, კონჩეტინა, მართლა სულელივით რომ აპარბალებ თვალებს, რკინა რომ ჩაგცხონ, ღმერთმა დაგიფაროს და, გულწასული მიხვდები რამეს? არადა, ლაპარაკი თქვენ არ გესმით, არც დარიგება, ადამიანებში ხომ ვერ ერკვევი და ვერ ერკვევი და სხვა რა გიყო, რომელი მხრიდან მოგიდგე, კონჩეტინა, ბრძივო? რაღა გაჯადრო სხვა...

— ამაზე მეტს რაღას აჯადრებ, ალექსანდრო, — ყალბად გაუღიმა ტულიომ და დააყოლა, — უყურეთ, გაბრაზებაც რომ სკოდნია ამ მათხოვარს...

— მათხოვრის ხმა მესმის! — დაიგრგვინა ალექსანდრომ, — ნამდვილი მათხოვრის ხმა — წამო, შუშუნას და-

გალეინებ... თქვენ არც კი იცით, ვინ იდგა თქვენს წინ, ბევრი კი გეგულე-ბათ ასე მიმნდობი, ისეთი სათნო?

და უცებ კონჩეტინა გაკაპასდა, წამოხტა და ქუსლი დაკრა მიწას, ალექსანდროც განრისხებული გახლდათ და მოკლე-მოკლე წინადადებებს ისე სტყუარცინდნენ ერთმანეთს, თითქოს შუბს ასობდნენ ხეში:

— რით დამიმტყიცებთ!

— რას!

— სულელი რომ ვარ!!

— მაგას რა დამტყიცება უნდა!

— სცადეთ, აბა!

— ვცადოთ?

— დიას!

— საბუთი გნებაეთ?

— კი!

— კი ბატონო!

და ალექსანდრომ უცებ საშინლად დაიღრიალა:

— აღსდექ, კუმეო!!!

აგურის მომცრო, პატარა სახლი

ლაშვ-ქალაქში ვარდისფრად და მოციფროდ ღებავდნენ სახლებს, ის კი, ის ერთი, აგურის სადა, უბრალო სახლი, ანა-მარიასი... სევდანარევი ბურუსით მოცული სამფლობელო... ღამის დარაჯი, ლეპოლდინო, არასგზით აღარ აივლიდა აგურის სახლთან, რადგან ღამ-ღამობით, მამლის ხმობამდე, ვიდაც შევმოსასახმიანი, თვალზე ქუდ-ჩამოფხატული ადამიანი იდგა — ის ჩვენი მგზავრი, ყრმა, დომენიკო, სამნი ცხოვრობდნენ პატარა სახლში — უკბილო კაცი და მისი შვილი, უმწეო ქალი, და კიდევ ერთი — ხმათა მეუფე-დომენიკო, გრილ კედელს მხრით მიყრდნობილი, უცნაურ ხმებს სულგანაბლო უსმენდა, რა იყო მაინც, რა სული ედგა ხმათა მეუფეს, გამოუცრობი — თავი და თავი ფრინველი იყო, მერე ზღვა, ბნელში აქაფებული... მიწის სუნით და უცხო ფერებით, მომ-

ფერებელი, მესაიდუმლე... ამაყი ტანჯვის მომგვრელი ხმები... უცხო ქვეყანა, მონატრებული, ხმათა დუღაბით, აგურბული და მსუბუქი, რბილი... უსწორ-მასწორო, ღბილი საფეხურებით ტალღად დარწეული კიბე, ხან ზევით, ქვევით, ზევით, კვლავ ქვემოთ და მაინც მაღლა, სულ მაღლა, მაღლა — მეუფისაყენ... ორნი უკრავდნენ, მამა და შვილი, როლდ — ცალ-ცალკე, არასდროს ერთად... და რომელიდაც უკეთ უკრავდა... რას ანიშნებდნენ მაინც ეს ხმები — ფერად-ფერადი, უცხო, ნატრიფი — ღრუბლებში წოლას? რიგრაჟის სიზმარს, გაუხსენებელს? უცხო ბუხარში რაღაც იწვოდა, სველი შიშინით, და მხურვალე კი არა, მოთბო ალი ჰქონდა, ამ უცხო სითბოში იდგა აგურის კედელს აკრული მგზავრი, დომენიკო, და სევდანარევი ბედნიერება, ეს თბილი ალი — თვით სულს ათბობდა!

ნაშუადღევს კი, მოდი და უგდე ყური — „წყაროდან ჰიქას ნუ წამოიღებ!“ იქაურობა — ისე ნამდვილი, ისეთი ყალბი, უინტერესო, და უნამუსო სინათლით გაშუქებული, ეგპ, საღამომდე... ახლა კი: „ოოპ, ქაფქაფა... დამეწვა ყელი...“ მაინც მიპყვებოდა, სვამდნენ... ჭუხუპე როხროხებდა, ჭუხუპე, სამგზის გალახული... კმაყოფილი ცილიო ეშმაკურად ნაბავდა თვალებს, — „არა, არა, ისე, უბრალოდ გავისერიენტ.“ „თუთ, მელაკუდავ, — უღიშოდა ტულიო, — იმ ოთახში რომ შეიყვანე, ჰუჭრუტანიდან გიყურებდით და ყველაფერი დავინახე.“ „ყველაფერი?“ „ღია-ახ.“ „რა ყველაფერი...“ „რა და... რაც მოხდა.“ „ყველაფერი, რაც მოხდა?“ „ღია-ახ.“ „ჰეე, — უკვირდა ცილიოს, — ყველაფერი, რაც მოხდა, მე თვითონაც კი ვერ დავინახე და...“ „ოხოხო, რა ხარ,“ — თავს გადასწევდა ტულიო, ლალი, ახარხარდებოდა, თხელი ნესტოები უთრთოდა. „სანამ პირში სული მიღვას, უბადლო ჰეშმა-რიტების მსახური და უკვდავ-სიბრძნეთა უმარტივესი-სიტყვებით...“

ბელ ვიქნები, — ეუბნებოდა მკერდზე მუქებშიხუტებულ მამიდა არიადნას დეილიო, როგორც იყო, — მაგრამ როცა მოკვდებო, დაე, საფლავზე დადგან ტირიფი და ალვა, რადგან ალვა — ეს მე ვიქნები, ტირიფი კი — მხრებჩამოყრილი ზოგადი კაცი, თუმცა არა, არა, მრავალი ტირიფი დადგან ჩვენმა შვილთაშვილისშვილისშვილებმა და შუაში კი კენტი ალვა — ასე უფრო გამოჩნდება ჩემი შეუვალობა, — და აქ ხასიათი უფუქდებოდა, რადგან ალექსანდრო შეუძახებდა, — სამგზოსი ვაშა, დეილიო — მხურვალე სალამი, ხელში კი — კალამი, ეგ უსათუთესი აზრები შთამომავლობას რომ არ დაეკარგოს. ისე კი, ტირიფს კი არ დგამენ, არამედ — რგავენ...“ „დიდად საკვირველია, რად შეიყვარა, — ეუბნებოდა კონჩეტინასა და კუმეოს დანახვაზე საყვლოშებნეული ვინსენტე ცილოს, ის კი, პასუხად: „მამაკაცადაც დიდი ვერაფერიშვილი რომ არ ყოფილა?“ „რა იცი...“ „აგერ, ლუარას ვთხოვე და გამიგო...“ „ეგებ იმ ერთხელ ხასიათზე არ გახლდათ.“ „მეც ეგრე ვიფიქრე, მაგრამ ჭანეტმაც დამიხუსტა.“ ხილო კონჩეტინა ლორთქო ბალახივით ეფერებოდა გულის რჩეულის ეკლოვან თმას — „ცუხცულ, გოყვარებარ?“ „რო არ მიყვარდე, — ამყავდ მიუგდებდა კუმეო, — ცოლად წაგიყვანდი?“

ღამლამობით კი, აგურის სახლთან, დღით მოწყენილი სული თბებოდა... უცხო ენაზე საუბრობდა რაღაც საკრავი, გაბმული ხმოვანებითა და იღუმალი, ღამეულ ტყეში დაბადებული თანხმოვნებით სავსე... თოვა, ფიფქები... თოვს და კვლავ თბილა... წკრიალა ღელე, მოძრავი ჩიტი, და მოვარდნილი უცებ ხალისი, რაღაც დაიქცა! აწყვეტილი კვიცი, თოკის ნაგლეჯით კისერზე და უხვად ბოძებული საყენი კი — ბელურათა გუნდს... და მაინც სევდა, რაღაცა სევდა — შორია მუდამ ხმათა მეუფე, გინდ ლალი იყოს, გინდ — ბედნიერი... და თუ მომწყენს, რა 10. „მნათობ“, № 1.

შეედრება — უნაყოფო ხე? ამომწარილი ქა? თუ დიდი ველი, მიტოვებული, გადაუხნავი მიწა, ეპ, უპატრონო მიწის სევდა, სევდა — სახნისად მოკიდებული უცხო მგზავრის სულს, და უმწეო ქალის უხილავი თოკით დაბმული მგზავრი, ხელემგერული, თებგაკოპილი, პირში გორგალგაჩრილი, და მაინც სული — თავისუფალი, ატივებული, თავისუფალი სული, ოო, უკრავდნენ, ო, ეს ბგერები, ეს ხმები, ხმები...

ნაშუადღევს კი... რა ქნას, რაღა ქნას, აივანუცა, პაერი უნდა თავისი წილი, ფარდის იქით კი, არტუროს ოთახთან, რაღაცას ჩურჩულებდნენ... ბევრნი არიან, ალბათ... გულზე ხელედაკრეფილი, კეფით მიყრდნობოდა სავარძელს... ცუდი დღეც იყო, განათებული, მზიანი, ბურუსი ეჩრია... და ის მშველელი, ყოვლისშემძლე „გოქვათ“ — თვალი დახუჭა, ღამეა, ღამე, რა სიმშვიდეა, ინატრე, რაც გასურს, მაგრამ, დასწყველოს... იქ, ფარდის უკან, უმნოდ გაისმის სისინ-შიშინა თანხმოვნები, მერე ჩურჩულმა იმატა, არტუროს მოკეთებები უნდა ყოფილიყვნენ, შორი სტუმრები, უნებურად, ყველაფერი ესმის: „არა, ეგრე არ გამოვა...“ „არ გამოვა, მეც მანდა ვარ...“ „უნდა ვთხოვო, ყველამ უნდა ვთხოვოთ.“ აივნის კარმა გაიჭრიალა: „როგორაა საქმე, ისეგ ისე?“ „ეპ, ჩემო რუჭიერო...“

— ისეგ ისეა, იქაზის — არ გადავიხდიო.

— გაგიყდა? ორმოში ჩასვამენ.

— მა რა...

— მაინც რამდენი უნდა გადაიხადოს... რას ამბობ, ათი?

— ათი, მაშ.

— რა მოხდა მერე... არა, ეგ კი კარგი ფულია, მაგრამ მაინც, არტუროსათვის... ჯერ არც კი ვიცი, რატომ უნდა გადაიხადოს.

დაბეჭდვითი უნდა ითქვას, რომ რაბლეს ნაწარმოების ძირითადი ტექსტი გადმოცემულია უცვლელად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ფრანგული ტექსტი ენიგმატიკური ანუ გუფუბარი და აზრობრივად მიუწვდომელი შინაარსისაა, ან როცა თხრობის „უშუფლობა“ ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ეს შეიძლება ითქვას სწორედ ლომისა და დედარბის ნოველის შესახებ, სადაც, სხვათა შორის, არაფერი არ არის თქმული ისეთი, რაც სხვაგან არ ყოფილიყოს ნათქვამი, ოღონდ აქ მოუფრედული გამოთქმები და გადაჭარბებული დეპალიზაცია, უტრირებელი სიტყვები უწაწარბის ელფერს ანიჭებს ამ ნათელ ნოველას. ეს კი, როგორც ანთობილია, ჩვენი ბეჭდვითი ტრადიციებისათვის უცხო და მიუღებელია.

აქვე უნდა ითქვას, რომ აღბათ ამავე მოსახრების, ეს ნოველა გამოტოვებული აქვს რაბლეს ორივე რუს მთარგმნელს (ვ. პოსტსაყ და ნ. ლუბიმოვსაყ), ხოლო ლუბიმოვის თარგმანში, რომელაც ითვლება რაბლეს თბულუბის სრულ თარგმანად, იგი საერთოდ ნახსენებაც არ არის ისევე, როგორც მთელი რიგი ანალოგიური ადგილები.

მსოფლიო ლიტერატურის მრავალი ძეგლის თარგმანში ამგვარი უხამსი ადგილები ხშირად შეგნებულად გამოტოვებულია ამის შეაფიო მავალითაა „ათას ერთი ღამის“ ქართული, ფრანგული და რუსული თარგმანები. თვით ქართული მთარგმნლობითი ხელოვნების კორექტი, ივანე მაჩაბელმა, შესაძლებლად მიიხანა „მეფე ლარის“ თარგმნის დროს ამოეოო ზოგიერთი სტრიქონი, რომლებიც უხამს გომოთქმებს შეიცავდა. (იხ. ულიამ შექსპირი, ტრაგედიები, ტ. II, გვიე ვაჩეჩილაძის შენიშვნები).

იმას, რომ ე. ბაგრატიონის თარგმანში ზოგიერთი ადგილი მხოლოდ შინაარსათ ანის გადმოცემულა, ვარკვეული მიზეზები და მოსახრებანი უდევს საფუძვლად. შევიერთეო მავალითად, პირველი წიგნის II თავის „გამოტოვების“ მიზეზებზე. ამ თავში მოყვანილია 112-სტრიქონიანი ლექსი — ანტიკურ ძეგლში ნაპოვნი მცირე ტრაქტატი — „უსაქმურობის წამალი“, რომლის დასაწყისი, თურმე თავვებს ან სხვა მავენ ცხოველებს მოუქამით, და სრულიად ვაუგებარ ან ბუნდოვან სიტყვათა თამაშისაგან შედგება. იგი ვანეუთვნება XVI საუკუნეში ვაგრცელბულ სახუმარო ეანრს coq-a-l'ane.

გამოჩენილი საბჭოთა რაბლესიტი მ. ბახტინი წერს: „ხალხური სიტყუერი კომიკის მეტად პოპულარული ფორმა იყო ევრთწოლდებულ coq-a-l'ane ე. ი. „მამლიანი ვირზე“ ეს არის საგანგებო სიტყუერი უანრობის ეანრი, ეს არის თავისუფლად მიშვებული მეტყუელება, რომელიც არავითარ ნორმას არ ექვემდებარება, თუნდაც ელემენტარულად ლოკიკურს... სახეები, რომლებიც ამ სიტყუებს ფსებენ ყოველგვარ კავშირს მოკლებულია... coq-a-l'ane-ის განსაკუთრებული სახეობაა ამ წიგნის მეორე თავიე — „უსაქმურობის წამალი“. (იხ. მ. Бахтин, Творчество Франсуа Рабле, М. 1965, გვ. 460).

ფრანგული გამოცემების კომენტარში ევრთვე აღნიშნულია, რომ რაბლე თავისი ნაწარმოების სხვა და სხვა ადგილას ერთობა ვრცელი აბღრუბლა სიტყუებისა და წინადადებების ჩამოთვლა-თამაშით. აჩვენ სრულიად უხაროდ მიგვიჩინია, — წერს კომენტატორი, — ვანმარტომ ტექსტი, რომელიც ვანეუთნილი მხოლოდ იმისათვის, რომ ვაუგებარი იფოს. ასეთივე აზრისაა დასავლეთ ევროპის ლიტერატურის თვალსაზრის მყოფენ ვ. შელი-

ესი თავის წერილში ვარკვანტუას და პანტაგრუელის შესახებ, სადაც მეორე თავს უწოდებს „საგანგებოდ უახროს“ (იხ. В. Шеловский, Тетива, М 1970, გვ. 259).

იგივე, როგორც აღნიშნავს მ. ბახტინი, ითქმის ბეზელის, კემეენისა და პანტაგრუელის სასამართლონი წარმოთქმული სიტყუების შესახებ (რომელთაგან ყველაზე ვრცელი, ბეზელის სიტყვა, ქართულად თარგმნილია). ზემოაღნიშნული ფრანგული გამოცემის კომენტარში ვარკვეუ ნათქვამია: „ეს უსახლერო აბღრუბლა (XI, XII და XIII თავები) ჩვენს კომენტარს არ საჭიროებს, რადგან მკითხველისათვის სავსებით ინტერესმოკლებული წმინდა მეცნიერული კირკიტი იქნებოდა“.

კიდევ ერთი შენიშვნა პირველი წიგნის LIV თავში მოცემული ტელუმის საენის მთავარი კარბიჭის წარწერის შესახებ, რომელიც რეცენზენტთ რაბლეს მთავარ მსოფლმზედგლობითს კრეოდ წარმოუდგენით. უნდა მოვახსენოთ პტივეკემულ რეცენზენტს: ფრანგული კულტურის ტრადიციით საყოველთაოდ ცნობილია, რომ რაბლეს კრეოდ მოცემულია არა LIV, არამედ LVII თავში და ლაყნიურად არის გადმოცემული ცნობილი ლოზუნგით Fay ce que voudras „მოიქმე, როგორც გსურდეს“ (რაც, რა თქმა უნდა, ისე კი არ უნდა ვავიგოთ, თითქოს რეცენზენტებს უფლება ჰქონდეთ განეხადონ რაც სერთ).

შემდეგ მოდის მეორე სახის შენიშვნები, რომლებიც ეხება თარგმანის სიზუსტეს. რეცენზენტების შენიშვნები ამის თაობაზე, ჩემის აზრით, მეტისმეტად წერილმანი კირკიტიე ხოსიათვდა. რეცენზენტთა კრიტიკა ძირითადად ემყარება ვირწი, სიტყვისიტყუითი თარგმანის პრინციპს, ეტყობა არ ესმით, რომ განსაკუთრებით მხატვრული ნაწარმოებიე მოითხოვს ახრობრიე თარგმანს.

ყველა წერილმან შენიშვნაზე ვერ შევიერთებოთ (როგორცაა, მავალითად, თვლისა და ბოსლის ან კიდევ „ვიგარის ყაურმის“ საყობი, თუმცა სიტყუები „ვიგარის ყაურმა“ თვით მთარგმნელს IV თავში ხუთჯერ მინე აქვს ნახსენები! აქ შეიძლება კომპენტენტობა გვაკლდეს, ვანეობილეთ მხოლოდ ორ შემხვევას, სადაც ვარგად ჩანს უახრობა სიტყვისიტყუითი თარგმანისა, რასაც რეცენზენტები ასე დაეინებით მოითხოვენ.

მავალითად, რეცენზენტებს დოდად ვაქვირებოთ Grands Chevalux თარგმანს სამწყობრო ცხენებად, ვინაიდან მათი აზრით უნდა იფოს „უბრალოდ დიდი ცხენები“. ფრანგული ენის ელემენტარული ცოდნის საფუძველზე, თითქოს მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ „დიდი ცხენები“ სრულიადე არ შეესატყვისება ფრანგულ Grands Chevalux-ს რაკი სექმე გვაქვს რაბლეს საუკუნის ენასთან ძველ-ფრანგული ენის შესაბამისად Grand Cheval

არის Destrier-ს სინონიმი, ე. ი. ცხენი. რაწმუნვეც მხედარი შეჭლებოდა ხოლმე ბატოლის დროს. ამიტომ, ამ ტექსტში ან თუ გნებავთ კონტრასტში Grands Chevalux უნდა ითარგმნოს მხოლოდ და მხოლოდ როგორც საბრძოლო ანუ სამწყობრო ცხენი.

ასევე წერილმანერად უღვევიან რეცენზენტებს გამოთქმას Battre les gerbes en grange როცა უსაყვედურებენ მთარგმნელს, რატომ იხმაზა სიტყვა ლეწვა და არა ცეცხლ დავით ჩუბინაშვილის 1840 წელს გამოცემულ ქართულ-რუსულ-ფრანგულ ლექსიკონში სიტყვა ლეწვა განმარტებულია ფრანგულად სწორედ როგორც Battre en grange ვარდა იმისა, თუ არ ცვლებო, ცნობილია, რომ ქართულ ენაში პურის ლეწვა, კერძოდ, მისი ცეცხლსაც გულისხმობს.

და ბოლოს, თარგმანის სიზუსტის თაობაზე ვთარხნავთ რეცენზენტთა კიდევ ორ შენიშვნას. პირველი ეხება ვარგანტუს პაროლიკის პირველ ფრაზას: Beuveurs Tres illustres. სადაც რაბლეს ლექსიკონს კვლავ მდებარი ვაგებებს პოზიციებიდან ნათქვამია; ეს „უბრწყინვალესი ლოთები“ კი არ არის, არამედ „ღიღად სახელგანთქმელი მსმელებო“. აქვე შეიძლება იველფრანგული ენის უფლებად უთქვას სიტყვა Beuveurs ანუ Buveurs წარმოსდგება სიტყვა Boire-იდან (სმა), ხოლო მისგან შუა საუკუნეებში ნაწარმოები სიტყვები Beuveurs და Beuverie ნიშნავდა ზედმეტად, უზომოდ სმას, ღლიობას (იხ. G. Grand-saigne d'Hauterive: Dictionnaire d'ancien français. Paris, 1947, გვ. 63; აგრეთვე Illustre გულისხმობს არა მარტო ვანთქმულს, არამედ éclatant-საც ანუ ბრწყინვალეს. ვარდა იმისა, ვინა სტილისტიკად უბრწყინვალესი ლოთებო“. უფრო რაბლესებურად არ ეღერს, ვიდრე „ღაღად სახელგანთქმელი მსმელებო“?

რაც შეეხება გამოთქმას un son Strident ზედსართავი „Strident არავითარ შემთხვევაში (რეცენზენტების კატეგორიულ ტონს თუ მიუხადავთ) არ ნიშნავს გამყურებელს, რაც ფრანგულად იქნებოდა „სიტყვა სიტყვად“ assourdissant ხოლო Strident მეკეთაჩ ხმას ნიშნავს, რომელთანაც ვფიქრობთ, უფრო აბოლა თარგმანის „შხარბი ტყაცენი“, ვიდრე რეცენზენტების მოწოდებული „ვამაყრუებელი ხმა“.

ქართული ენის ხარისხისა და სიწმინდის მხრივ „ვარგანტა და პანტაგრუელის“ ქართული ტექსტი თავის მძლავრობაში ქართული ენის თვალსაზრისით უდავოდ დიდ მიღწევად იმეორება; ვფიქრობ, რაბლეს ქართული თარგმანის სტილი და სულისკეთება ერთდროულად უაღრესად რაბლესეულიც და, ამავე დროს, ქართულიცაა ამასთან, მთარგმნელმა ქართულ ენაში მეტად მრავალფეროვანი ლექსება შემოიტანა.

„თარგმანის“ ენის შეფასებისას რეცენზენტ-

თა ვატეგორიული ტონი ამჯერად საყრდენს არ არის, რათა დაარწმუნოს მკითხველი, რამე „ამაზე დაწერი“, „ამაზე მოგახსენებო“ უნდა წიგნებზეც იგვეც წამოიროშა „ქართულნი ბარბარობად (?) არის მიჩნეული“ და უბრალოდ ნონ მთარგმნელს მინცლამიანდ დაწეროს „ამის შესახებ დაწერ“, „ჩემი წიგნების შესახებაც იგვეც წამოიროშა“, „ამის შესახებ მოგახსენებ“, რაც ჩვენი აზრით სწორედ უცხო ენის გავლენის შედეგი უნდა იყოს ქართულში.

ვფიქრობთ, რეცენზენტებს უთუოდ სწენად უღალატა, როცა ფრანგს „პანტაგრუელმა ყველა შეარცხენა და საქმით დაუმტობა“, არჩის ვითარება: „პანტაგრუელმა ყველა სპარსევიწოდ დაამარცხა და ცხადყო...“ ანდა „მამამილი თურქების“ ნაცვლად, რაც საცესებით ბუნებრივად ეღერს ქართულად, არჩის გადაღლატქნელი „თახსილი“ ან „ტარტაროზი“ თურქების: ანდა მიუტყვებელ შეტყობად მიიჩნის „სპარსები“, მიუხედავად იმისა, რომ რაბლე გულისხმობს სწორედ ისტორიულ Perses-ს და არა Persans-ს (ამ განმარტებას, მონტესკიეც ხმარობს თავის „სპარსულ წერილებში“); ანდა კედმაღლურად გავსწავლიან, რომ „სხვათა სიტყვის ვაღმოცემისას აფიქსი „ო“ როგორც წესი, (?) ხმას უნდა დაერთოს“, მიუხედავად იმისა, რომ ეს „წესი“ მთელ წიგნში დაცულია და მათ ვაივალახით ამ ბოროტმოქმედების მხოლოდ ერთი-ორი მაგალითი უპოვიათ.

ყოველივე ამის შემდეგ გვირდა ვთქვათ, რომ ჩვენ იმას კი არ ვამტკიცებთ, თითქოს ე. ბაგრატიონის თარგმანის ადგილ-ადგილ რაიმე ხარვეზი არ გააჩნდეს (უსაბუთოდ სასურველია, მაგალითად, რომ შემდეგი გამოცემისათვის ჩართული ლექსები, რომლებიც პროზაულად ან შინაარსით არის ვაღმოცემული, რომელშიც ქართულმა პოეტმა თარგმნოს), მაგრამ ვფიქრობთ ეს უმნიშვნელო ხარვეზები არაფრით არ ცვლიან და არაფერს არ აკლებენ რაბლეს გენიალურ ქმნილებას.

არა მარტო სტილისტიკური ეთიკა, რომელსაც რეცენზენტები გვექმადგებენ, არამედ უბრალოდ სამართლიანობა მოითხოვდა თარგმანის განხილვის დროს პირველ ადგილზე დაეყენებინათ ის შესანიშნავი შემოქმედებითი მიღვამა ნაწარმოებისადმი, რომელიც ე. ბაგრატიონის ახასიათებს, ის. წარმატება, რომელსაც მთარგმნელმა მიიღწია ესოდენ რთული ენობრივი და სტილისტიკური სიმკვლეების ვაღალახვისას. როგორც ფრანგები იტყვიან, „ერთმა ზემ მთელ ტყე არ უნდა დაფაროს!“

ამ იქნებ მთარგმნელს რაბლესებურად ლაღი, მზაბრული, სხარტი და გამოვირავალი სტილი, ასე ითვალდ რომ ილიქვამს ქართველი

მკითხველი, რეცენზენტებს მართლა იოლი საქმე ჰქონიათ? ან ამდენი დარგის ტერმინოლოგია, რაბლესებური ველმოდინებით რომ დაუმუშავებია მთარგმნელს, ათასგვარი ცატატები და თქმანი ასეთი სიზუსტით და კულტურით რომ მოუნახავს ქართული შესატყვისები ბავრათონს, უბრალო მოსწენიების ღირსიც არ იყო?

კრიტიკის დანიშნულება მარტო ის კი არ არის, რომ მან მენტორულად აღწესბას ცალკეული შეცდომები, მისი ძირითადი მოვალეობაა მკითხველს გააცნოს, თუ რამ გამაღიძრებს მას ახალი წიგნი, რაში მდგომარეობს მისი შენარსი, დედა-აზრი და დანიშნულება.

დაბ, მთარგმანი ხელოვნება, შემოქმედება, რომლის მიზანია ზუსტად და მხატვრულად შეასრულოს არა ცალკეული სიტყვების მთარგმნა, არამედ შთიანად ნაწარმოების სულისკვეთების, აზრისა და სტილის გადატანა მეორე ენაზე.

ლიბებელი მთარგმანი ის არის, რომელშიც მკითხველი არსად არა გრძნობს, რომ იგი კითხულობს მთარგმანს და არა ორიგინალს; ეს კი სავსებით შეიძლება ითქვას ელისაბედ ბავრათონის მიერ მთარგმნილ რაბლეს „გარგანტუისა და პანტაგრუელზე“.

საჩინო წყაპი

სორბონისტული დაცვის სულისკვეთება

ს. წულაძის წერილმა გვიძღვრა ხელახლა მიუბრუნდეთ ე. ბავრათონის მიერ მთარგმნილ „გარგანტუა და პანტაგრუელს“. მკითხველი სულ ადვილად შეამჩნევს, რომ თითოთორთა გამოწვევის (ისიც მიზანსაძენილი გამოწვევის) გარდა, აღნიშნული მთარგმანის რედაქტორი მხოლოდ და მხოლოდ ზოგადი მსჯელობებით ემაყოფილება და ყოველნაირად ვაჭრის „გარგანტუა და პანტაგრუელის“ უფრო მთარგმნის უამრავ კონკრეტულ მაგალითს, რომლებშიც გადატვირთული იყო კიდევ ჩვენი სარეცენზიო წერილი. ქვემოთ ჩვენ იძლებდნენ ვიქნებით კიდევ ერთხელ (და უფრო ვრცელადაც) შევასწავლოთ მას მაგალითები სათანადო დასკვნებით, რომელთაგან მთარგმანის რაობის შესახებ ერთდერით სწორი აზრი შეიძლება გამოვმდინარეობდეს.

თუდაპირველად იმის შესახებ, თუ ვისა იქნეს ცდის ტონი და აპიკატორული იმის სულისკვეთება, მიუხედავად უამრავი მოყვანილი და კიდევ უფრო მეტი ვერ მოუვანელი მაგალითისა, რომლებიც თაყისთავად ამტკიცებენ, რომ ე. ბავრათონის მთარგმანი უნდად შეიცავს ცდის, უსწორი და მცდარი ქართულის, დღისის უხეშ და მამიჩეების, რუსული მთარგმანისა და ენის აშკარა დაღის ნიშნებს. ამასთან ბარეზოვანი და არასრული, ხოლო დედანი ყოველად დაუშვებლად, თვითებურადაა შეკვეცილი და შესწორებული მთარგმნელის მიერ, ჩვენ მაინც ერთი მოსტრენე, ამ მაგალითებთან შედარებით. შერბილებული ტონითა და კალთობი გამონდა დაწერილი რეცენზია ეს პირველი

გამოხატა წერილის დასკვნით ფრაზებში: „უდავოა, მთარგმნელმა დიდი დრო და შრომა შეაღია ამ წიგნს, ძალიანაც ცდილა, ზოგი ადვილი მართლაც კარგად არის გადამოქართულებული და შთა უფრო მოთმენელი, მიუტევებელი და შეუწყნარებელია ის ბარეზებში, რომელთა თაობაზეც გამოთქვით ჩვენი შენიშვნები. გვრჩება დიდო იმედი; იმედი იმისა, რომ ეგებ მომავალში მაინც განვიცდოთ ერის კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი იმ დიდი მოვლენის გამო სიხარული და სასოება, მთარგმნელისადმი შედღიერებასთან ერთად, რასაც რაბლეს ნამდვილი, სრული და სრულყოფილი მთარგმანი მოგვცემს“.

ს. წულაძე ჩვენ ხშირად გვაწერს ისეთ რამეს, რაც არ გვოტყვამს; ასე იქცევა იგი, როცა წერს: რეცენზენტებისთვის „საკვირველი“ აღმოჩნდა ის სპეცულთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ პირველად გამოცემულ მთარგმანს აუთილებლად წიგნთა პალატის გრიფი აპირველი გამოცემა“ უნდა წაეწეროსო. ჩვენ ვარწმუნებ რედაქტორის ეს მტკიცება გუგებობას მიეწეროთ და ეუბრითო მას კიდევ ერთხელ წაიკითხოს რეცენზიის შესაბამისი ადგილი. მაშინ ის აშკარად დარწმუნდება, რომ ჩვენ არსად არ გამოვთქვამთ „გაკვირებას“ გრიფის გამო; ჩვენ უბრალოდ იმას უდავობთ, რომ ამ გრიფით გამოსული მთარგმანი ესოდენ უმწიფარია, რომ მისი პრეტენზია ამ გრიფზე დაუმსახურებელია, რომ იგი მომავალი ნამდვილი მთარგმანის

ნაჭარევი გარანტიას და დაბეჭდვას უფრო ჩამოგავს, ვიდრე უკვე გასრულებულ, დამძარ, სრულყოფილ თარგმანს; რომ იგი არ არის ნამდვილი „გარანტია“ და პანტაგრული“, არამედ მისი ხელნაწერად, თანაც უთავბოლოდ ჩამოჭრილი ნატყბია; იგი არც ნამდვილი „გარანტია“ და პანტაგრულია“ პირველი წიგნისა და არც მთელი რომანისა (ე. ი. ხუთივე წიგნი); რატომღაც მხოლოდ ორი წიგნისა გამოცალკევებული მთელი რომანიდან, მხოლოდ ორი წიგნისა თარგმნილი და ერთად გამოცემული; თანაც ამ ორ წიგნს მთელი რომანის სახელწოდება აქვს მიწებებული; და კიდევ სუბიექტურად გამოცალკევებული ეს ორი წიგნიც არ არის სრული, ნამდვილი, სერდობული თარგმანით წარმოდგენილი; ჩატარებულია ჩვენი დროისა და პირობებისათვის ისეთი ანტიკონსტრუქციული ოპერაციები, რომ ფრანგული აღმოჩენების კორაფე ფრანსუა რაბლე აღმოცენებულადაა შემოკლებული და შესწორებული. ასე რომ, ვრდით „გაყვირება“ საკითხის გათვალისწინება და ვახდენარულდება უფრო, ვიდრე სერიოზული კამათის საბაზი.

არც ისაა სერიოზული მტკიცება, თითქოს „გარანტია“ და პანტაგრული“ გარკვევით ეწოდება სახელდობრ მხოლოდ პირველ ორ წიგნს. მართოდენ კატეგორიული სიტყვების მიერით უმართებულთა აზრი ქვეშაობრებად რადი იქცევა იგი მაშინაც ვერ იქცევა ქვეშაობრებად, როცა მართლაც და უაღრესად სუბიექტურად, საკუთარი ფერისისათვის მისადაგებულად, საკუთარი შეხედულებისამებრ „შესწორებულ-შემოკლებულა“ იპოწმებენ კარტესსა და ფეერს; არც მაშინ, როცა ხელის ერთი მოსმით „პირობითად“ აცხადებენ იმას, რომ რუსულ თარგმანში „გარანტია“ და პანტაგრული“ მთელ რომანს — ხუთივე წიგნს — ჰქვია; საქმე ის არის, რომ პატრიარქული რედაქტორი სხვისი სახელით გეთავიზობს საკუთარი ექსისისათვის გამოსაღებ სუბიექტურ აზრებს, რომლებიც იოტრის ოდენადიც არ არის განსაზღვრული ლიტერატურათმცოდნეობაში, ხოლო რაც შეეხება ამ საკითხთან დაკავშირებულ ობიექტურ, საკუთრეთათმხრობულ თვალსაზრისს, მას ახლავს წარმოვლავლეთ: „რაბლეს რომანი“ „გარანტია“ და პანტაგრული“ იწერებოდა ოცი წლის განმავლობაში და იგი შედგება ხუთი წიგნისაგან“. ეს მთელი თარგმნი წერია წიგნში „უცხოური მხატვრული ლიტერატურის ძირითადი ნაწარმოებები“ (მოსკოვი, 1965 წ. გვ. 422).

საერთოდ, მთელს რუსულ ლიტერატურათმცოდნეობაში ხომ არ არის გაბატონებული, პატრიარქული რედაქტორთ, ხუთივე წიგნის (და არა ორის) მიწვევა „გარანტია“ და პანტაგრულიად“, რასაც მხოლოდ რუს მთარგმნელებს მიაწერდით? კუთლი, ესეც დაუშვავთ.

მაგრამ აი, „მაიერის ახალი ლექსიკონი“ (რეცემული) მე-6 ტომში, 784-ე გვერდზე წერს: „ფანტასტიკურ რომან „გარანტია“ და პანტაგრული“... 4 წიგნი რაბლეს ექვთვის, მეხუთის ავტორობის საკითხი ბუნდოვანიათ“. მასმსადაში, ის „პირობითობა“ გერმანელებსაც გინუტყვიათ მთავრ ხუთივე წიგნის სათარად მიუწნევიათ „გარანტია“ და პანტაგრული“. ეგებ ინგლისელები ემზობიან ს. წულაძის ვერსიას? ავიღოთ ბრიტანეთის ენციკლოპედია იქ კეთიხულობთ: „გარანტია“ და პანტაგრული“, სამწუხაროდ, კოტა მკითხველს ჰეავს, ამიტომ საჭიროდ ვთვლით მისი შინაარსის სქემატურ გადმოცემას...“ და შემდეგ მოდის ხუთივე წიგნის მოკლე შინაარსის თხრობა (ენციკლოპედია ბრიტანიკა, 1959 წ. ტომი 18, გვერდი 863-დან). აი კიდევ ერთი წყარო: „ენციკლოპედია ავტორიანა“ (1944 წ.) თავისი მე-12 ტომის 291-ე გვერდზე, სტატიაში „გარანტია“ და პანტაგრული“ წერს: „თარიღი და წყობაც კი იმ ხუთი წიგნის გამოცემისა, რომლებიც ქმნიან „გარანტია“ და პანტაგრულს“, დაუხსტებელია“.

ასეთი ციხატები დაუსრულებლად შეიძლება მოვიყვანოთ ნებისმიერი ქვეყნის საცნობარო და სამეცნიერო ლიტერატურიდან. და მხოლოდ გაყვირება შეიძლება გამოითქვას: როგორ მართლაც და „პირობითად“ ომის შესაფერი სტრასკვეთებით“ დაჩაბულან ყველგან ამ ერთადერთი კაცის „ელემენტარული“ ქვეშაობრების“ წინააღმდეგ...“

მაგრამ ეგებ თავად ფრანგები, რაბლეს თანამემამულენი და მისი ავტორიტეტული მცოდნენი, არ იზიარებენ მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობაში გაბატონებულ თვალსაზრისს? ეგებ სწორია პატრიარქული რედაქტორი, როცა „სახუთები“ სახელდობრ ფრანგული სამყაროდან მოაქვს? კუთლი ჩაიხედოთ ლარუსის ანტონიმულში (1968 წ. ტომი 8, გვ. 972), სტატიაში „რაბლე“: „მისი გარანტია“ და მისი პანტაგრული იყო საშუალება, პაროდული და სახუმარო ფორმით წარმოვლენა თავისი დროის ყველა დიდი პრობლემა“. რას გვეტყვის ს. წულაძე? მხოლოდ ორი წიგნი იფლუქსხმება ამ პრობლემათა წარმოდგენ საშუალებად, თუ მთელი რომანი?

მაგრამ ეგებ თანამედროვე ფრანგებიც აყვენიდ საერთო ფეხის ხმას, ძველები კი უფრო პირნიკობლად იცადენ საკუთარ თვალსაზრისს? ჩაიხედოთ ლარუსის XIX სუკუნის გამოცემაში, მე-8 ტომში, სტატიაში „გარანტია“ და პანტაგრული“ (1032-ე გვერდიდან). იქ ჟურ ნოთქეაშია, რომ ესაა „ფრანსუა რაბლეს სატირული ნაწარმოები ლესნარე პროზად“ და შემდეგ ერთმეორის მიყოლებით განხილულია ხუთივე წიგნი კიდევ ერთ სტატიას გვეყენოთ 1894 წელს გამოცემული ლარუსის ერთტომეულისა; ესაა

1148-ე გვერდზე მოთავსებული პაწია წერილი, რომელსაც აქ მთლიანად მოვიყვანოთ: „რამღე ფრანსუა, ბრწყინვალე ფრანგი მწერალი, დაბადებული შინაში, მედონის მღვდელი, ავტორი გარგანტუა და პანტაგრულისა“. ესაა მთელი სტატია. და აქვე ფრანგული ლექსიკონი რამღეს მთელს თხზულებას „გარგანტუა და პანტაგრუელად“ იხსენიებს. იმედია, ს. წულაძე ახლა იმის შტაკეცებას აღარ დაგვიწყებს, რომ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ფრანგებმა უკვე გადაიფიქვეს, რომ რამღეს ხუთ წიგნად ჰქონდა დაწერილი თავისი რომანი, და აღნიშნულ სტატიაში ამ სათაურით „სახელდობრ მხოლოდ და მხოლოდ პირველ ორ წიგნს“ გულისხმობენ...

და კიდევ ერთი რამ, დიდად პატივცემული, ბატონო სერგეი იქნებ ჩვენთან ერთად ვოლტერსაც დასდოთ ბრალი და თქვათ, მასაც „ვერ გაუგიაო რამღეს თხზულების სახელწოდებისა და კომპოზიციის საკითხები“. ცნობილია, რომ „ტორისტამ“ შენდის ცხოვრებისა და აზრების“ ფრანგულ ვნაზე ფრენეს თარგმანის გამოქვეყნებას (1775 წ.) ვოლტერი წერილით გამოეხმაურა და იმ წერილში სიტყვა-სიტყვით ასეთი რამ თქვა: „რამღემ გარგანტუა და პანტაგრუელი კარდინალ ოდე დე შატიიონს მიუძღვნა“.

საქვეყნოდაა ცნობილი, რამღემ „გარგანტუა და პანტაგრუელის“ მეოთხე წიგნი მიუძღვნა კარდინალ ოდე დე შატიიონს. ეს ამბავი, რაღა თქმა უნდა, კარგად იცოდა ვოლტერს, რამოვილი რამღეს მხოლოდ „გარგანტუას“ ავტორად მოიხსენიებდა ხოლმე და მისი „ბუნებისოვე“ ლექსები მხოლოდ და ლაზათით პორაციუსის ლექსების დარად მიიჩნედა.

ბატონო სერგეი თუ ჩვენი ახლაც არა გვერათ, მაშინ მონახეთ 1777 წლის 25 აპრილის „პოლიტიკური და ლიტერატურული ვაზუთი“ ფრანგულ ენაზე, სადაც ვოლტერის ეს წერილია დამბეჭდილი, წაიკითხეთ და დარწმუნდებით, რომ კარდინალ ოდე დე შატიიონს ეძღვნება „გარგანტუა და პანტაგრუელის“ მეოთხე წიგნი...

ახლა ერთი წუთით გვერდზე გადავლოთ რამღეს რუსული თარგმანი (საიდანაც ჩვენ თურმე გვიხელმძღვანელობია), ფრანგული დედანიც, საიდანაც ვითომდა ფრანსუა რამღეს ეს შედგური ითარგმნა ქართულად, და სხვადასხვა ძველების ლიტერატურათმცოდნეთა აზრებიც... დიდად პატივცემული, ბატონო სერგეი ამ „გარგანტუა და პანტაგრუელის“ თანდართულ თქვენს ბოლოსიტყვაობას რაღას მოუბერებთ, სადაც სიტყვა-სიტყვით წერთ: „ამან შემდეგ კომიკური ასახვა პოვა „გარგანტუა და პანტაგრუელის“ II და III წიგნში... ეს ხომ უკვე აღიარებაა, რომ „გარგანტუა და პანტაგრუელს“, სახელდობრ ამ სათაურით ცნობილ

თხზულებას, მესამე წიგნი აქვს ეს 259-ე გვერდზე. ვადმოშალეთ 260-ე გვერდი და ამოიკითხოთ თქვენივე ნაწერი: „რამღე წიგნებში მედონის (პარზის მახლობლად) ეკლესიის მღვდელი, შვარამ სიცოცხლის უკანასკნელ წლებს ატარებს სოფელ სენ-მოისის ახლო, სადაც ამოკრებს თავისი რომანის მეოთხე წიგნს“. მიუხედავად იმეც მხოლოდსიტყვაობას, სათაურით „სიბრძნე სიცოცხისა“. 260-ე გვერდზე თქვენ წერთ: „1534 წელს გამოდის „გარგანტუა“. რომელიც ვახდა ბუმბერაზთა ცხოვრების პირველი წიგნი, მაშინ როცა „პანტაგრუელი“ მის მეორე ნაწილს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, პარლამენტმა, ანუ სახელმწიფო სასამართლომ იგი აკრძალა.“

1546 წელს რამღე იღებს მესამე წიგნის დაბეჭდვის უფლებას, სადაც სიფრთხილის მოსაზრებით ვრჩიდება რელიგიის სატირულ გამოქვეყნებას (მანამდე, ამჟამ მიხეზით I და II წიგნის ხელახალი გამოცემის დროს, 1541 წელს, მან სიტყვები თეოლოგი, სორბონისტი შეეცალა სოფისტი). 1548-52 წლებში გამოდის IV წიგნის თავები და ბოლოს, რამღეს სიკვდილიდან დაახლოებით 10 წლის შემდეგ (1564 წელს) ქვეყნდება V წიგნი, რომლის ავტორობა სადაოდ არის მიჩნეული.

როგორც ეხედათ, რამღეს ხუთივე წიგნს გამოეცემულია 20 წლის შანძობზე და, მიუხედავად პრინციპული ერთიანობისა, ისინი, როგორც თავისი დროის, ასევე მათი ავტორის ცხოვრების სულ სხვადასხვა იმენეტს შეესატყვისებიან. ამიტომაც არ იქნება სწორი მათი ერთნაირად შეფასება. თითოეულ მათგანში სხვადასხვა დრო და ინტერესებია წამოწეული. მაგრამ „გარგანტუა“ და „პანტაგრუელი“ წარმოადგენენ სიცილისა და ფანტაზიის ამ უდიდესი ოსტატის ყველაზე პოპულარულ და სახელგანთქმულ წიგნებს. რამღემ წინასწარვე გამოთქვა ვანზარხვა შეექმნა ქვეშატირად სასაიკლო თხზულება, რადგან „აღდამიანის არსება სრულად ესწრაფვის სიცილს“.

არსად, ერთი სიტყვა რაა, ისეც კი არ დავცენიათ (და სრულიად სამართლიანადაც), რომ „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ხუთივე წიგნი ერთიან თხზულებას არ წარმოადგენს, რომ ამ სათაურით მხოლოდ პირველი ორი წიგნი იგულისხმება. რატომ? სხეებშიც, მათ შორის რუსებში, გერმანელებში, თვითონ ფრანგებში და სხვებში სწორედ ასევე ხუთი ნაწილისაგან შემდგარი ერთ წიგნად აღიქვას უკუდავი რამღეს თხზულება „გარგანტუა და პანტაგრუელი“.

1973 წელს, თქვენ ეს მშენიერად იცით, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის სერბით გამოეცემულია ფრანსუა რამღეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“. ამ წიგნს ჰუავს ორმოცდასამი სწავლული კაცისაგან შემდგარი სარედაქციო კოლეგია. ამ წიგნის სარჩევში

ვეთხლებოთ, რომ ეს რომანი ხუთი წიგნისაგან შედგება, და იქვე თანმიმდევრულად ჩამოთვლილია ამ წიგნების სათაურები.

ასე და ამგვარად არა მარტო ჩვენ, არამედ მთელი მსოფლიოს ლიტერატორებს და მათ შორის პირადად თქვენც, არა მარტო პირობითად, არამედ სრულიად „გარკვევით“ მივანითადებ „გარგანტუა და პანტაგრუელი“ ხუთი ნაწილისაგან შემდგარი ერთი თხზულების სათაურად, რაღა თქმა უნდა, მართლანი ბრძანდებიან ეასტეკსი და მისი თანამშრომლები, როცა „ვერენ, რომ მესამე ნაწილი განსხვავდება პირველი ოქრისაგან. მართალი ბრძანდება „რაბლეს ფილსოფიის განთქმული მცოდნე“ ლესიენ ფერეიც, როცა თავის კამიტალურ ნაშრომში აღნიშნავს იმ სრულიად განსაკუთრებულ ადვოკატს, რომელიც უკავიათ „პანტაგრუელსა“ და „გარგანტუას“ რაბლეს თხზულებაში, რამდენადაც ისინი განასახიერებენ რაბლეს ჰუმანიზმის პირველ ეტაპს, როცა იგი ვერ კიდევ რეფორმაციის აქტიურ მომხრედ გვევლინება. აქტიურ ლიერში კი უვლადფერი იცვლება.

მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ხუთი ნაწილისაგან შემდგარ ერთ თხზულებაში კი არა, ერთსადაიმევე წიგნის თავსა, შუა ნაწილსა და პოლოში არაა ხოლმე თანმიმდევრულად გამოკეთილი მწერლის თანფილსმედველობრივი პოზიცია. ეს მით უფრო არ შეიძლება მოეთხოვთ რაბლეს, რომლის პირველი ორი წიგნის გამოკვლას კათოლიკური ეკლესიის შესკურნი ხიშტისა და მახელით შეეგებნენ, თვითონვე დაწვეს რაბლეს ბევრი თანამთაზრე და თვითონ იგი სასწაულებრივად გადღურა ინფიზიციის მსახურად ხელს.

უფიქრობთ, ახლა საკითხი მართლაც გარკვეულია, უველასათვის გასაგებია და ცხადია, რაშიც არის საქმე. მაგრამ საქმე ისიც არის, რომ თავის ამ ეტრისაზე ს. წულაძე მთელ რაგსხვა ბრალდებებს აყვებს: კერძოდ, იგი პარალელს ადებს ბაქრაქის „ადამიანურ კომედისთან“ და მისი ერთბაშად თარგმნის მოთხოვნის აბსურდულობას ასახელებს. ვერ ერთი ამ თვალსაზრისით ასეთი პარალელის გაყლება მართლაც არის აბსურდი: „ადამიანური კომედია“ ჰანაფიკრისეული სახელწოდება მრავალ რომანიანი ეპოპისა, რომელიც იტყუება ცოცხლად, ქვეყნიულებად (ეტრუდებად, სცენებად) და მათში შემავალ ცოცხელ დამოუკიდებელ ნაწარმებებად, რომელთა რიცხვი ასამდე აღწევს. გარგანტუა და პანტაგრუელი“ კი სახელწოდება ერთადერთი რომანისა, რომელიც ხუთი წიგნისაგან შედგება. და მეორეც, სრულიად ზედმეტი იყო ამის დასაბუთება, რადგან ჩვენ არსად არ ვხვდებით, რატომ ერთბაშად არ თარგმნა და გამოსტავა ე. ბაგრატიონმა „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ხუთივე წიგნი. განვიყოფით:

ჩვენ დაეა გამოიწვია მეთხველისათვის ყოველგვარი განმარტების გარეშე მსხლი რომანის საერთო სახელწოდებით, კერძოდ მსხლი რომანის გამოკემის პრეტენზიით, რატომღაც მაინცდამაინც ორი წიგნის გამოცალკევებას და გამოკემს — თანაც საოცარი, უვლად შეუწინარებელი ხარვეზებით და „შესწორებამეყოლებებით“.

რა თქმა უნდა, ამ ხარვეზებთან და შესწორება-შემოკლებებთან დაეაწირებითაც აქვს ს. წულაძეს თავისი პასუხი. განვიხილოთ მისი არგუმენტები.

თავდაპირველად პატივემული რედაქტორი ჩვენს პრეტენზიას ასე ამათილებს: ე. ბაგრატიონი ამ შემთხვევაში რუსული ლიტერატურის დიდ მთარგმნელობით ტრადიციებს ეყრდნობათ... ვერ ერთი, რუსულ მთარგმნელობით ტრადიციებში სულაც არ შეიძლება მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა მაინცდამაინც შემოკლება-შეღამაზების ცუდი პრაქტიკა, მხატვრული ძეგლების დამახინჩება; მეორეც — მთელი ეს მალაფარდოვანი „ღივი მთარგმნელობითი ტრადიციები“ ამ შემთხვევაში ისეც და ისეც ზოგადი, არაფრისმთქმელი ფრაზოლოგიაა და ე. ბაგრატიონის თარგმანთან დაეაწირებით არაფერ კონკრეტულზე არ მივანჯიშებებს: თარგმანი ხომ წმინდა ენობრივ-შემოქმედებითი პროცესია — ერთ ენაზე შექმნილი მხატვრული საშუაროს ზეღასა შექმნა, გარდასახვა სხვა ენობრივი საშუალებებით. როგორღა შეიძლება ამ პროცესში მესამე ენის „მთარგმნელობითი ტრადიციები“ ჩაეროს! ეგებ საბჭოთა, მათ შორის — რუსული მთარგმნელობითი სკოლის ავტორიულ-მეთოდურ პრინციპებზე დაყრდნობას გელისმობს აქ ს. წულაძე! მაგრამ ამ პრინციპებისაგანაც ძლიერ შორს დგას დედნის „შემოკლება-შესწორების“ პრაქტიკა. ან იქნებ აქ ის იველისსებება, რომ „გარგანტუა და პანტაგრუელის“ პირველი ორი წიგნი ქართულად რუსულიდანაა თარგმნილი? ე. ბ. თარგმანის თარგმანია? ავი ჩვენც შევნიშნეთ, რომ ე. ბაგრატიონმა თარგმნის რუსული ზემოქმედების დროს კვლია მისი სტილისტურადაც, სხვადასხვა ბარბაროზის სახითაც, ზოგი ადვილის მკდარი თარგმანითაც, რუსულში დამწვებული უხესტობის გამოჩენებითაც და ა. შ. ავი ქართული გამოკემის ტიტულზეც „თარგმანი ფრანგულიდან...“ კი არ წერია, არამედ მხოლოდ — „თარგმანი ე. ბაგრატიონისა“. თუმცა შეითხოვა რა საჭიროა, როცა ს. წულაძე პირდაპირ წერს, სწორედ რაბლეს რუსი მთარგმნელების გამოკიდლება დაედოთ საფუძვლად ზემოთნიშნულ შემოკლებებს. ისეც უადვილოდ მოტანილ და ბუნდოვან „გამოკიდლებას“ თუ არ შევუშინდებით (რა გამოკიდლება ისეთი? იმისა; თუ როგორ უნდა შემოკლდეს, დამახინჩდეს და შეიცვალოს კლასიკოსის

თხელდება!), აქ უბრალოდ ის ფაქტია აღნიშნული, რომ ე. ზაგრატიონის თარგმანი მთელი თავისი უჩვეულო ოპერაციებითა და ძირითადად ე. პოსტის რუსული თარგმანის თარგმანია. ნ. ლუბიმოვის თარგმანით შევსებული — უმატებენ. აი, ეს უოფლია „გამოცდობა!“ მოცდა, ვერცერთი თავი დავინებით ნ. ლუბიმოვის — მის შესახებ ქვემოთ გვქვნიება საუბარი; ასლა კი ვნახოთ, თუ რა საფუძველი ჰქონდათ მთარგმნელ-რედაქტორს დაყრდნობიდან ე. პოსტის 1929 წლის თარგმანს და არ გაყოფილან სრული, ნამდვილი და პირდაპირი თარგმანის ძნელ, მაგრამ უთილშობილურ, დღესათვის ერთადერთ სწორ გზას.

თავდაპირველად იმას ვიტყვით, რომ ე. პოსტი ჯერ არავის მიუჩნევია რუსული ლიტერატურის დიდი მთარგმნლობითი ტრადიციების მაინცდამაინც ღირსეულ წარმომადგენლად. დამკვიდრად და გამაგრებულად არც მისი „გარგანტუა და პანტაგრუელი“ თარგმანი დაუთხავენ ვინმეს ეტალონად, მისაბამ ნიშნად. ესაა ჩვენი საუკუნის პირველ მესამედში შესრულებული თარგმანი, როცა სულ სხვა იყო — ობიექტური ვითარების გამო შეუძარებლად უფრო დაბალი იყო — ჩვენი ლიტერატურის მოთხოვნები მსატრეტელი თარგმანის მიმართ, როცა ერთობ შეზღუდული ვახლდით გამოცემლობის შესაძლებლობანი, როცა არა გვყავდა, ან ერთობ სუსტი იყო კვალიფიკაციურ მთარგმნელთა კადრები, როცა ბევრი მწერალი სხვადასხვა მიზეზით თარგმანშიც ცდიდა ბეჭდს... დღეს კი XX საუკუნის უკანასკნელი მესამედი, როცა შეუძარებლად ვაზარდა ჩვენი საზოგადოების ცოდნა, განათლება, მოთხოვნები; როცა ნახევარი საუკუნის წინანდელი ბევრი ამბავი ანაქრონიზმად ჩანს; როცა არავინ იბრუნებს ქაღალდს, ყოველ შემთხვევაში — მსოფლიო ლიტერატურის კორაფეთათვის; როცა იმის გაჭირვება აღარ გვადგას, რომ ისინი უშუალოდ ფრანგულიდან, ინგლისურიდან თუ გერმანულიდან ვერ ვთარგმნით ქართულ ენაზე... აღარავითარი გამართლება არ არსებობს იმისა, რომ 20-იანი წლების რუსული ხარვეზოვანი თარგმანის დონეზე წარედგინათ რაბლე დღევანდელ ქართველ მკითხველს, როცა იგი ვაცოდებოთ უფრო ადრე სრულფასოვანი ან შეუდარებლად უფრო უკეთესი თარგმანებით გაეცნო შექსპირს, სერვანტესს, ბოკაჩოს, ბალზაკს, მოპსანს...

ასლა რაც შეეხება ნ. ლუბიმოვის, რომელიც რაბლეს შესანიშნავ მთარგმნელადაა აღიარებული, და იმას, თუ რა ეფემერული ბეჭდვითი ტრადიციები გვაქვს საქართველოში. ს. წულაძე ზოგანად იმორწმუნს ნ. ლუბიმოვის თარგმანსაც იმასთან დავაშორებით, რომ ამ „უფრო ერეკლე თარგმანშიც“ ბევრი ადგილი არა

თუ თარგმნილი, ნახსენებიც არ არის. რა ვასხვე პლანში შეიძლება ვუპასუხოთ პატივცემულ რედაქტორს, რომ არაა/არცხდებულნი ამა თუ იმ მოვლენიდან მაინცდამაინც! უნაყოფიო ან თუნდაც რაიმე მიზეზის გამო ხარვეზოვანი, განუზოკიანელებელი მხარეები ავიღოთ მისაბამ ნიშნად. შედარებით უფრო კონკრეტულად კი იმას მიუვითებდით პატივცემულ რედაქტორს, რომ გრანობდა რა თავისი თარგმანის ამ ცალკეულ ნაყოფანებებს, ნ. ლუბიმოვი გამოცემიდან გამოცემაზე თანდათანოდან ასწორებდა ხარვეზებს რუსულად ანტიკვებულზე „გარგანტუა და პანტაგრუელი“ (რომელიც, სხვათა შორის, ხუთივე წიგნს შეიცავს); თარგმნიდა ადრე დაუძლეველ ადგილებს — იმ ადგილებსაც, რომელნიც „შორილებელი გამოცემითა“ და „სიტყვიერი უწამურობის ელფერიითა“ აღბეჭდილი.

ს. წულაძე განსაკუთრებით აღმოფხვებულია იმის გამო, რომ ჩვენ ღომის, მელისა და დედაბრის ჩართული ნოველის მთარგმნლობა უსაყვედურეთ ე. ზაგრატიონს. ასეთი ადგილების თარგმნა, — ამბობს რედაქტორი, — ჩვენი ბეჭდვითი ტრადიციებისათვის უცხო და მიუღებელია. მეტიც — ეს ნოველა იმდენად „უწამური“ა, რომ რაბლეს ორივე ზუსტ მთარგმნელს — ე. პოსტსაც და ნ. ლუბიმოვსაც — გამოტოვებული ჰქვია. „ლუბიმოვის თარგმანში“, — წერს ს. წულაძე, — რომელიც ითვლება რაბლეს თხზულების სრულ თარგმანად, იგი საერთოდ ნახსენებიც არ არის და აი, როგორც კი „ფიორელი“ პაქტრობის საჯარო გამოცემა პატივცემული რედაქტორი და კონკრეტულ სფეროში შეიპყრა, ცალკე მარცხი იწვნია: ვთხოვთ მას კიდევ ერთხელ აღოს ზელთ ნ. ლუბიმოვის მიერ თარგმნილი რაბლეს თხზულება (1973 წლის გამოცემა), გადაშალოს 215 გვერდი და წაითხოს მშვენიერი რუსულიად გადმოღებული ეს ჩართული ნოველა-ზღაპარი, რომელიც იმდენად რაბლესულია, იმდენად დამახასიათებელია მისი შემოქმედებისათვის, რომ ვერავითარი ეფემერული თეორიები ვერ შეძლებენ ვერც მის დაწარდლვას და ვერც „გაეთილხმოვანებას“. რაბლე რაბლე უნდა იყოს ნებისმიერ თარგმანში და არა რომელიმე ფ. ბუაროზერი, ე. ვეტიერი ან თუნდაც ო. დიორე.

ეს ქვეშარტება ს. წულაძემ სადროდ გახაზა მაშინა, როცა დაიწყო ქართულ თარგმანში მთელი რიგი სხვა „არაუწამური“ ადგილების გამოტოვების გამართლება. იგი საგანგებოდ შეჩარდა ზეპირსიტყვიერების თავისებურების „ყოკალიანზე“, სიტყვების უაზრო თამაშზე, რომელიც, ჩვენ აქ ხაზს ვესვათ — რაბლეს დროს „მეტად პოპულარული ფორმა იყო“. პატივცემული რედაქტორის კამათი განსაკუთრებით სიმპტომურია ამ მონაცემში.

იგი ციტატას ციტატაზე ახევენ, ავტორიტეტს ავტორიტეტზე იმორჩევენ იმის დასამტკიცებლად, რომ პირველი წიგნი II (112-სტრიქონაინი ლექსი), XII და XIII თავების თარგმნა სრულიად ზედმეტიაო, მაგრამ ამის ნაცვლად აი რას ამტკიცებს: ფრანგული გამოცემის კომენტატორი ამ სახანგებოდ უბარა (შელოვსკი) ადგილების შესახებ წერს, რომ „სრულიად უაზაროდ მიგვაჩინა ვანე მართლთა ტექსტი, რომელიც განუთონილია მხოლოდ იმისათვის, რომ გავფხვარი იყოს“, რომ XI, XII, XIII თავების აბაჟუნდა ჩვენს კომენტარებს არ საკითხებს, რადგან მკითხველისათვის საუკესობა ინტერესიყოლებული წმინდა მცენარეული კირკიტო იქნებოდაო“. პატივცემული რედაქტორი, როგორც ვხედავთ, ამ ციტატებით მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ სრულიად ზედმეტია ანუ თი აღგონების კომენტარები, მაგრამ ვერსად — რომ საკითრი არ არის ამ ადგილების თარგმნა: რაბლეს სწორედ საგანგებოდ, მაგალითად, სამართლებრივი ინსტიტუტების მხატვრულ-გრატიული დახასიათების ხერხად აქვს გამოყენებული ხალხური ზემორსიტყვიერების ეს სახეობა და ასეთი ადგილების უთარგმნელად შესატყვისწილად გადარჩებებს ჩვენი მკითხველის წარმოდგენას ამ მრავალფეროვანი ხელოვანის მხატვრული პალიტრის შესახებ.

კიდევ ერთი „ზოგად-თეორიული“ საკითხი: ს. წულაძე ვედრდება იმის გამო, რომ ჩვენ ვწერდით: „ტელუმის სავანის მთავარი კარიბჭის წარწერა“ რაბლეს ერთ-ერთ მთავარ მსოფლმხედველობრივ კრედას ვადმოსკეპსო. მისი აზრით, ეს ადგილი ანუ LIV თავი კი არ ვადმოსკეპს „მთავარ კრედს“ (სიტყვა „ერთ-ერთი“ მან თვითმებრად ვაუტყმა), არამედ LVII თავი, სადაც მოცემულია რაბლეს ცნობილი ლოხუნვა: „მოიტყე როგორც ვსურდეს“. მართლა ყველაფრის გამო კი არ შეიძლება დავა და კამათი LIV თავში რაბლე „ტელუმის სავანის“ მოთხოვნებს ვადმოსკეპს: მწერლის იდეალის შესატყვისი ამ საზოგადოებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ პირმოთენსა და მატყუარას, ფარიცეველსა და ქალათს, ძმწასა და მეფახშეს, სოციალური ურდუმართობის კიდევ სხვა მრავალ წარბომადგენელს; აქ იქნებოდა მხოლოდ მალალი ზნერობით აღჭურვილი ადამიანები — ეთილნი, განათლებულნი, წმინდა ვულისა და გონების, მზიარული ზასათისა და თავაზიანი ბუნების მქონენი, უხენი, პატოსანა... აღორძინების ეპოქის ჰუმანიზმი, კაცთმოყვარობა, ჰუმანიტეტის სეყვარული, სიძულელი ტირანისაში პირდაპირ დულს და ვადმოდის ამ მონაკევში. და რა არის უოველივე ეს, თუ არა რაბლეს „ერთ-ერთი მთავარი მსოფლმხედველობრივი კრედო“? რაღა საჭიროა, რა

მიზანს ისახავს უოველივე ამასთან LVII თავის ხელოვნური დამირისპირებმა?
ს. წულაძე იმასაც წერს, თითქმის ჩვენ ფრანგული ტექსტით კი არა, რუსული გამოცემებით ვეხედვსმარტენივებია (ეს საუველერი ნეტავ მთარგმნელისათვის ეთქვა პატივცემულ რედაქტორის თავის ღიოხეს.). აქ კამათი სრულიად ზედმეტია: მკითხველი, რომელიც ჩვენს რეცენზიას იკნდას, უშუალოდ ამოკითხავს დედნის იმ სწორედ შეწყინებული გამოცემის დასახელებას, რომლითაც ჩვენ ვისარებულეთ, და იგიდან მოტანილ უამრავ ადგილს, რომლებიც მთარგმნელს შეეცდომით აქვს ნაოარგმნი, ხოლო რედაქტორის ეს შეეცდომები ვერ შეეშენეია...

ს. წულაძე ვეღავე ვეაწერს იმას, რაც ჩვენ აზრადაც არ მოგვევლია. სახელდობარ თითქოს ჩვენ ვიწრო, სიტყვისიტყვიოთი თარგმანის პრინციპის გატარებას მოვიბოხოეთ; ვეაწერს და შემდეგ ჩვენს მოსაზრებას ამის დაფძველებად აკრიტიკებს.

ამა დაუევირდით მისი კამათის წესს: უამრავიდან ირიოთდე კონკრეტული მაგალითის განხილვისას ს. წულაძე არეებითად იმასვე ამბობს, რასაც ჩვენ; ამა თუ იმ სიტყვისა თუ ფრაზის ვადმოდებისა იგი არსებითად თარგმანისაგან განსხვავებულ სულ სხვა ვარიანტს ვეთავაზობს; შემდეგ ამ მართებულ ვარიანტს სრულიად უმართებლოდ აიგივეს მთარგმნელის ვარიანტთან; ამა დაუევირდით: ს. წულაძე ამბობს: Grands Chevaux უნდა ითარგმნოსო მხოლოდ და მხოლოდ როგორც საბრძოლო ცხენები (სავსებით სწორია, ჩვენსაზე უფრო მართებული ვარიანტი), ანუ, როგორც ე. ბეგრატიონს აქვსო, სამწყობრო ცხენები (სრული უაზრობაა. ვეცსმის „სამწყობრო მეყადინობა“, „სამწყობრო სიარული“, მაგრამ „სამწყობრო ცხენი“ ვერ არ ვავივილა ქართულში) ს. წულაძე ამბობს: Beuveures très illustres რეცენზენტებისეული „დიდად სახელკათქმული მსმელებო“ კი არ არისო, არამედ სწორედ ე. ბეგრატიონისეული „უბრწეინეველსო ლოთებოთო“, რადგანაც beuveure წარმოსდგებაო სიტყვა „სმისაგან“. „ხედმეტად სმას“ ნიშნავდაო (ვანა ჩვენი „მსმელი“ ქართულში ასევე „სმისაგან“ არ წარმოსდგება?!) ვანა იგი „წყლის მსმელს“, ანდა ღვინის „ზომიერად მსმელს“ ნიშნავს და არა სწორედ ზედმეტად მსმელს?! „illustres ვულისსმობსო არა მართო ვანიქმელს“ (ამ სიტყვის უშუალო, პირველი მნიშვნელობა: ჩვენი ვარიანტი), არამედ „clatant-საც (ვადასეღა სულ სხვა სიტყვაზე) ან „ბრწეინეველსო“ (ვადასეღა ავტორის ვარიანტზე). და აღბათ, რაკი ვრძობს, რომ ვუვივა მთელი ეს სილოვისიტვა, პათეტურად შესახებებს: ვეარდა ამისა, ვანა სტილისტურად (?) „უბრწეინეველსო ლოთებო“ უფრო რაბლესეულად არ

ედერს (?) ვიღაც „დიდად სახელგანთქმულო მსკელებო“? რაბლესეულად ედერს ის, რაც რაბლეს აქვს. რაბლეს ეკ, როგორც ასობობი- ვად, ისე სიტყვისიტყვივით სწორედ ეს აქვს: „დიდად (trés) სახელგანთქმულო (illustres) მსკელებო (beuveures)“.

ყველაფრის მიუხედავად თარგმანის გამარ- თლები სცა პატივცემულ რედაქტორს პერ- ვან აშვარა შეკლმობისკენ უნიკავს: იგი იცავს „მშრალ ტაცუნს“. რაც სრული უსარო- ბაა, გადაღლატუნისლ უწოდებს „თახირ (თურქებს), რაც ხალხი ქართულიცა და, ამას- თან, ზედმიწევნით გამოხატავს les pallards Turques და ა. შ. და სხვ. ს. წულავე ჩვენს მიერ მინიშნებულ ექვეულ და უხეშ შევლო- მათა მთელი წყებიდან მხოლოდ ერთ პლანს გამოკეთეს, მის გამო დაუბს და იქვე არსე- ბულ უმარავი შეკლმობის შესახებ კი არაფერს ამბობს. ასე იქცევა იგი, მავალითად, როცა რატომღაც იმის დამტკიცებას ლაბობს (რა თქმა უნდა, ამაოდ), რომ „უკრის ლეწვა“ „მისი ცხეხასაც“ ვულისხმობსო და გვერდს უდრის აქვე დამწვეულ მთარგმნელის უხეშ ლაესტეს — „საბებლში პერის ვალუწესო“; ასევე გვივებს ნიშნს: სწენა ვილატტო, „პან- ტაგრეულმა ყველა დაამარცხა და ცხადო... განა არ ყოზბსო თქვენს ვარაინტს? და ამავე დროს არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა ხდება შტა ფრინჯიან ამოგლეჯილი ამ მონა- კეთის მარტენი და მარტენი; სახელდობრ ის, რომ „არქესზე წამოგების“ ნაცულად თარგ- მნილია პირიქით, „აწვეიტესო“, „უსაგნო ლაქლაქისა და თვლითქცობის“ ნაცულად — „ხრთიქვი და ფანდები“, საბლეს მიერ სობო- ნელ ლთისმეტყველთა სარკასტული დაბატ- ვისათვის შეთხუელი „მანტიაწამოსხმული ხბო- რების“ ნაცულად — მხოლოდ „ბბოები“ და სხვ.

ჩვენს მიერ მოტანილ უმარავ მავალითს ს. წულაქმე ვერაფერი მოუხერხა და სწორედ ამიტომ არჩია მართლაცდა „სობობინატული დაკის“ სილოგისტრ-თეორიული გზა; ვე- რაფერი მოუხერხა და ყველა ჩვენი მავალითი ამბიორულად, ხელის ერთი მოსმით „წერილ- მან კარკიტად“ გამოკლდა. წერტილანი კარ- კიტი უთვლა მიითთებანი ქართული ენის უმარავ სტილურ და ბარბარისტულ დამაბინ- ქებაზე, რესიციუმებზე, სრულით ბუნდო- ნად, უსწოდ ვადმოღებულ ფრაზეზე, შე- ედმოგებზე ფრანგული ტექსტის გაგებაში... მამ თუ არა ამ კონკრეტული გზით, როგორცა უნდა გამოვლინდეს თარგმანის რაობა? ყო- ველგვარი სხპუთის, ილუსტრაციის, კონკრე- ტულობის გატყუე? ისე, როგორც ს. წულაქის წერილში: „დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ რაბლეს წაწარმოების ძირითადი ტექსტი ვალმოცემულია უცულოდ“; „რაბლეს თარგ- მანის სტილი და სულისკვეთება ერთდროუ-

ლად უაღრესად რაბლესეულიც და ამავე დროს ქართულიცაა!“. მთარგმნელმა ქართულ ენაში მტრად მრავალფეროვანი ლექსი „წერილნი“ (?) — ეს მაინც როგორ?! ნეტავ რა ლექსითი გავეამდიდრა ე. ბაგრატიონმა? — ე. მ., შ. ე.; „შესანიშნავი შეშოქმედებითი მიდგომა წაწარ- მოებისადმი, რომელიც ე. ბაგრატიონს ახასი- ათებს“ (მაინც სახელდობრ, როგორი? — ე. მ., შ. ე.); „წარმატება, რომელსაც მთარგმნელმა მიადწია ესოდენ რთული ენობრივი და სტი- ლისტური სიძნელეების გადალახვისას“ (სა- ხელდობრ, რომელი სიძნელეებია და როგო- რაა გადალახული? — ე. მ., შ. ე.); „აოსგვა- რი ციტატები და თქმანი, ასეთი სიზუსტით და ექტრეიმით რომ მოგვხატა ქართული შეს- ტყვისები ბაგრატიონის...“ (სახელდობრ, რომ- ლები? — ე. მ., შ. ე.). ყველაფერი ეს საბუ- თებით განუმტკიცებელი, კონკრეტულად არაფ- რისმომინშნებელი, ზოგადი სიტყვებია. მათი დასაბუთებისათვის კი სწორედ ის „წერილმა- ნი კირკიტა“ საჭირო, რომელიც თვალნათლივ და ობიექტურად ავლენს რეალობას.

ხოლო რაკი თავად არ სურს ცოცხალი მა- გალითებით დაასაბუთოს თავისი ეს ზოგადი დებულებები, ჩვენ თვითონ ვეითხობ პატივ- ცემულ რედაქტორს: „რაბლეს ქართული თარ- გმანის სტილი და სულისკვეთება, ერთდროუ- ლად უაღრესად რაბლესეულიც და, ამავე დროს, ქართულიც რომ არის, კონკრეტულად ამ ფრაზეებში ხომ არ გლინდება: „თუ თქვენ ასე ფიქრობთ, ოდნედაც ვერ მიუხალოდუ- ბით ჩემს აზრს, რომელიც ამტკიცებს“ („გარ- ვანტუა და პანტაგრეული“, გვ. 11); „ბევრია ქვეყნად იმპერატორი, მეუფე, პერსოვი, მთავა- რი და პაპი, ვინც რომელიმე მეწერილმანისა და, მეგოდრისისგან იყოს წარმოშობილი“ (გვ. 13-14); „სახატებაში ითანესაგან, თავი შეიქე- ვსმეტე, ჩვენი მაცხოვარი ამბობს“ (გვ. 20); „განა მიწნერვა არ დიობდა ყურით იუპიტერის ტვინიდან“ (გვ. 22); „გბუნით ტაქს“ (გვ. 22); „აპის შემდეგ უნდა გავულოთ“ ტყე- რომელიც კრახანებით და ბუნჯაყლებით ყო- ფილიყო სავსე“ (გვ. 41); „ამამ ბრძანა, გარ- ვანტუასთვის ყვილელი ფესაკმული ჩაეცათ, ბაბენი მას „პოლსაპოკლბო“ უძახის“ (გვ. 41); „იტულები ვამსივდეს, თუ შევესთან არ გინა- ლით, რა საშინელ ბოროტმოქმედებასაც სია- ლიხაბთ აქ „საკუთარი ხელით“ (გვ. 49); „აქ (სამართლიანობის) სუნაც არა ტრიალებს“ (გვ. 49); „მთელი ბორბტება ამაში რომ მდგო- მარკობდეს“ (გვ. 183); „ქვეყანა დავიპყრეთ“ (გვ. 254); „ახლო-მახლო ვთაკოებნი მიდიოდ- ნენ“ (გვ. 54); „ღრმა წყალში ეტრახობდა მყვრდულად, გულაღმა გვერდულად, ამობრა- ვებდა ყველა ასოს ან მარტო ფხებებს“ (გვ. 59); „მავრამ ნახუქის მავებრად მარკემ ფხებებში შოულტი ისე მავრად გადაუქირა, ერთბაშად ნაწინებურნი გაუჩინა, თვითონ კი გამქვეა დაა-

პირა“ (გვ. 66; აქამდე ცნობილი იყო, რომ ნაწიბურები იარის მოშუშების შემდეგ რჩება ავალი: აქ კი — შოლტის გადაყრასთან ერთად — „ერთბაშად“ კი — ე.მ., შ. გ); „ბუქის ძელები გადაყვრიხა“ (გვ. 71); „მოიტა ერთი ხახვი გამოვიღოთ“ (გვ. 97); „თქვენ იცნობთ შამა კლოუს ზემო ზარუადან“ (გვ. 99) და ა. შ.

შველაფერი ეს რაბლესეულიცაა, პატივცემული რეაქტორი, და ამავე დროს, ქართულიც!

და კიდევ, როცა ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „მთარგმნელის რაბლესეულად ლაღ, მხიარულ, სხარტ და გამჭვირვალე სტილს ასე იოლად აღიქვამსო ქართული მკითხველი“, მრავალი ზემოაღნიშნულის გარდა, ასეთი სტილიც ხომ არ იფიქსირდება: „ხოლო თუ მათ ვინმე დაძრახავს, ორსულობის დროს რისთვის აძლევთ ნებს ამოგვესონო, რამეთუ იფიქსირებო, რომ ძე ცხოველი ამ მდგომარეობაში სხვას არასგზით არ მიუშვებს, ისინი უპასუხებენ — ერთი საქმეა ცხოველი, მეორე კი დედაცაი, რომელსაც მშვენიერად ესმის, ზედმეტობის მხარული უპირატესობა“ (გვ. 18); „ვეწვითოდე, ესპანური მეძებრითა და ორიოდ მწევრით თქვენ შწვობრისა და კურდღლობის ზღმწიფეები იქნებით მთელი თქვენი დღენი“ (გვ. 23); „ისინი თუ მესამე თვეზე დაორსულდნენ, ბავშვს შინც განსვენებულს მიაწერენ, ხოლო თუ დაორსულდებიან, უშიშრადაც განაგრძობენ, — გზა ხსნილია, როცა მუცელი გატენილია“ (გვ. 17); „ატუილად როდი უკვირთ უცხოელებს საფრანგეთის შეუფების დიდი შოთმინება ანუ სიშტერე, რომლებიც ხედავენ რა არეულობაა მუდამდღე ამ ხალხის გაფამკიდე და არავითარ ზომებს არ ხმარობენ ამის აღსაყვეთად“ (გვ. 43-44); „— გადაწვეიტეს, სა-

ნამ სმას მოწინდებოდა, კაცი გავგზავნათ ქალაქის პრეფექტის, ფაქულტიტის რექტორისა და ეკიარიის ეპისკოპოსის მოსაგებანად...“ (გვ. 168); „...ათქვენი გალობა კი, ლმერთმანი, უდროო დროა“ (გვ. 70); „...თუ მისი სახით ვიმსჯელებო...“ (გვ. 168); „ეს საზოგადოება თათბირობდა ორმოცდაექვსეკარას, მაგრამ შინც ვერ მოახერხა გავყვნიტა კაქალი...“ (გვ. 173; „კაკლის გავყვნიტა“ შინც რა უბედურებაა?!); „ინგლისელმა დაუფონებელიც გასწია პანტაგრუელის ბინაზე, რომელიც სან-დენის ფუნდუკში ცხოვრობდა...“ (გვ. 199); „მარდი და მოხერხებული ხელი ჰქონდა პანტურეს, ამასთან არავითარი თადლითობა“ (გვ. 194); „მთელი ძაღლები, რაც კი საუღარში იყვნენ, იგრძნენ თუ არა პანტურის წამლის სუნის, რომელიც მან ქალს დააუარა, მოცივიდნენ და მანდილოსანს მოესივნენ“ (გვ. 215); „...თუ ტირით ზაღლებო, ის ჯერ კიდევ თბილია, იგერ განეყვრნო და გამოეაქანალო, იგეთი გუშინაც არა უოფილა“ (გვ. 24; თანაც ეს პარიზელი პანტური დედნის რა კონტექსტით ან სხვა რა ძალით აღაპარაკა უცხად ტეტისავითი?) და სხვა მრავალი? ლმერთმა დაკვიფაროს ასეთი „გამჭვირვალე სტილისაგან“, რომელიც უოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება ქართულად ნათარგმნ „გარგანტუა და პანტაგრუელში“!

რაღა შეიძლება ითქვას უოველივე ამის შემდეგ? ვფიქრობთ, აღარაფერი გარდა იმისა, რომ დანარჩენი მკითხველს შეუძლია განსაჯოს.

ელეუჯა ვალრამი,
შოთა ვადაგორია.

0040 80 303.

ИНДЕКС
76128
УДК 069.4
808-001033

8774 =

„МНАТОБИ“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ